

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ମହାପାତ୍ର

କାନ୍ତିଲେଖା  
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମହାପାତ୍ର  
ପ୍ରେରଣାକାଳୀଙ୍କାନ୍ତିଲେଖା

(ମଧ୍ୟାମ୍ଭାଗ ମଧ୍ୟାମ୍ଭାଗ)

ლიგური მოსულიშვილი

ეპიგრაფები  
ფიზიკოსების  
ცხოვნებისადან

(ესტუარიუმი რივერი)



„საარი“, 2010

რედაქტორი: მიხო მოსულიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი ბელთაძე  
ტექსტის ამნიობი და კორექტორი: ლელა ტულუში

[http://ka.wikipedia.org/wiki/ლიგური\\_...\\_მოსულიშვილი](http://ka.wikipedia.org/wiki/ლიგური_..._მოსულიშვილი)

©ლიგური მოსულიშვილი, 2010  
©საარი, 2010

ნიგნი იბეჭდება ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის  
ფინანსური მხარდაჭერით.

ISBN 978-99940-60-89-4

## ლიგური მოსულიშვილის პიოგრაფია

(სტატია ვიკიპედიიდან, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედიიდან - <http://ka.wikipedia.org/wiki/ლიგური>—მოსულიშვილი)

ლიგური მიხეილის ძე მოსულიშვილი (დ. 10 ივნისი, 1933, არაშენდა – გ. 5 აპრილი, 2010, თბილისი), ქართველი ფიზიკოსი.

დაბადა 1933 წლის 10 ივნისს გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში. დედა, ანეტა დავითის ასული ჩომახაშვილი (1915 – 1992) იყო დიასახლისი, ხოლო მამა, მიხეილ ილიას ძე მოსულიშვილი (1914 – 1995) – ბუღალტერი.

1953 წლის მაისში დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა. ამავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ნარჩინების დიპლომით 1958 წელს და ამავე წლის 18 სექტემბერს აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის მინვევით ჩაირიცხა უმცროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში. 1959 წლის სექტემბერში დაქორნინდა გიული ალექსანდრეს ასულ ქვარიანზე. ჰყავს ორი შვილი: კახა და მაია.

თავდაპირველად მუმაობდა კარსნის ლაბორატორიაში მარგანეცის მადნის ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის (შემდეგში ინერბა აბრევიატურა „ნაა“) ექსპრეს-მეთოდების დამუშავების პრობლემებზე. იყენებდა ნეიტრონების იზოტოპურ ნიჟაროებს: რადიუმი -> ალფა -> ბერილიუმი და პოლონიუმი -> ალფა -> ბერილიუმი. ამ ნიჟაროების გამოყენებით მისი ჯგუფის მიერ დამუშავდა მარგანეცის მანქენებში ნ-ის განსაზღვრის ექსპრეს მეთოდები (1958 – 1961 წლები).

საქართველოში ბირთვული რეაქტორის ამუშავების შემდეგ საჭირო გახდა ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის ლაბორატორიის შექმნა. მას დაეკისრა ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელობა. ამ მისიას ასრულებდა 1961 – 1975 წლებში. კვლევითი სამუშაოები ძირითადად გამიზნული იყო ბიოლოგიურ ობიექტებში მეტალთა იონების შესასწავლად. ამგვარ ობიექტთა შორის აღსანიშნავია ადამიანის სისხლის და მისი კომპონენტების, ზურგის ტვინის სითხის, ბიოფსირემული ქსოვილების, უჯრედის ძირითადი კომპონენტების: ერითროციტების, ლიმფოციტების, მიტოქონდრიობის, ცილებისა და შრატების მიკროელემენტები შემცველობისა და განანილების კანონზომიერებათა შესწავლა.

1961 წლის 13–17 მაისს საქართველოში სტუმრად მყოფი ნილს ბორი ესტუმრა ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის (ნაა-ს) ლაბორატორიას, რომლის ხელმძღვანელი იყო ილია ნასყიდაშვილი და სადაც ლიგური მოსულიშვილიც მუშაობდა. თავის მოგონებების წიგნში „ეპიზოდები ფიზიკოსთა ცხოვრებიდან“ ლიგური მოსულიშვილი ასე იხსენებს ამ დიდ ნობელიანტს: „გარეგნულად ეს დიდი მეცნიერი გამოიყურებოდა მხნედ. მას ჰქონდა ხორბლისფერი კანი და ბრგე, ნამდვილი სპორტსმენის გარეგნობა. ნილს ბორი ყურადღებით ისმენდა მის პატივესაცემად გაეკებულ მოხსენებას. ჩემზე განუზომელი შთაბეჭდილება დატოვა ამ მხცოვანი მეცნიერის მიერ გამოჩენილმა ყურადღებამ მომხსენებლის მიმართ. მას ჰქონდა დიდი, ჭაღარა, მარაოს მსგავსი ნარბები და ნამნამები. მომხსენებლის მიერ ნარმოთქმული ფრაზების მოსმენის დროს მისი რეაქცია გამოისახებოდა თვალების ხამხამის სიხშირით: თუ ინტერვიუს თარგ-

## ლიგური მოსალიშვილი

მანი ინგლისურ ენაზე ზუსტი იყო, მისი თვალების ხამხამის სიხშირე იზრდებოდა, ხოლო თარჯიმანის მიერ ნაკლებად გასაგები ფრაზების მოსმენის დროს, მისი თვალების ხამხამის სიხშირე კლებულობდა. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სხვისი მოხსენების მოსმენის ასეთი მაღალი კულტურა მე ცხოვრებაში შემდეგ აღარ შემხვედრია”.

ნაა-ს ლაბორატორიაში ფრიად საყურადღებო შედეგები იყო მიღებული დაბალტემპერატურული ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის მეთოდების გამოყენებით. დაბალტემპერატურული დასხივების ტექნიკის შექმნით ფიზიკის ინსტიტუტის რეაქტორს ეკავა წამყვანი პოზიცია და ამ მეთოდებით შესაძლებელი გახდა მცირე მასის (მიახლოებით 0,5 მილიგრამი) მოლეკულური პრეპარატების მულტიელემენტარული ნაა. ამ პერიოდში მისი ჯგუფის მიერ შექმნილი მთელი რიგი მრომებისა გამოქვეყნებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

1968 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1985 წელს კი სადოქტორო დისერტაცია.

1975 წლიდან ნაა-ის ლაბორატორიის ბაზაზე უკვე ინსტიტუტის ახალ კორპუსში ჩამოყალიბდა ბიოლოგიური ობიექტების სპექტრალური კვლევების განყოფილება. ლიგური მოსულიშვილს დაევალა ამ განყოფილების ორგანიზება და სათანადო კვლევების ხელმძღვანელობა. ამ დროიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბიოლოგიური სისტემების ექსპერიმენტული კვლევების შესაძლებლობა, რომელთა შორის ნაა-ის მეთოდების გამოყენებას ისევ ძირითადი ადგილი უკავია. ამ პერიოდში მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შორის ფრიად მაღალი მეცნიერული ლირებულება აქვს შრომას, რომელიც ეძღვნება საქართველოს ტერიტორიაზე 1970 – 1980 წლებში მცხოვრები პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანების სისხლის მიკროელემენტური შემცველობის შესწავლას ფართო ასაკობრივ შუალედში (14 – 107 წლები). ამ შრომაში მიღებულ შედეგებს მეცნიერი განვიხილავდა, როგორც ბიოლოგიის კონსტანტებს.

ლიგური მოსულიშვილის მიერ შესრულებურ გამოკვლევებში ჩერნობილის კატასტროფის შედეგებს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. ჩერნობილის ეტიოლოგიის რადიონულელიფური ნაკადის შემოჭრა საქართველოში პირველად დაფიქსირებულ იყო მის ლაბორატორიაში, 1986 წლის 2 მაისს. ამ დღიდან დაწყებული 2000 წლის ბოლომდე (თოთხმეტი წლის განმავლობაში) მის ლაბორატორიაში სრულდებოდა სისტემატური დაკვირვება სასიცოცხლო გარემოში ჩერნობილის ეტიოლოგიის რადიონულელიფურის აკუმულაციისა და მიგრაციის პროცესების შესწავლისთვის. ამ პრობლემის ირგვლივ შესრულებული პუბლიკაციები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორის დაკონსერვების შემდეგ ნაა-ის ექსპერიმენტები გააგრძელა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში, კერძოდ, ილია ფრანგის ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორიაში. ამ კვლევების შესრულებაში უაღრესად დიდია ამ ლაბორატორიის აქტივაციური ანალიზის სექტორის სამეცნიერო ხელმძღვანელის, დოქტორ მარინე ფრონტასიერას როლი. 1999 – 2006 წლებში ლიგური მოსულიშვილის ლაბორატორიაში შეასრულა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებიც აისახა დუბნის

პრეპრინტებსა და საუკრნალო სტატიებში. გარდა ამისა, დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით მიღებული აქვს რუსეთის ფედერაციის ორი საავტორო პატენტი გამოგონებაზე წყალმცენარე სპირულინის სელენშემცველი და ქრომშემცველი სამკურნალო პრეპარატების დამზადების ორიგინალური ტექნოლოგიის დამუშავებისა და მათი გამოყენების თვალსაზრისით.

ლიგური მოსულიშვილის ლაბორატორიის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრში (ISTC) 1999 წელს წარდგენილმა პროექტმა G-348 (წელი წიბასაშვილი) კალიფორნიის ლოურენს ბერკლის ინსტიტუტის დიდი მონონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ, 2001 წელს, ასევე ISTC-ის ეგიდით, შესრულდა პროექტი G-408, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლიგური მოსულიშვილი, ხოლო კოლაბორატორის როლს ასრულებდა და დევიდ გლაზგოვი, ოუკ რიჯის ეროვნული ლაბორატორიის (ეს ლაბორატორია ფუნქციონირებს ოუკ რიჯის მაღალნაკადიან რეაქტორზე) ქიმიური და ანალიზური განყოფილების ხელმძღვანელი. ამ პროექტით შესწავლილი იქნა ტოქსიკური და მძიმე მეტალების როლი წყალმცენარე სპირულინას კულტი-ვაციის პროცესში. ამ კვლევის შედეგები იბეჭდებოდა პრესტიულ უცხოურ ჟურნალებში.

2010 წლის აპრილი.

## ავტორისაგან

ამ პატარა მემუარულ რვეულში, რომელიც მოიცავს ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ფიზიკოსთა შორის სწავლისა და მუშაობის პერიოდს, შევეცადე მოკლედ მომეთხორ, ჩვენი ძველი თაობის ფიზიკოსთა მიერ გავლილი პერიოდის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. თავიდანვე ვთვლიდი, რომ ეს შეიძლებოდა, უბრალოდ, საინტერესოც კი ყოფილიყო მომავალი ფიზიკოსებისთვისაც. ფიზიკოსთა ძველ თაობას, რომლებიც დღესაც აგრძელებენ მეცნიერების ამ დარგში მოღვაწეობას, აქ აღნერილი ეპიზოდებით ვერ გააკვირვებ - ბევრმა მათგანმა საკუთარ თავზე გამოსცადა იმ ეპოქის სიმწარეც და სიამტკილობაც. უფრო დიდი სტატიისტიკური წონით, ჩვენს ცხოვრებაში, პრევალირებდა სიმწარე და სიდუხჭირე, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ბევრ მათგანს თავშია ზრადაც არ მოსვლია მაშინ, ამ პროფესიის უარყოფა! ეს დამოკიდებულება გრძელდებოდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე. შემდეგ კი უკვე შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის მეტისმეტად დამძიმდა ცხოვრება...

ფიზიკის ინსტიტუტი გადაურჩა სრულ კატასტროფას მხოლოდ იმის გამო, რომ აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტმა გაუწია დიდი დახმარება ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფების საგრანტო დაფინანსებას. აქ წარმოდგენილ კრებულში ამ დახმარების წყალობით მიღებულ შედეგებს ეძღვნება ცალკეული სტატიები.

დღეს რომ საქართველოში კელავ ფუნქციონირებს ფიზიკის ინსტიტუტი, არის პროფესიონალური ენერგიის ხარაძის დიდი დამსახურება და ამ მიმართულებით მის მიერ გადადგმულ გონიერულ ნაბიჯებს, დაინტერესებული მკითხველი ადვილად დაინახავს!

ამგვარი მემუარული რვეულის დაწერის იდეა ეკუთვნის თავად ბატონ გოგი ხარაძეს, რომელმაც ჩემს მიერ ადრე დანერილი ზოგიერთი ფრაგმენტის გაცნობის შემდეგ, მირჩია მომემზადებინა ასეთი შრომის უფრო სრულყოფილი ვარიანტი. ეს ამოცანა ჩვეულებრივი ლიტერატურული ნაშრომისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რადგანაც ავტორი ვალდებულია, დოკუმენტალური სიზუსტით გადმოსცეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გათამაშებული მოვლენები.

რამდენად შევძელი ამ მისის განხორციელება, ეს იდეის ავტორმა და მკითხველმა განსაჯოს. ჩემი მხრიდან კი ვიტყოდი, რომ ეს არც თუ ისე უბრალო ამოცანა ყოფილა, როგორც შესაძლოა ჩემსავით გამოუცდელ „მნერალს“ ერთი შეხედვით მოეჩვენოს.

დასასრულს, თავს მოვალედ ვთვლი დიდი მაღლიერებით მოვიხსენიო დოქტორი გელა გელაშვილის მოთმინება და ძალისხმევა, რომელმაც პირველმა წაკითხა წინამდებარე შრომის სრული ვარიანტი და მოკრძალებული ფორმით გამოხატა თავისი შენიშვნები და რჩევები.

ტექსტზე მუშაობის პერიოდში ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რჩევები ბევრად დამეხმარა ტექსტის დახვენაში, რისთვისაც მათ გულწრფელ მაღლობას მოვახსენებ.

განსაკუთრებით დიდი პატივისცემითა და მაღლიერებით მოვიხსენებ ქალბატონ ლელა ტულუშს, რომელმაც სანიგნედ მოამზადა ჩემი ხელნანერის ციფრული ვერსია.

თბილისი, 2009 ნელი.

## 1. ნილს ბორი ჩვენს ლაპორატორიაში

რაც არ უნდა პარადოქსულად უღერდეს, ნილს ბორი მობრძანდა ჩვენს ლაბორატორიაში. ლაბორატორიის თემაზე იყისა და სამომავლო ამოცანების შესახებ ინტერვიუს აძლევდა განყოფილების გამგე, ილია ნასყიდაშვილი. სინქრონულ თარგმანს იწერდნენ ენაზე, ტრადიციულად, ასრულებდა ადა აზო.

ამ დროისათვის ნილს ბორი უკვე ხანდაზმული, ასაკოვანი კაცი იყო და ინტერვიუს მოსმენის დროს მას მიართვეს სავარძელი. გარეგნულად ეს დიდი მეცნიერი გამოიყურებოდა მხნედ, ჰქონდა ხორბლისფერი კანი და ბრგე, ნამდვილი სპორტსმენის გარეგნობა. ნილს ბორი ყურადღებით ისმენდა მის პატივსაცემად წაკითხულ მოხსენებას.

ჩემზე განუზომელი შთაბეჭდილება დატოვა ამ მხცოვანი მეცნიერის მიერ გამოჩენილმა ყურადღებამ მომხსენებლის მიმართ. მისი რეაქცია ყოველი ფრაზის თუ გამონათქვამის მიმართ გამოისახებოდა თვალების ხამხამით. მას ჰქონდა დიდი ჭალარა, მარაოს მსგავსი წარბები და წამნამები. მომხსენებლის მიერ წარმოთქმული ფრაზების მოსმენის დროს, მისი რეაქცია გამოისახებოდა თვალების ხამხამის სიხშირით: თუ ინტერვიუს თარგმანი, იწერდნენ ენაზე, ზუსტი იყო, მისი თვალების ხამხამის სიხშირე იზრდებოდა, ხოლო თარჯიმნის მიერ წაკლებად გასაგები ფრაზების მოსმენის დროს, მისი თვალის ხამხამის სიხშირე ნელდებოდა. დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა, რომ სხვისი მოხსენების მოსმენის ასეთი მაღალი კულტურა მე ცხოვრებაში შემდეგ აღარ შემხვედრია.

გამომშვიდობებისას ნილს ბორმა ჯანმრთელობა და წარმატება უსურვა ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლებს პირად ცხოვრებასა და შემოქმედებით საქმიანობაში. ამის შემდეგ ძვირფას სტუმარს მისი ვიზიტის ორგანიზატორები წარუდღვნენ ინსტიტუტის სხვა ლაბორატორიების დასათვალიერებლად...

ნილს ბორთან შესახვედრად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში შეიკრიბა ქართველ ფიზიკოსთა ყველა თაობის წარმომადგენელი. დარბაზი მოთმინებით ელოდა ნილს ბორის მობრძანებას. ფიზიკის დიდი აუდიტორია ვეღარ იტევდა ძვირფას სტუმართან შეხვედრის მსურველებს.

ნილს ბორის გამოჩენას დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა. იმ დღეს ვრცელი მოხსენება წაიკითხა მისმა ვაჟიმშვილმა ოგე ბორმა. ამ მოხსენების შემდეგ ნილს ბორი მივიდა კათედრასთან და მაღლობა მოუხადა ფიზიკოსთა საზოგადოებას იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც მან გამოჩინა მის მიმართ. ნილს ბორის გამოსვლის დროს აუდიტორია სულგანაბული ისმენდა დიდი ფიზიკოსის მადლიერების სიტყვებს. ამ მომენტისათვის დარბაზში ბატონობდა გასაოცარი სიჩუმე – რომ იტყვიან, დარბა-

ზში ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით.

მისალმების დამთავრების შემდეგ კი იქუხა ჭაშმა. ფიზიკოსთა ოვა-ციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჩემთვის დღესაც გამოცანად რჩება, თუ როგორ გაუძლო ამ აუდიტორი-ამ ოვაციის ამგვარ უჩვეულოდა თანაც არნახულ, არგაგონილ დარტყმას.

ეს იყო ქართველ ფიზიკოსთა ნამდვილი ზეიმი, რომელსაც თუ საკუ-თარი თვალით არ ნახე, სიტყვებით ვერასოდეს გამოხატავ.

შემდგომ, როგორც ჩემთვის პრესიდან გახდა ცნობილი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის მეგზურობით ნილს ბორს მოუწყვეს ზღაპრული შეხ-ვედრა კახეთში, რის შესახებაც შეიტყობთ როგორც იმდროინდელი პრესიდან, ასევე ელეფთერ ანდრონიკაშვილის მემუარებიდან.

## 2. აკადემიკოს ევგენი ხარაძის სტუმრობა რადიო-ეიმიურ ლაბორატორიაში

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში უკვე შეინიშნებოდა „დათ-ბობის“ პერიოდი უცხოური ფირმების მიმართ, რომლებსაც შესაძლებლო-ბა ეძლეოდათ შემოეტანათ საბჭოთა კავშირში უახლესი ელექტრონული ხელსაწყო-დანადგარები, განკუთვნილი სამეცნიერო კვლევითი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ამ პერიოდისათვის თბილისში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, გაიხსნა უცხოური ფირმების მიერ წარმოებული უახლესი ელექტრონული ტექნიკის გამოფენა-გაყიდვა. გამოფენის დახურვის შემდეგ აქ წარმოდგენილი ექსპონატები გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წამყვან ინსტიტუტებს.

ფიზიკის ინსტიტუტს ერგო წახევარგამტარული Ge(Li) დეტექტორი და 4096-არხიანი ანალიზატორი 'Tridac~', მულტი-8 ტიპის მინი კომპიუ-ტირით. ეს იყო უნიკალური კომპლექსი, განკუთვნილი მაღალი გარჩე-ვისუნარიანობის გამა-სპექტრომეტრული გამოკვლევებისათვის. ამ დან-ადგარზე ჩვენს ლაბორატორიაში ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში სრულდებოდა გამოკვლევები, რომელთა შედეგებიც ქვეყნდებოდა უცხ-ოეთის პრესტიულ უურნალებსა და მონოგრაფიებში.

ეს სპექტრომეტრი განთავსებულ იყო ბირთვულ რეაქტორთან არსე-ბულ რადიო-ეიმიური ლაბორატორიის კორპუსში. აქ უადგილო არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ გარეგნულად ეს ლაბორატორია არაფრით გამ-ოირჩეოდა, მაგრამ აღჭურვილი იყო უძვირფასესი დანადგარებით, ბო-ქსებითა და კამერებით, რომელთა საბალანსო ლირებულება იმ დროის-ათვის შეადგენდა თვრამეტ-ოც მილიონ საბჭოთა მანეთს!

ერთ მშენიერ დღეს, ჩვენს ლაბორატორიაში, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის მეგზურობით,

მობრძანდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

ჩემთვის ეს იყო დიდი სიურპრიზი, რადგანაც აქამდე, ბირთვულ რეაქტორზე, ჩვენს ლაბორატორიაში, ასეთი მაღალი რანგის სტუმრის მობრძანება არ იყო ჩვეულებრივი ამბავი. აქამდე მე მიჩვეული ვიყავი ცნობის-მოყვარე სტუმრებისათვის ჩვენი ლაბორატორიის ამოცანებისა და აქ მიღებული შედეგების შესახებ მოთხოვობას ზოგადი, პოპულარული, უურნალისტური ფორმით. ამ სტილში ვაპირებდი პრეზიდენტთან საუბარს, მაგრამ სულ ჩქარა მივხვდი, რომ ეს გზა ამ შემთხვევაში ფუჭი იყო – პრეზიდენტი სულ უფრო ლრმა შინაარსიან შეკითხვებს იძლეოდა, რომლებზე-დაც პასუხი უნდა გამეცა პროფესიონალურ, ლრმა მეცნიერულ დონეზე. ეს საუბარი იმდენად შინაარსიანი გამოდგა, რომ მიიღო სრულიად არაფორმალური ხასიათი. ჩვენ უკვე ვსაუბრობდით ამ დანადგარით ვარსკვლავური გამოსხივების სპექტრების შესწავლის შესაძლებლობაზე და სხვა მრავალ კოსმოსურ პრობლემაზე, თანაც სულ აღარ მახსოვდა, რომ ვმ-სჯელობდი და პასუხებს ვეძებდი პრეზიდენტის შეკითხვებზე. იმ მომენტისათვის ბატონი ევგენი ხარაძე ჩემთვის იყო თანამოაზრე და თანასწორი პარტნიორი.

საუბრის ბოლოს, გამომშვიდობებისას, პრეზიდენტმა, მისთვის დამახასიათებელი სიდარბაისლით, მადლობა გადამიხადა საინტერესო საუბრისათვის და ნარმატება მისურვა შემდგომ საქმიანობაში.

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ჩემი ასეთი სითამამე უადგილოდ მოეჩვენა ბატონ ელეფთერ ანდრონიკაშვილს. მთავარი „ბრალდება“, რომელიც იმავე დღეს ტელეფონით ნამომიყენა, მდგომარეობდა იმაში, რომ პრეზიდენტს მოვახსენება გავაცანი ისეთი მონაცემები, რომლებიც, თურმე, „დამალული“ მქონდა და თავის დროზე არ მომიხსენებია საკუთარი დირექტორისათვის...

ჩემი დანაშაული იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ბატონი ელეფთერი ერთი კვირის განმავლობაში ხმას არ მცემდა და თანაც არანაირი ბოდიშის მოხდა მე არ მშველოდა.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ლერთი ჩემს მხარეს იყო და აი, ჩამოდის რეაქტორზე მიმდინარე სამუშაოების შემოწმების ტრადიციული კომისია პროფესორ მიხეილ ისაკის ძე პევზნერის თავმჯდომარეობით. ბატონ ელეფთერს სხვა გზა აღარ აქვს – უნდა შემირიგდეს...

მე დამევალა იმ ქვეკომისიისათვის ანგარიშგება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩემი დიდი მასწავლებელი, იური იაკოვლევი. მისგან კვლავ მივიღე საქმიანი რჩევები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც მომდევნო წლებში შევძელი რიგი პრინციპული საკითხების დაძლევა.

რაღა თქმა უნდა, ამ ქვეკომისიის დასკვნა, რბილად რომ ვთქვათ, იყო

დადებითი. კომისია იწონებდა და მხარს უჭერდა თბილისის რეაქტორზე დაწყებულ აქტივაციური ანალიზის იმ ახალ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ბიომაკრომოლეულების დაბალტემპერატურული ნეიტრონული-აქტივაციური ანალიზის მეთოდების დამუშავებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

### 3. აკადემიკოსი გიორგი ნიკოლოზის ძე ფლორი

ეს ის გიორგი ფლოროვია, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, დასავლეთის ფრონტიდან, პატარა სამკუთხა კონვერტიტი ნერილი გაუგზავნასტალინს, რომელშიც ასაბუთებდა საბჭოთა კავშირში ბირთვული ფიზიკის დარგში კვლევების გაფართოების აუცილებლობას. მაშინ გიორგი ფლოროვს ჰქონდა მხოლოდ ეფრეიტორის სამხედრო წოდება. ეს ნერილი აღმოჩნდა მომავალი ცხოვრების მეგზური, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი კარიერის აღმავლობაში.

სადღეისოდ არსებობს მრავალი პოპულარული თულრმა მეცნიერული ინფორმაცია ამ ფენომენალური მკვლევარის მოღვაწეობის შესახებ.

ვკადნიერდები და, ამ პატარა ნერილში, თავს ნებას ვაძლევ, აღვნერო ზოგიერთი ის ეპიზოდი, რომელთა მონაბეჭდი და მონაწილეც თავად ვიყავი.

გიორგი ფლოროვი იყო დუბნის ბირთვული რეაქციების ლაბორატორის დირექტორი. ფორმალურად, ჩემი გაგებით, ამ დაწესებულებას ერქვა ლაბორატორია, რეალურად კი დღესაც არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელსაც აქვს საკუთარი ციკლოტრონი!

ამ ციკლოტრონზე სრულდებოდა ტრანსურანული ელემენტების სინთეზი, ხოლო მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებების შესწავლა ხდებოდა აქვე, ამავე ლაბორატორიის სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფებში.

დუბნაში ჩემი ერთ-ერთი მივლინების დროს, ბატონი გიორგი პირადად ნარმილვა აქ მოხსენიებული ციკლოტრონის დასათვალიერებლად. შეძლო ეს მისია დაეკისრებინა ნებისმიერი თანამშრომლისათვის, მაგრამ ეს არ გააკეთა.

დარბაზში შესვლამდე, მოსაცდელ ოთახში მოიხსნა მაჯის საათი და მეც მირჩია იგივე გამეკეთებინა, რათა ციკლოტრონის ძლიერ მაგნიტურ ველს სამუდამოდ არ გამოეყვანა საათის მექანიზმი მწყობრიდან. ამის შემდეგ თეთრ გაქათქათებულ ხალათებში გადაცმულები, შევედით ციკლოტრონის დარბაზში.

სანახაობა იყო ზღაპრული.

გაოცებული ვარ ამ ექსპერიმენტული დანადგარის და მისი სატელიტური მონიტორი ბირთვული ფიზიკის სახელმძღვანელოებში ჩახატული ციკლოტრონის სქემები, მის რეალურ სურათთან

შეფარდებით, მეჩვენება ბავშვურ თამაშად. ეს არის უნიკალური ექსპერიმენტული დანადგარი ბირთვული რეაქციების განსახორციელებლად. აქ ხდებოდა არა მარტო პროტონების, არამედ სხვა მრავალმუხტიანი მსუბუქი ბირთვების - ნახშირბადის, აზოტის, ჟანგბადის ატომების აჩქარება.

ჩემი აკადემიკოსი მეგზური და მასპინძელი, დიდი გატაცებით და თანაც გასაოცარი გულისხმიერებით იხსენებს ამ დანადგარზე შესრულებული მნიშვნელოვანი ექსპერიმენტების შედეგებს. შეუძლებელია, სიტყვიერად გადმოსცე ამ მხცოვანი მეცნიერის თხრობის მანერა, როდესაც ის ასაიათებს მიღებული შედეგების მეცნიერულ ღირებულებას...

ციკლოტრონის დათვალიერების შემდეგ ბატონმა გიორგიმ მიმიპატიუა თავის კაბინეტში, სადაც ზერელე დათვალიერების დროს თვალში მომხვდა კედელზე, თვალსაჩინო ადგილას გაკრული საბჭოთა კავშირის რუკა, რომელზედაც დატანილი იყო მხოლოდ ის მშენებარე ობიექტები, რომლებიც სრულდებოდა პოლიტბიუროს ეგიდით. ამ რუკაზე კავკასიის რეგიონიდან ჩახატული იყო მხოლოდ კაჭრეთის წისქვილ-კომბინატი, რომელსაც დღიურად უნდა გადაემუშავებინა და გამოეშვა ათასი ტონა პროდუქტი. სხვათა შორის, ამ ობიექტის მწყობრში ჩადგომის შემდეგ გარე კახეთში უმუშევრობა და სილარიბე იქცა ნარსულის უსიამოვნო მოგონებად.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ გიორგი ნიკოლოზის ძემ შემომთავაზა სავარძელი თავისი სამუშაო მაგიდის სიახლოვეს და კვლავ გავაგრძელეთ საუბარი იმ ექსპერიმენტების შესახებ, რომლებიც სრულდებოდა ჩვენს ლაბორატორიაში და რომელთა შესახებაც ბატონი გიორგი იყო კარგად ინფორმირებული.

საგანგებოდ მინდა მკითხველს მოვუთხოვ ამ მეცნიერის ადამიანური ყოფის შესახებ. ეს იყო დიდი სტუმართმოყვარე პიროვნება, რომელიც სტუმრის მიმართ, ჩემი ნარმოდგენით, სრულიად განსხვავებულად იქცეოდა, ვინემ ნებისმიერი სხვა მეცნიერი. ნარმოუდგენლად ბედნიერი იყო, როცა თავად გამოდიოდა მასპინძლის როლში და მისი ქცევა სულ სხვა იყო მაშინ, როდესაც პირადად მასპინძლობდნენ ახლობლები, მონაფებიდა მრავალი უცხოელი სტუმარი თუ ასპირანტი.

დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში, ჩემი ერთ-ერთი სტუმრობის დროს, გიორგი ნიკოლოზის ძემ დაახლოებით ოცდახუთი სტუმარი მიმიპატიუა თავის საცხოვრებელ კოტეჯში ჩაისალევად. სტუმართა შორის იყო ბევრი ცნობილი მეცნიერი, მაგრამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სერგეი ერიცამ - დიდი პეტრე კაპიცას ვაჟიშვილმა. მიპატიუებული კი ვიყავით ჩაის დასალევად, მაგრამ ჩაიაქ არავის გახსენებია და არც დაულევია.

ცნობისათვის: მონვეულ სტუმართა შორის იყო ტაშენტის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი, პროფესორ საშა

კისტის მეთაურობით, რომელთაც ჩაის მომზადება-დაყენებაში კონსულტანტი არ სჭირდებოდათ, მაგრამ მათი პროფესიონალიზმი ამჯერად არავის დასჭირვებია.

ყველა სტუმარი მოუთმენლად ელოდა იმას, თუ როდის გამოალაგებდა მასპინძელი საოჯახო ბუფეტიდან სხვადასხვა ქვეყნის ეტიკეტით დამშვენებულ კონიაკის ბოთლებს. ამ მხრივ ძლიერ ღელავდა სერვერი კაპიცა. მასპინძელმა ეს მომენტი არ გაუშვა ხელიდან და ყველაფერი გადავიდა „კონიაკების სამეფოში“. უზბექეური დათაფლული ნესვები და სხვა აღმოსავლური ტკბილეული არავის გახსენებია. რომ იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო, - სწორედ ამ შემთხვევასთან გვერდი საქმე. კონიაკის პირველ ბოთლს ემსხვერპლა მეორე, მესამე და ასე შემდეგ...

ბუფეტი დაცარიელდა, იქ დარჩა მხოლოდ ერთი ბოთლი „მარტინის“ მარკის კონიაკი. მასპინძელს არ უნდოდა ამ ბოლო „მოპიკანის“ განირვა, მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა და ეს უკანასკნელი ბოთლიც მაგიდაზე დადგა, რითაც, უდიდესი სიამოვნება მიანიჭა ბახუსის მოყვარულთ... ცხადია, მომენტალურად ეს ბოთლიც დაცარიელდა... წვეულება გამოვიდა ფრიად მხიარული, ყველა კმაყოფილი იყო...

ყველა ყვებოდა თავისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდს...

გიორგი წინამდებრივი ბინადართა - თეთრი და შავი დათვის ტყავები, თანაც კარგად დამუშავებული, პროფესიონალურ დონეზე. ამ დათვების თვალები ისეთი გამომეტყველებით იცქირებოდა, კაცი იფიქრებდა, მათაც სურთ კონიაკის სასმელით სადლეგრძელოს წარმოოქმნა...

მეცნიერთა ეს შეხვედრა, კონიაკის ფონზე, გამოდგა წარმოუდგენლად საინტერესო. ყველა გაიხსნა...

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თითქოს ყველა ცდილობდა მოეხრო „საპრიზო“ ამბავი...

განსაკუთრებით კმაყოფილი და ბედნიერი იყო ჩვენი მასპინძელი, აკადემიკოსი გიორგი ფლოროვი. დროზე ადრე წავიდა ამ ცხოვრებიდან... წათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული...

ელეფთერანდონიკაშვილი გულით იყო ავად, რის გამოც ხშირად უნევდა მკურნალობა სტაციონალურ საავადმყოფოებში. მისი მოსკოვში ერთ-ერთი მივლინების დროს, გულის შეტევის გამო, მოუწია აკადემიის საავადმყოფოში მკურნალობის მორიგი კურსის ჩატარება.

მე ხშირად ვნახულობდი და უყოფილი ყუსრულებდი ყველა იმ დავალებას, რომლებიც ითვალისწინებდა სხვადასხვა სამინისტროებში მის მიერ დაწყებული საქმეების „გაცოცხლებას“, რათა ქვეყნის ჩინოვნიკურ კიბეებზე ეს საქმეები სამუდამოდ არ დაკანისერვებულიყო.

ვისაც საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ამგვარ საქმეების წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები, მისთვის ძალიან მარტივი გასაგე-

ბია ის მისია, რომელიც ასეთ შემთხვევაში მე უნდა შემესრულებინა.

ჩემი ამგვარი „მოლვანეობა“ ზოგჯერ კურიოზიებითაც კი მთავრდებოდა. ერთ-ერთი ასეთი კურიოზი შემემთხვა საგარეო საქმეთა სამინისტროში. ავდივარ ლიფტით მეექვსე სართულზე. იღება ლიფტის კარი და ვხედავ საშა მუჟავანაძეს, რომელიც, თურმე, ამ სამინისტროში მუშაობს. ვესალმები, როგორც ჩემს ყოფილ სტუდენტს. იმ მომენტში ვერ ვაცნობიერებ, რომ ჩემი სტუდენტი კი არა, დიდი ფუნქციონერია ამ სამინისტროში.

როგორც შემდეგ მივხვდი, ეს შეხვედრა იმდენად მოულოდნელი იყო მისთვისაც, რომ მომესალმა ისე, როგორც სტუდენტი ესალმება თავის პროფესორს...

იმ დღეს ბატონი ელეფთერის ყველა დავალება შევასრულე „ხუთიანზე“. კარგად ამიხდა ჩემს ყოფილ სტატუსზე თან მოულოდნელი შეხვედრა.

აქ უადგილო არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ საშამუავანაძე გამოირჩეოდა შესაძურითავმდაბლობითაც, რაც ჩემთვის ფრიად სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს აკადემიკოსმა გიორგი ფლოროვაძმა მთხოვა, წავყოლოდი აკადემიის სავადმყოფოში ელეფთერ ანდრონიკაშვილის მოსანახულებლად. საშვეთა ბიუროში გიორგი ნიკოლოზის ძემ ადმინისტრატორს წარუდგინა თავისი პირადობის მონმობა და თან დასძინა, რომ მიდიოდა აკადემიკოს ანდრონიკაშვილის მოსანახულებლად. იმდენად მოკრძალებული იყო მისი თხოვნა, რომ იფიქრებდი, შენს წინაშე დგას არა სოციალისტური შრომის გმირი და აკადემიკოსი, არამედ ერთი რიგით საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც, თუ ადმინისტრატორი კარგითვალით არ შეხედავს, შესაძლებელია, საშვის გამოწერაზე უარიც კი სტკოცოს. ამჯერად ეს არ მომხდარა და, როგორც იქნა, გამოწერეს ერთჯერადი საშვი. მე რადგან ხმირად მიხდებოდა ამ საავადმყოფოში მისვლა, „დაჯილდოვებული“ ვიყავი მუდმივი საშვით.

გაიხარა ავადმყოფმა გიორგი ნიკოლოზის ძის სტუმრობით. ისინი დიდ-ანს საუბრობდნენ. გამომშვიდობებისას ბატონი გიორგი თავისას არ იშლ-იდა და დაუინებით ურჩევდა ბატონ ელეფთერს სისტემატურად მიეღო უნაბის მნიშვე ნაყოფი. ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ უნაბის დიეტა დიდად დაეხმარებოდა ავადმყოფ გულს განკურნებაში...

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებისათვის საქართველოში ძლიერ გააქტიურდა ეგრეთ წოდებულ „დამსმენთა ინსტიტუტი“, რომელთა მახვილიც მიმართული იყო არა იმათ მიმართ, ვინც ქვეყნის ბედს უკუღმა ატრიალებდა, არამედ იმათ მიმართ, ვისაც თავიანთი საქმიანობის დროს, მართლაც, მოსდიოდათ შეცდომები, მაგრამ ეს შეცდომები არ იყო იმდენად საძიშვი, რომ მათი გამოსწორება შეუძლებელი ყოფილიყო. მაკონტროლებელი ორგანოები კი სწორედ აქეძებდნენ კრიმინალებს. ფიზიკის ინსტიტუტი კი კი გადაურჩა ამგვარ შემოტევას და აი, მოვიდა ინსტიტუტ-

ში კომისია ჯანჯღავას თავმჯდომარეობით, ინსტიტუტის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

მეარვაპირებამ კომისიის საქმიანობის დეტალურ აღნერას, რომელიც, სხვათა შორის, ერთ თვეს გაგრძელდა, მხოლოდ ავლნიშნავ, რომამ კომისიის საბოლოოდას კვნაში ფიგურირებდა ორივაგონი ხე-ტყის გაყიდვის კრიმინალური დანაშაული ზემდგომი ინსტიტუტების ნებართვის გარეშე.

ამასთან ერთად, მინდა, ავლნიშნო, რომ ამგვარი დანაშაულის გამო თვით ინსტიტუტის რამოდენიმე „გულშემატკივარი და პატრიოტი“ თავ-გამოდებით მოითხოვდა დამნაშავეთა უმქაცრესად დასჯას...

ელეფთერ ანდრონიკაშვილმა ყველა ეს დანაშაული საკუთარ თავზე აიღო და მზად იყო შესაბამისი დარტყმაც საკუთარ თავზე მიეღო.

მდგომარეობა ძალიან დაძაბული იყო.

ამ კრიტიკულ მომენტში საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობით ნარსდგა აკადემიკოსი გიორგი ფლოროვი.

მე პირველად ენახე სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავითა და სახელმწიფო პრემიების მედლებით მეერდდამშვენებული აკადემიკოსი, რომელიც ჩამოვიდა თბილისში მთავრობის პირველ პირთან შესახვედრად და ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის ნინაალმდევ აგორებული სკანდალის ჩასაქრობად.

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ეს სკანდალური სიტუაცია საბოლოოდ ჩატერამას შემდეგ, რაც ფიზიკის ინსტიტუტში მოვიდა ქვეყნის პირველი პირი და თავისი თვალით ნახა ის „კრიმინალური“ შემთხვევები, რომლითაც თავგამოდებით მანიპულირებდნენ ანდრონიკაშვილის ოპონენტები...

ამის შემდეგ ფიზიკის ინსტიტუტში კვლავ დამკვიდრდა ნანაჭრი მშვიდობა და საქმიანი ურთიერთობა...

აյ მინდა, მეითხველს მოვუთხოვო გიორგი ფლოროვის ჩვენს ლაბორატორიაში ერთ-ერთი ვიზიტის დროს მის პიროვნულ თავისებურებასთან დაკავშირებული ეპიზოდები.

ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლებმა მოისურვეს გიორგი ნიკოლოზის ძისთვის სიურპრიზების მოწყობა.

ჯერ გადავწყვიტეთ, სტუმარი გაგვესეირნებინა დუშეთში, ბაზალეთის ტბაზე და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩვენ კი არ მოვუნყვეთ მას სიურპრიზები, თავად გვიჩვენა, როგორ უნდა სიურპრიზების მოწყობა: როგორც კი დაინახა მოკამქამე ტბა, არც კი დაფიქრებულა, ისე გაიხადა ტანსაცმელი და გადაეშვა ცისფერი, სუფთა ნულის მორევში საბანაოდ.

ბაზალეთის ტბა, მოგეხსენებათ, საქმაოდ მაღალი მთების „ბინადარია“ და იმ დროისათვის იქ წყალი ჯერ კიდევ საკმაოდ ცივი იყო. ეს დეტალი ბატონი გიორგისთვის სულაც არ აღმოჩნდა ანგარიშგასაწევი. მხნედ უსვამდა ხელებს ტბის ანკარა წყალს და საკმაოდ დიდხანს ნებივრობდა

ამ ზღაპრულ გარემოში. ბოლოს და ბოლოს, მასაც მოსწყინდა ცივ წყალში ჭყუმპალაობა და იკადრა ნაპირზე გამოსვლა...

უნდა გენახათ, რა ბედნიერი იყო ამ მომენტში!..

დუშეთისა და არაგვის ხეობის დათვალიერების შემდეგ, ძვირფასი სტუმარი მივიპატიუეთ არმაზის ხეობაში, მტკვრის სანაპიროზე, ჩვენი ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიის პროფესორ ლეილა ტყეშელაშვილის საზაფხულო აგარაჟზე.

ქალბატონ ლეილას მეულლე, აგრეთვე პროფესორი, გურამ ვადაჭკორია ფუსფუსებდა ბუხართან და თადარიგი ჰქონდა დაჭერილი მისთვის დამახასიათებელი საფირმო მწვადის შესაწვავად.

აკადემიკოსი გიორგი ფლოროვი ამ ბუხრის დანახვაზე სახტად დარჩა. მართლაც, ეს იყო დიდი გემოვნებითა და პროფესიონალური ცოდნით აღჭურვილი ხელოვანის მიერ კონსტრუირებული ბუხარი, რომელიც გარეგნულ სასიამოვნო ესთეტიკურ შესახედაობასთან ერთად ფუნქციონალურადაც ფრიადზე ასრულებდა თავის დანიშნულებას.

ჩვენი ძვირფასი სტუმარი მივიდა ბუხართან და დაინტ მისი პარამეტრების აღწერა. ამ მომენტში ვერაფერს სხვას ვერ ხედავდა და უამრავ კითხვებს უსვამდა ბატონ გურამ ვადაჭკორიას, რომელიც მოთმინებით უხსნიდა აკადემიკოსს, ბუხრის ყველა პარამეტრის დანიშნულებას. ეს საუბარი დიდხანს გავრძელდა.

გიორგი ნიკოლოზის ძემ ბუხრის ყველა მონაცემი ჩაინერა უბის ნიგნაჟში და ბოლოს თქვა, რომ თუ მოახერხებდა და ასეთი ბუხარს დაამონტაჟებდა „დუბნის კოტეჯში“, თავს ბედნიერად ჩათვლიდა...

ამ მომენტისათვის სუფრა უკვე განყობილი იყო და ჩვენმა მასპინძლებმა მიგვიპატიუეს სასადილოდ. ერთადერთი, რაც ამ სუფრას აკლდა, ეს, ალბათ, ჩიტის რძე იყო, თორემ საჭმელ-სასმელი ნამდვილად მეფური გახლდათ.

როგორც ასეთი შემთხვევების დროს ხდება ხოლმე, ითქვა მრავალი სადლეგრძელო, განსაკუთრებით შეაქეს ჩვენი მასპინძლის, პროფესორ გურამ ვადაჭკორიას რეცეპტით მომზადებული ცურიანი მწვადი.

გიორგი ნიკოლოზის ძემალნიშნაბატონი ელეფთერიის როლიდადამსახურება ასეთი კოლექტივის ჩამოყალიბების საქმეში და უსურვა მალე გამოჯამრთელება, რადგან ამ მომენტისათვის ჩვენი ინტიტუტის დირექტორი ისევ ინვა კრემლის საავადმყოფოში ნალვლის ბუშტის ოპერაციის შემდღ

გიორგი ნიკოლოზის ძემ დიდი მადლობა გადაუხადა მასპინძლი გულთბილი მიღებისათვის, რის შემდეგაც ის და მისი მეულლე, ჩვენი ლორატორიის რამდენიმე მომლერალ თანამშრომლებთან ერთად ჩავისუმანქანაში და სიმღერ-სიმღერით გამოვემგზავრეთ თბილისში. ძვირფას სტუმრებს დავემშვიდობეთ სასტუმროს ფოიეში...

ასე დასრულდა ეს მხარული და მრავალმხრივ დასამახსოვრებელი დღე.

ამის შემდეგ გიორგი ნიკოლოზის ძესთან ჩემი საქმიანი და სამეცნიერო ურთიერთობა გრძელდებოდა ძირითადად მოსკოვის შეხვედრების დროს.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო გიორგი ნიკოლოზის ძის დამოკიდებულება მის მიერ ღირსშესანიშნავი თარიღების დროს, ჩემთან გამოგზავნილი მისალოცი ღია ბარათების ორიგინალობის გამო. ეს მილოცვები არ იყო სტანდარტული ფრაზებით გაჯერებული – ყოველ მილოცვაში ის საკუთარი ხელწერით აღნიშნავდა იმ მომენტისათვის ჩვენს ლაბორატორიაში მიღებულ ახალ შედეგებს, რომელთა შესახებაც յარგად იყო ინფორმირებული. ჩემი ღრმა რწმენით, ამ დამოკიდებულებით ნათლად ვლინდება ამ დიდ მეცნიერის წმინდა ადამიანური ბუნება...

#### 4. ნიკითა ხრუშჩოვის ვიზიტი საქართველოში

ქართველი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ის დიდი „სიყვარული“, რომელსაც იჩენდა ნიკიტა ხრუშჩოვი საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. თავისი ძალაუფლების აღზევების პერიოდში, მან მოსურვა საქართველოს, როგორც ფიზიკოსები იტყოდნენ, რეალურ სივრცეში გასეირნება. ამ დროისათვის უკვე ჰქონდა უზურპირებული დიდი ძალაუფლება და ზემობდა პიროვნების კულტთან დაკავშირებული პრობლემისა ბოლოოდ გადაწყვეტას, მაგრამ კიდევ რაღაც ანუხებდა ძალიან...

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული მეობისა და ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამიტომ დაიწყო ტურნე საქართველოს „შესასწავლად“. ამ მისით იმოგზაურა მატარებლით დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთისაკენ.

ეს ის პერიოდია, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვი აღრთოვანებული იყო ამერიკელი ფერმერების მიერ სიმინდის კულტურის თესვის, მოყვანის, პროდუქციის გადამუშავებისა და სიმინდის პროდუქტების მრავალნაირ დანიშნულებით გამოყენებით.

ამ ვიზიტის ქართველმა ორგანიზაციონებმა გაითვალისწინეს საპატიო სტუმრის დიდი სიმპატიები სიმინდისადმი და ქართული ტრადიციების შესაბამისად, ნიკიტა ხრუშჩოვს მიართვეს მჭადიდა სულგუნიდა, როგორც მაშინდელი პრესიდან შევიტყვეთ, თურმე, ძალიან შოსწონებია მეგრული მჭადიდა სულგუნი.

ქვეყნის ხელმძღვანელის შესახვედრად საგანგებოდ ამზადებდნენ თბილისის მოსახლეობას. ყველა დაწესებულებას ჰქონდა მიჩენილი ქუჩის ის მონაკვეთი, სადაც უნდა გაევლო საპატიო სტუმარს და მისი ხილვისათვის ხალხს აღტაცება უნდა გამოეხატა მქუხარე ტაშით და ყვავილების თაიგულების ფრიალ-ფრიალით.

ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ჩამოამწკვრივეს ვაკე-საბურ-

თაღლოს მაგისტრალის იმ უბანზე, რომელიც იყავებდა არა მარტო ინსტი-  
ტუტის საპარადო შესასვლელს, არამედ ბაღისა და ხეივნის საკმაოდ დიდ  
მონაკვეთსაც.

ნიკიტა ხრუშჩოვს მოუწყეს შეხვედრა სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო და სანარმოო ცენტრის თანამშრომლებთან. როგორც ცნობილია, ეს ცენტრი უკვე იყო ერთად-ერთი მაღალი რეიტინგის ობიექტი, არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი ევროპის მასშტაბითაც და, გასაგებია, რომ ასეთი რანგის ობიექტი ვერ დარჩებოდა ქვეყნის პირველი პირის ყურადღების მიღმა...

და აი, ამ დანესებულებაში ვიზიტის შემდეგ საპატიო სტუმარს უნდა გაევლო ვაკე-საბურთალოს მაგისტრალზე. აქ კი ქუჩები მოზეიმე ხალხ-ით იყო გადაჭიფილი.

ხრუშჩიოვი მოგზაურობდა ლია მანქანით, მხოლოდ ერთადერთი მეგზურის თანხლებით. მანქანა მოძრაობდა ნორმალური, მე ვიტყოდი, შენელებული სიჩქარით. ამ სახათაბალო სტუმარს ეცვა თეთრი ფერის საზაფხულო ტანსაცმელი და ასევე ეხურა თეთრი ჭილობის ქუდი. იგი, ფეხზე მდგომი, თავმდაბლად ესალმებოდა შეხვედრის მონაწილეებს და, რაც არ უნდა პარადოქსულად ყლერდეს, გარეგნულად ტოვებდა სრულიად ნორმალური და თანაც საქმაოდ სიმპატიური რესი ინტელიგენტის შთაბეჭდილებას.

მე, პირადად, ეს ნიკიტა ხრუშჩოვი მომეჩვენა გაცილებით უფრო სა-სიამოვნო გარეგნობის პიროვნებად, ვიდრე გაეროს ტრიბუნაზე საკუთარი ფეხსაცმელის მობრახუნე ის საბჭოთა კავშირის ლიდერი, რომელსაც ტელეოპერატორები სისტემატიურად უჩვენებდნენ მთელ მსოფლიოს პრესტიული ტელეარხების მეშვეობით...

## ნიკიტა ხრუშჩოვის მოლოდინში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

1964 წელი, ზაფხული. საქართველოში ხრუშჩოვის ვიზიტთან დაკავშირებით დიდუბეში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, მობილიზებულია მეცნიერების ყველა დარგის ნამყვანი სპეციალისტი. ყველა ექსპონატს ჰყავს თავისი „პატრონი“, ვისაც ევალება, მის მიერ თუ მისი ხელმძღვანელობით შექმნილი ხელსაწყო-დანადგარის უნიკალურობის დასაბუთება.

აქ ნარმოდგენილ ექსპონატებს შორის არის გოგი ჩიქვანის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო ძალის ხმევით, ქართველ ფიზიკოსთა ჯგუფის მიერ დამუშავებული და შექმნილი კოსმოსური სხივების თვისებების შემსრულებლი ქამერა.

უკრიანია, აქვე ალინიშნოს, რომ მოგვიანებით ამ კამერის შემქმნელებს მიენიჭა ლენინური პრემია.

გასაგებია, რომ ძვირფას სტუმარს, ექსპონატის ლირსების შესახებ მონაცემები უნდა მოახსენოს თავად შრომის ავტორმა. მე მევალება გოგის ასისტენტობა.

და აი, დილიდან ვართ გამოფენის დარბაზში ქვეყნის პირველ პირთან შეხვედრის მოლოდინში. აქ ყველა ექსპონატის პატრონი თავგამოდებით ფუსფუსებს თავისი დანადგარ-მოწყობილობის გარშემო. ძალაუნებურად ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მოხვედი აღმოსავლურ ბაზარში, სადაც ხდება საკუთარი საქონლის რეკლამირება-გასაღება...

გადის დრო.

„მეფე“ არა ჩანს.

არავინ უნყის, როდის გამოჩენდება, ან გამოჩენდება კი?

გოგი ჩიქოვანი არ არის მიჩევეული დროის ფუტად ხარჯვას. ჯერ არ ლაპარაკობს, მაგრამ ვატყობ, ძალიან ნერვიულობს.

გადის დრო.

სტუმარი ისევ არა ჩანს.

გოგი უკვე ხმამალლა ბუზღუნებს... ყველაფერს აქვს საზღვარი... მერე „თბილად“ მოიხსენიებს ნიკიტას მშობლებს... და მასტიუებს სამწვადეში...

სიამოვნებით ვიღებ ამ ნინადადებას, რადგანაც ამ დღეს მეც კი გამიჭირდა უაზრო შიმშილი.

გოგი უკვეთავს მწვადებს. ლვინოს არა, მაგრამ ცივ ლუდს კი სიამოვნებით შევექცევით.

იმ დღეს გამოფენის ტერიტორიაზე მოქმედ სამწვადეში ყველაფერი იყო უმაღლესი ხარისხის. როგორც ჩანს, არაპროგნოზირებადი სტუმრისა-აგან მოსალოდნელი „სიურპრიზების“ თავიდან აცილების მიზნით მასპინძლებმა ამ მიმართულებითაც იზრუნეს და საგანგებოდ მაღალი ხარისხის პროდუქტით მოამარგეს ეს პატარა სასაუზმე.

ვისადილეთ მამა-პაპურად, აუჩქარებლად.

„მეფე“ კი კვლავ არსად არ ჩანდა.

ზაფხულის გრძელი დღე, როგორც იქნა, მიიღია.

უნდა ვიფიქრით, რომ ამ დღეს ხრუშჩოვმა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები განიხილა, ვიდრე ამ პატარა რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის მიღწევები...

## ნიკიტა ხრუშჩოვი გარე კახეთში

დასავლეთ საქართველოს და თბილისის დათვალიერების შემდეგ „მეფემ“ მოისურვა კახეთში გასეირნება.

ამ პერიოდისათვის კახეთში, და არა მარტო აქ, მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების არნახული მშენებლობა. ხდება ძველი, ტრადიციული მასალის შეცვლა ახლით და თანაც კრამიტის სახურავების მაგიერ შემოდის მოთუთიებული რეინისა და ალუმინის კონსტრუქციები. საგარეჯოს რაიონული ცენტრი საავტომობილო ტრასიდან ისე გამოიყურება, როგორც ჯადოსნური სარკე, რომელიც უხვად არეალავს მზის სხივებს და ჰირველ მხილველზე ახდენს წარმოუდგენელ შთაბეჭდილებას.

აქ უადგილო არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ იმ დროისათვის საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო ნავთობისა და ლითონის მოპოვების მაჩვენებლებით და ამ პროდუქტების დეფიციტის, ან სიძვირის შესახებ ცნებებიც კიარალსებოდება.

ხატოვნად რომ ვთქვათ, მიმდინარეობდა საქართველოს სოფლის „მეტ-ალიზაკია“.

უკვე წარმოდგენილი მაქვს, თუ რა განაწყობას შეუქმნიდა ეს რეალური სიტუაცია ძვირფას სტუმარს. ჩემის აზრით, როგორც სჩანს, ნიკიტა ხრუშჩინვი აღმოჩნდა ძლიერი იდეოლოგიური კრიზისის პირობებში. ის ხომ ვალდებული იყო გამოეხატა თავისი დამოკიდებულება იმის შესახებ, რაც ნახა მხოლოდ გარე კახეთის ზერელე დათვალიერებით. ამ დღეს თავისი ვიზიტი უხალისოდ დაასრულა გარე კახეთში.

„მეფესთან“ შესახვედრად კაჭრეთის ლვინის ქარხანაში შეკრიბეს სოფლის მეურნეობის მოწინავე აქტივისტები. მოწვეულთა შორის იყვნენ შიდა კახეთის ყველა რაიონის სოფლის მეურნეობის დამკვრელები, რაიონმის მდივნები, რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები და აგრონომები.

ამ შეცვედრის მონაწილეთა შორის იყო ბიძაჩემი – შალვა ჩომახაშვილი, რომელსაც კახეთში მოიხსენიებდნენ, როგორც „პაპას“. ის იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანი და ნარმოუდგენლად მუყაითი, შრომისმოყვარე გლეხეკაცი. ბევრი რამ ნიკიტა ხრუშჩოვის ამ ვიზიტის შესახებ, რაც არსად არ გახმაურებულა, მოსმენილი მაქვს მისგან. სხვათა შორის, იმ დროისათვის არსებული მოთხოვნილების გათვალისწინებით, ბიძაჩემს ეკუთვნოდა სოციალისტური შრომის გმირობა, მაგრამ აკმარეს ლენინის ორდენი და საგზურო უცხოეთში ორკვირიანი მოგზაურობისათვის.

ამ შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, ყველა მოთმინებით ელის ხრუშჩოვის გამოსკლას.

და აი, ეს მომენტიც დგება. სულგანაბული დარბაზი უსმენს ქვეყნის მბრძანებლის გამოსვლას. არავის თავში აზრად არ მოსდის სინქრონულ თარგმანზე ზრუნვა - რუსული ენა ხომ „მშობლიურია“ და ყველამ ზედმი-ნევრით კარგად უნდა იცოდეს. მომთაბარე მწყემსი-მეცხვარეც კი ვალდე-ბულია. სრულყოფილად ფლობდეს დიდი რუსი ხალხის ენას!..

„მეფის“ მოხსენებაში იგრძნობა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენ-

თან ვაზი და ვენახი მიჩნეულია ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურ-ად და გაშენებულია ისეთ ადგილებში, სადაც უმჯობესია, ითესებოდეს სიმინდი!..

ვაზის ადგილი კი ფერდობებსა და გორმახებზეა...

ვაზს არა აქვს უფლება, დაიკავოს ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი მინები, რადგან ვაზს ხომ არ სჭირდება, ეგრეთ წოდებული, „კვადრატულ-ბუდობრივი“ მეთოდით დამუშავება!..

ნიკიტას აზრით, საკმარისია მძლავრმა ტრაქტორმა საბრუნი გუთანი გაატაროს ერთი მიმართულებით, მოახდინოს ფერდობების ტერასირება და ამ ტერასებში განათავსონ ვაზის ნამყენები. ამის შემდეგ ვაზი თვითონ მოუვლის თავს!..

აი, სიმინდი კი თხოულობს საგულდაგულოდ დამუშავებულ ნიადაგს, და შედეგად გვექნება უხვიდა იაფი მარცვლეული, რომლითაც გაუმასპინძლდებით ღორებს, ძროხებს, ფრინველებს და ასე შემდეგ. ასე შეიქმნება ბარაქა და სიმდიდრე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ძლიერება და სიდიადე!..

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორი განწყობილება და უფლებულ და გლეხკაცს, რომელიც ასეთ „ბრძნულ“ რჩევებს მოისმენდა ქვეყნის პირველი პირისაგან.

ჩემის აზრით, ამგვარ რეკომენდაციებს მუშა კაცი, უკეთეს შემთხვევაში, ხუმრობად ჩათვლიდა. მაგრამ ვაი, რომ ეს არ იყო ხუმრობა და რომ იტყვიან, განგებამ იხსნა ქართველი ხალხი და საქართველო ღვთის რისხვისაგან. 1964 წლის 14 ოქტომბერს საგანგებოდ მოწვეულ პლენუმზე ხრუშჩივს დროულად ჩამოართვეს ქვეყნის მართვის უფლება... .

## 5. გოგი ჩიქოვანი

საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ნიკიტა ხრუშჩივის შესაძლო ვიზიტთან დაკავშირებული ეპიზოდების შესახებ მე უკვე მოგახსენეთ ნინა თავში. ამჯერად, ვიხსენებ გიორგი ჩიქოვანის მიერ სადოქტორო დისერტაციის მომზადების დროს მის განწყობას უმაღლესი საატესტაციო კომისიის (BAK) მრავალ ფორმალურ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით.

ძველ თაობას კარგად ახსოვს, საბჭოთა კავშირში სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭება რა პრობლემებთანაც იყო დაკავშირებული. თავისთავად დისერტაციის დაწერა, უმრავლეს შემთხვევებში, უფრო ადვილი იყო, ვინემ იმ მრავალი, ფორმალური თუ აუცილებელი ბარიერის გადალახვა, რომელთა ჩამოთვლაც კი სცილდება ჯანსაღი ადამიანის ლოგიკის ფარგლებს.

გოგი ჩიქოვანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტთან არსებულ დისერტაციების დაცვის საბჭოში 1967 წელს ნარდგენილი ჰქონდა სადოქტორო დიცენტაცია და სისტემატიურად უხდებოდა დაცვის საბჭოს სწავლული მდივნისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოძიება და ნარდგენა. მსგავსი ხასიათის, ოლონდ შედარებით ნაკლები მოცულობის სამუშაოების შესრულება მიხდებოდა მეც, რადგანაც ამ დროისათვის დაცვისათვის ვამზადებდი საკანდიდატო დისერტაციას.

გოგის ხშირად ვხვდებოდი, როგორც ფიზიკის ინსტიტუტში, ასევე უნივერსიტეტის დაცვის საბჭოს მდივანთან. ვერ გეტყვით, რომ დიდი სიამოვნებით ასრულებდა მრავალ ფორმალურ მოთხოვნას, მაგრამ მაშინ დისერტაციის დაცვისათვის სხვა გზა არ არსებობდა და ისიც მოთმინებით ემორჩილებოდა სწავლული მდივნის ყველა ახირებას...

არ ვიცი, ეს ბედისწერა იყო თუ ბედის ირონია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველა ბიუროკრატიული ბარიერი გოგი ჩიქოვანს უკვე გადალახული ჰქონდა, 1968 წლის 13 მარტს მოულოდნელად, გულის შეტევით გარდა-იცვალა...

ეს იყო განუზომლად დიდი ტრაგედია არა მარტო გოგის ოჯახისათვის, არამედ მთელი ფიზიკოსების საზოგადოებისათვის...

რომ არა ეს ტრაგედია, არავინ უნყის, რა დონეზე აღმოჩნდებოდა დღეს საქართველოში ექსპერიმენტული ფიზიკის ის მიმართულება, რომელსაც სათავე დაუდო და მყარი ფუნდამენტი მოუმზადა გოგი ჩიქოვანმა.

კარგად მახსოვეს, გოგის დამკრძალვი კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის ნალვლიანი სახე. ეს ყოველთვის სიტყვაძუნი მეცნიერი, როგორც ჭეშმარიტი ჭირისუფალი, ღამეებს ათევდა გარდაცვლილის ცხედართან და მოთმინებით იღებდა სამძიმარს, რომლებიც უნყვეტ ნაკადად მოდიოდა გოგის მისამართით, როგორც ქართველი, ასევე მრავალი უცხოელი მეცნიერის და კოლეგისაგან...

გოგის ცხედარი უკანასკნელად დაასვენეს ფიზიკის ინსტიტუტში. აქ ყველა თაობის ფიზიკოსთა გარდა, გოგის ხსოვნას პატივს მიაგებდნენ საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო ნარმომადგენლები, მეცნიერები, ახლობლები თუ რიგითი მოქალაქეები...

გოგი დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვანეთა პანთეონში...

საოცარ ვარსკევლავზე იყო დაბადებული გოგი ჩიქოვანი. მისი ცხოვრება ნამდვილი პარადოქსებით იყო გაჯერებული, რომელთა შორის ყველაზე ტრაგიკულია ორი შემთხვევა:

პირველი - გოგი ჩიქოვანს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქორის სამეცნიერო ხარისხი მიაუთვინეს 1968 წელს, სიკედლის შემდეგ.

და მეორე - გოგი ჩიქოვანს, როგორც სამუშაოს ხელმძღვანელს, ასევე სიკედლის შემდეგ, 1971 წელს, სომხეთი და მოსკოველ კოლეგებთან ერთად მიანიჭეს ლენინური პრემია!..

## 6. პროცესორი იურისერბის ძაგლის ზამინინი

იური ზამიატნინს, საბჭოთა ატომური იარაღის შექმნასა და მის გამოცდებში ეკავა ლიდერის პოზიცია. პირველი ატომური მოწყობილობის გამოცდის დროს მისი გვარი ფიგურირებდა მთავრობის დადგენილების ორ პროექტში: ერთი პროექტი, წარმატების შემთხვევაში ითვალისწინებდა და ლიდერთა დაჯილდოებას, ხოლო მეორე პროექტი, პროგრამის ჩავარდნის შემთხვევაში, ლიდერთა დასჯას!

როგორც დღეისათვის უკვე არის ცნობილი, პირველივე გამოცდის დროს აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტული, ბირთვული მოწყობილობის რეალური სიმძლავრე მნიშვნელოვნად აღემატებოდა თეორიულად გათვლილს და ამით ფაქტიურად გზა ეხსნებოდა მაღალი სიმძლავრის მოწყობილობების შექმნას.

წარმატებული ექსპერიმენტების შემდეგ, იური ზამიატნინი გახდა ლენინური პრემიის ლაურეატი და მთავრობის მრავალი ჯილდოს მფლობელი. მაშინ ეს ჯილდოები იყო ახალგაზრდა ნიჭიერი ფიზიკოსის დამსახურების აღიარების საფასური.

აქ ვწყვეტ იური ზამიატნინის შესახებ ატომურ პროექტებში მისი აქტიური მონაწილეობის ეპიზოდების მოთხრობას. ეს ამოცანა სცილდება რიგითი ფიზიკოსის შესაძლებლობის საზღვრებს...

თავს ნებას ვაძლევ, მკითხველს მოვუთხრო იური ზამიატნინთან ჩემი თანამშრომლობის ზოგიერთი ეპიზოდი.

იური ზამიატნინს ეკავა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის, ილია ფრანგის სახელობის ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორიის სექტორის გამგის თანამდებობა და იმავდროულად ასრულებდა ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორიის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას.

აქ ვკადნიერდები და, თავს ნებას ვაძლევ, მკითხველს ვაჩვენო ჩემეული გაგება იმ დამკიდებულებისა, რომელსაც ქვეყნის მთავრობის ლიდერები იჩენდნენ მეატომე მეცნიერების მიმართ.

მას შემდეგ, რაც სამხედროებმა მიიღეს ბირთვული იარაღი, იმათვის ამ იარაღის შემქმნელები აღმოჩნდნენ მეორე ხარისხოვანი პერსონები, რომელთა ბეჭი გულწრფელად აღარავის ანალვლებდა, გარდა იმ საშიშროებისა, რომელიც ჩადებული იყო ამ მეატომე-ფიზიკოსების „ჩემოდნებში“.... საჭირო იყო ამ მეცნიერების მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებულ „კიდობანში“ მოთავსება.

ამ ფენომენის უგულებელყოფის გამო მნარე გაკვეთილი მიიღეს გერმანულმა და იტალიურმა მთავრობებმა: მე მხედველობაში მაქვს, ერთის მხრივ, ენრიკო ფერმის ჯგუფის დაშლა და, მეორეს მხრივ, ებრაული წარმოშობის ნიჭიერი მეცნიერების გაძევება პიტლერული გერმანიის სამფ-

**ლოებელოებიდან.**

რომ არა ენრიკო ფერმი, ალბათ, ისე ჩქარა არ მოხდებოდა მართვადი ბირთვული რეაქტორის კონსტრუირება და გაშვება.

მეჩვენება, რომ საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ კარგად გაითვალისწინა ის მომენტი, რასაც შეეძლო გამოუსწორებელი დარტყმა მიეყენებინა ქვეყნისათვის, თუკი ამ პროექტის ლიდერები იგრძნობდნენ მათი ოროლისა და დამსახურების ნიველირებას. ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში ეს მეატომე მეცნიერები იყვნენ საგანგებო ყურადღების ქვეშ. ეს პერიოდი დიდხანს გრძელდებოდა და მისი შეცვლა მოხდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის „დემონტაჟის“ შემდეგ. და აი, ამის შემდეგ კი ისინი აღმოჩნდნენ ქვეყნისათვის სრულიად ზედმეტები!..

დღეს უკვე ღიად შემიძლია გავიხსენო, ჩემთვის ძვირფასი პროფესორის, იური ზამიატნინის სიტყვები, რომელიც ნარმოთქმული იყო სპეციალისტთა ძალიან ვინრო წრეში, მის მიერ 1985 წლის 26 ოქტომბერს, ჩემისადოქტოროდისერტაციის ოპონირების შემდეგ. აი ეს ფრაზაც: „ჩვენ, მეატომე მეცნიერებს, დიდი შეცდომა მოვგვივიდა, როდესაც დროზე ადრე მივეცით სამხედროებს ბირთვული იარაღი!...“

ვერაფერს დაამატებ, კარგად და ზუსტად არის ნათევამი.

იური ზამიატნინმა შეინარჩუნა ღირსება და სიდარბაისლე სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. გარდაიცვალა 2007 წელს, 87 წლის ასაკში. ბირთვულმა ფიზიკამ და, საერთოდ, მეცნიერებამ, დაკარგა თავისი დიდი ქომა-გი და პატრიოტი...

ამ პატარა ექსკურსის შემდეგ, დავუბრუნდეთ იური ზამიატნინის თბილისში ვიზიტის დროს განვითარებულ მოვლენებს. ის იყო ჩემი სადოქტორო დისერტაციის პირველი ოპონენტი. დაცვა დანიშნული იყო 1985 წლის 26 ოქტომბრისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო დისერტაციების დაცვის ერთჯერადი საბჭოს სხდომაზე.

იმის გამო, რომ სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულ იყო ორი სპეციალობის - ბირთვული ფიზიკის და ბიოფიზიკის მიჯნაზე, ერთჯერადი დაცვის საბჭოს შემადგენლობაში მოწვეულ იგახლდათ ბიოფიზიკის დარგის სამი პროფესორი სპეციალისტი: მალხაზ ზაალიძეილი, გიორგი მრევლიშვილი და ბორის ლომისაძე.

პროფესორ იური ზამიატნინის თბილისში ჩამოსვლა სანქცირებულ იყო მხოლოდ მატარებლით, რომლის ჩამოსვლა მდეჩემს სახელზე, იური ზამიატნინისათვის გადასაცემად მოვიდა სასწრაფო დეპეშა, დიმიტროვო-გრადში მისი ვაჟიშვილის გარდაცვალების გამო. მდგომარეობა იყო ძალზე კრიტიკული.

სხვა გზა არ მქონდა, სასწრაფოდ უნდა დამეკვეთა თვითმფრინავის ბილეთი ძვირფასი სტუმრის გასამგზავრებლად. ეს კი ნიშნავდა დისერტაციის დაცვის პროცედურის გაურკვეველი ვადით გადადებას.

მოსკოვ-თბილისის მატარებლის ჩამოსვლისთანავე, სტუმარს დაუყოვნებლივ გადავეცი დეპეშის ტექსტი, რომლის წაკითხვის შემდეგაც მან წარმოთქვა მხოლოდ ერთი ფრაზა: „Все же это спукило съ“ და ცრემლები წამოუვიდა. ეს მომენტი დიდხანს არ გავრძელებულა და პროფესორმა ზამიატნინმა გადაწყვიტა, დარჩენილიყო დაცვაზე, ხოლო დიმიტროვო-გრადში წასასვლელად მიეღო თვითმფრინავით ჩელიაბინსკამდე მგზავრობის ნებართვა. შექმნილ სიტუაციაში ასეთი ვიზა დაუყოვნებლივ მისცეს. მოხსენიებულ ქალაქში გაფრენა შეიძლებოდა მხოლოდ 27 ოქტომბერს. იური ზამიატნინი უნდა გაფრენილიყო ამ დროისათვის...

თავისი მწეხარება იური ზამიატნინს ხმამაღლა არავისთან გამოუთქვამს. დისერტაციის დაცვის დროს ჩვეული კორექტულობით და საქმის ცოდნით წარსდგა საბჭოს წინაშე. მას ჰქონდა სამართლიანი შენიშვნები დისერტაციის მიმართ, მაგრამ მთავარი მაინც იყო მისეული შეფასება შრომის სამეცნიერო ლირებულებისა. მისი დასკვნა მაძიებლისათვის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნების შესახებ იყო დასაბუთებული და აღნიშნული. ის თვლიდა, რომ მაძიებელს კუთვნოდა ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი...

ცნობისათვის: ჩელიაბინსკიდან დიმიტროვოგრადში წასაყვანად იური ზამიატნინს მეგობრებმა დაახვედრეს მსუბუქი მანქანა და სულ რაღაც ერთ საათში უპრობლემოდ ჩავიდა აღნიშნულ ცენტრში.

ჩემი მეორე ოპონენტი – ალექსანდრე ტერ-სააკოვი, ასევე იყო „ამფეთქებელი“ (ვერავნიკ), რომელსაც დიდი ღვანლი მიუძლვის შუა აზიაში, ზერავშანის ნავთობის საბადოს ხანძრის ჩაქრობაში. ეს ხანძარი არანაირი ცნობილი და სტანდარტული მეთოდებით ვერ იქნა „მოთვინიერებული“. პროფესორ ტერ-სააკოვის მიერ შემოთავაზებული სქემით შესაძლებელი გახდა ამ ჭაბურლილის „მოთოკვა“. ამ ჭკვიანმა მეცნიერმა დაამუშავა ჭაბურლილის ბირთვული მუხტით ჩაქრობის საოცრად გონივრული სქემა (პროექტი), რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ პორიზონტალური ხვრელის (მცირეოდენი დახრის კუთხით) გაყვანის შემთხვევაში, საბადოსთან მიახლოების დროს, უნდა განეხორციელებინათ ბირთვული მუხტის (პრაქიკულად მცირე სიმძლავრის ატომური ბომბის) აფეთქება, რასაც უნდა გამოეწვია სილრმისეული ქანების იმგვარი წანაცვლება, რომ ჩაეცეტა წავთობის წაკადის ამოფრქვევა. პროექტი მოწონებულ იქნა მთავრობის მიერ და მხოლოდ მისი განხორციელების შემდეგდა მოხერხდა ამ გიგანტური კოცონის ჩაქრობა. პროექტის ავტორს მიანიჭეს სახელმწიფო პრემია.

ალექსანდრე ტერ-სააკოვს ჰქონდა შესრულებული მრავალი ორიგინალური გამოკვლევა ბირთვულ-ფიზიკური მეთოდების დამუშავებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების კუთხით. ჩემი სადოქტორო დესერტაციის ოფიციალურ ოპონენტად დანიშვნა და მისი თანხმობა, შეესრულებინა

ეს მისია, ჩემთვის იყო ძალზე დიდი პატივი.

პროფესორ ალექსანდრე ტერ-სააკოვისათვის ქართული ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და პატივისცემა არ იყო უცხო ხილი. სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას და ტრადიციულ ქართულ სუფრასთან გამოირჩეოდა მახვილგონივრული ეპიზოდებისადა კურიოზული ამბების მოთხოვნით. იყო დიდი შინაგანი კულტურისა და ღირსების მქონე პიროვნება. მე, პირადად, დიდად გავიხარე მისი ახლო გაცნობით.

საგანგებოდ მინდა მოვიხსენიო ჩემი ქართველი ოპონენტის, რეზო სალუქევაძის ლირსების ამსახველი ზოგიერთი ეპიზოდი. ბატონი რეზო სალუქევაძე იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი. თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სოხუმში. ხსენებული ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მთელ საბჭოთა კავშირში იყო ექსპერიმენტული ფიზიკის აღიარებული ფლაგმანი. იმ დროისათვისა ამ ინსტიტუტში მუშაობდა გერმანელ ფიზიკოსთა მაღალკვალიფიციური ჯგუფი და მათ მიერ შესრულებული გამოკვლევები ექსპერიმენტული ფიზიკის დარგში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ამ ინსტიტუტის მეცნიერულ დონეს.

ბევრმა ქართველმა ფიზიკოსმა სწორედ აქ, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში მიიღო ნათლობა ექსპერიმენტული ფიზიკის დარგში და მომავალში იქმილებული ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს თავის მონაფეებს და ასპირანტებს. ამგვარი მისიის შესრულება მოუხდა 1957 წელს, ჩემი სადიპლომო შრომის ხელმძღვანელს, ბატონ გურამ დოლიძეს, რომელიც ამ დროისათვის უკვე მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

საგანგებოდ დაკომპლექტებული, ერთჯერადიდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციის შესრულება მოუნია უნივერსიტეტის მაშინდელ პრორექტორს, პროფესორ ნოდარ ამაღლობელს, ხოლო ოფიციალური ოპონენტის როლი შეასრულა ბატონმა რეზო სალუქევაძემ.

დისერტაციის დაცვა შედგა. დაცულ იყო უმაღლესი საატესტაციო კომისიის ყველა მოთხოვნა.

პროფესორმა რეზო სალუქევაძემ ზედმინევნით ზუსტად დაასახელა ნაშრომის ხარვეზებიც და ლირსებებიც. ის მოუნოდებდა დაცვის საბჭოს წევრებს, რომ მხარი დაეჭირათ მაძიებლისათვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მისანიჭებლად...

ფარული კენჭისყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დაცვის საბჭოს ოცდასამი წევრიდან ოცდაორი იყო მომხრე, ხოლო ერთი კი ნინააღმდეგი.

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა საბჭოს გადანუვეტილება.

აქ ვკადნიერდები და თავს ნებას ვაძლევ, მომავალ თაობას დაუუტოვო მოკრძალებული ინფორმაცია ამ ორი ქართველი მეცნიერის – ნოდარ ამაღ-

ლობელისა და რეზონალური სალუქვაძის ცხოვრების ული ტრაგიზმის შესახებ.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ომის დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, მრავალ დევნილთან ერთად, ბატონ რეზონალუქვაძეს და მის ოჯახსაც მოუწია სოხუმის დატოვება და ლტოლების სტატუსით თბილისში დაბრუნება.

აფხაზეთის ომის დროს ქართველების თავზე დატრიალებული ტრაგედია განსაკუთრებული სისასტიკით შეეხო აკადემიკოს ნოდარ ამალ-ლობელის ოჯახს – მისი ერთად-ერთი ვაჟიშვილი, არჩილი იმსხვერპლა მტრის ტყვიამ...

როგორც ჩანს, ვერც რეზონალუქვაძემ და ვერც ნოდარ ამალლობელმა ვერ შეძლეს განგების ამდენი უსამართლობის გადალახვა და დიდად სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნისათვის, ისინი უდროოდ წავიდნენ ამ ცხოვრებიდან...

1985 წელი, სახელმწიფოს მართვის პულტან ზის მიხეილ გორბაჩივი! პოლიტბიუროს წევრს, ლიგაჩოვს უჩინდება უტოპიური იდეა – რუსები გადააჩვიოს სპირტიანი სასმელების სმის ტრადიციულ ჩვევებს.

პოლიტბიუროს გამოაქვს გადაწყვეტილება, ქვეყნის მასშტაბით, სპირტიანი სასმელების აკრძალვის თაობაზე!...

ეს იმდენად უგუნური გადაწყვეტილება იყო, რომ დღეის გადასახედიდან, კაცი უფრო სასაცილო აქციას ვერც კი წარმოიდგენს.

ეს იმას ჰგავდა, რომ ფრინველისათვის აგეკრძალა ფრენა...

საერთოდ, იმ დროისათვის, მთავრობის მეთაურები იგონებდნენ ათასნაირ ვერსიებს ქვეყნის ეკონომიკური (თუ პოლიტიკური არა) კრიზისიდან გამოსაყვანად. ეს კრიზისი კი მეტად გამწვავდა და თანაც დაჩქარდა, ავლანეთის უაზრო მის შედეგად. ქვეყანა იდგა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე!

ლიგაჩოვის ინიციატივით მიღებული „მშრალი კანონი“ ყველაზე ნაკლებად აისახა ქართველთა ტრადიციულ სტუმართმოყვარეობაზე...

დისერტაციის დაცვის შემდეგ ახლად გამოჩეული მეცნიერის ახლობლები და მეგობრები ყოველთვის აღნიშნავდნენ ამ მოვლენას ტრადიციულ ქართულ სუფრასთან.

ჩემი მეცნიერებათა დოქტორად „კურთხევის“ შემდეგ მოწყობილ ვახშამზე შეიკრიბა დაახლოებით ასი კაცი, ხოლო ამ ტრადიციულ სუფრას თამადობდა ჩემი და ჩემი ოჯახისთვის მეტად სასიამოვნო და საყვარელი, ენანწყლიანი პროფესორი ზურაბ სარალიძე.

ბატონი ზურაბი რამოდენიმე სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ მთლიანად „გაიხსნა“ და ტებილი ქართული სიმღერების შესრულების ფონზე, წარმატებით აგრძელებდა ქართული სუფრის თავეაცის მოვალეობას.

სხვათაშორის, ჩემი ძეირფასი და სიტყვაძუნნი პროფესორი იური ზამი-

ატნინი ალაფურთოვანა ზურაბ სარალიძის და მისი მეგობრების მხიარულ-მა და თანაც ფრიად კორექტულმა საქციიელმა. აქ ბატონმა პროფესორმა ველარ დაფარა თავისი აღტაცება და ყველას გასაგონად აღნიშნა, - თურ-მე, რა კარგი მეგობრები მყოლიაო, - და სიამოვნებით შესვა მათი სა-დლეგრძელო... ყოფიერებაში ზურაბ სარალიძე მეგობრებისა და ახ-ლობლების წრეში გამოირჩეოდა თავმდაბლობით. ამავე დროს იყო ენან-ყლიანი მოსაუბრე, რომელსაც მგზავრობის დროს შეეძლო კარგი სიმღე-რებით გამასპინძლებოდა ახლო მეგობრებს.

აქ მეითხველს მინდა მოვუთხრო ერთი ეპიზოდი ტომსკში ჩვენი გაფრენის წინ, საკონტროლო-გამშვებ პუნქტში მომხდარი კურიოზის შესახებ. ნოვოსიბირსკიდან დილით ადრე გავიარეთ საკონტროლო-გამშ-ვები პუნქტი და თვითმფრინავში ჩასხდომამდე კიდევ მოგვინია ერთხ-ანს ლოდინი. ზურაბ სარალიძე, შუქრი აბრამიძე და ავთანდილ მანჯავიძე კარგად შეხმატებილებულად მღეროდნენ ქართულ სიმღერებს იქვე, გამშ-ვები პუნქტის სიახლოვეს.

მომღერალ ბიჭებთან მოულოდნელად, მედიდური გამომეტყველებით მოვიდა სადგურის ზედამხედველიდა მრისხანედ განაცხადა, რომ საჭირო იყო მაგნიტოფონის რეგისტრაცია და რომ ამ მგზავრებმა დაარღვიეს აერ-ოფლოტის წესდების რომელილაც პუნქტი, რის გამოც ისინი იმსახურებდ-ნენ სასჯელს, ჯარიმის სახით...

ზედამხედველმა კვლავ გაიმეორა, რომ უნდა ენახა ის მაგნიტოფონი, რომელიც ურჩიმა ქართველმა მგზავრებმა ფარულად გააპარეს რეგის-ტრაციის გარეშე.

ჩვენი მხიარული მომღერალი ბიჭები ერთ ხანს ირონიული გა-მომეტყველებით უცქერდნენ წესრიგის დამცველს, შემდეგ კი სამივე „კრიმინალმა“ - ზურამ, შუქრიმ და ავთანდილმა გულიანად იცინეს და ზედამხედველის თანდასწრებით იმღერეს რუსებისათვის გასაგები „სუ-ლიკ“.

უნდა გენახათ განბილებული ზედამხედველის უსუსური გა-მომეტყველება, რომელმაც უხალისოდ დატოვა ჩვენი დელეგაცია და სადლაც სოროში შეძვრა...

ეს ეპიზოდი დიდხანს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მომღერალ ბიჭებს...

ტომსკის კონფერენციას ტრადიციულად უძღვებოდა აკადემიკოსი ალექსანდროვი. ლიგაჩოვი მაშინ იყო ტომსკის საოლქო კომიტეტის პირვე-ლი მდივანი.

კონფერენციის დღეები დაემთხვა ციმბირული კოლოების აქტიურო-ბის პიკს. როგორც ჩემმა ტომსკულმა კოლეგებმა ამიხსნეს, თურმე, ამ კოლოების აქტივობა გრძელდება ორ კვირას და ამ დროს ციმბირის ტრად-იციულ ბინადრებსაც კი, ირმებსა და ლოსებს თავის დაცვა უხდებათ, - მხოლოდ მდინარეებში თავის შეფარებით!

აკადემიკოს ანატოლი ალექსანდროვის შიშველი თავი აღმოჩნდა შესანიშნავი „აეროდრომი“ ციმბირული კოლოებისათვის. როდესაც ლიგარივმა მოიგონა ამ კონფერენციის სამახსოვროდ ციმბირული კედრის ხე-ივნის გაშენება, კონფერენციის ყველა მონანილეს დაევალა დათქმულ დღეს ეგრეთ წოდებულ „მეგობრობის ბალში“ პერსონალურად თითო კედრის ნერგის დარგვა. აქ ნიადაგი არის საუკეთესო – შავმინა ტორთი-ანი და მცენარის ზრდა-განვითარებისათვის აქვს იდეალური კონდიცია.

მე და ჩემ ქართველ მეგობრებს სულაც არ გაგვჭირვებია ამ მისის ალსრულება.

აი, აკადემიკოს ალექსანდროვს კი გაუჩნდა დიდი პრობლემა – კოლოების გუნდი იმდენად მრავალრიცხვოვანი იყო, რომ იფიქრებდი, ეს კაცი გარსშემორტყმულია მოქუფრული ღრუბლებით.

აქ უნდა შევნიშნო, რომ ეს კოლოები ჩვენთან გავრცელებული მცირე ზომის მნიშვნელობისაგან განსხვავებით, ძალზე მოზრდილ მნიშვნელობის წარმოადგენ-დნენდა მათი ხორთუმი ადვილად ხვრეტს ირმისა და ლოსის ტყავსაც კი...

აი. ასეთ პირობებში თანამშრომელთა დახმარებით, როგორც იქნა, დარგეს ალექსანდროვის სახელობის კედარი, მიაბნიეს ეტიკეტი „მე-ბალის“ ლირსებების აღნიშვნით და სასწრაფოდ მოაცილეს პრეზიდენტი ამ საშიშ ზონას...

ლიგარივი ამაყობდა თავისი დამსახურებით .... შეუციმდების შექმნით, სადაც წლის ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყო, სათბურის პირობებში, არა მარტო ბოსტნეულის და ბალჩეულის უხვი მო-სავლის მოყვანა, არამედ მეფეონინველების მძლავრი ფაბრიკების აშენებაც.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ატომური მრეწველობა დიდი რაოდენობით მოიხმარდა ელექტროენერგიას და როგორც ამ პროცესების თანმდევი, ნარჩენი ენერგია, ცხელი წყლის სახით, ჩადიოდა მდინარე ტომიჩანის აუზში. ამის გამო ეს მდინარე არასოდეს იყინებოდა და საკმაოდ დიდ მან-ძილზე მიედინებოდა ყინვის „მარწუხის“ გარეშე...

ტომსკის ამ კონფერენციასთან დაკავშირებით მე დიდხანს შემრჩა მოგონება იქ ნანახისა და გაგონილის შესახებ.

ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, გენადი გლუხოვმა, რომელიც განაგებდა ნეიტრონული აქივაციური ანალიზის პრობლემებს მთელი აღმოსავლეთ ციმბირის მასშტაბით, მიგვინვია თავის საცხოვრებელ სახლში ოჯახურ ვახშამზე. თავის კოლეგებს თავმომწონედ გაუმასპინძლდა ციმბირული კენერის და სხვა ინგრედიენტებით შეზავებული სპირტიანი სასმელებით. ვახშამი გამოვიდა საკმაოდ მხიარული და თანაც ჩემთვის მეტად საქმიანი. მაშინ გავიცანი ბევრი კოლეგა და მაღალი თანამდებობის სპეციალისტი, რომელთა შრომებიც არ ქვეყნდებოდა, მაგრამ მათ წაკითხული ჰქონდათ ჩემი თითქმის ყველა გამოქვეყნებული შრომა და ისინი,

ჩემთან შედარებით, უკეთესად იყვნენ ინფორმირებულები... ამგვარი შეცვედრა ჩემთვის იყო ძალზე მნიშვნელოვანი და დროული. რაც შეეხება სპირტიან სასმელებს, რომლითაც ყველა მოხიბლული იყო, მათ დადებითი როლი შეასრულეს ჩემთვის აქამდე უცნობი კოლეგების მოღვაწეობის ზოგიერთი მნირი, მაგრამ საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში...

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ, სადაც გავიხსენ ზურაბ სარალიძის ციმბირული მივლენების ზოგიერთი ეპიზოდი, ჩვენი წვეულება აქ, თბილისში შევიდა განვითარების ახალ ფაზაში.

ზურაბს კახური ლვინო კარგა გვარიანად მოეკიდა და სუფრა გახდა უფრო მხიარული და გახსნილი.

პროფესორი ტერ-სააკოვი უკვე მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა და ტოლს არ უდებდა თამადას მხიარულებასა და ანეგდოტების მოთხოვნაში...

კახურმა მამა-პაპურმა ლვინომ თავისი მისია ფრიადზე შეასრულა — სუფრის ნევრებს საშუალება მისცა კარგად ემხიარულად და დრო სასიამოვნოდ გაეტარებინათ. ჩვენებური ლვინო ამით ძირეულად განსხვავდება სპირტიანი სასმელებისაგან, რომელიც მყისიერად „აგიუბს“ ამ სასმელის მოყვარულ რუს მეგობრებს.

წვეულება გვიან დამით დასრულდა.

ჩემი ძვირფასი მოსკოველი ოპონენტები დავაბინავე თავიანთ სასტუმროებში.

მეორე დღეს გვენვივნენ ჩვენი ოჯახის ახლობლები, ნათესავები, მეზობლები და ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლები, რომლებიც ნინა დღეს გამოდიოდნენ მასპინძლების როლში. ჩემ მეუღლეს — ქალბატონ გიული ქვარიანს მოუნია იგივე მასშტაბის სუფრის განყობა, რაც ნინა დღეს. მან ამ დღესაც მისთვის ჩვეული სიდარბასისლით და რუდუნებით შეასრულა მასპინძლის საპატიო როლი და ფუნქცია...

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ცნობილი ისეთი დეტალები, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, ჩემთვის დღესაც მტკიცნეულია. პრობლემა ეხება სპეც-ორგანოებისა და მათი შეფის მიერ ყველასათვის შეუმჩნეველი მოვლენის გახსენებას.

თავიდანვე ავლნიშნავდი, რომ ჩემი მოსკოველი ოპონენტები არ იყვნენ ჩვეულებრივი, რიგითი მეცნიერები. მათ უარგონის ენაზე უნოდებდნენ „ამფეთქებლებს“ („ვჰრევნიკი“). ამის გამო, ისინი იყვნენ სათანადო ორგანოების მუდმივი ყურადღებისა და ზედამხედველობის ქვეშ.

იმ ხანად ვცხოვრობდი ფიზიკის ინსტიტუტის მიერ თანამშრომლებისათვის აშენებულ სახლში, იპოდრომთან, საბურთალოს ქუჩის ორმოცდაექვს ნომერში, მეექვსე სართულზე. ამ კორპუსიდან, როგორც ხელისგულზე, ისე ნათლად ჩანდა იპოდრომის მთელი ტერიტორია.

ტრადიციულად, ამ მივარდნილ კუთხეში იკრიბებოდნენ ყველა ჯუ-

რის საეჭვო პროფესიის დაჯგუფებები. აქ გვიან ღამით გავლაც კი რისკ-თან იყო დაკავშირებული.

ეს სიტუაცია, ცხადია, ცნობილი იყო სპეც-ორგანოს მუშაკებისთვისაც და ჩემი მოსკოველი სტუმრებისა და მათი უსაფრთხოებისათვის ზრუნვა, ცხადია, ნინასნარ იყო დაგეგმილი.

საბჭოთა კავშირის დემონტაჟიდან დიდი ხნის შემდეგ, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ, თურმე, ჩემი ძეირფასი სტუმრების ვახშმის დროს, ჩემს უსაფრთხოებას იცავდა პროფესიონალ ჩემისთვის საგანგებო ბრიგადა, ჩემი დიდი მფარველისა და მრჩეველის, ბატონ მერაბ გოხელაშვილის ხელმძღვანელობით. ცნობისათვის, აქვე მინდა ხაზი გაუსვა ამ პიროვნების მაღალ მოქალაქეობრივ ლირსებებს და იმ როლს, რომელიც მან შეასრულა ჩემს მიერ, 1970-71 წლებში, დირექტორის მოვალეობის შესრულების დროს, ბირთვულ რეაქტორზე მომხდარი ცნობილი ტრაგედიის სწორ შეფასებაში.

როგორც ცნობილია, მაშინ რადიაციული მასალათმცოდნეობის განყოფილების ორმა თანამშრომელმა დილით, შეცდომით, სპირიტის ნაცელად დალია დიქლორეთანი და ისინი იმავე დღის ბოლოს მცხეთის საავადმყოფოში გარდაიცვალნენ.

ბატონი მერაბი დარწმუნდა იმაში, რომ მე არავითარი ბრალი არ მიმიღებული ამ ტრაგიკულ შემთხვევაში და სიტყვიერად გამაფრთხილა, რომ ამ ამბის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ჩამეყენებინა საქმის კურსში. მაშინ ძლიერ ვიყავი აღელვებული მომხდარი ტრაგედიით და, მართლაც, გამომრჩა ამის შესახებ ბატონი მერაბის ინფორმირება. სხვა არანაირი ბრალდება არ ნამოუყენებია ჩემთვის. ამჟამად უკვე ვიცი, რომ მას შეეძლო ჩემი ბრალეულობა, როგორც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა, გაზიადებინა. მაშინ იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორც კი „ურემი“ გადაბრუნდებოდა, დამნაშავედ დირექტორს ასახელებდნენ. ის, რომ ბატონი მერაბი იყო მაღალევალითიციური პროფესიონალი და უაღრესად განათლებული პიროვნება, ჩემთვის დღევანდელი გადასახედიდან ჩანს უფრო ნათლად, ვიდრე ამ ორმოცი წლის ნინათ. სამწუხაროდ, ეს პროფესიონალიზმი და თავდადება ტრაგიკულად დასრულდა მერაბ გოხელაშვილისთვის მას შემდეგ, რაც დააკისრეს სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობა... მან ვერ შეძლო უსამართლობასთან მარტოდ-მარტომ ბრძოლა... ბატონი მერაბიარი იყო ის პიროვნება, ვისაც ინილო-ბინილოს თამაშით შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი სავარძელი... დღესაც ბატონი მერაბ გოხელაშვილი ჩემს ცნობიერებაში არის მაღალი მოქალაქეობრივი ლირსების მქონე პიროვნება....

პროფესორ იური ზამიატნინის თბილისიდან დიმიტროვოგრადში სასწრაფო გამგზავრების აუცილებლობამ, მთლიანად ჩამიგდო ჩემი „კულტურული პროგრამა“, რითაც ვაპირებდი საპატიო სტუმრისათვის

საქართველოს მთავარი ისტორიულ-კულტურული ცენტრების ჩვენებას.

მეორე ოპონენტის, პროფესორ ალექსანდრე ტერ-სააკოვისათვის ამგვარი პროგრამის შეთავაზება იყო სრული უაზრობა, რადგანაც ზედმინევნით კარგად იცნობდა საქართველოს ყველა კუთხე-კუნძულს.

თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ მე კიდევ ერთხელ გადავუხადე დიდი მადლობა იური ზამიატნინს ყველაფერი იმისათვის, რაც მან ჩემთვის გააკეთადა ისიც განვუცხადე, რომ იმედს არ ვერგავდი მეხილა საქართველოში, უახლეს მომავალში, როგორც ჩემი საკუთარი სტუმარი. იური ზამიატნინმა მადლობა გადამიხადა მისი მნუხარების გაზიარებისათვის და აღმითქვა, რომ დუბნაში ჩემი შესაძლო მივლინებების დროს, ჩემი მისიის შესრულების საქმეში აღმომიჩნდა საქმიან დახმარებას და თანადგომას.

აქვე მინდა მკითხველს განვუმარტო, რომ იური ზამიატნინის ეს სიტყვები სრულიადაც არ იყო ფორმალურად ნათქვამი. ამ მხცოვანმა მეცნიერმა დიდი როლი ითამაშა იმ კონკურსებში, რომლებიც ყოველწლიურად იმართება დუბნაში წლის საუკეთესო ნაშრომების გამოსავლენად. მათ შორის არის ჩვენი შრომა 2003 წელს დუბნის გაერთიანებული ინსტიტუტის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსში გამარჯვების დასტურად. ამ დიპლომზე არის პროფესორ იური ზამიატნინის, როგორც საკონკურსო კომისიის პასუხისმგებელი მდივნის ხელმოწერა.

გარდა ამისა, 2005 წელს, ასევე კონკურსის წესით, ჩვენი მეორე შრომა დუბნის გაერთიანებული ინსტიტუტის მასშტაბით აღინიშნა ნამახალისებელი პრემიით.

სამნუხაროდ, პოლიტიკური სიტუაციის გართულების შემდეგ, რუს მეცნიერ-კოლეგებთან ნლების მანძილზე არსებული ჩემი თბილი დამოკიდებულება დაიმსხვრა. კაპიტალიზმის აღდგენასთან ერთად, ძველი იაობის მეცნიერების ურთიერთობაში გაჩნდა მრავალი პრობლემა, რომელთა შორის მაინც ყველაზე მტკიცნეული გახდა ფინანსური მხარე. ტრადიციული სამეცნიერო მივლინებები პრაქტიკულად შეწყდა. ეს „სიამოვნება“ შეეძლო მიელო მხოლოდ მდიდარი, ელიტარული წრის წარმომადგენლებს...

პროფესორი იური ზამიატნინი უკვე ხანდაზმული მეცნიერი იყო და ფიზიკურად აღარ შეეძლო ლამებების გათენება საკვლევ ლაბორატორიებში, თუმცა მისი მეცნიერული გამოცდილება კვლავ ფრიად დიდ როლს თამაშობდა მრავალი ამოცანის კორექტულად გადაწყვეტაში. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ის აგრძელებდა ჩვეულ რეჟიმში ცხოვრებას და მუშაობას...

იური ზამიატნინის გარდაცვალების შემდეგ, 2007 წლიდან, ჩემთვის პირადად კიდევ ერთი ცოცხალი ციხე-სიმაგრის კარი დაიხშო სამუდამოდ...

## 7. იური ვსევოლოდის ძე იაკოვლევი

იური იაკოვლევი სამეცნიერო ორბიტაზე მოულოდნელად გამოჩნდა 1955 წელს, უნივერსიტეტის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ბრწყინვალე მოხსენებით, რომელიც ეძღვნებოდა მაღალი სისუფთავის მასალებში მინარევების განსაზღვრის აქტივაციური ანალიზის ორიგინალურ მეთოდის დამუშავებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას. ეს მოხსენება იმდენად ორიგინალურ და თანაც მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ გამოკვლევას წარმოადგენდა, რომ ახალგაზრდა, იქამდე მეცნიერულ წრეებში უცნობი მკვლევარი, ამ მოხსენების შემდეგ აღმოჩნდა აქტივაციური ანალიზის ისეთი კორიფეულის გვერდით, როგორებიც იყვნენ თავად ჯორჯ ჰევეში და გლენ სიბორგი.

როგორც ცნობილია, აქტივაციურ ანალიზში პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის, უნგრელ მეცნიერს ჯორჯ ჰევეშს, რომელიც გამოაქვეყნა 1936 წელს, ხოლო ორი წლის შემდეგ ამ პუბლიკაციიდან ანალიტიკოსთა საზოგადოებამ იხილა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, გლენ სიბორგის ფუნდამენტალური გამოკვლევა აქტივაციურ ანალიზში.

იური იაკოვლევი სრულიად სამართლიანად იქცა საბჭოთა კავშირში აქტივაციური ანალიზის, როგორც ახალი პერსპექტივული მიმართულების მამამთავრად. მან უაღრესად დიდი როლი ითამაშა ამ მეთოდის პოპულარიზაციის თვალსაზრისით და განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ამ დარგის სპეციალისტების მომზადების და დაფრთიანების საქმეში. ამ მხრივ იური იაკოვლევის ხელდასმით მომზადდა დარგის მრავალი სპეციალისტი, არა მარტო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ თანამეგობრობის ქვეყნების ხაზითაც: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იუგოსლავია, რუმინეთი, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვა. იური ვსევოლოდის ძე იაკოვლევის ხელმძღვანელობით დაცულ იყო მრავალი საკანდიდატო დისერტაცია, რომელთა შორის ბევრი მეცნიერი გახდა დოქტორი და პროფესორი.

შექმნილ სიტუაციაში იური იაკოვლევი თავად სრულიადაც არ იზიარებდა მეცნიერებაში ხარისხების მიკუთვნების საბჭოთა კავშირში და მკვიდრებულ სისტემას და პრინციპულად არ თანხმდებოდა დისერტაციის დაცვისათვის საჭირო მრავალი ფორმალური პროცედურის შესრულებას.

შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: ერთის მხრივ, საქმე გვქონდა უაღრესად მაღალი მეცნიერული დონის მქონე მკვლევარ-ექსპერიმენტატორთან, რომელსაც მოპოვებული პქონდა სპეციალისტთა სამართლიანი აღიარება, ხოლო მეორეს მხრივ, ვერ აძლევდნენ ამგვარი დამსახურების შესაფერის ანაზღაურებას და პრაქტიკულად სილატაკის ზღვარზე აგრძელებდა ცხოვრებას და ნაყოფიერ სამეცნიერო მოლვანეობას. არანაირი

ხვეწნა-მუდარა, რომელთაც არ იზარებდნენ მისი მონაფეები და მეგობრები, შედეგს არ იძლეოდა. ის იყო ერთად-ერთი ჩემთვის ცნობილ მეცნიერთა შორის, რომელმაც არ შეცვალა თავისი საპროტესტო დამოკიდებულება უმაღლესი საატესტაციო კომისიის დოგმების მიმართ და არც დაწერა დისერტაცია.

იური იაკოვლევს, აკადემიკოს ალიმარინთან ერთად, მოგვიანებით მიანიჭეს სახელმწიფო პრემია. ამის შემდეგ მან დაწერა მოქლე მეცნიერული მოხსენება, რომელიც სრულიადაც არ ჰგავდა სადისერტაციო ნაშრომს და უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, ამ მოხსენების ფონზე, იური იაკოვლევს მიანიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ასე დასრულდა უმაღლეს საატესტაციო კომისიის დოგმებთან პროტესტის იაკოვლევის ეული ეპიზოდი, მაგრამ ეს მოხდა ძალიან გვიან და ამ წოდებას მისთვის პრაქტიკულად აღარ მოუტანია არანაირი მატერიალური დივიდენდები...

დავუბრუნდეთ თბილისში აქტივაციური ანალიზის IV-საერთაშორისო კონფერენციის მომზადების ეპიზოდებს. ამ კონფერენციის მომზადების მთელი სიმძიმე დააწვა იური იაკოვლევს. ფორმალურად ის იყო საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი, მაგრამ როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, თავმჯდომარები და მათი მოადგილები არიან ტიტულოვანი მეცნიერები და ყველა საორგანიზაციო საქმიანობას ავალებენ სწავლულ მდივანს. ასეთი ბატონიკაცური დამოკიდებულება უცხო არ იყო იური იაკოვლევისთვისაც და იძულებული იყო კონფერენციის დაწყებამდე ჩამოსულიყო თბილისში, ერთადერთი სწავლული მდივნის – ქალბატონ გალინა ბილიმოვიჩის თანხლებით. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კონფერენციის მომზადების ორგანიზაციული მხარე შესრულდა უმაღლეს დონეზე – პრაქტიკულად, არც ერთი დელეგაცია არ დარჩენილა უყურადღებოდ და შეზღუდული რეგლამენტის მიუხედავად, ყველა ცნობილ სპეციალისტს ჰქონდა სამუალება, გაეკეთებინა მისთვის მნიშვნელოვანი და სასურველი მოხსენება.

კონფერენციამ, რომ იტყვიან, ჩაიარა სრული ანშლაგით. სამახსოვრო ბანკეტზე კი ქართულმა ლვინომ და დიდებულმა მწვადმა ნარმატებით და აგვირგვინეს ამ საერთაშორისო ფორუმის დასკვნითი ეტაპი. აქტივაციური ანალიზის მიმართულებით მოღვანე კოლეგების გაცნობა და, ბევრ შემთხვევაში, დამეგობრებაც კი ქართველ სპეციალისტებთან, აღმოჩნდა და ფასდაუდებელი მნიშვნელობის მოვლენა. სასარგებლო ინფორმაციის გაცვლასთან ერთად, ქართველ მეცნიერებს უკვე იწვევდნენ ევროპულ სამეცნიერო ცენტრებში, როგორც კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, ასევე ახალი ტექნიკის დემონსტრირების დროსაც.

მე, პირადად ორჯერ ვიყავი მიწვეული დრეზდენში, როგორც კონფერენციის დელეგატი და ასევე ბირთვულ რეაქტორზე საკვლევი ნიმუშების სწრაფი პნევმო-ფოსტის გასაცნობად. ეს პნევმო-ფოსტა დამზადებული

იყო გერმანული სკურპულოზურობით როსენდორფის ნეიტრონული აქტი-  
ვაციური ანალიზის ჯვეფის მიერ, პროფესორ ნიზეს ხელმძღვანელობით.

ცნობისათვის: პროფესორი ვოლფგანგ ნიზე იყო იური იაკოვლევის  
ყოფილი ასპირანტი და იმხანად წარმატებით მოღვაწეობდა გერმანიის  
დემოკრატიული რესპუბლიკის აღნიშნულ ატომურ ცენტრში.

სამნუხაროდ, გასული საუკუნის ოთხმოციანი ნლების შემდევ, ქვეყა-  
ნაში კარს მომდგარი კრიზისის ფონზე, უკვე მეტისმეტად გართულდა  
რუს მეცნიერებთან ჩვეული, ტრადიციული, საქმიანი შეხვედრებისა და  
ცოცხალი თანამშრომლობის შესაძლებლობა. აქამდე ჩვენთვის ერთად-  
ერთი ხელმისაწვდომი საშუალება იყო მხოლოდ საფოსტო გზავნილებით  
ურთიერთინფორმირება.

სადღეისოდ კი, სამნუხაროდ, ეს სიამოვნებაც დავკარგეთ.

საქართველო აღმოჩნდა რუსეთთან ომის ზღვარზე.

ასეთ პირობებში ძნელია არათუ სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლა,  
არამედ ჩვეულებრივი ყოფითი მიმოწერა და კოლეგების ინფორმირება,  
თუნდაც იმის დასტურად, რომ მე და ზოგიერთი ჩემი კოლეგა ჯერ კიდევ  
არ წავსულვართ სამარადისო სასუფეველში...

## 8. გარიცე ფრონტასივა

ძვირფას მკითხველს ვთხოვ ერთი წუთით წარმოიდგინოს სიტუაცია,  
როდესაც აბობოქერბულ მდინარეში აღმოჩნდება ადამიანი შიშველი ხე-  
ლებით და თითქმის აღარ არსებობს მისი გადარჩენის შანსი. დაახლოე-  
ბით ასეთ სიტუაციაში მოვხდით მედა ჩემი ლაბორატორიის თანამშრომ-  
ლები, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან ნლებში, როდესაც  
საქართველოში აგორდა ტალღა ბირთვული რეაქტორის ნინააღმდეგ. მა-  
შინ ეს ობიექტი გარსმემორტყმული იყო ეგრეთ წოდებული არაფორ-  
მალების მიერ, საქართველოში ატომური რეაქტორის დაუყოვნებლივ გაჩ-  
ერებისა და მისი დემონტაჟის მოთხოვნით.

შექმნილი სიტუაცია განიმუხტა მას შემდეგ, რაც აშშ-ს ენერგიის დე-  
პარტამენტმა გამოგზავნა სპეციალური კომისია შექმნილი პრობლემის  
მოსაგვარებლად და მიიღო გადაწყვეტილება ბირთვული სანვავის  
ამერიკაში გატანის შესახებ. მცხეთის ატომური რეაქტორი დარჩა ბირთ-  
ვული მუხტის გარეშე და არაფორმალთა დაჯგუფებას უკვე აღარ შეეძ-  
ლო საქართველოში ატომური საფრთხის შესახებ სპეციულირება.

ინსტიტუტის სხვა განყოფილებებთან ერთად ჩვენი ლაბორატორიაც  
დარჩა „უქმად“. და აი, ასეთ პირობებში, როდესაც ჩვენი ლაბორატორიის  
ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა მთელი სიმწვავით, გამოჩნდა საოცარი,  
საქმიანი ქალბატონი - მარინე ფრონტასიევა, რომელიც დუბნის

ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორიაში ასრულებდა ნეიტრონული-აქტივაციური ანალიზის სექტორის გამგის მოვალეობას და შემოგვთავაზა თანამშრომლობა ბიოლოგიური ობიექტების აქტივაციურ ანალიზში.

ცნობისათვის: დუბნის ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორიას აქვთ  
უნიკალური იმპულსური რეაქტორი, რომლის გამოყენებაც ხდება  
როგორც ფუნდამენტური ბირთვული ფიზიკის, ასევე სხვა მრავალი კვ-  
ლევების შესრულების დროს. თავისთვად, ეს რეაქტორი არის, სხვა რეაქ-  
ტორებისგან განსხვავებით, ალბათ, ერთადერთი დანადგარი, სადაც მისი  
იმპულსურ რეჟიმში მუშაობის დროს ის იძლევა ნეიტრონების ინტენსი-  
ურ ნაკადებს - ათი ხარისხაარ თხუთმეტ-ათი ხარისხად თექვსმეტ  
ნეიტრონს წამში კვადრატულ სანტიმეტრზე. ეს არის ოუკრიჯის მაღალ-  
ნაკადიანი რეაქტორის მსგავსად, ერთ-ერთი უნიკალური ექსპერიმენტუ-  
ლი რეაქტორი.

აი, ასეთი რეაქტორის გამოყენების შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენ, ქართველ მეცნიერებს, მას შემდეგ, რაც ჩვენმა „ნიჭიერმა“ ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, მწყობრიდან გამოიყვანეს საკუთარი — ქართულიატომური რეაქტორი. ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე — ზოგი ჭირიც მარგებელიაო. ჩვენს ლაპორატორიას გაუჩინდა შანსიახალი, უფრო მაღალი რანგის კვლევების შესასრულებლად დუბნის იმპულსურ რეაქტორზე.

თავისთავად მხოლოდ რეაქტორზე დაშვება ჩვენი ჯგუფისათვის ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა. მთავარი მაინც იყო ერთობლივი სამუშაოების კოორდინაცია და მათი რეალიზაცია. ასეთი ერთობლივი სამუშაოების ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო და დღესაც არის გასაოცარი ენერგიის და შრომისმოყვარეობის, არნახული და არგაგონილი უნარის მქონე ქალბატონი - მარინე ფრონტასიევა.

აქმასხენდება ჩემი დიდი მასწავლებლის და დამრიგებლის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სიტყვები, რომელთაც ის, ჩემთან საუბარში, ზოგჯერ ახმაურებდა ხოლმე. აი, ეს ფრაზაც: „У меня емкая минута“, რომელსაც მოიძველიებდა ხოლმე მაშინ, როდესაც გავიკვირვებდი მის მიერყოველდლიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას. მარტო სამსახურებრივი ფოსტის ყოველდღიური გაცნობა და მათზე პასუხების გაცემა დიდ დროს ართმევდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რადგანაც მრავალი წერილის ადრესატი თვითონ იყო და სხვას ვერც დაავალებდა და ვერც ანდობდა მათზე პასუხის მომზადებას.

სრული სერიოზულობით მინდა განვაცხადო, რომ მარინე ფრონტას ისევ-ასთან „Емкая минута“ ჩემს ახლობლებს შორის, ნამდვილად, არავის აქვს და სწორედ ამ ტევადი საქმიანი თვისებების გამო ხდება, რომ ეს ქალბატონი არის მრავალი გრანტის მფლობელი და სამეცნიერო პროექ-ტის ხელმძღვანელი. მას სამართლიანად აქვს მოპოვებული საერთა-შორისო აღიარება და სრულიად დამსახურებულად არის ბევრი ჯილდოსა

და პრემიის მფლობელი!

მინდა, საგანგებოდ ავლნიშნო დუბნასთან ჩვენი წარმატებული თან-ამშრომლობის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ქალბატონ ელენე კირკესალის სახელთან. ქალბატონი ლენიკო ყოველწლიურად ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში იმყოფებოდა მივლინებით დუბნის ნეიტრონული ფიზიკის ლაბორატორიაში და უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ჩვენი ყველა ერთობლივი გამოკვლევის კორდინაციასა და შესრულებაში; რომ არა ასეთი ტიპის თანამშრომლობა, ჩემი ღრმა რწმენით, შეუძლებელი იქნებოდა ერთობლივი კვლევების მოკლე დროში და თანაც, საკმაოდ დიდი მოცულობით შესრულების შესაძლებლობა. აյ საგანგებოდ მინდა ავლნიშნო ელენე კირკესალის უალრესად მაღალი კვალიფიკაცია ექსპერიმენტების შედეგების მოპოვების და მათი გამოსაქვეყნებლად მომზადების საქმეში. ამ ამპლუაში ის, მართლაც, არის ლმერთის მიერ საგანგებოდ დაჯილდოებული პიროვნება. როგორც მგონია, ამგვარი თვისებებით ბევრი მკლევარი წამდვილად ვერ იტრა-ბახებს!..

დუბნასთან ჩვენი წაყვითერი თანამშრომლობა აისახა იმ პუბლიკა-ციებში, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა პრესტიულ ჟურნალებსა თუ საერთაშორისო კონფერენციების გამოცემებში.

აქვეუპრიანი იქნება იმის თქმაც, რომ დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტთან ერთად, მიღებული გვაქვს ორი პატენტი გამოგონებაზე წყალმცენარესპირულინას სელენშემცველი და ქრომშემცველი სამკურნალო პრეპარატების დამზადების ორიგინალური ტექნოლოგიის დამუშავებისა და მათი გამოყენების თვალსაზრისით.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ დუბნასთან ჩვენს მიერ შესრულებული ერთობლივი შრომების მიმართ უცხოელი სპეციალისტების მიერ გამოჩენილი ყურადღებისა და ინტერესების პროვოცირებაში სწორედ რომ ლომის წილი მიუძღვის ქალბატონ მარინე ფრონტასივას!..

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, დუბნის მაღალნაკადიანი რეაქტორის მოდერნიზაციისა სამუშაოები, შესაძლოა დასრულდეს 2009 წელს. თუ ეს მოხდა, ამ რეაქტორის სტაციორნალურ რეჟიმში მუშაობის შემდეგ, შესაძლებელი გახდება აქტივაციური ანალიზის სამუშაოების უფრო მასშტაბური წარმართვა. თუ, ამასთან ერთად, საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური სიტუაციაც გამოსწორდა, მაშინ, როგორც ქართველები იტყოდნენ, ჩვენს ბედს „ძალლიც კი არ დაჰყეფს“ და შესაძლებელი იქნება დუბნელ კოლეგებთან კიდევ უფრო ფართო მასშტაბიანი ერთობლივი გამოკვლევების ჩატარება.

რუსეთის ვიზებთან დაკავშირებული სადღეისოდ შექმნილი მდგომარეობა მეტისმეტად ართულებს დუბნის საერთაშორისო სამეცნიერო ცენ-

ტრში ქართველების მივლინებას. აღნიშნული ცენტრი კი არის საერთა-შორისო სტატუსის მქონე, მაგრამ თბილისში რუსეთის საელჩოს დახურვის შემდეგ, ქართველებს უხდებათ მეზობელ ქვეყნებში — აზერბაიჯანში ან სომხეთში წასვლა და საჭირო ვიზების იქ გაფორმება. ეს პროცედურა კიდევ უფრო აძვირებს რუსეთში გამგზავრების სიამოვნებას და არანაირად ხელს არ უწყობს მეცნიერული კონტაქტების გაღრმავებას.

ძალიან მინდა დავიჯერო, რომ ეს არის დროებითი მოვლენა და მომავალში ასეთი ბარიერები აღარ იარსებებს. დღეს კი შექმნილი სიტუაცია მეჩვენება დიდად სამწუხაროდ და უგუნურად!..

აქ მახსენდება ამ ოცდაათი წლის ნინანდელი ერთი ეპიზოდი, რომლის მომსწრე და მონანილეც თავად ვიყავი.

იყო ადრე გაზაფხული და ჩემთან სტუმრად იმყოფებოდნენ მოსკოველი კოლეგები.

მე მოვისურვე მათვის მეჩვენებინა ფშავის არაგვის ხეობა და დიდი ქართველი პოეტის, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი.

მთის გზა ბევრ ადგილას იკვეთებოდა მნვერვალებიდან მოჩუხჩუხე ხევისწყლებით და თავიდან ჩემი „უიგული“ შეუფერხებლად გადიოდა ასე-თი მდინარეების ნაკადში.

ჩარგალთან მიახლოების კვალობაზე, არაგვი ხდებოდა უფრო ჩქარი და ნყალუხვი. ერთ-ერთი ასეთი ფონის გადალახვის დროს შუა მდინარე-ში ჩამიქრა მოტორი და ჩემი ძვირფასი სტუმარი, იური იაკოვლევი იძუ-ლებული გახდა, მომხმარებოდა მანქანის ხელით გადაადგილებაში და ამ დროს სათვალე აბობოქრებულ არაგვში ჩაუვარდა.

გავიდა საკმაოდ დიდი დრო და იური იაკოვლევს ისევ დასჭირდა სათვალე წიგნის თუ გაზეთის წასაკითხავად. აი, მაშინდა გაახსენდა, რომ სათვალე მდინარეში ჩაუვარდა და დაინყო მისი ნყალში ძებნა. ცხადია, მისი სათვალე უკვე არაგვისაზეირთებულ ტალღებში „მოგზაურობდა“...

ეს ეპიზოდი მოვუყევი კონფერენციის მონანილებს, როგორც ნიმუში ოპტიმიზმის იაკოვლევისეული გაგებისა. ამის შემდეგ დამკვიდრდა ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის სპეციალისტთა შორის ოპტიმიზმის იური იაკოვლევისეული განსაზღვრის ცნება!..

ეს ეპიზოდი ამ პატარა წერილში შემთხვევით არ მომიყვანია. დაახლოებით ამგვარი ოპტიმიზმის გრძნობა მეუფლება, როდესაც ოცნებაში წარმოვიდგენ, რომ დუბნის ჩემს ძვირფას კოლეგებთან სადღეისოდ შექმნილი ბარიერები დამთავრდება „სათვალის პოვნის ეფექტით“!..

ჩემი ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს ქალბატონი მარინეს ჩვენთან თანამშრომლობის ძველებურ, საქმიან, ნორმალურ რეჟიმში გაგრძელების გულწრფელი სურვილი და მის მიერ გამოჩენილი ძალისხმევა.

## 9. უზრუნველყოფის ათომური ცენტრი

ტაშენტის მახლობლად, ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით, ულუგ-ბექის დასახლებაში, აშენებულია უზბექეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ფიზიკისა ტომური ცენტრი. გარდა ატომური რეაქტორისა, ამ ცენტრის შემადგენლობაში არის დამუხტული ნანილაკების ამაჩქარებელი ლაბორატორიები და სხვა მრავალი ბირთვულ-ფიზიკური კვლევის ობიექტი.

1958 წლიდან ამ ატომური ცენტრის მთავარი ინსტრუმენტი გახდა ბირთვული რეაქტორი. ამ დროისათვის უზბექეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეინიშნებოდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობამ გადადგა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ფრიად გონივრული ნაბიჯი — ლენინგრადიდან მოინვია გამოცდილი მეცნიერები მუდმივად სამუშაოდ. ამ მეცნიერთა შორის იყვნენ: პროფესორი სერგეი ვასილის ძე სტაროდუბცევი, დოცენტი ევგენი მიხეილის ძე ლობანოვი და სხვები.

ტაშენტში მონვეულ ლენინგრადელი მეცნიერების გარდა, ადგილობრივი კადრების მომზადებაში ლომის ნილი მიუძლვის იური იაკოვლევს, რომელიც, მართალია, მუდმივ სამუშაზე არ გადასულა ტაშენტის რეაქტორზე, მაგრამ უდიდესი როლი შეასრულა უზბეკი მეცნიერების კვალიფიციური კადრების მომზადებაში. ბევრმა მომავალმა სპეციალისტმა გაიარა სტაურების კურსი ვერნადსკის სახელობის გეოქიმიისა და ანალიზური ქიმიის სინსტიტუტისაქტივაციური ანალიზის ლაბორატორიაში იური იაკოვლევის ხელმძღვანელობით, ხოლო რამოდენიმე ასპირანტმა სწორედ ამ ლაბორატორიაში მოამზადა საკვალიფიკაციო ნაშრომი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. იმავდროულად ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო ალექსანდრე კისტმა, რომელიც შემდგომში სათავეში ჩაუდგა აქტივაციური ანალიზის მიმართულებას აღნიშნულ რეაქტორზე, გახდა პროფესორი და აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი.

ამ ბირთვული ცენტრის უზბეკ თანამშრომლებს, ფორსირებული ნესით უნიკალური სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას და ერთ დროს ამ რესპუბლიკაში არსებული დეფიციტი ექსპერიმენტატორ-ფიზიკოსებისა სწრაფად დაიძრა მკედარი ნერტილიდან. ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზი გახდა ამ ბირთვული ცენტრის ძირითადი მიმართულება საკავშირო მასშტაბით. აქვე შეიმნა ხარისხების მინიჭების სამეცნიერო საბჭო, რომელსაც დასაწყისში, პქონდა უფლება მაძიებლისათვის კანდიდატის, ხოლო შემდეგ მიიღო უფლება მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნების შესახებაც.

ცნობისათვის: ჩვენი ინსტიტუტის სამმა მეცნიერ-თანამშრომელმა - ნანა ხარაბაძემ, ნანული ბალდავაძემ და ნანა კუჭავაშ სწორედ ამ საბ-

ჭობე ნარმატებით დაიცვეს დისერტაციები ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

როდესაც მაშინდელ საბჭოთა კავშირში მოქმედ სხვა რეაქტორებს გაუჩნდათ პრობლემა ნეიტრონული ნაკადების არსებული დონის გამო და ზოგიერთი მათგანი ცდილობდა დაერწმუნებინა ზემდგომი ინსტანციები რეკონსტრუქციის აუცილებლობაში, უზბეკეთის რეაქტორს ეს „ჭია“ არ გასჩენია და ის ნარმატებით წყვეტდა მრავალ გამოყენებით პრობლემას. უზბეკეთისათვის „მრუდე ეზოს ხელშემშლელი“ ფაქტორი არ არსებობდა და ისინიც უპრობლემოდ „წველიდნენ ძროხას“ ეზოს სიმრუდის მომიზეზბის გარეშე. ამ სტრატეგიამ, როგორც მომავალმა აჩვენა, სრულიად გაამართლა უზბეკი მეატომე მეცნიერების მიერ დაკავებული პოზიცია, რასაც ვერ ვიტყვით ქართველების მიერ რეაქტორის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ პრობლემბზე. ეს ძალიან მძიმედა პრობლემური საკითხი იყო და მე არ ვაპირებ მისა აქ გარჩევას. ერთი რამ კი მინდა აღვნიშნო, რომ მაშინდელმა ქართული რეაქტორის მესვეურებმა, ვერანაირად ვერ დამაჯერეს რეაქტორის ალუმინის კორსუსის რადიაციულ დაზიანებაში და მისი უჟანგავი ფოლადით შეცვლის აუცილებლობაში...

ნეიტრონული-აქტივაციური ანალიზის სამუშაოებმა ულუკ-ბეკის ატომურ რეაქტორზე იმდენად მასშტაბური სახე მიიღო, რომ აქ უკვე არამარტო გეგმიური სამუშაოების ნარმატებით შესრულება, არამედ მრავალი სახელშეკრულებო სამუშაოც კი სრულდებოდა, პრაქტიკულად, სიმბოლური ანაზღაურებით.

ყოველივე ამის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო პროფესორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კისტი, რომელსაც ახლობლები ვეძახდით საშა-კისტს. საშასთან ოჯახში სტუმრობა მიღიოდა განთქმული უზბეკური ფლავისა და საგანგებოდ მომზადებული ჩაის თანხლებით. უზბეკები ძალიან ბევრ ჩაის სვამენ, საშასთან სტუმრობის დროს კი თავად გვიმასპინძლდებოდა ფლავის ულუფით. პირდაპირ დაგახრჩობდა თავისი მცდელობით როგორც ფლავის, ასევე ჩაის უნივეტად, კონვეიერული სისტემით მომარაგებით. იმ რაოდენობის ჩაი, უზბეკები რომ სვამენ, მესიზმრადაც არ შემეძლო ნარმომედგინა. არადა, თურმე, თუ ჩაიალარ გინდა, ინჯანი უნდა გადმოაპირქვავო თეფშზე და ამის შემდეგ მასპინძლი ალარ გაგივსებს ქაფქაფა ჩაით. მეეს ნესი არ ვიცოდი და სანამ ამას შევიტყობდი, დიდ გასაჭირში ვიყავი. ამ ნესის ათვისების შემდეგ კი შვებით ამოვისუნთქე, თორემ ოცამდე ფინჯან ჩაის რა დამალევინებდა!..

ტაშენტთან ყველაზე ახლოს ფუნქციონირებს ალაის ბაზარი. ამ ბაზრის მხილველს, საერთოდ, შეგეცვლება ნარმოდგენა ბაზრის შესახებ. აქ პირველი, რაც თვალში გეცემა, ეს არის ეგვიპტის პირამიდების ფორმის, საზამთროსა და ნესვის მთები. გამყიდველი არის ერთადერთი ნვერი-ანი უზბეკი გლეხი, რომელსაც ამ პირამიდის პირველ „სართულზე“ მოწყ-

ობილი აქვს ნაბადგაშლილი საწოლი, ზამბარიანი სასწორით და ჩაის „სამოვარით“. მყიდველს შეუძლია აარჩიოს პროდუქტი და საფასურიც იქვე გადაიხადოს. იმ დროისათვის, როდესაც პირველად ვნახე ეს „პირამიდები“, საზამთრო ლირდა კილოგრამი ხუთი საბჭოთა კაპიკი, ხოლო დათაფლული ნესვი ... ოცდახუთი-ოცდაათი კაპიკი...“

მეორე საოცრება, რომელიც მაშინ ვნახე და სამუდამოდ დამამახსოვრდა, იყო წვეროსანი, ხანდაზმული უზბეკების საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლებიც „სამოვარის“ გარშემო, ხალიჩაზე ფეხმორორთხმულები ისხდნენ და აუჩქარებლად სვამდნენ ჩაის. მათ მოძრაობას და საუბარს დიდხანს ვადევნებდი თვალს, სანამ განრისხებულმა საშამ არ მომცა შენიშვნა, რომ ამ მოხუცებისათვის ამდენი დროის დახარჯვა არ იყო საჭირო. ერთი კი კუთხარი ჩემს მეგობარსა და მასპინძელს, რომ ასეთ რამეს ვერც ევროპაში და ვერც საბჭოთა კავშირში, სხვაგან ვერ ვნახავდი და ამიტომაც ინვევდა ეს „სანახაობა“ ჩემში ასეთ დიდ ინტერესს. ამის შემდეგ ისლა დამრჩენოდა, დავმორჩილებოდი მასპინძლის ბრძანებას და შევერთებოდი ჩვენი კოლეგების ჯგუფს, რომლებიც უკვე მაღიანად შეექცეოდნენ უშველებელ შამფურზე შემწვარ მწვადებს. მეჩვენება, რომ ჩვენ, ქართველებს, ჩემი აზრით, მწვადის შენვის ეს ტექნოლოგია, ჯერ კიდევ არ აგვიყვანია უზბეკურ სიმაღლეზე...“

ალაის ბაზარი, ჩვენებური, მაგალითად, თბილისური ბაზრისაგან, კიდევ ერთი თავისებურებით გამოირჩევა ... ამ ბაზარში გამყიდველების რიცხვი უფრო დიდია, ვინემ მყიდველებისა!

ბაზარში უხვად არის გამოტანილიალმოსავლური პროდუქტი. ბალჩეულის გარდა, შეიძლება ჩიტის რძეც კი იყიდოთ, იმდენად მრავალფეროვანია აქ წარმოდგენილი საქონლის ასორტიმენტი. ბალ-ბოსტნების რწყვის ტექნოლოგიაში კი უზბეკებს პირველობაში ვერავინ შეედრება.

რეაქტორამდე მისასვლელ გზის გასწვრივ ვნახე ვაშლის ბალების საგანგებოდ მოვლილი კორომები.

როდესაც ქართველი კაცი ამბობს, - ვაშლის ბალებიო, - ავტომატურად თვალნინ წარმოუდგება გორის რაიონში არსებული ხეივნები, მაგრამ უზბეკური ბალები, ჩვენებურისაგან ძირეულად განსხვავდება ნარგავების გიგანტური ზომებით. უზბეკური ვაშლის ბალები, შორიდან ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომიფიქრებთ, ეს ბერძნული კაკლის ორმოცდაათსამოცნლიანი ხეების ხეივანია.

როგორც უზბეკმა კოლეგებმა ამიხსნეს, ყოველი ძირი ასეთი ხიდან, თურმე, იკრიფება ერთ ტონაზე მეტი ვაშლი!..

აქმოყვანილი ერთი თავისახვის რულიად საკმარისია საოჯახო სადილის დასამზადებლად, თანაც ბაზარზე გამოტანილი ხახვი ისეა დაკალიბრებული, რომ ყველას აქვს ერთნაირი ფორმა და თითქმის ერთნაირი წონა!..

აქ მოყვანილი სუფრის ჯიშის ყურძნის ერთი მტევანი დიდის გაჭირვე-

ბით შეიძლება განათავსო ჩვეულებრივ, სტანდარტულ კალათში. შაქრი-ანობის თვალსაზრისით კი ბადალი არ ჰყავს. რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩენოს, ბირთვული ფიზიკის თანამშრომლებს გამოყოფილი ჰქონიათ ოთხასი კვადრატული მეტრის ფართობი კოტეჯის განსათავსებლად და საჭირო ბოსტნეულის მოსაყვანად. მე ამიხსნეს, რომ ასეთი ოჯახები ამ პატარა ნაკვეთში ამზადებენ წლის სამყოფ ბოსტნეულს და ისინი თავს არ იწუხებენ ბაზარში სიარულით!..

საკუთარი თვალით რომ არ მენახა ასეთი საოჯახო ბალ-ბოსტნები, ვერაფრით დავიჯერებდი, რომ ეს არ იყო ხუმრობა.

ჩემი უზბეკი კოლეგები ხშირად ანყობდნენ ფართომასშტაბიან კონფერენციებს და სიმპოზიუმებს. მე თითქმის ყველა ასეთი თავყრილობის მონაწილე ვიყავი. ბოლო წლებში უკვე შეინიშნებოდა ყოველდღიური სამეურნეო და საკვები პროდუქტების დეფუიციტი, ხოლო ავლანეთის ომის დაწყების შესახებ ჩემი კოლეგების მონათხრობიდან, უკვე ვიცი, როგორი დიდი სტრუსი გადაიტანეს.

ერთი ჩემი ტაშკენტელი კოლეგა მიყვებოდა, როგორ გაატარა ის ლამე გამზადებული ჩემოდნით და ატირებული ორი ბავშვით შესაძლო დაბომბვის მოლოდინში. ავლანეთის ოპერაცია დაწყებულა ლამით. თურმე, თვით-მფრინავების გუგუნი მთელი ლამის განმავლობაში გრძელდებოდა, სრული ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში და ყველა ფიქრობდა, რომ დაინყო ატომური ომი. სანამ შეშფოთებული მოსახლეობა დარწმუნდებოდა, რომ მათ პირადი საფრთხე ჯერ არ ემუქრებოდათ, გავიდა საკმარისი დრო და ეს ფსიქოლოგიური ტრამვა დიდხანს დარჩა მათი პირადი ცხოვრების თანამგზავრად.

მერე დამერე სულ უფრო გართულდა და გაძნელდა ნინა წლების მანძილზე ჩამოყალიბებული თბილი და საქმიანი ურთიერთობა ძველ კოლეგებს შორის. საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შემდეგ კი, სამნუხაროდ, ავლობინდით ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში.

ამ, ასეთი ეპიზოდური ამბები დამამახსოვრდა უზბეკ კოლეგებთან ჩემი საბჭოური ცხოვრების დროს დამყარებული თბილი და ნამდვილი, მეგობრული ურთიერთობებიდან.

## 10. ეპიზოდები პროფესორ ვასო ვერულაშვილის ცხოვრებიდან

ბატონივასო ვერულაშვილის პროფესიონალური და ცხოვრების ეული ეპიზოდების შესახებ სრული ინფორმაციის გადმოცემა შეუძლებელია. ამ პატარა ჩანაწერში მინდა მკითხველს მოვუთხრო მისი პიროვნული ღირსებებისა და განსაკუთრებით პროფესიონალური სასწაულების შესახ-

ებ, რომელთაც ეს უკეთილშობილესი პიროვნება ავლენდა ადამიანების მიმართ. სწორედ თავისი დიდი გამოცდილების წყალობით ახდენდა „სასწაულებს“, რომლებიც დაკავშირებული იყო მრავალი უნაყოფო ქალ-ისათვის დედობის საოცნებო სიხარულის ბოძებაში. ის ნარმატებით მეურნალობდა უნაყოფობის საკმაოდ გავრცელებულ დაავადებას და მისი მე-თოდიკა იმდენად წარმატებული იყო, რომ მასთან მოხვედრაზე მსურველთა შორის არა მარტო ქართველი მანდილოსნები იდგნენ „რიგში“, არამედ ბევრი ჩვენი მეზობელი რესპუბლიკებიდანაც აკითხავდა ამ მადლიანი ხელის და გონების პროფესიონალ ექიმ-გინეკოლოგს.

მინდა მეტოველს მოუთხრო ერთი ეპიზოდის შესახებ, რომლის მოწმე და მონაცილეც, სრულიად შემთხვევით, გავხდი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში.

1969 წლის 4 დეკემბერს, საბჭოთა კონსტიტუციის შემოღების წინა დღეს, რომელიც, როგორც ცნობილია, მაშინ დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, პროფესორ ვასო ვერულაშვილს ყაზახში მცხოვრებმა მისმა პაციინტებმა მიმართეს თხოვნით, რომ სწვეოდა მათ თავის ახლობლებთან ერთად ოჯახურ ვახშამზე. ბატონ ვასოს შეეძლო, ნებისმიერი კონტიგენტის და რაოდენობის, თავისი ახლობელ-ნაცნობი წაეყვანა სტუმრად ამ ბედნიერი მასპინძლის ოჯახში.

ცნება „ბედნიერი“ აქ შემთხვევით არ მიხსენებია.

საქმე იმაშია, რომამ ოჯახის დიასახლის-ქალბატონს წლების განმავლობაში არ უჩინდებოდა შვილი და მას შემდეგ, რაც ბატონმა ვასომ თავისი მეთოდით უმკურნალა, უკვე მეორე ბიჭი შეეძინა. მასპინძლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და სწორედ ამ საზეიმო დღესთან დაკავშირებით, - ისე რომ, არც კი დაუცადა თავისი მეუღლის სამშობიარო სახლიდან გამოწერას, მასპინძელმა გადაწყვიტა თავისი სიხარული გამოეხატა მეფური პურ-მარილის მოწყობით.

ბატონმა ვასომ ამ მოწვევის შესახებ ყველაფერი გაანდო მის მეგობარს და კოლეგას, პროფესორ ალექსანდრე რობაქიძეს თხოვნით, - შეეკრიბა მეგობრები აზერბაიჯანის ყაზახის რაიონის ცენტრალურ დასახლებაში წასასვლელად.

პროფესორი ალექსანდრე რობაქიძე ჭკვიანი კაცი იყო და კარგად ეს-მოდა, რომ ჩემი და კიდევ რამდენიმე ახლობლის დაყოლება მხოლოდ მეფური პურ-მარილის გამართვით არ გამოვიდოდა. ამიტომ მოითიქრა ჩვენი დაინტერესება სხვა, უფრო ეგზოტიკური წინადადებით, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ აზერბაიჯანელ მასპინძლებს წავეყვანეთ ფოლიოს წაერძალში გარეულ ღორზე სანადიროდ, ხოლო მთავარი სტუმრისათვის - პროფესორ ვასო ვერულაშვილისათვის საშუალება მიეცათ, რომ სათევზაო ბადე ესროლა მდინარე მტკვარზე.

ეს ჩვენი პირობა უყოფმანოდ მიიღეს ჩვენმა აზერბაიჯანელმა მასპინ-

ძლებმა და სრული კომუნიტისათვის, გადაწყვიტეს ჩვენთვის მეგზურად გამოყოლებინათ ნაკრძალის ეგერი. მანამდე კი, კონსტიტუციის დღეს, ოთხ დეკემბერს დიდი ქეიფი უნდა გაგვენია...

ჩვენი აზერბაიჯანელი მასპინძელი ნითელ ხიდთან გველოდა გაპრი-ალებული ავტომობილებით. როგორც კი გავიარეთ ქართველ მესაზღვრე-თა ძალისხმევით საპასპორტო შემონმება და გავედით საქართველოს ზონიდან, აზერბაიჯანელ მესაზღვრებს ფორმალურადაც კი არ გაუსინ-ჯიათ ჩვენი პასპორტები და იმავე წუთში ჩაისცეს ბატონი ვასო გაკრი-ალებულ მანქანაში და ზარ-ზეიმით ნაიყვანეს მასპინძლის საცხოვრებელ სახლში.

ჩვენ კი ბატონი ალექსანდრე რობაქიძის „ვოლგით“ - ისე რომ, არც კი გადმოვსულვართ მანქანიდან, - გავყევით აზერბაიჯანის ავტოინსპექცი-ის პატრულს, რომელმაც მიგვაცილა მასპინძლის ოჯახამდე უპრობლემ-ოდ და უსაფრთხოდ.

აი, აქ კი გათამაშდა ჩემთვის მოულოდნელი სცენა.

როგორც ავლნიშნავდი, მე და ჩემირამოდენიმე თანამგზავრი, ალჭურ-ვილები ვიყავით სანადირო ტანსაცმლით: ჯარისკაცის ჩექმებით, წყალ-გაუმტარი შარვალ-კოსტუმებით, ყურებამდე ჩამოფხატული ქუდებით, და, რაღა თქმა უნდა, სანადირო თოფებით, სავაზნე ქამრებით და დიდი ჩანთებით, ნანადირევის შესანახად.

წვიმიანი სალამო იყო და ჩემი ქირზის ჩექმები გვარიანად იყო ამოგან-გლული ტალახით.

ჩვენი მასპინძლის სახლი იყო „ბელეტაშის“ ტიპის, დიდი აივნით, სა-ბანკეტი დარბაზით და საძინებელი ოთახებით.

მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ გაიღო აივნის კიბის თავზე არსებუ-ლი კარი, საიდანაც გამობრძანდა ბატონი ვასო და დიდის ყურადღებით დამინყო ჩემი სანადირო ჩატრულობის თვალიერება. ძალიან დიდხანს აკვირდებოდა ჩემს ჯარისკაცულ ჩექმებს და ბოლოს ნარმოუდგენელი იუმორის გრძნობით მითხვა, - ბატონო ლიგური, მოგინევს მაგ ჩექმების მანდვე გახდაო, - და მომაწოდა დათბილული სუფთა ჩუსტები, ჩექმების მაგიერ ჩასაცმელად. თანაც დაამატა, - ჩემო კარგო, მაგ ჩექმებით აქ შენ არავინ შემოგიშვებსო.

თავიდან ბატონი ვასოს ეს ნინადადება ხუმრობად მივიჩნიე, მაგრამ სულ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი ჭკვიანი პროფესორი სრულ სიმართლეს მეუბნებოდა.

დავემორჩილე მასპინძლის რჩევას და ჩემი ტალახში ამოგანგლული რუსული ჩექმები დავტოვე ლოჯის შესასვლელთან, კიბის ქვეშ.

ჩავიცვი თბილი ჩუსტებიდა, - ჰოისაკვირველებავ! - შევალე ლოჯის კარი და რას ვხედავ - მთელ ლოჯში დაგებულია სპარსული ხალიჩა, უმაღლეს დონეზე ნაქსოვი და მრავალი ორნამენტით დამშვენებული.

თავად ხალიჩა არის საკმაოდ სქელი და მკვიდრად ნაქსოვი.

ლოჯში არის ყველაფერი იდეალურ წესრიგში, ავეჯის ჩათვლით.

ამ მომენტში თავს ვგრძნობდი პირველყოფილ აბორიგენად, რომელიც რაღაც შემთხვევითობის წყალობით აღმოჩნდა მაღალი განვითარების მქონე ცივილიზაციულ სამყაროში.

ამ ლოჯის დათვალიერების შემდეგ, ბატონი ვასოს პაციენტმა მიგვინვია საბანკეტო სუფრას სთან.

ის, რაც ლოჯის დათვალიერების დროს ვნახე, აღმოჩნდა მხოლოდ პატარა დეტალი, ჩვენი მასპინძლის საბანკეტო დარბაზისა და, განსაკუთრებით, საძინებელი ოთახების სხვა, ამ ოჯახში ნანას საოცრებათა ფონზე.

თავდაპირველად მკითხველს მოვუთხრობ საბანკეტო დარბაზში გათამაშებულ სცენების შესახებ. იატაკი კვლავ დაფარული იყო სპარსული ხალიჩით, რომელიც ბევრად აღემატებოდა ლოჯში გაფენილს თავისი ორნამენტების სიუხვით და შესრულების მაღალი დონით. ასეთი ხალიჩა, ალბათ, სპარსეთის შაპის რეზიდენციაშიც კი შეიძლებოდა გაეფინათ მის დიზაინერებს. საბანკეტო სუფრას ემსახურებოდა მხოლოდ მამაკაცთა ბრიგადა — მე იქ ქალის ხმაც კი არ გამიგია.

საზეიმო სუფრას ამშვენებდა: ქართული, სომხური და აზერბაიჯანული კონიაკების ფართო ასორტიმენტი. აქ იყო ნარმოდგენილი თევზის ყველანაირი უძვირფასესი სახეობა, შავი და ნითელი ხიზილალის ჩათვლით. ამ სუფრაზე პირველად ვნახე ინდაურის თეთრი, რბილობილი ხორცისაგან შამფურზე შემნვარი მნვადები.

ერთი სიტყვით, ქეიფის მოყვარული კაცისათვის, აქ იყო ყველაფერი, მაგრამ ჩვენს შორის არავინ გიუდებოდა საჭმელ-სასმელზე და ყველა მოუთმენლად მოელოდა მეორე დღეს ბუნების ნიაღში გასეირნებას.

ჩვენმა მასპინძლებმა დროულად აუღეს ალლო სტუმრების განწყობილებას და ორ-ორი სტუმარი დაგვარიგეს საძინებლებში ღამის გასათევვად.

ბატონ ვასო ვერულაშვილს და მე ერთოთახში შეგვიძლვა მასპინძელი და მიგვიჩინა სანოლები. აქ კი კვლავ გავხდით საოცრების მოწმეები.

საძინებელი სანოლები განყობილი იყო მთლიანად ბუმბულის საბნებით, ბალიშებით და ლეიბებით. როცა იმ სანოლში ჩავნექი, ვგრძნობდი, რომ ვიძირებოდი „ზღვის“ ფსკერზე... ასეთ ფუნფულა სანოლში მე არა-სოდეს მძინებია და, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, არც ბატონ ვასოს, თურმე, არ ჰქონია ასეთი შემთხვევა.

მეორე დილით, გათენებამდე დაახლოებით ორი საათით ადრე მოვიდა ეგერი და გაგვიძლვა ფოლიოს ნაკრძალისაკენ.

გვიანი შემოდგომა იყო და თბილ ქვეყნებში გადამფრენი ფრინველები, ამ ნაკრძალის ასწლოვანი ტირიფების ტოტებზე ღამით შემომსხდარნი, დილის დადგომას ამცნობდნენ თავიანთ ფრთოსან მოძმეებს სასიამ-

ოვნო ჭიქიუითა და ზარ-ზეიმით. ყველა ფრინველს თავისი ორკესტრი ჰქონდა მოწყობილი და მათი გალობის მოსმენაზე უკეთესს ეროვნული ნარმოიდგენდა ადამიანი. თბილ ქვეყნებში გადამფრენ ფრინველთა ასე-თი ერთობლიობა სხვა დროს არსად არ მინახავს და არც მათი ჭიქიუი მომისმენია. იქ ნანახი მგალობელი ფრინველების შემდეგ თოფი საერთოდ შემჯავრდა!..

უკვე თენდებოდა და, თურმე, ამ დროს ხოხბები, კაკბები, დურაჯები მიდიან ნაკრძალის ტყის მასივიდან მტკერის სანაპიროზე ნყლის დასალევად და საზრდოს საშოვნელად. ამ ფრთოსნების ყოფა-ქცევა კარგად იცოდა ჩვენმა მეგზურმა ეგერმა და ნინასნარ გაგვაფრთხილა, რომ დედალი ხოხობისათვის თოფი არ გვესროლა. როგორც გამონაკლისი, ნებას გვაძლევდა თითო მამალი ხოხობი მოგვეპოვებინა.

მამალი ხოხობი, ჯერ ერთი, ზომით აღემატება დედალს და მეორეც, აქვს გრძელი, ლამაზი ბოლო, ხოლო დედალი ხოხობი ზომითაც პატარაა, არც დიდი ბოლო აქვს და არც შეედრება სილამაზით მამალ ხოხობს. ეს ანბანური ჭეშმარიტება კარგად იცის გამოცდილმა მონადირემ და აქ შეცდომა გამორიცხულია.

სამწუხაროდ, ამ დროს ერთმა ჩვენიანმა ახალგაზრდამ, რომელსაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ნადირობაზე ძალიან ბუნდოვანი ნრმოდგენა ჰქონდა, პირველივე აფრენილი დედალი ხოხობი ჩამოაგდო და ამით ისე გაანაწყენა ჩვენი თანმხლები ეგერი, რომ მტკერის სანაპირო ტყიდან ნამოგვიყვანა შუაგულულრან ტყეში, სადაც ხოხობი კი არა, სხვა ველური ფრინველის ჭაჭანებაც კი არ იყო.

ფოლიოს ნაკრძალის ორ კილომეტრიანი ტყის კორომის ბოლოს შევნიშნეთ კვამლის სვეტი. როცა ამ ადგილს მივუახლოედით, აღმოჩნდა, რომ ჩვენს მასპინძელს ნინასნარ მოუფიქრებია დილით, უზმოზე ნამოსული სტუმრების გამასპინძლება ბუნების ნიაღში ახლად დაკალული, თამამი ბატკნის მწვადით.

კვლავ აღვნიშნავ, რომ არის ხუთი დეკემბრის დილა. ქვეყანა ზეიმობს საბჭოთა კონსტიტუციის დღეს.

კოცონთან მისულები სახტად დაერჩით - მაღალ ჩექმებში გამოწყობილ ბატონ ვასოს მეთევზის ბადე გადაეგდო მხარზე და ალმაცერად გვიღიმოდა. იმან ხომ ნინასნარ იცოდა, რომ ჩვენ დიდი გამოცდილების მქონე მონადირეები არ ვიყავით და ერთი ხოხობის ანაბარა, გამოპანჩურებულები, სხვა სერიოზულ ნანაღირევზე მნიშვნელად ვიქწებოდით...

დიდ ცეცხლზე ელაგა შამფურზე აგებული ბატკნის მწვადი. ჩვენი მასპინძელი გვთავაზობდა, რომ ცეცხლიდან ახლად აღებული მწვადის შამფურები, თუ ეს მოგვენონებოდა, დაგვესველებინა მანვნით. თავად აზერბაიჯანელები ამ მეთოდს ხშირად იყენებდნენ და ჩვენც გვიმტკიცდნენ, რომ ეს აუმჯობესებდა და არბილებდა მწვადის გარე ზედაპირს. მარ-

თალი გითხრათ, ეს მეთოდი კა დიდის აღრფოთოვანებით არ მიმიღია...

მწვადის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ნახევარი დარჩა შამ-ფურზე და ცეცხლთან უფრო მეტი...

სწორედ ამ დროს მოვისმინებატონი ვასო ვერულაშვილისგან ტყვეობიდან გამოქცევის დროს გადატანილი შიმშილის შესახებ ბელორუსის ჭაობიან ტყვებში; მის მიერ აქ ნარმოთქმული იყო ფრაზა — „სადა ხარ შიმშილონ!“ და ამ დროს მოგვიყვა იმ უბედურების შესახებ, რომელიც გაატარა გერმანელთა ტყვეთა ბანაკში და განსაკუთრებით მაშინ, როდე-საც გამოიქცა ტყვეობიდან. აქ უკვე ეპიზოდურად მოგვითხრო ის ტანჯ-ვა, შიში და შიმშილი, რომელიც ტყვეობიდან გამოქცევის შემდეგ გამოი-არა იმ საშინელი ომის პერიოდში.

საერთოდ, ბატონ ვასოს არ უყვარდა ომის საშინელებაზე ლაპარაკი, როგორც ჩანს, ეს მის ტკივილს კიდევ უფრო აძლიერებდა. მაგრამ აქ კი „ულალატა“ თავის პრინციპს და მოგვიყვა ამბავი, გადატანილი უბედურე-ბის ზოგიერთ დეტალზე. ხოლო მოთხოვობა დაასრულა ასეთი სიტყვებით, - „მაშინ ვერაფრით დავიჯერებდი, რომ დადგებოდა ისეთი დრო, როცა სუფრაზე საჭმლის სიუხვე იქნებოდა, არავინ დამიშლიდა ჭამას და ამის მომსწრე გავხდებოდი“...

ჰოდა, სწორედ ფოლიოს ნაკრძალში, შამფურებზე დატოვებული მნ-ვადების შემყურე პროფესორმა ვასო ვერულაშვილმა თქვა ეს სიტყვები - „სადა ხარ შიმშილო!“

ამგვარი დილის საუზმის შემდეგ, ეგერი წაგვიძლვა ზემოთ აღნერილი ტყის კორომის გადაღმა არსებულ უზარმაზარი ლიჭის ბარდებისაკენ, სადაც, წესით და რიგით, უნდა ყოფილიყვნენ შეფარებული გარეული ლორები.

როგორც ცნობილია, მუსულმანები ლორის ხორცს არ მიირთმევენ, მა-გრამ კარგად იციან, რომ ამ პროდუქტს დიდი გასავალი აქვს საქართველო-ში. ამიტომ ხოცავენ მოზრდილ ტახებს და ქართულ ბაზარზე გამოტანის შემდეგ, კარგა გვარიანადაც ითბობენ ხელს. სწორედ ამის გამო, ამ ბოლო დროისათვის გარეული ტახის პოპულაცია აზერბაიჯანის სანახებში მნიშ-ვნელოვნად შეთხელდა..

მთელი დღის განმავლობაში არ დაგვიტოვებია არც ერთი ლიჭის კო-რომი თუ ეკალ-ბარდით დაფარული ჯაგნარი, სადაც უნდა ყოფილიყო გარეული ლორების სამალავი და თავშესაფარი, მაგრამ გარეული ლორ-ისთვის თვალიც არ მოგვიკრავს.

დღის ბოლოს დალლილ-დაქანცულები უნდა დავბრუნებულიყავით უკან. ამ დროს თავში გამიელვა ერთმა რეალურმა იდეამ - ცოტა ხნით წაგვენადირა ველის კურდლელზე, რომლებიც ფოლიოს სახელმწიფო ნა-კრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად ბინადრობდა. ეს იდეა მის-ალები აღმოჩნდა კიდევ ორი ჩვენი ტახზე მონადირე ყმანვილისათვის და

სულ რაღაც ორმოცი ნუთის განმავლობაში მოვიპოვეთ ხუთი გარეული კურდლელი. ეს უკვე უფლებას გავაძლევდა, თავი ჩაგვეთვალა ნამდვილ მონადირეებად. ამგვარად, ყურცქვიტა კურდლებმა გვიხსნეს დიდი სირცხვილისაგან.

ჩვენმა მასპინძელმა, გამოსამშვიდობებელ ვახშამზე, კვლავ მიგვინვია სუფრასთან, ისევ წარმოითქვა თბილი სიტყვები პროფესორ ვასო ვერულაშვილის მისამართით და, როგორც წამდვილმა მეგობრებმა, მადლიერებით დავტოვეთ ეს ბეჭნიერი, უკვე ორივაჟის მამის ოჯახი კეთილი სურვილებით...

ქვეყანას, სადაც იბადებიან პროფესორ ვასო ვერულაშვილის რანგის მეცნიერები, გადაშენება არ უნერია!..

## 11. ირკუტსკი — 1966 წლის აგვისტო

ცენტრალური ციმბირის ქალაქ ირკუტსკში 1966 წლის აგვისტოში ჩატარდა მეხუთე საკავშირო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მიკროელემენტების ბიოლოგიური როლის შესწავლის აქტუალურ საკითხებს. ამ კონფერენციის მუშაობაში მონანილეობას იღებდა მედიკოს-ბიოლოგთა დიდი „არმია“. ფიზიკოსები ამ კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც „დამხმარეძალა“, რომლებსაც ევალებოდათანალიზური ხასიათისა ამოცანების გადაჭრა.

იმ დროისათვის ნეიტრონული-აქტივაციური ანალიზის მეთოდები უკვე ფეხს იყიდებდა მედიცინაში პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ქართველი მედიკოსები უკვე წარმატებით იყენებდნენ ამ მეთოდს თავიანთ გამოკვლევებში და ამ კონფერენციაზე მათ მიერ გამოტანილმა მოხსენებებმა, რომლებიც წარმოადგინეს პროფესორებმა: ტარიელ ჩიქოვანმა, ეთერი ბოცვაძემ და ზიოვიბეგ ბიბილაშვილმა, ადამიშვილეს სპეციალისტთა დიდი ყურადღება და მოწონება.

კონფერენციის მუშაობაში მონანილეობას იღებდა მხცოვანი მეცნიერი პროფესორი ანატოლი ივანეს ძე ვენჩიკოვი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, უსაფრთხოების მიზნთ, ლენინგრადიდან გადაიყვანეს აშხაბადის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ. ეს იყო გასაოცარი თავმდაბლობის მქონე პროფესორი, რომელთანაც საუბარი და მსჯელობა აქტუალურ საკითხებზე მიმდინარეობდა მშვიდად, ყოველგვარი ამბიციების გარეშე. ვისაც ერთხელ მაინც გადაუფურცლია ანატოლი ვენჩიკოვის მონოგრაფია „ნიოტიკი“, ის უყოფმანოდ დამეთანხმება, რომ ამ წიგნის ავტორი არის, მართლაც, მაღალი კლასის პროფესიონალი მეცნიერ-მკვლევარი.

მომდევნო წლებში მე მქონდა მუდმივი მიმოწერა ამ დიდ მეცნიერ-

თან. 1969 წელს ვენჩიკოვი ჩამოვიდა თბილისში, როგორც პირველი ოფიციალური ოპონენტი ტარიელ ჩიქოვანის სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს. ამის შემდეგ, საქართველოში წესად ქცეულ საოჯახო ვახშამზე, ერთხელ კიდევ მომეცა შანსი, კვლავ პირადად მესაუბრა მხცოვან პროფესიონალთან. მისგან ისევ მივიღე რჩევები მეტალების ბიოტიკური კონცენტრაციებით კვლევების ნარმართვის კუთხით. მას კარგად ესმოდა კომპლექსების „მეტალ-ცილის“, „მეტალ-ნუკლეინის მჟავების“ შესწავლის აქტუალობა. წუხდა, რომ სასანავლო დაწესებულებაში (აშხაბადის სამედიცინო ინსტიტუტში) მუშაობა მისგან დიდ შრომას და ძალისხმევას საჭიროებდა, რის გამოც ძალიან ცოტა დრო რჩებოდა კვლევითი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. ეს განცხადება პროფესიონალური ვენჩიკოვის თავმდაბლობის კიდევ ერთი მაგალითი იყო, თორემ მის მიერ განხორციელებული ექსპერიმენტები ლია გულზე, ნებისმიერი მომთხოვნი ახირებული ოპონენტის ყველანაირ კრიტიკას გაუძლებდა!

მე კარგად დამამახსოვრდა ამ მოკრძალებული მეცნიერის ერთი ფრაზა, რომლის შინაარსიც ჩემი სიტყვებით ასეც შეიძლებოდა გადმომეცა: „ხანდაზმულ ასაკში რომ კვლავ შემიძლია ახალგაზრდული ენერგიით მუშაობა, ეს მხოლოდ ჩემს მიერ მიგნებული მეთოდოების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს“. თურმე, ბავშვობისა და ყრმობის ასაკში, როგორც გამანდო, ყოფილა ფიზიკურად სუსტიდა ხშირად ავადმყოფობდა კიდეც. მას შემდეგ, რაც მიაგნო საუთარი ჯანმრთელობის მეტალების ბიოტიკური დოზებით მკურნალობის მეთოდს, არა მარტო გამოჯანმრთელდა, არამედ მნიშვნელოვნად მოემატა შრომისუნარიანობაც. მარნმუნებდა, რომ დილის ექვსი საათიდან საღამოს ათ საათამდე მუშაობდა უნკვეტად და, საერთოდ, რა იყო დალლა, ალარ ახსოვდა...

აი, ასეთი დამამახსოვრდა პროფესიონალური ანატოლი ივანეს ძე ვენჩიკოვი მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან.

ირკუტსკში ვნახე ციმბირის პაპის - წესტორ კალანდარიშვილის ძეგლთან მიტანილი ცოცხალი ყვავილების გვირგვინები. როგორც ცნობილია, იგი დაიღუპა 1922 წლის იანვარში, თავისი სამასკაციანი რაზმით თეთრგვარდიელთა ალყაში მოხვედრის დროს.

ირკუტსკი, ბაიკალი და მდინარე ანგარა, რომელიც გამოდის ბაიკალის ტბიდან, - ეს ის ობიექტებია, რომელთა ხილვაც ბევრ უცხოელ ტურისტს ანდამატური ძალით იზიდავდა და, ალბათ, დღესაც ასეა.

სხვათაშორის, ტაიგაში, ირკუტსკსა და ბაიკალს შორის, არის აშენებული ოთხსართულიანი ლამაზი შენობა, სადაც იგეგმებოდა საბჭოთა კავშირში აშშ-ის პრეზიდენტის ჩამობრძანება. როგორც ცნობილია, ეს ვიზიტი მაშინ არ შედგა, მაგრამ შესანიშნავად მოასფალტებული ტრასა ირკუტსკიდან ბაიკალამდე და ლამაზად აშენებული ტურისტული კორპუსი „საჩუქრად“ დარჩათ ციმბირელებს.

ბაიკალის ტბის წყალი გამოირჩევა მაღალი სისუფთავით და მისი ტემპერატურა აგვისტოშიც კი არ აღმატება რვა-ათ გრადუსს ცელსიუსის შეკალით. ამ ტბაში ბინადრობს კალმახის მსგავსი, ძვირფასი თევზი ომული. აი, ამ თევზის რენვის ლიცენზია გასცა სამოციან წლებში ნიკიტა ხელშემა, რომელიც იყიდეს ჩეხებმა, რამაც ირკუტსკის მცხოვრებლებში დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

**ბაიკალის წყალი სასმელად არ საჭიროებს არანაირ ნინასწარ გასუფთავებას.**

ერთადერთი მდინარე, რომელიც სათავეს იღებს ბაიკალის ტბიდან, არის ანგარა. ანგარას ციმბირელები მდინარედ მოიხსენიებენ, თორემ ჩემთვის ეს არის დიდი, მოძრავი ზღვა! ამ მდინარის სიგანე აჭარბებს ორ კილომეტრს. აქ თავისუფლად დაცურავენ დიდი გემებიც კი. ტურისტებს ემსახურება მაღალი კლასის კატარლა-ტრამვაი. მგზავრობის ლირებულება სიმბოლურია — პრაქტიკულად უფასო. დიდი სიამოვნებაა ამ ტრამვაით ანგარა-ბაიკალზე გასეირნება...

დღევანდელი დაბრძენებული და წლებით დამძიმებული პროფესორი ზივი ბიბილაშვილი იმ დროს, მედიკოსთა ირკუტსკის კონფერენციაზე, ყველაზე ახალგაზრდა და მობილური პერსონა იყო. ფრთები რომ ჰქონდა, ფრენასაც კი შეძლებდა! თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჰქონდა დალიან კარგი, მეგობრული ხასიათი, ძნელი იყო მისი წინადადება არ მიგელო და არ აპყოლოდი...

და აი, ერთ დღეს, თავისი კოლეგები დაპატიჟა ირკუტსკიდან ორმოცი კლომეტრის დაშორებით, ტაიგაში აშენებულ პატარა ქალაქ ანგარსკში, თავის ღვიძლ ბიძაშვილთან სტუმრად. ზივის ბიძა იყო ბრატსკის გიგანტური მშენებარე ელექტროსადგურის მთავარი ინჟინერი, ხოლო მისი ვაჟი შევილი ცხოვრობდა ქალაქ ანგარსკის დასახლებაში. ზივის ლოგიკა იყო ასეთი: კიდევ როდის მომინევს აქ ჩამოსვლა, ლმერთის მეტმა არავინ იცის; აი, ახლა აქვარ და ჩემი ბიძაშვილი რომარცნახო, ნამდვილად არ ივარგებს. მეტი რა გზა იყო, დავთანხმდით ანგარსკში გასეირნებას.

ბატონმა ზივიმ დაიქირავა ტაქსი და გავუდექით ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას. სულ ორმოც წუთში აღმოვჩნდით ამ პატარა და კოხტა ქალაქში.

დიდად გამაოცა ამ ქალაქში საიუველირო მაღაზიის ხილვამ და იქ არ-სებულმა — ოქროს, ვერცხლის და სხვა ძვირფასი ლითონების ფასებმა, რომლებიც იყო დაუჯვერებლად დაბალი. ცოტა უფრო ძვირი ლირდა ბრილიანტებით განყობილი ოქროს სამკაულები. საიუველირო ნაკეთობების ასეთი სიუხვე არსად არ მინახავს — არც მოსკოვში, არც ლენინგრადში, არც რიგაში და არც დრეზდენში. რაოდენ გაოცებული დავრჩი, როდესაც ჩვენი დელეგაციის ერთმა ჭკვიანმა ქალბატონმა იყიდა ბრილიანტებით განყობილი ქალის ყელსაბამი. ჩემი ვარაუდით, დღეს ეს ყელსაბამი, ალ-

ბათ, ასტრონომიული თანხა ღირს.

ამ პატარა ექსკურსის შემდეგ, ბატონმა ზივი ბიბილაშვილმა წაგვიყვანა თავისი ბიძაშვილის მოსანახულებლად. ეს ყმანვილი იყო ციმბირში გაზრდილი, დაკაცებული ახალგაზრდა, რომელიც მარტო ცხოვრობდა ძვირფასი ჯიშის ხით განცყობილ, ოროთახიან ბინაში.

ერთი ოთახი მთლიანად დათმობილი ჰქონდა ციმბირის ნყალუხვი მდინარეების მიერ ნაპირებზე გამორიყული ძვირფასი ჯიშის ხეების წყალში „ნაბანავები“ კუნძებისაგან შეგროვილ ექსპონატებს. ზოგიერთი ასეთი „ექსპონატი“ გამოსახავდა რომელიდაც ცხოველის კონფიგურაციას. ასეთი ექსპონატები ჩვენს მასაინძელს საგულდაგულოდ ჰქონდა განთავსებული ამ ოთახის პანელებზე.

ყოველი ამგვარი ექსპონატის შესახებ ბატონი ზივის ბიძაშვილი თავდავინყებით მიყვებოდა დეტალებს, თუ როდის და სად იპოვა ეს სიმდიდრე. ყოველი ექსპონატის მისეული დახასიათების შემდეგ კი მეტითხებოდა, მომწონდა თუ არა ესა თუ ის რიყის ჩხრიმალი.

მეც ზრდილობიანად თავს ვუკრავდი და, თურმე, იმასაც წამდვილად სჯეროდა, რომ აღრიცხოვანებული ვიყავი მისი წამუშევრებით.

ბოლოს მაჩვენა წითელი ხისაგან ციმბირის მდინარეების მიერ გაფცევნილი და კარგა გვარიანად დამუშავებული პატარა კუნძი, რომელიც, მართლაცდა, ძალიან ჰგავდა ციმბირულროჭოს. ზომითაც ისეთი მორჩილი იყო, რომ იმავე დროულად მავრნებდა კავკასიის მთებში მობინადრე მამალ როჭოს. ჩემდა საზიანოდ, ვერ დავმალე მონონება ამ კუნძის მიმართ და მასპინძელმა დამაჯილდოვა ამ კუნძით - ერთი პირობით, რომ ამ „როჭოს“ აუცილებლად შევინახავდი ჩემი ციმბირელი მასპინძლის სამახსოვროდ... აი, ამ კუნძით დავბრუნდი ანგარსკიდან ირკუტსკის სასტუმროში.

ბედის დაცინვაა, რომ ყველა ჩემი წაცნობი მედიკოსი, თბილისში ბრუნდებოდა ძვირფასი საიუველერიო ნანარმით, მე კი რიყის კუნძით....

რა მდენეჯერმე გადავწყვიტე ამ კუნძის გადაგდება, მაგრამ ჩემმა ექიმმა-მეგობრებმა არ დამანებეს ამის გაკეთება და სახლში მივედი ამ კუნძით ხელდამშვენებული. არანირი ჩემი მოსაზრება, გამოთქმული ჩემი მეუღლის მისამართით, არ გამოდგა და, ერთადერთი, რა კომპრომისიც მან დაუშვა, ის იყო, რომ ნება დამრთო, ეს ექსპონატი შემენახა სარდაფში. შემდეგ კი, ახალ საცხოვრებელში გადაბარგების დროს, ეს კუნძი არავის აღარ გახსენებია...

ციმბირში მოგზაურობის დროს, ყველაზე შთამბეჭდავი და საინტერესო ჩემთვის იყო იქაური მასშტაბების აღთქმა. ჯერ ერთი: ირკუტსკ-ბაიკალის სამანქანო ტრასიდან დანახული ტაიგა, სადაც ცამდე აზიდული უშველებელი ფიჭვის ტყეების მხოლოდ წვერებში ჩანს წინვოვანი წამონაზრდები. ეს ტყე არის ყველაზე დიდი ციმბირული სიმდიდრე. მეორე საოცრება — ეს არის თვით ბაიკალის ტბა, რომელიც ჩემთვის უკიდეგანო

ზღვაა, აქ მობინადრე სელაპებით და კალმახის ტიპის ომულის ჯიშის თევზით. მესამე საოცრება ეს თავად ბაიკალის სუფთა წყალია.

აღარაფერს ვამბობ სიასამურის ბენზე, გარეულ ღორსა და დათვზე, აგრეთვე ძვირფას ფრინველებზე — ციმბირულ როჭოსა და კაკაბზე. არც ირემზი ვაკეთი განსაკუთრებულ აქცენტს.

ძალიან მდიდარი რესურსების პატრონი ყოფილა დიდი რესერვი...

## 12. କେନ୍ଦ୍ରୀୟ ପାରିଷଦ ମଧ୍ୟ ପରିଷଦ ଏବଂ କାନ୍ତିର ପରିଷଦ

თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ ამ პატარა წერილში არ მქონია ილუზია პროფესორ გიორგი ხარაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სრულყოფილი აღნერისა. ამ მისის შესრულება ბევრად აღემატება ჩემს შესაძლებლობებს. მე ყურადღება მაქვს გადატანილი მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდზე, რომლებიც კარგად წარმოაჩენს ბატონი გოგის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე მოღვაწეობის ფრი-ად მნიშვნელოვან მომენტებს, რომელთა შორის, ჩემი ლრმა რნმენით, ყველაზე ღირებულია აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტთან მის მიერ წარმართული საქმიანობა.

ბატონმა გოგი ხარაძემ გადადგა იმ დროისათვის გასაოცარი გონივრული ნაბიჯი — ჩვენი რესპუბლიკის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შესთავაზა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ჩვენი რეაქტორიდან ბირთვული სანვაკის ნარჩენების გატანა.

აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტის კომისია ერთი თვის განმავლობაში ანარმოებდა რეაქტორის საექსპერტო სამუშაოებს და მათ მიერ ბირთვული სანვავის გატანის შემდეგ, ქართული ატომური რეაქტორის ოპონენტებს მთლიანად გამოეცალათ ხელიდან ამ თემით სპეციალისტის ყველანაირი საშუალება.

როდესაც დოქტორ ჯეიმს ტურნერის თავეკუობით, ამერიკელმა ექსპერტებმა დაასრულეს ტექნიკური სამუშაოები, ბატონმა გოგი ხარაძემ მოიწვია ისინი ფიზიკის ინსტიტუტში, რეაქტორის ხელმძღვანელ თანამშრომლებთან ერთად და მე, როგორც ამრეაქტორის ყოფილი სტაუიანი მომხმარებელი, პატივი დამდეს გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე გავსაუბრებოდი ოუკ რიჯის რეაქტორის ნარმომადგენლებს. ამ შეხვედრის დროს გავიცანი დოქტორი სიუ (Robert N. Cee pH.D. Oak Ridge, Tennessee) და ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ ბევრ საინტერესო საკითხზე. ბატონი სიუ აღმოჩნდა უალრესად თავმდაბალი და ჩემს მიმართ კეთილგანწყობილი მეცნიერი. მან გულწრფელად დამპატიუა ოუკ რიჯის რეაქტორზე. თანაც დამაიმედა, რომ ვიცხოვრებდი მის კოტეჯში, ყოველგვარი ყოფითი პრობლემების გარეშე; იმ დღესვე მთავაზობდა თავისი

კოტეჯის გასაღებს, თანაც მარწმუნებდა, რომ ამ კოტეჯის გარაუში იდგა ახალი ავტომობილი და უპრობლემოდ შემეძლო მისი გამოყენება.

ამგვარი თბილი ურთიერთობის დამყარება ოუკრიჯის მაღალნაკადი-ანი რეაქტორის სპეციალისტებთან იყო ბატონი გოგი ხარაძის უაღრესად ჭკვიანური და მეტად სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი.

ჩვენთვის მოულოდნელად, აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტმა 1999 წლის დეკემბერში მიინვია შვიდი ქართველ მეატომე ინჟინერი და მეც-ნიერი ამერიკის ნამყვან სამეცნიერო ცენტრებში ცოცხალი მეცნიერული კონტაქტების დასამყარებლად. მინვეულთა შორის იყვნენ: პროფესორი გიორგი ხარაძე, დოქტორი ზურაბ სარალიძე, რეაქტორის ხელმძღვანელი შუქრი აბრამიძე, რადიაციული უსაფრთხოების ხელმძღვანელი ნოე ქათამაძე, მეცნიერებათა კანდიდატი გიგა კიკნაძე, დოქტორი ლევან თოფჩიშვილი და ამ მემუარული რვეულის ავტორი.

იმ ხანად ჩემი ავადმყოფობის გამო, ჩემივე თხოვნით, ეს მისია დაეკისრა, უნიფირეს ქალბატონს, უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ნელი ნიბახაშვილს.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ქალბატონმა ნელი ნიბახაშვილმა, ბრწყ-ინვალედ გაართვა თავი და კისრებულ მოვალეობას და მის მიერ საერთა-შორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრში (ISTC) ნარდგენილმა პროექტ-მა G-348, კალიფორნიის ლოურენს ბერკლის ინსტიტუტის დიდი მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. ეს იყო ჩვენი ლაბორატორიის პირველი საერთაშორისო რანგის პროექტი, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ბერკლის ინსტიტუტთან ნელი ნიბახაშვილის ნაყოფიერ თანამშრომლობას და ეს თანამშრომლობა დღესაც წარმატებით გრძელდება.

ბერკლის ინსტიტუტის მიერ იმავდროულად მოწონებული იყო პროექტი G-349, რომელიც წარადგინა უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ნელი საპოუნიკოვამ ISTC ცენტრში.

აქვესაგანგებოდ მინდა ავლიშნო ქალბატონი ნელის ფრიად ნაყოფიერი თანამშრომლობა პორტსმუტის უნივერსიტეტთან (Biophisics Laboratories, Institute of Biomedical and Biomolecular Sciences University of Portsmouth), რომელიც დღესაც წარმატებით გრძელდება.

2001 წლის აპრილიდან დაიწყო, ასევე ISTC-ის ეგიდით, პროექტ G-408-ის შესრულება. ამ პროექტით გათვალისწინებული იყო ტოქსიკური და მძიმე მეტალების როლის შესწავლა ნყალმცენარე - სპირულინას კულტივაციის პროცესში. მევიყავი პროექტის ხელმძღვანელი, ხოლო კოლაბორატორის როლს ასრულებდა დევიდ გლაზგოვი (Dr. David C. Glasgow) ოუკრიჯის ეროვნული ლაბორატორიის ქიმიური და ანალიზური განყოფილების ხელმძღვანელი. ეს ლაბორატორია ფუნქციონირებდა ოუკრიჯის მაღალნაკადიან რეაქტორზე. G-408 პროექტით განხორციელებული გამოკვლევები სრულდებოდა მაღალ მეცნიერულ დონეზე და იბეჭდებო-

და პრესტიჟულ უცხოურ შურნალებში.

დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩევენი ლაბორატორიის მიერ მოპოვებულმა საგრანტო დაფინანსებამ შეაჩერა განყოფილების სრული დაშლა და დაქუცმაცება...

ცნობისათვის: ამ დროისათვის ეს დაშლა უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო. ჩევენი ლაბორატორიის ბევრი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკი, რომელებსაც უკვე დაცული ჰქონდათ დისერტაციები, ნავიდნენ უცხოურ ფირმებში სამუშაოდ. მათ რიცხვში აღმოჩნდა ნიჭიერი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნოდარშონია. ჩემთვის ეს იყო დიდი დარტყმა, რომელიც გადამექცა უკურნებელ სენად...

ცალკე უნდა მოვიხსენიო კიდევ სამი საგრანტო პროექტის დაფინანსებაში აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტის მხარდაჭერა. ეს პროექტები სრულდებოდა ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ ცენტრში პროფესორების: ზურაბ სარალიძის, ლევან თოფჩიშვილის და შუქრი აბრამიძის ხელმძღვანელობით.

აქ მინდა ხაზი გაუსვა ბატონი გოგი ხარაძის უხმაურო და ურკელამო მუშაობის მისთვის დამახასიათებელ სტილს, რომელმაც მარტო აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტთან წარმართული საქმიანობის შედეგად გამოიყვანა ფიზიკის ინსტიტუტის ასი-ასორმოცდათი თანამშრომელი მატერიალური სიდუხშირიდან...

შეუძლებელია იმის სიტყვებით გადმოცემა, რაც დავინახე ბატონი გოგი ხარაძის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს. იმ ძნელდედობის უამს სწორედ მისი ძალისხმევით მოხერხდა ინსტიტუტის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და დასაქმებაც კი.

თავად ბატონი გოგი ხარაძე აგრძელებდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ერთი შეხედვით, კვლავ უხმაუროდ.

აქ მახსენდება ჩემი ბავშვობის მეგობრის, გივი ვაჩინაძის მიერ ჩემთან საუბარში ნათქვამი ერთი ფრაზა, რომელიც ეხებოდა ბატონი გოგის მიერ გამოსაქვეყნებლად მოსამზადებელ სამუშაოს „გაშალაშინების“ მეთოდი-კას, რომლის გამო გივი ვერ მალავდა თავის აღტაცებას; მას შემდეგ, რაც ბატონი გოგი მიიყვანდა თავის შრომას საჭირო კონდიციამდე, შეიძლებოდა გაეგზავნათ გამოსაქვეყნებლად ნებისმიერი მაღალი რეიტინგის ურნალში.

ბატონი გოგი სუფრაზე, თავის ნაცნობ-მეგობრებთან მოლხენის დროს, მთლიანად თავისუფლდება ადმინისტრატორის „ჩოხა-ახალუხისაგან“ და ამ დროს მასთან საუბარს და ქართული ნესისამებრ ნარმოთქმული სა-დღეგრძელოების მოსმენას, არაფერი სჯობს.

აი, ასეთია ბატონი გოგი ხარაძე ცხოვრებასა და ადმინისტრაციულ ამპლუაში.

ამ პატარა ნერილში მე შევეხე მხოლოდ ბატონი გოგის ჩემთვის დასამახსოვრებელ პიროვნულ ეპიზოდებს.

ბატონი გოგი ხარაძის სრულყოფილი პორტრეტის დახატვა არის მისი უახლოესი მონაფების და თანაავტორების კომპეტენცია. დღეს რომ გივი ვაჩინაძე ჩვენთან ყოფილიყო, ამ მოვალეობას მას დავაკისრებდი და თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ჯიჯლინის მიუხედავად, ამას უსათუოდ შევძლებდი...

### 13. სემინარი ჰიტულოვან ეართველ გეოლოგიაზან

1961 წელი. ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორი მუშაობს უკვე სრული დატვირთვით. დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს მრავალი ექსპერიმენტი ნეიტრონული გამოსხივების გამოყენებით. ექსპერიმენტები სრულდება, როგორც ჰორიზონტალურ შიბერებზე, ასევე ვერტიკალური არხების გამოყენებით. ექსპერიმენტატორებს უკვე აქვთ ინტენსიური ნეიტრონული ნაკადების გამოყენების შესაძლებლობა. ცველა პირობა არსებობს აქტივაციური ანალიზის მეთოდების დამუშავებისა და მისი დახმარებით მთელი რიგი ანალიზური ხასიათის ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

პირველი ექსპერიმენტები სრულდება ბიოლოგიური და გეოლოგიური ხასიათის ამოცანების მოთხოვნილებების ფარგლებში - ზოგიერთი ელემენტის რაოდენობრივი განსაზღვრის მგრძნობიარე და ზუსტი ანალიზური მეთოდიკის დამუშავების კუთხით. ამგვარი ანალიზური მეთოდიკის დამუშავებას პირველები უჭერენ მხარს ქართველი გეოლოგები.

და აი, ვიღებ მოწვევას, საქართველოს გეოლოგთათვის სამეცნიერო საბჭოზე მოხსენების წასაკითხად.

იმ დროს ქართველ გეოლოგთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გიორგი ძონენიძე. შევნიშნოთ, რომ მაშინ ეს თანამდებობა ეთანადებოდა ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს. აღნიშნულ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში, გაერთიანებული იყო ქართველ გეოლოგთა მთელი პლეადა და ასეთ საბჭოზე არათუ სამეცნიერო მოხსენებით გამოსვლა, არამედ მის მუშაობაში მოკრძალებული მონაწილეობაც კი დიდი პატივი იყო მოწვეული სტუმრისათვის.

იმ დღეს, როცა მე უნდა გამეცეცებინა საინფორმაციო ხასიათის მოხსენება, ნეიტრონული აქტივაციური ანალიზის პრესექტიულობაზე გეოქიმიაში, იმავე საბჭოს სხდომაზე, პირველ საკითხად, დღის წესრიგში იყო შეტანილი აკადემიკოს გიორგი ძონენიძის ასპირანტის საანგარიშო მოხსენება. რიგითობის ეს სიტუაცია, გარკვეულწილად, მამშვიდებდა კიდეც, რადგანაც ამ მოხსენების მიმართ საბჭოს რეაქციის გათვალისწინება შესაძლებლობას მომცემდა, საჭირო კორექტივები შემეტანა ჩემს მოხსენებაში. ეს მომენტი მაშინ შე დიდ კომფორტად მეჩვენებოდა.

მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ - საბჭოს თავმჯდომარებ გააკეთა განცხადება, რომ ჩემი, როგორც მოწვეული სტუმარ-მომხსენებელის მიმართ სამეცნიერო საბჭოს უნდა გამოეჩინა განსაკუთრებული ყურადღება და სნორედ მე, პირველს მეძლეოდა საპატიო უფლება, გამოვსულიყავი ამ ტიტულოვანი მეცნიერების წინაშე მოხსენებით.

ჩემთვის საბედნიეროდ, მხოლოდ ამახალი მეთოდის შესახებ ინფორმაციით არ ვიყავი მოსული და უკვე მქონდა მთელი რიგი გეოლოგიური ხასიათის იშვიათი ნიმუშების აქტივაციური ანალიზის შედეგები, რომლებიც მიღებულ იყო უკვე ჩვენს მიერ, ჩვენსავე ლაბორატორიაში. ეს მომენტი ფრიად მომგებიანი იყო იმ დროისათვის, რადგანაც არა მარტო ჩვენთან ... საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთის ლაბორატორიებშიც უტიპის გამოკვლევები ჯერ კიდევ თავისი განვითარების საწყის ეტაპზე იყო.

ამგვარ სიტუაციაში მოხვედრის გამო სასწრაფოდ, გონიერის მთელი დაძაბვით, მოვახდინე მოხსენების თავიდან დაგეგმილი ვარიანტის მოდიფიკაცია!.. და საბჭოს გავაცანი პრობლემის ჩემული ხედვის ზოგიერთი პრინციპიალური საკითხი. ბოლოს იმედს გამოვთქვამდი, რომ ქარველი გეოქიმიკოსები გამოიყენებდნენ ჩვენს რესპუბლიკაში, უკვე საკუთარი ატომური რეაქტორის ნეიტრონებს მათვის საინტერესო რიგი გეოლოგიური პრობლემის შესასწავლად.

ეს მოხსენება ყურადღებით იყო მოსმენილი სამეცნიერო საბჭოს წევრების მიერ. მათი კეთილგანნყობილება და მონონება ჩემთვის დიდი პატივი იყო. მე მომეჩვენა, რომ ისინი, გულწრფელად და არა ფორმალურად, იწონებდნენ ამ ახალ ანალიზურ ინსტრუმენტს და მპირდებოდნენ სამომავლოდ მჭიდრო, საქმიან თანამშრომლობას ახალი ამოცანებისა და საკითხების შესასწავლის დროს.

სამუშაროდ, ამ მიმართულების მასშტაბების ზრდა და მის მიმართ მეცნიერული კვლევების ინტერესები არ თავსდებოდა ბატონი ელეფთერ ანდრონიკაშვილის მეცნიერული კვლევების ინტერესებში და ჩვენი ლაბორატორიის მოლექულურ-ბიოფიზიკური კვლევების უზომლოდ დიდი მასშტაბით დატვირთვის პირობებში, მე უკვე ვეღარ შევძელი ქართველ გეოლოგებთან დაწყებული საინტერესო გამოკვლევების სრულმასშტაბიანი გაგრძელება...

დღესაც დიდი სინანულით ვიხსენებ იმ მაღალი კლასის გეოლოგ-მეცნიერებთან თანამშრომლობის დაკარგულ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაციის შემთხვევაში, ვინ იცის, როგორი ღირებულების გამოკვლევები შეიძლებოდა შეგვესრულებინა. იმ „მატარებელმა“ ჩაიარა ისე, რომ მე და ჩემი ზოგიერთი თანამშრომელი დავრჩით „პერონზე“. თურმე, ასეთი მეცნიერული ცხოვრება და უამი ყოფიერებისა.

## 14. გამოკვლევაგიმარგანეცის ანალიზის ექსპრესული გეთოდების შესაქმნელად

1958 წელი. ანალიზის ბირთვულ-ფიზიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება სახალხო მეურნეობაში. საბჭოთა კავშირი ცდილობს მსოფლიოს თავი მოაჩვენოს მშვიდობის მტრედად. სახალხო მეურნეობაში მშვიდობიანი ატომის გამოყენების ფართო პროპაგანდა მიმდინარეობს. რადიო-ნუკლიდური წყაროები საბჭოთა კავშირში იყიდება სიმბოლურად დაბალ ფასებში. პრობლემა არ არის არც მათი შოვნის და არც დაფინანსების თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი ჩემულობს ლიდერობას, რადიონუკლიდური წყაროების დამზადებასა და მათ ფართომასშტაბიან გამოყენებაზე.

საქართველო ივსება რადიონუკლიდური მასხივრების ფართო ასორტიმენტით. ამ ფონზე საჭიროა იმის დამტკიცებაც, რომ რესპუბლიკის მანგანუმის მომპოვებელ „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტშიც წარმატებით მიმდინარეობს ბირთვულ-ფიზიკური მეთოდების გამოყენება და დანერგვა, რაღა თქმა უნდა, წარმოების ხარისხის ასამაღლებლად. არც ამ ტიპის სამუშაოების მსუბუ ფინანსირებაზე წუნწუნებენ სახელმწიფო მოხელეები.

აი, ასეთი „ფონის“ პირობებში, პროფესორი ელეფთერ ანდრონიკაშვილი აკვარახჭინებს საკავშირო მთავრობის სპეციალურ დადგენილებას, ასომროცდაათი საშტატო ერთეულის გამოყოფის თაობაზე ფიზიკის ინსტიტუტისათვის, მიზნობრივად ჭიათურ მარგანეცისათვის ავტომატიზაციის სამუშაოების შესასრულებლად. ეს ხდება უკვე 1965 წლიდან. მანმადე კი მე და ჩემი რამდენიმე თანამშრომელი კარსნის ლაბორატორიაში ვასრულებთ ექსპერიმენტულ სამუშაოებს ჭიათურის მარგანეცის მადნებზე იზოტოპური ნეიტრონული წყაროების გამოყენებით.

იმ დროისათვის ჩვენ გვქონდა რადიუმის ორას მილიგრამიანი ალფა-ნანილაკების წყარო, რომელიც იმავდროულად იყო ძლიერი გამა-გამომსხივებელიც და ეს ძალიან გვირთულებდა რადიაციისაგან მომსახურე პერსონალის დაცვას. მაშინ ჯერ კიდევ არ გაგეაჩნდა სუფთა ალფა-ნანილაკების მასხივრები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა მიგვეღო ინტენსიური ნეიტრონული ნაკადები. მომავალში ეს პრობლემა მოგვარდა საბჭოთა ატომური მრეწველობის მიერ, პოლონიუმ-ბერლიუმის ნეტრონული წყაროების სერიული დამზადების შემდეგ.

ამრიგად, ჩვენ ჯგუფს უკვე შეეძლო შემდეგი ნაბიჯები გადაედგა მარგანეცის მადნის ექსპრეს-ანალიზის მეთოდების დამუშავების კუთხით.

ნეიტრონებით მარგანეცის მადნების ნიმუშების დაბომბვის შედეგად ინდუცირებული რადიოაქტივობის დეტექტირებით ხდებოდა ამ მადნებში მარგანეცის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა. ამ მეთოდის ყვე-

ლაზე დიდი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მარგანეცის ნეიტრონებით ინდუცირებული ატომბირთვების გამოსხივება ხდებოდა სხვა ყველა ქიმიური ელემენტისაგან დამოუკიდებლად. ეს იყო ელემენტის იდენტიფიკაციის ცალსახა მეთოდი, რომელიც, ნესით, უნდა მიღებულიყო ყველა სხვა ანალიზური მეთოდებისათვის საექსპერტოდ.

სამწუხაროდ, ჭიათურმარგანეცის მაშინდელ ხელმძღვანელობას უფალი ღმერთიც კი ვერ დაარწმუნებდა, რომ მათთან ნლებით დამკვიდრებული, ეგრეთ ნოდებული ფოლგარ-ვოლფის ქიმიური ანალიზის მეთოდი ვერასოდეს გაუწევდა კონკურენციას ნეიტრონული-აქტივაციური ანალიზის მეთოდს, თუნდაც ექსპრესულობის თვალსაზრისით.

მე მაშინ დავინახე პირველი გადაულახავი ბარიერი, რომელიც არსებობდა მენარმეებსა და მეცნიერებას შორის. არ დავმალავ და, მათმა ასეთმა პოზიციამ გული მატეკინა და ეს ტკივილი დიდხანს მოქმედებდა ჩემზე, როგორც ძლიერ დამთრგუნველი ფაქტორი. მომდევნო ნლებში ანალოგიური სიტუაცია ვნახე მადნეულის სპილენძის გამდიდრების ახალ სანარმოებშიც. ეს დალოცვილი ტექნოლოგიები სპილენძს კი მოიპოვებდნენ ნარმატებით, მაგრამ ამავე ქანებში იშევათ მინათა ელემენტებისა და განსაკუთრებით ოქროს შემცველობაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. ჭიათურმარგანეცის ტექნოლოგების მიერ ეგრეთ ნოდებული „კუდების“ პრობლემა მარტივად იყო გადაწყვეტილი — ნარმოების ნარჩენებს ატანდნენ მდინარე ყვირილას შავ ზღვაში „ჩასატვირთად“. აյ კი მადნეულის სპილენძის საბადოს დამუშავების დროს, ნარმოების ნარჩენებს ინახავდნენ სამომავლოდ დასამუშავებლად. სამთო მრეწველობაში ეს იყო დიდი პროგრესის მაუწყებელი ნიშანი.

მართალი გითხრათ, არც მადნეულის საბადოს დამუშავების იმდროინდელ საინჟინრო ტექნოლოგიას მოვუხიბლივარ განსაკუთრებულად. ისე გამოდიოდა, რომ სამთო მრეწველობაში ნარმოების ბედს განავებდა სატანა-ეშმაკი. ამ თვალსაზრისით, არც კვაისის დარიშხანის მომპოვებლები ჩანდნენ ბევრად უკეთეს ფონზე...

აი, ასეთი სიტუაციების ცოცხალი მოწმე ვიყავი გასული საუკუნის სამოციან ნლებში. დღეს აქ ჩამოთვლილ სამთო -სამრეწველო ობიექტებზე რომელი ეშმაკი ბატონობს, მე უკვე აღარაფერი ვიცი...

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ, კვლავ დავბრუნდეთ კარსნის ლაბორატორიაში, სადაც ჩევენი ჯგუფის მოსვლამდე, ნინა ნლებში, თურმე, მუშაობდა გურამ მუსხელიშვილის ექსპერიმენტატორთა ჯგუფი, რომელთაც შეუსრულებიათ დიდი მოცულობის სამუშაოები ექსპერიმენტული ბირთვული ფიზიკის მიმართულებით დანადგარ-მოწყობილობების შექმნის მიზნით. ამ ჯგუფის მიერ აშენებული იყო ვან-გრაფის ამაჩქარებლისათვის სპეციალური შენობა. გარდა ამისა, თვით კარსნის ლამაზი შენობის პირველ სართულზე სრულდებოდა ნეიტრონული მილის განსათ-

ავსებელი სამუშაოები მინის გრუნტში, რომელსაც ზარხუფად უნდა ჰქონოდა დადგმული სპეციალური ფოლადის სახურავი. ყველაფერი ეს უნდა ყოფილიყო იატაკის ზედაპირამდე მინაში განთავსებული. ამ ნაგებობის ზედა ნაპირები განყობილი იყო ორთქმავლის ძალოვანი, ბრტყელი ბორბლისაგან გამოჭრილი ფოლადის სალტით.

ერთი სიტყვით, ამ „კიდობანში“ უნდა ემუშავა ნეიტრონების ნყაროს უნიკალურ და ორიგინალურ დანადგარს.

როგორც ჩანს, ამ ენთუზიასტი ფიზიკოსების ძალისხმევის მხარდაჭერა ბევრად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს, რის გამოც, ალბათ, მოხდა მათი კაპიტულაცია — ამ ექსპერიმენტატორების ჯგუფმა შენყვიტა არსებობა, ხოლო მათ მიერ მომზადებულ ლაბორატორიებში ჩვენ მოგვიხდა სულ სხვა პრობლემებზე მუშაობა. ამიტომაც მათ მიერ განეულ შრომას დღესაც დიდი მადლიერებით ვიგონებ...

ძველმა თაობამ კარგად იცის, როგორი და რა სიძნელეების ბარიერები უნდა გადაელახა ახლად დაწერილი სტატიის ავტორს. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ საექსპერტო დასკვნებისა და საავტორო ცნობის შემდეგ, ცენზურა გაძლევდა ნებას, რომ შრომა გამოგექვეყნებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იქ საინტერესო აღარაფერი იყო; ანუ, ავტორს აიძულებდნენ თავად დაედასტურებინა, საკუთარი ხელწერით, რომ მისი შრომა არ შეიცავდა რაიმე სერიოზულ დასკვნას!.. სხვა გზა არ იყო, თუ გინდოდა შრომის გამოქვეყნება, ასეთი დასკვნა საკუთარი ხელწერით უნდა დაგედასტურებინა. მოდი და, დღევანდელ თაობას მოუყევი ეს ზღაპრები. ისინი არც კი მოგისმენენ, თუ არ დაგცინეს კიდევაც...

აი, ასეთ სიტუაციაში ვახერხებდით საკუთარი შრომების გამოქვეყნებას. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, ჩვენს ლაბორატორიაში შესრულებული სამუშაო 1961 წელს გამოქვეყნდა საკავშირო მნიშვნელობის სპეციალურ გამოშვებაში. შრომის მოსამზადებელ საექსპერტო სამუშაოებს გამომცემლობის რედაქციაში რიგში დგომის პერიოდის ჩათვლით, დასჭირდა ორი წელინადი. რეალურად, ეს შრომა შესრულდა 1959 წელს! ამ შრომის პუბლიკაციით დაინყო ჩვენი ლაბორატორიის პროდუქციის გამოშვება. აი, როგორი იყო ენთუზიაზმის ფასი იმ დროს, როდესაც ქვეყანა ჯერ კიდევ მეკაცრად იყო ჩაკეტილი „რეინის ფარდით“...

მარგანეცის და, მომავალში, სპილენძის აქტივაციური ანალიზის სამუშაოები მთლიანად დაანვა კოსერზებატონ ვახტანგ გვახარიას. თავისთვალი, ასორმოცდაათი ახალი თანამდებომლის ეფექტურად დატვირთვა, ორგანიზაციული თვალსაზრისით, აღემატებოდა ერთი პიროვნების ადმინისტრაციულ შესაძლებლობას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვა თვით ამ დადგენილების ორგანიზატორმა - ბატონმა ელეფთერმა. მან ამ პრობლემის განხილვას მიუძღვნა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა. მისი

მოსაზრება იყო ასეთი: ინსტიტუტის წამყვანა განყოფილებებს უნდა მოემზადებინათ ახალგაზრდა კადრები, ოლონდ ერთი პირობით — ეს თანამშრომლები, სათანადო მომზადების შემდეგ, უნდა დაბრუნებულიყვნენ ვახტანგ გვახარიას განყოფილებაში, თანახმად საკავშირო მთავრობის მოქმედი დადგენილებისა, უკვე მუდმივად სამუშაოდ. ამგზით მას, როგორც დირექტორს, ყველაფერი კარგად ჰქონდა მოფიქრებული და ვერც ერთი მთავრობის კომისია, ვერ დაადანაშაულებდა სამუშაო ძალის უყაირათოდ გამოყენებაში.

თავიდანვე ჩანდა ამ აქციის მნიშვნელობა, მაგრამ მაშინ ამაზე, რომ იტყვიან, კრინტსაც არავინ ძრავდა. იურიდიულად ყველაფერი თავის ადგილზე იყო.

სწორედ ამ აქციის წყალობით, რამდენიმე ახალგაზრდა ფიზიკოსი, მომავალში გახდა დიდი მეცნიერი და ადმინისტრატორიც კი. ბევრ მათგანს დღეს აღარც კი ახსოვს, საიდან მოვიდა და რა გზით გახდა ფიზიკის ინსტიტუტის მბრძანებელი....

საკავშირო მთავრობის ზემოთ ხსენებული დადგენილება იყო ხუთწლიანი და იმ პარტიული ელიტიდან, რომელმაც თავიდან მხარიდაუჭირა ასეთი პროექტის დაფინანსებას, ზოგიერთი მოხსნეს დაკავებული პოსტიდან, ზოგი გადაიყვანეს სხვა მოვალეობის შემსრულებლად და, ალბათ, ზოგსაც მოუნია ციხეში გასეირნება.

აი, ასეთი კოზირებით წარმატებით მანიპულირებდა ბატონი ელეფთერ ანდრონიკაშვილი. შედეგი კი იყო ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური გაძლიერება და ამ ინსტიტუტის ავტორიტეტისა მაღლება საერთაშორისო დონეზე.

არ ვაპირებდი ამ პატარა სათავგადასავლო წერილის დაწერას, მაგრამ მემუარების ტექსტზე მუშაობის პროცესში გამიჩნდა სურვილი, ჩემი ახალგაზრდა კოლეგებისათვის გამენდო ჩემს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები, რომლებიც შევასრულე ჩემი ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობის დაწყების პირველ წლებში.

უკვე ისიც გაცნობიერებული მაქვს, რომ ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდა თაობისათვის ჩემს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები იქნება დაუჯერებელი და, შესაძლოა, სასაცილოც კი, მაგრამ ასეთი იყო სამოციან წლებში ჩვენი ცხოვრება და მის კორექტირებას, დღეს უკვე ვეღარავინ ვერ შეძლებს...

## 15. ნავთობის დიდი „კოცონი“

მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში, საქნავთობის ტრესტის მენავთობეები, სართიჭალის დასახლების შემდეგ, მდინარე ივრის მარცხენა

სანაპიროზე ანარმოებდნენ ბურლვით სამუშაოებს.

ერთ-ერთი პერსპექტიული საბადოს ბურლვის დროს მოხდა ამოფ-რქვეული ნედლი ნავთობის მძლავრი ნაკადის „აფეთქება“ — გაჩნდა ხან-ძარი, რომლის ჩაქრობაც აღმოჩნდა პრობლემური.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ციმბირის ცნობილ ნავთობმომპოვე-ბლებიდან საჭირო გახდა მაღალპროფესიული მომზადების მეხანძრეთა დიდი რაზმის ჩამოყვანა საქართველოში მძვინვარე ხანძრის მო-სათვინიერებლად.

ცნობისათვის: ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში თებერვლის თვე იყო უხევთოვლიანი და თანაც ყინვიანი.

ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა და საქართველოში მთა-ვარმა გეოლოგმა, ალექსანდრე ლალიევმა, თურმე, გადაწყვიტეს ამ „კო-ცონის“ საკუთარი თვალით ნახვა.

ბატონმა ელეფთერმა მიბრძანა გამგზავრება ამ საბადოს სანახავად, ჩემი საცოდავი „უიგულით“; აზრადაც არ მოსვლია, რომ ასეთ ყინვიან ამინდში სარკესავით მოლაპლაპე გზაზე მანქანის მართვის არანაირი გამოცდილება მე არ მქონდა და სულ ადვილი შესაძლებელი იყო, მანქა-ნის ყინულზე მოცურების შემთხვევაში, აღმოვჩენილიყავით რომელიმე ხევში ან, უკეთეს შემთხვევაში, ხრამში.

აი, ასეთ თოვლიან და ყინვიან ამინდში, რომიტყვიან, სახლიდან ძალლ-საც კი ვერ გაიმტებდნენ გამოსაგდებად და მე კი უნდა პასუხი მეგო ორი მაღალი რანგის მეცნიერის უსაფრთხოებაზე!

არადა, ბატონ ელეფთერს როგორ შევეკადრებდი ჩემი გასაჭირის გამო, შემოთავაზებულ სამსახურზე უარს!

მოკლედ, დავემორჩილე ბედის და ლმერთის განგებას და ისე, რომ ჩემი შიში არ გამიმზელია, მანქანის უკანა სავარძელზე მოვაწყე ჩემი უში-შარი აკადემიკოსები. იმ მომენტისათვის ისინი, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ საჭესთან იჯდა გამოცდილი მძლოლი.

დიდი სიფრთხილით და შენელებული სიჩქარით გავუდექი გზას გარე კახეთისაკენ.

ისე მივედით ნავთობის კოცონთან, რომ ამხელა ტრასაზე ერთი მან-ქანაც არ შეგვევდრია. ან კი რომელი გიუი მძლოლი გარისკავდა ასეთ ამინდში ტრასაზე გამოსვლას?

ნავთობის გიგანტურ კოცონთან ვნახე საოცრება, რომელმაც ნაწილო-ბრივ დამამშვიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს სურათი ღირდა იმ ნერვიულობად, რომელიც ყინულით მოსარკულ გზაზე განვიცადე.

ნავთობის გიგანტური კოცონის გარშემო ორმოცდაათი-სამოცდაათი მეტრის რადიუსზე ნერვებით შემოვლებული ციმბირელ მეხანძრებს. ყველა აღჭურვილი იყო ცეცხამძლე ტანსაცმლით, თავზე ჩამოფხატუ-ლი ქუდით და წყლის ჭავლის „ყუმბარმტყორცნი“ მოწყობილობით, რაც

მათ საშუალებას აძლევდა მაღალი წნევით, ორმოცდათი მეტრის მანძილზე განეხორციელებინათ ხანძრის ჩაქრობის ოპერაციები. თუმცა ეს მეთოდი მოცემულ შემთხვევაში არ ამართლებდა და ხანძრის მოთვინიერების ერთადერთი საშუალებად რჩებოდა ჭაბურლილის სპეციალური სარქველის გადაეცემა, რომელიც მდებარეობდა გრუნტის ზედაპირზე, მაგრამ მისი გამოყენება არ ხერხდებოდა მაღალი ტემპერატურის გამო, რომელიც აქაც კი აჭარბებდა სამას გრადუსს ცელსიუსით. ხანძარი გრძელდებოდა ერთი თვის მანძილზე და პროფესორ ალექსანდრე ლალიევის შეფასებით, ერთი დღე-ლამის განმავლობაში, ნავთობის „ხარჯი“ შეადგენდა ექვსას-ექვსას ორმოცდაათ ტონას!..

ანთებული ჭაბურლილის მახლობლად, ასი-ასორმოცდაათი მეტრის რადიუსის ფარგლებში, თოვლი და ყინული ისე იყო აზელილი ტალახში, რომ ჩეეულებრივი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით იქ შესვლა ნიშნავდა კარგა გვარიანად ამოსვრას, რასაც ვერ გადაურჩა ვერც პროფესორი ლალიევი და ვერც აკადემიკოსი ანდრონიკაშვილი. უკან გამობრუნების დროს ისინი, რომ იტყვიან, ყურებამდე სილანარევ ტალახში იყვნენ ამოგანგლულები.

ერთი სიტყვით, ჩემს საცოდავ „უიგულში“ დაგროვდა ორ ფუთამდე ტალახი, მაგრამ ამას ვიღა ჩიოდა, უავარიოდ მოვედით სართიჭალის ერთ-ერთ პრესტიულ რესტორანამდე, სადაც პროფესორმა ალექსანდრე ლალიევმა დაგვპატიუა სადილზე მთელი დღის მშერ-მწყურვალი მოგზაურები; თანაც მედიდურად გამოგვიცხადა, რომ ამ რესტორანში გახსნილი აქვს მუდმივი საბანკო ანგარიში და ეს გვითხრა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კარგად იცოდა ბატონი ელეფთერის ხასიათი, რომელსაც ვერავინ დაასწრებდა დანახარჯის გადახდას!..

ვისადილეთ მეფურად. სართიჭალმა მზარეულებმა მოგვართვეს ხბოს მწვადები. ბატონმა ელეფთერმა ცოტა ღვინოც დალია, რის შემდეგაც მშვიდობიანად ჩამოვიყვანე ჩემი ტიტულოვანი პროფესორები ქალაქში.

პირველი, ვინც დავაბინავე იყო ალექსანდრე ლალიევი. ბატონი ალექსანდრე გახლდათ შედარებით ახალგაზრდა, ჯანმრთელი გეოლოგი და არანაირი სხეისი დახმარება არ სჭირდებოდა.

აი, ბატონ ელეფთერს კი ჰქონდა პრობლემები. ის ცხოვრობდა ჭავჭავაძის გამზირზე ულიფტო, მაღალჭერიანი სახლის მეორე სართულზე და უხდებოდა დიდ, ფართო კიბეებზე ფეხით ასვლა, რაც მისთვის, როგორც გულით ავადმყოფისათვის, საქმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენდა.

ჩემი დახმარებით, როგორც იქნა, მივედით მისი ბინის კართან.

დავრეკეთ ზარი და მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ კარი გაგვიღო ქალბატონმა თინა ლომიძემ. ერთი შეხედვით თვალებს არ დაუჯერა, რომ მის ნინაშე იდგა ბატონი ელეფთერი და ქალბატონმა თინამ, ინსტიქ-

ტურად, თვალები მოიფენიტა. ალბათ, გაიფიქრა, რომ ეს კაცი იყო ელეფთერ ანდრონიკაშვილის ორეული!..

მაგრამ აქ ქალბატონ თინას დაეხმარა თვით „დაზარალებული“, გამოე-ლაპარაკა თავის მეუღლეს რამოდენიმე სიტყვით და დაამშეიდა, რომ იყო ნავთობის ჭაბურლილის სანახავად პატარძეულის მისადგომებთან დაიქ არსებული მძვინვარე ხანძრის გამო აღმოჩნდა ასეთ ვითარებაში.

ამის შემდეგ ქალბატონი თინა სწრაფად გაერკვა შექმნილ სიტუაცია-ში; აღნიშნა, რომ ასეთ მდგომარეობაში თავისი ქმარი არასოდეს უნახავს და, როგორ შედეგს მიიღებს, არ იცის, მაგრამ მაქსიმალურად შეეცდება ამ ტალახიანი კაცის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას.

როგორც შემდეგ გამოირკვა, სამი დღის მანძილზე ქალბატონი თინა თავდადებით ასრულებდა „სარემონტო“ სამუშაოებს და მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება ბატონ ელეფთერს, გაეგრძელებინა სამსახუროებრივი მოვალეობის შესრულება უკვე ინსტიტუტში!

დაახლოებით ერი კვირის შემდეგ, შევიტყვეთ, რომ, თურმე, ერთი ფიზიკურად ძლიერი ციმბირელი მეხანძრისათვის ჩაუცმევიათ ორმაგი ცეცხლგამძლე კოსტუმი, სხვა დამატებით დამცავ საშუალებებთან ერთად და ჭაჭის არაყით კარგად შექეიფიანებულს, საკუთარ თავზე აულია ჭაბურლულის სარქველის გადაეტვა, რისთვისაც დასჭირვებია მხოლოდ ორი წუთი. ამ სარქველის ჩაკეტვის შემდეგ გაავებული ცეცხლის კოცონი ჯერ შენელებულა და ბოლოს სულ ჩამქრალა კიდეც.

ამ გმირ ციმბირელ მეხანძრეს მიუღია ზომიერი სიდამწვრე სახის კანზე, მაგრამ სულ მალე გამოჯაამრთელებულა და ჯილდოდ ქართველ მენავთობებს უბოძებიათ ჭაჭის არყის დიდი ბოცა, რომელიც მისთვის ყველანაირ სახელმწიფო ჯილდოზე უფრო პრესტიული გამომდგარა...

აქვე მინდა ავლნიშნო, რომ ცნობილი გეოლოგი — პროფესორი იური შჩიმელევიჩი აფრთხილებდა ქართველ მენავთობებებს, რომ იმ ველური მეთოდებით, რომლებითაც ისინი მუშაობდნენ და რომლებიც ვლინდებოდა ნავთობის მოპოვების არასწორი, დაჩქარებული ტემპით ამოქაჩაში, ძალიან მალე ნავთობშემცველი ქანები გაჯერდებოდა გრუნტის წყლებით, რაც გამოიწვევდა საბადოს პარალიზებას. მაშინ ამ ჭკვიანიდა დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე გეოლოგს არავინ უსმენდა.

სამწეხაროდ, იური შჩიმელევიჩის პროგნოზი რამდენიმე თვეში გამართლდა. მრავალი მოქმედი ჭაბურლილი ამიოვსო გრუნტის წყლებით, - ეს კი ნიშნავდა საბადოს შეუქცევად დალუპვას. პრინციპი „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო“, საბედისნერო აღმოჩნდა ჩვენი კვეყნისათვის. აი, ასე დასამარდა ქართული ნავთობის ისტორია.

კახეთში ნასვლისა თუ უკან დაბრუნების დროს, ყოველთვის ვჩერდები ამ ჭაბურლილის სიახლოეს და უკვე მერამდენედ ვიხსენებ ერთდროს მგრგვინავი ნავთობის ჭაბურლილის ნარსულს. მაშინ ეს ჭაბურლილი

დაჭრილი მოზვეერივით ბრდლვინავდა, დღეს კი უმნეო მოხუცივით უნია-თო და უსიცოცხლოა. დაუანგებული დიდი ფოლადის მილის დახვლანჯილი ბოლო, მინის ზედაპირიდან დაახლოებით ათი მეტრის სიმაღლეზე, ერთობ ბედკრულად და სევდიანადაც კი მოჩანს... ირგვლივ გამეფებულია სამარისებური სიჩუმე. აქ ალარაფერს ეტყობა სიცოცხლის ნიშანწყალი. ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს ამ ჭაბურღლილის ბრდლვინვა, ის ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს, რომ ერთ დროს ეს „ფალავანი“ იყო დაუმარცხებელი მოჭიდავე...

დღეისათვის აქ მოქმედი მცირე სიმძლავრის ჭაბურღლილები ატარებს მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას. თურმე, შესაძლებელი ყოფილა, ამ ძვირფასი პროდუქტის მოპოვების გონივრულ პირობებში წარმართვის შემთხვევაში, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი გაზრდა...

## 16. ქართული მთის სოფლების ფრაგედია

კარგად არის ცნობილი, რომ მთა და მთის მცხოვრებლები, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის წარმოებულ გაუთავებელ ბრძოლებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მთიელთა თავდადებამ და ქვეყნის სიყვარულმა იხსნა საქართველო სრული გადაშენებისაგან.

მოგეხსენებათ, რომ მთის პირობებში ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა საჭიროებს დიდ ძალის ხმევას, დაულალავ შრომას და ასეთი ცხოვრებისათვის განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას. ეს თვისებები მთიელთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გაზრდილი ყმანვილებისათვის ტრადიციული საქმიანობა იყო სრულიად ბუნებრივი და ჩვეულებრივი ცხოვრების ული პროცესი.

აქ მახსენდება გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში შატილში, ჩემს მონადირე მეგობრებთან ერთად ჩვენი სტუმრობის დროს, ახალგაზრდა, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ჭინჭარაულის მიერ ცამდე ანგდილი მთის ალპური ზონიდან სულ რაღაც ნახევარი საათში კისერზე მოგდებული ცხვრით დაბრუნება. ეს ეპიზოდი დღესაც კარგად მახსოვს და ვინმე ბარში გაზრდილ ყმანვილს ეს ჭინჭარაულისებური ნავარდით ასეირნება-ჩამოსეირნება, შესაძლებელია, გაზვიადებულადაც კი მოეჩვენოს...

ისტორიულად მთა და მისი ბუნება იყო ბავშვის აღზრდისა და დავა-ჟაცების სანინდარი. მთა საჭიროებდა ყურადღებას და ბარის მცხოვრება გონივრულ თანადგომას.

სამწუხაროდ, კომუნისტური წყობის ამბიციური პოლიტიკისა და მთის

მცხოვრებთა ტრადიციული ინტერესების უგულებელყოფის კვალობაზე, მთიელთა მიმართ მოხდა გამოუსწორებელი დანაშაული: დაიწყო მათი იძულებითი აყრა და გადასახლება ბარში. ასე დაიმსხვრა მთის წმინდათან მინდა კანონები და ზნე-ჩვეულებები. ბარში დაბადებული და გაზრდილი ახალგაზრდობა სრულიად უსუსური აღმოჩნდა კომუნისტური ფუნქციონერების მიერ თავს მოხვეული, ცხოვრების არასტანდარტული დოგმებისაგან თავის დასაცავად.

ქართული მთის სოფლების მომავალი ბურუსით დაიფარა.

უნდა ვალიაროთ, რომ დღევანდელი გადასახედიდან მომავლის პერსპექტივა ჩანს კიდევ უფრო მუქად. შესაძლოა, არც არასოდეს აღდგეს მთის წმინდა წესები და ზნე-ჩვეულებანი...

დაე, ღმერთმა ინებოს და ქართული მთის მცხოვრები კვლავ დაუბრუნდნენ სოფლებსა და უძველეს ტრადიციებს...

სამწუხაროდ, ამგვარ პერსპექტივას მე ჯერ კიდევ ვერ ვხედავ. ძალიან კი მინდა, რომ ვცდებოდე - ეს ჩემთვის ნამდვილი ბედნიერება იქნებოდა...

აյ მკითხველს მინდა მოვუთხრო, ჩემი თვალით ნანახი ისტორიული ციხე-ქალაქის, ჭერმის მიმართ განხორციელებული, ენით გამოუთქმელი უგუნურება, რომელიც ჩაიდინეს არაუცხოელმა დამპყრობლებმა, არამედ გურჯანის რაიონის კომუნისტმა ფუნქციონერებმა, გასული საუკუნის ორმოცდაათინ წლებში.

ცოტა რამ ჭერემ-ქალაქის ისტორიიდან: ეს ციხე-ქალაქი განფენილია გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთაზე, ულრანიტყვის მასივებით გარშემორტყმულ გარემოში. ისტორიულად მესამე საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ უკვე იყო ქალაქის ტიპის დასახლება. მეხუთე-მეექვსე საუკუნის მიჯნაზე ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ციხე-ქალაქი, რიყის ქვით ნაშენები მეტრა-ნახევრიანი სისქის კედლებით, გარს შემორტყმული იყო მასიური გალავნით. პრაქტიკულად, ეს იყო მეტის რეზიდენცია.

ჭერემზე გადიოდა შიდა და გარე კახეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რომელიც იწყებოდა ველისციხიდან და მთავრდებოდა გარე კახეთში, ჩაილურის ხევთან.

ჭერმის ციხე-ქალაქის სამეურნეო საქმიანობა ისე იყო დაგეგმილი და განვითარებული, რომ მცირემინიანობის მიუხედავად, თვითონ ანარმობედა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საკმარის ყველა პროდუქტს. აქ მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები: ქერი, ხორბალი, სიმინდი.

ტყეები მდიდარია ხილით.

აქაური მსხლისა და ვაშლის უხვი მოსავალი გამოირჩეოდა სანაქებო გემოვნებით, ხოლო კაკალი და თხილი მთლიანად აკმაყოფილებდა ამ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ნაბლისა და რკოს უხვი მოსავალი კი იყო საწინდარი პროდუქტიული

მეცნიერების გასაძლოლად.

ჩემის აზრით, ამ კუთხისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე იყო წყალი და სუფთა ჰაერი. წყლის ნაკადი იმდენად უხვი იყო, რომ გამოიყენებოდა არა მარტო სასმელად, არამედ წყლის ნისკვილების ასამუშავებლადაც.

ჭერემ-ქალაქი ისტორიულად განთქმული იყო ულამაზესი მანდილოს-ნებითაც. აქ დაბადებული და გაზრდილი ქალბატონები, ხორბლისფერი სახის კანით, დახატული თვალ-ნარბით და განსაკუთრებით გრძელი, ბევრ შემთხვევაში კოჭებამდე გაზრდილი თმის ნაწილებით, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მთელ კახეთში. ჭერემ-ქალაქი ბევრჯერ გამხდარა უცხოელი და მპყრობლების სათარეშო მოედნად, მაგრამ მტრის უუგდების შემდეგ, ისევ ახერხებდა მკვდრეთით აღდგენას და ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის გაგრძელებას.

აქ ნაშენები საცხოვრებელი სახლები გულუხვად იყო აღჭურვილი ხის განსაკუთრებით, მუხის, კაკლის და წაბლის კონსტრუქციებით.

საკედლე მასალა ამ ციხე-ქალაქის პატრონებს საძებნი არ ჰქონდათ. ამ „საქმეს“ აკეთებდა ჭერმის წყალუხვი მდინარე, განსაკუთრებით კი გაზაფხულის წყალდიდობის დროს. ჭერმის ხევი ივსებოდა ნაირ-ნაირი ქვებით, რომლებიც წარმატებით გამოიყენებოდა საცხოვრებელი სახლების აგების დროს, ყველაზე იაფ და ხელმისაწვდომ საშენ მასალად.

მეოცე საუკუნის ორმოცდათიან წლებში ჭერემზე განხორციელდა ბოლო და ყველაზე მზაკვრული შემოსევა და ეს აღასრულა გურჯაანის რაიკომის მაშინდელმა მდივანმა, რომელმაც სულ პატარა, რამენიმე ფრაზისაგან შემდგარი განკარგულებით გაახმოვანა ჭერემ-ქალაქის მკვიდრთა ბარში გადასახლების აუცილებლობა.

ამ გადაწყვეტილებას, თავიდან დიდი კმაყოფილებით შეხვდა ეგრეთ წოდებული „ჯინსების“ თაობა. ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ მამა-პაპური სახლების ნგრევას და უმრავლესობამ კურსი აიღო ველისციხისაკენ. ახალგაზრდების მეორე ფრთამ აირჩია გარდაბნის დაუსახლებელი ტერიტორია, რომელიც გამოუყვეს ჭერემ-ქალაქის მეორე ენთუზიასტთა ჯგუფს, ხოლო ჭერმის ჭარმაგ მკვიდრთა დაახლოებით თხუთმეტმა-ოცმა ოჯახმა უარი თქვა მამა-პაპური სახლ-კარის მიტოვებაზე.

აი, ასე მოხდა ისტორიული ციხე-ქალაქის სამ „ზონად“ გახლეჩა.

რაიკომის მდივანი რისი მაქნისი „მეფე“ იქნებოდა, რომ შექმნილი სიტუაცია კვლავ საკუთარი ელიტის საკეთილდღეოდ არ გამოეყენინა.

და აი, რაიკომის პლენუმს გამოაქვს „ბრძნული“ გადაწყვეტილება: ჭერმ-ქალაქის ურჩი, ხანდაზმული მცხოვრებლების დასაქმების ორიგი-ნალური მეთოდის გამოვონების შესახებ. რაიკომი იღებს დადგენილებას ჭერემ-ქალაქის ნანგრევების სიახლოვეს მენველი ფურ-კამეჩების ფერ-მის ორგანიზების შესახებ. ეს წინადადება აღრფოთვანებით მოინონა და მიიღო რაიკომის ბიურომ.

ჭერმის ურჩი, ჭარმაგი მცხოვრებლები დაასაქმეს ახლადშექმნილი მეკამბერეობის ფერმაში, ცხადია მიზერული ანაზღაურებით. სხვა რა გზა იყო, ჭერემ-ქალაქის ეს ჯიუტი პატრიოტები უნდა დათანხმებოდნენ რაიკომის ყოვლადშემძლე მდივნისა მა „გენიალურ“ გადაწყვეტილებას.

როგორც შემდეგ გაულერდა „ჭორის სახით“, თურმე, აქ მოხსენიებული რაიკომის მდივანი ყოფილა კამეჩის მანვნისა და ყველის დიდი მოყვაული... გაივლის რამოდენიმე წელი.

„ჯინსების“ თაობა მიხვდება თავის მიერ დაშვებული საბედისნერო შეცდომის მნიშვნელობას. ბევრ მათგანს უჩნდება სურვილი ჭერემში უკან დაბრუნებისა. ის, ვისაც ეს სურვილი პირველად გაუჩნდა, ჯერ კიდევ ახ-ერხებს უკან დაბრუნებას. ენერგეტიკული კრიზისი საქართველოში ჯერ კიდევ მთელი სიმწვავით არ დაწყებულა. ბენზინის ფასი, მართალია, ინ-ყებს მატებას, მაგრამ მისი ყიდვა უბრალო მოკვდავთათვის მაინც კიდევ შეიძლება.

გადის დრო, ქვეყანაში თხევადი საწვავის ფასი იზრდება ექსპონენ-ციალური სიჩქარით. ახლა უკვე შეუძლებელი ხდება სატვირო მანქანების დაქირავება და ჭერემ-ქალაქიდან წალებული სამშენებლო მასალების უკან აზიდვა.

ქვეყანაში ენერგეტიკულ კრიზისთან ერთად, თავს იჩენს მრავალი ცხოვრებისეული პრობლემაც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი რჩება ლუქმა-პურის გარეშე.

ქვეყანა უბრუნდება მეორე მსოფლიო ომის დამახასიათებელ შიმშილობის პერიოდს. ახლა უკვე ლუქმა-პურის შოვნა ხდება ხალხისათვის უპირველესი საზრუნვაი.

ჭერემ-ქალაქის ბედი უკვე აღარავის აწუხებს. ამ ქალაქის გაცოცხლების არანაირი შანსი აღარ არსებობს...

აი, ასე დასრულდა ერთ დროს აყევავებული ციხე-ქალაქის არსებობის ისტორია.

ქართული მთის სოფლების ტრაგედიის შესახებ, ჭერემ-ციხე-ქალაქის მაგალითზე, შევეცადე მკითხველისთვის მეჩვენებინა ის თვითნებობა, რომელსაც იჩენდნენ პარტიული ბოსები ქვეყნის ისტორიული ტრადიციების უპრეცენდენტო უგულებელყოფით.

მარტო შატილის ციხე-ქალაქის გაუკაცურება კი არა, მთლიანად, არაგვის ხეობის მთის სოფლების ნგრევა დიდ უბედურებად იქცა მთის მცხოვრებთათვის.

საერთოდ, მთის ტრადიციული ჩვევების უგულებელყოფით მიყენებული დარტყმა ტრაგიკული აღმოჩნდა მთლიანად ქვეყნისათვის.

სამწუხაროდ, ეს ფაქტორი, პარტიულ ელიტას არასოდეს არ აწუხებდა.

ანალოგიური ბედი ენვია საქართველოს ყველა კუთხის მთის სოფლებ-საც. ეს იყო, პრაქტიკულად, ხელოვნურად ინსპირირებული მოვლენა

მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც, ხატოვნად რომ ვთქვათ, შეიძლება, გვეწოდებინა „სოციალური კოლაფსი“. კომუნისტური წყობის იმ-დროინდელ სხვა უბედურებებთან ერთად, ესეც იყო ერთ-ერთი დიდი შეცდომა თუ დანაშაული.

## 17. ეკოლოგიური კატაკლიზმი კახეთში

ამბობენ, უბედურებას მარტოს არ უყვარს სტომრობა, - ერთს მოჰყება ხოლმე მეორე, მეორეს - მესამე და ასე შემდეგ. სწორედ ამგვარი სიტუაცია შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში 1942 წელს, გვალვიანი და უთოვლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც კახეთის სავარგულებს მოედო მინდვრის თაგვების დიდი „არმია“. ამასთან, მათი რიცხვი იზრდებოდა გეომეტრიული პროგრესით.

მთავრობა იძულებული გახდა, მიეღო სასწრაფო ზომები მათ ნინაალმდეგ საბრძოლველად.

თაგვმა უდაბნოდ აქცია არა მარტო ხორბლის ნათესები, არამედ, საერთოდ, მინდვრის მთელი მწვანე საფარი.

მთავრობის განკარგულებით დაიწყო ხორბლის ნათესების დამუშავება თვითმფრინავიდან გამოფრქვეული სანამლავებით. ამასთან ერთად შეიქმნა ბრიგადები, ვისაც ევალებოდა ყოველი თაგვის სოროსთან მოწამლული ხორბლის მარცვლების განთავსება. ეს სამუშაო სრულდებოდა ყოველგვარის პეტანსაცმლისა და ხელთათმანების გარეშე!..

ამ მეთოდებით განხორციელებული აქციების შედეგები მე არ ვიცი, მაგრამ ამ ნამლობის შემდეგ რომ კახეთის მინდვრის მშვენება — გნოლი, საბოლოოდ გადაშენდა, ეს კი კარგად დავინახე.

როგორც ცნობილია, გნოლის გუნდები ჭია-ღუას ულმობლად ანადგურებდნენ პურისა და ქერის ნათესებში. ამით ისინი ასრულებდნენ მინდვრის სანიტრების როლს.

სრულ გადაშენებას გადაურჩა კაკაბი და ისიც მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კაკების ზოგიერთმა გუნდმა არ დატოვა ივრის სანაპიროს უკაცრიელი გორმახები და უარი თქვა ხორბლის ნათესებში საზრდოს მოპოვებაზე.

ასევე გადარჩა დურაჯი ივრის ჭალებში, სადაც შხამ-ქიმიკატებით მავნებლების ნინაალმდეგ მოწყობილი აქციები არ გამართულა.

მერომ ფულის პატრონი ვიყო, პირველი, რასაც გავაკეთებდი, ეს იქნებოდა გნოლის ხელახლა მოშენება და გამრავლება კახეთის სანახებში.

როგორც ცნობილია, გნოლის ხორცი, მწყერთან ერთად, გამოირჩევა განსაკუთრებული გემოთი. პრაქტიკულად, გნოლი — ეს არის ქათმის ზომის მწყერი! მწყრის ხორცი კი, თავისი გემოვნებით, პირველ ადგილს

არ უთმობს არც ერთ სხვა ფრინველს...

კახეთში, მინდვრის თაგვების ნინააღმდეგ განხორციელებული აქციები აღმოჩნდა სუფთა ნყლის ნაყვა. ეს მინდვრის უბედურება მოისპო მხოლოდ თებერვალ-მარტის დროს მოსული თოვლ-ჭყაპის წყალობით.

მეორე დიდი უბედურება პურის ნათესების განადგურებაში გახდა ფრინველების დიდი გუნდების მიგრაცია სტავროპოლისა და უკრაინის ტრამალებიდან. ეს შაშვისოდენა ფრთოსნები, დიდ გუნდებად გაერთიანებულები, შემოდგომის ხორბლის ნათესებს ძირვესვიანად ანადგურებდნენ. ამ ფრინველების გუნდები იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ უბრალო საფანტიანი თოვის ერთი გასროლით მარჯვე მონადირეს შეეძლო გუნდიდან რამდენიმე ათეული ფრთოსნის გამოკლება. უნდა შევნიშნო, რომ ამ ფრინველების ხორცი ნამდვილი დელიკატესი იყო ბავშვებისათვის. უთოფოდაც შეიძლებოდა ამ ფრინველის მოკვლა, შურდულების გამოყენებით. ნამოჩიტებული მარჯვე ბიჭები, ახერხებდნენ საშუალოდ ათამდე ფრინველის მოპოვებას. როდესაც შიმშილი ზეიმობდა უკლებლივ ყველა ოჯახში, ბიჭების მიერ მოპოვებული ასეთი ნანადირევი, ნამდვილად დიდი შეღავათი იყო მათი ოჯახებისათვის.

1943 წლიდან, ფრინველთა ასეთი გუნდები, საქართველოში უკვე აღარ შემხვედრია.

როგორც ჩანს, ამავე, 1943 წლიდან, დევნილი მგლებიც დაბრუნდნენ თავის ყოფილ, მშობლოურ სამფლობელოებში, თორემ მარტო მონადირის ძალისხმევა არ იქნებოდა საკმარისი საქართველოს ტყეებისა და ჭალების გასაწმენდად ამ ჭკვიანი მტაცებლებისაგან.

ბედის დაცინვაა, რომ თითქმის ყველა სახის ცხოველისა და ფრინველის კრიზისამდე არსებული მდგომარეობა გამოსწორდა, გარდა გნოლისა — ყველაზე უწყინარი და უპრეტენზიო ფრინველისა. არ მინდა დავიჯვრო, რომ ამ ულამაზესი ფრთოსნის გუნდები კახეთის სავარგულებში აღარასოდეს დაიბუდებენ!..

## 18. გერმანება, სახელად „ტურა-მუხა“

ჩემი სოფლის ბოლოს, ოდნავ ამაღლებულ ადგილზე, იდგა ერთი ვეებერთელა მუხა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ეძახოდნენ ტურა-მუხას, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სწორედ ამ მუხის მახლობლად დალამებისთანავე იკრიბებოდნენ ტურებიდა საზარელი წეავ-წეით უხმობდნენ თავის მოძმეებს სალამოს კრებაზე გამოსაცხადებლად.

ტურების ამ შეკრებაზე რა პრობლემები ირჩეოდა, ჩემთვის არ არის ცნობილი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მეორე დილით სოფლის მცხოვრებთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ჩიოდა ხოლმე საქათმეებიდან ინდაურებისა

და ქათმების დაკარგვას...

მაშინ ქვეყანას ყველაზე მეტად აწუხებდა მეორე მსოფლიო ომში ნასული ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდობის ბედი და სოფელში დარჩენილებს, არც მოხუცებს და არც ქალებს არ შეეძლოთ უიარალო, ცარიელი ხელებით და ჯოხებით ტურების და სხვა მრავალი დამშეული ნადირის თარეშის აღკვეთა.

თავად ამ მუხის ვარჯი იყო გასაოცრად დიდი დიამეტრის, რომლის გული გამომნვარი იყო ცეცხლისაგან და შიგნით შეიძლებოდა კოცონის დანთება. ყინვისა და თოვლ-ჭყაპის დროს ასეთი კოცონის გარშემო ათა-მდე კაცს თავისუფლად შეეძლო თავის შეფარება და პურის ჭამა.

მაშინ ვერ ვხვდებოდი და ამჟამად დიდი მუხისთვის გულის გამონვა ბარბაროსობად მიმაჩნია, რაც არ უნდა წვიმა-თოვლისგან თავშესაფარებლად გინდოდეს - საცოდაობაა რამდენიმე საუკუნის მცენარის ასეთი მეთოდით დასუსტება, მაგრამ ჩვენი ხალხის ზოგიერთ მავნე ჩვეულებას სად ნაუხვალ... ფესვებში დაგროვილ წყალს და მინერალებს ქერქის გავ-ლით ღებულობენ ტოტები და თუ ზომიერად გამოუწი ვარჯის გული და მთლად ქერქამდე არ დახვედი, მაინც ცოცხლობს ხოლმე მუხა... არადა, არც ევროპაში და არც ამერიკაში არავის აზრადაც არ მოუვა ასეთი სისასტიკის გამოჩენა გიგანტური ხეების მიმართ...

ტურა-მუხის ამ ფულურო „ნაგებობას“ ჰქონდა ორი, ერთნაირი ზომის, ერთმანეთის საპირისპიროდ გამოჭრილი კარი, რომლებშიც თავისუფლად შეიძლებოდა ადამიანის შესვლა ოდნავ წელშიმოხრილ მდგომარეობაში.

თავად მუხის ტოტებიც იყო გიგანტური ზომის და ამ მუხას ფოთოლი და რეოს ნაყოფი გამოჰქონდა სადღაც ცის მახლობლად, - ისე მაღლა, რომ, ალბათ, აფრიკული მაიმუნებიც კი ვერ შეძლებდნენ ასეთ სიმაღლეზე ნამოსკუპებას...

დღეს, როდესაც ტელევიზიის წყალობით, ბევრი მსოფლიო მნიშვნელობის ნაკრძალისა და პარკის ნახვა შეიძლება, მე უკვე შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ტურა-მუხასავით საოცარი სიდიდისა და სილამაზის მქონე არანაირი ობიექტისათვის ჯერ არ მომიკრავს თვალი.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora, Quercus longipes*), იზრდება ძალიან ნელა, ოთხმოცი-ასი წლისა კიდევ იმატებს სიმაღლეში და ზრდასრული ოცდაათ მეტრამდე აღწევს, ხოლო ამის მერე კი მხოლოდ ვარჯი მატულობს სისქეში და, საბოლოო ჯამში, რვაას წელზე მეტხანს ცოცხლობს, სავარაუდოა, „ტურა-მუხის“ „დაბადება“ იმ ხანას ემთხვეოდეს, როცა საქართველოში „ვეფხ-ისტყაოსანი“ ინერებოდა...

მეორე მსოფლიო ომის დროს, ერთი სულიერად ავადმყოფი ახალგაზრდა, რომელსაც სამხედრო კომისარიატმა უარი უთხრა ჯარში განვევაზე, დასახლდა ამ მუხის გამოფატრულ „სახლში“ და აგრძელებდა იქ ცხოვრებას.

ერთ ყინვიან ზამთარში, როგორც ჩანს, იმ შეშლილმა ვერ მოზომა მისა მიერ ნამჯით დანთებული კოცონის საშიშროება და ცეცხლი გაუჩინდა მუხის ზემო „სართულებზე“ განლაგებულ გიგანტურ ტოტებსაც.

ხანძარი იმდენად მძვინვარე და საბედისწერო აღმოჩნდა, რომ ორი დღის შემდეგ ბერმუხა ხმაურით დაენარცხა მინაზე.

ცეცხლის ჩაქრობა ვერც მაშინ მოხერხდა, რის გამოც მთლიანად დაინვა მუხის ძირითადი ვარჯი... .

მთელი ორი წლის განმავლობაში ამ მუხის ნარჩენებს სოფელი იყენებდა ლუმელების ასანთებად და გასათბობად.

ამ ვეებერთელა მუხის დანვიდან გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი, მაგრამ სოფელი ამ ადგილს კელავ მოიხსენიებს „ტურა-მუხის“ სახელით.

დღეს იმ ნამუხარის სიახლოვეზე, თხუთმეტი-ოცი მეტრის დაშორებით დგას და იზრდება იმავე ჯიშის უკუე საკამაოდ წამოზრდილი მუხა, რომელ-საც პატარა ბავშვიერი უვლიდა და ეფერებოდა ჩემი საყვარელი ილია პაპა.

სადღეისოდ ეს პატარა მუხა უკუე სამოცდაათ წელს მიღწეული „ბავშვია“, რომელიც ჯერ-ჯერობით წორმალურად ვითარდება და მნახველზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

რამოდენიმე საუკუნის შემდეგ, შესაძლოა, ისიც გაიზარდოს გიგანტურ, ულამაზეს მცენარედ. აյი ნათქვამია - „კვიცი გვარზე ხტისო“.

იქნებ შორეულ მომავალში, შვიდი-რვა საუკუნის შემდეგ, იმ დიდი ტურა-მუხის შთამომავალიც ბერმუხად იქცეს და თავისი დიდებული კონ-სტრუქციით მაშინაც გააოცოს იმ დროის ილია პაპა და იმისი რვა წლის შვილიშვილი...

## 19. ლტოლვილი გალები

გერმანელების მიერ ჩრდილო კავკასიაში წარმოებული ომის დროს, ლტოლვილებად იქცნენ არა მარტო ადამიანები, არამედ გარეული ცხოველებიც. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ სტატუსით აიკრა გუდა-ნაბადი და გადმოსახლდა სამხრეთ კავკასიონზე, იყო მიგელი.

ცნობილია, რომ ადგილობრივ მგლებს მკაცრად ჰქონდათ გამიჯნული ყოველი ჯახის მოქმედების არეალიდა ლტოლვილი მგლებისათვის თავშესაფრის მოძებნა არ იყო მარტივად გადასაწყვეტი საკითხი.

ეს სირთულე კარგად ესმოდა ლტოლვილ მგლებსაც და ამის გამო ისინი გაერთიანდნენ დიდ ჯგუფებად — ხროვებად. უცხო მხარის ამ მგლის ხროვებს შემუშავებული ჰქონდათ წადირობის ორიგინალური სტრატეგია, რომლითაც შეეძლოთ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე, კამეჩის ჩათვლით, წარმატებული ნადირობა. მგლის რამდენიმე ხროვამ აითვისა არა მარტო შინაურ ცხოველებზე ნადირობის ტექნიკა, არამედ ცხენზე ამხედრებული

მეცნიერება-მნიშვნელობის ცხენ-კაციანად დამორჩილების მეთოდიკაც.

ამ ტექნოლოგიით, მგლის ხროვა გარს ერტყმოდა მსხვერპლს. მათ მიერ შექმნილი ნრე თანდათანობით იკუმშებოდა, რის შემდეგაც ცხენიან კაცს გაქცევის საშუალებაც აღარ ჰქონდა.

მსხვერპლის დამორჩილების პირველი პროცედურა იწყებოდა გამოცდილი მხეცის მიერ ცხენის ყელის გამოღადრვით.

უჰაეროდ დარჩენილი საბრალო ცხოველი უმონტალოდ ეცემოდა, თავის მხედრიანად, მინაზე.

შემდგომი პროცედურები უკვე მარტივი იყო — მგლების ხროვა, უკვე უპრობლემოდ, ახერხებდა ცხენ-კაცის შექმას.

ტრაგედიის ადგილზე რჩებოდა მხოლოდ ცხენის ჩლიქები და უნაგი-  
რი, აგრეთვე მხედრის — მეცხვარის ტანსაცმლის ნაფლეთები, გამოუყ-  
ენებელი თოფის ჩათვლით.

მსგავსი ინცინდენტების შემდეგ, მეცხვარეები ერიდებოდნენ ლამით მეზავრობას.

შირაქის ზამთრის საძოვრებზე, უცხო ტომის მგლის ხროვების თარე-  
შის შემდეგ, შექმნილი სიტუაცია ძეირი უჯდებოდა არა მარტო მნიუემ-  
სებს, არამედ მთელი კახეთის მოსახლეობას.

გათავსედებული მგლები იმასაც კი ახერხებდნენ, რომ ღამით შედიოდნენ ცხვრის ზამთრის ფარხებში და მუსრს ავლებდნენ ცხვარ-ბატყანს.

ათეულობით ცხვარს და ბატყანს, მგლის მიერ უმონქალოდ ყელგამ-ლადლულს, მწყემსები უკეე დილით ნახულობდნენ ზამთრის ფარეხებში.

მგლების ამგვარი თარეშის შემდეგ მთავრობა იძულებული გახდა დაენესებინა ფულადი ჯილდო იმ მონადირეებისათვის, რომლებიც ჩაა-ბარებდნენ მგლის ტყავს.

ამ მეთოდმა გაამართლა და ზოგიერთი გამოცდილი მონადირე წარმატებით ართმევდა თავს ამ ამოცანას.

მგლების თარეში კახეთში დასრულდა სამოციანი წლებისათვის. ამ კამპანიამ მგლების განადგურების შესახებ და დაწესებული ჯილდოების გაუქმებამ, უკვე სამოცდაათიანი წლებიდან, გადაარჩინა მგლების რა-მოდენიმე ოჯახი სრული მოსპობას.

მგლის პრობლემა საქართველოში დღეს უკვე საბოლოოდ მოგვარე-ბულად ითვლება.

ეკოლოგები დღეს მგელს მიიჩნევენ ბუნების სანიტრაც.

მგლის ფენომენის დამცველები ამტკიცებენ, რომ ეს ჭივიანი ცხოველი ასრულებს სანიტრის ფუნქციას - მხოლოდ ავადმყოფ გარეულ ცხოველებს ანადგურებს და ამ გზით ხელს უწყობს მხოლოდ ჯამრთელი პოპულაცის გამრავლებას.

ასე დასრულდა საქართველოში გადმოხვენილი, ლტოლვილი და ადგილობრივი მგლების პრობლემა.

## 20. ომი და მშვიდობა გლეხის ცხოვრებაში

მომავალში ისტორიების, მეორე მსოფლიო ომის შესახებ ინფორმაციას, ალბათ, ასე გადმოსცემს: 1941 წლის 22 ივნისს გერმანელებმა დაიწყეს საბჭოთა კავშირის ნინააღმდეგ ომი, რომელიც გრძელდებოდა ოთხი წლის განმავლობაში და დასრულდა გერმანელთა სასტიკიდამარცხებით 1945 წლის 8 მაისს, ხოლო 9 მაისი საბჭოთა კავშირში გამოცხადდა გერმანულ ფაშიზმზე ომის დამთავრების ოფიციალურ, საზეიმო თარიღად.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო საბჭოთა კავშირმა. ქვეყანამ დაკარგა ოცმილიონზე მეტი მებრძოლი, რომ აღარაფერი ვთქვათ გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლზე.

საქართველოდან მობილიზირებულ შვიდასი ათასი ჯარისკაციდან ნახევარიდარჩა ბრძოლის ველზე. ასეთი დიდი მსხვერპლი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა!

ამ ომშა, ქართველი ხალხის ცხოვრებაში დატოვა მძიმე და მოუშუბელი ჭრილობა.

1947 წლიდან, ქალაქის მცხოვრებთათვის, გაუქმდა გამომცხვარ პურზე არსებული საბარათო სისტემა. სტალინი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მუშათა კლასის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით გლეხობის მისამართით გადადგმულ რაიმე სასიკეთო ნაბიჯებზე.

გლეხობისათვის, ომის დროს დაწესებული კაბალური ბეგარა კვლავ უცვლელად იყო დატოვებული და აუცილებლად უნდა შესრულებულიყო!

ამ გადასახადებიდან მაინც ყველაზე მძიმე იყო ხორცის, რძის და მატყლის გადასახადი. ყოველი კომლი ვალდებული იყო, ნლიურად, სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა სამოცდათხუთმეტი კილოგრამი ხორცი, შვიდასორმოცდაათი ცალი ქათმის კვერცხი; მატყლი და ყველი კი ცხვრისა და თხის რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან, შინაური ცხოველების დასაშვები რაოდენობა იყო მკაცრად ნორმირებული. გლეხს უფლება ჰქონდა ჰყოლოდა: ერთი ძროხა და ხბო ერთ წლამდე ასაკის; ერთი ღორი; ცხვარი და თხა არა უმეტეს ათი სულისა; ერთი ცხენი და სახედარი სამეურნეო საქმიანობისათვის. და ეს მაშინ, როდესაც ყოველ კომლს პირად სარგებლობაში ჰქონდა მხოლოდ ოცდახუთი მეასედი ჰექტარი მინის ნაკვეთი! ამრიგად, ქართველი გლეხისათვის ომი არსებობისათვის ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

გლეხის ცხოვრებაში გამოჩნდა იმედის მომცემი ვარსკვლავი ხრუშჩოვის „სამეფო“ ტახტზე ასვლის შემდეგ. როგორც ცნობილია, მან მიიღო გადაწყვეტილება, გლეხობაზე დაწესებული გადასახადების არსებული, ომის დროინდელი წესების გაუქმების შესახებ. გლეხობა და, საერთოდ, სოფლის მცხოვრებნი დიდი მოწონებით შეხვდნენ ხრუშჩივის ამ გადაწყვეტილებას.

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ხრუშჩივის მიერ გადადგმული ამგვარინაბიჯიარ აღმოჩნდა ლრმად გაზრებულიდა მომავალ-ში გამოავლინა სოფლის მცხოვრებთა მრავალი პრობლემა...

შემდგომი აქცია, რომელიც მოჰყვა ამ დადგენილების ძალაში შესვლას, იყო ის, რომ კოლმეურნეობისა და მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ნევრებს, შრომის ანაზღაურება დაუწყეს არა მარტო ნატურით, ესე იგი, მათ მიერ ნარმოებული პროდუქციით, არამედ ნალდი ფულის სახითაც.

შექმნილ სიტუაციას ძალიან ჩქარა აუდეს ალლო სოფლის ბობოლებმა, რომლებმაც ნალდი ფულის რაღაც ნაწილი შეიტანეს, ანაბრების სახით, შემნახველ სალაროებში, ხოლო ფულის მასის დიდი ნაწილი ჩადეს „მუ-თაქებში“. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც დიდი ფულის მომხვეჭელი სოფლის ბობოლები ვერ ბედავდნენ მათს განკარგულებაში სხვადასხვა მაქინაციებით ნაშოვნი ფულის ლეგალიზაციას. ამრიგად, მივიღეთ კვლავ გაუკულმართებული ფინანსური მდგომარეობა და როგორც შედეგი, დანაშაულებრივ მექრთამეობის ჭაობში ჩაფლული ქვეყანა!..

ნიკიტა ხრუშჩივის მიერ ექსპრესიულად და, თანაც, ხშირ შემთხვევაში, ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებები, აღმოჩნდა ბოლომდე გაუაზრებელი და მათ დიდი ზიანი მოუტანეს არა მარტო ქართული სოფელს, არამედ მთელ ქვეყანას. ამ დებულების მართებულობის საილუსტრაციოდ აქ, შემიძლია, მოვიყვანო უფრო დიდი მასშტაბის ხრუშჩივის ეული ავანტიურა, რომელიც დაინიშნო მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყამირი და ნასვენი მინების ათვისებასთან დაკავშირებით.

მაშინ ქვეყნის მასშტაბით დაინიშნო მოხალისეების და ენთუზიასტების ყამირზე გამგზავრების კამპანია. საქართველოდან ყამირზე გააგზავნეს არა მარტო ნამოჩიტებული ყმანვილები, არამედ სტუდენტებისა და მათი ლექტორების დიდი არმიაც. ქართველი მოხალისეებიდან ბევრმა ყმანვილმა ვერ გაუძლო კატორლულ რეჟიმში შრომას და ბევრი მათგანი დაკავად-და კიდეც, ხოლო, დიდად სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნისათვის, ზოგიერთ ახალგაზრდას სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდა ყამირზე აუტანელ პირობებში მუშაობა. მათ შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის კათედრის დოკუ-ტი, ნოდარ ნოდა... .

ნიკიტა ხრუშჩივის მიერ ჩატარებულმა გაუთავებელმა და ბოლომდე გაუაზრებელმა სამთავრობო აქციებმა, ქვეყანა მიიყვანა უფსკრულის ნაპირებამდე.

1964 წელს ბავშვების პატრონებს დაურიგეს ტალონები თეთრი პურის ყიდვის უფლებით.

აქ მახსენდება ერთი ბელორუსი პროფესორის მიერ, 1964 წელს, ჩემი მოსკოვში მივლინების დროს, ჩაის სმისას დასმული კითხვა, რომლის შინაარსიც აქ ასე შეიძლებოდა გადმომეცა: ის კითხულობდა ასე - აი, ჩვენ

ვიცით, რომ ოთხმოციანი წლებიდან საბჭოთა კავშირი შევა კომუნიზმის საწყის ფაზაში და პური, შაქარი და სხვა წვრილმანი მოხმარების პროდუქტი და ნივთები იქნება უკვე უფასოდ. ჩვენ შეგვიძლია ამის წინასწარ განჭვრეტა, მაგრამ დღეს რომ საჭირო გახდებოდა პურზე საბარათო სისტემის შემოლება, ჩვენ ამის პროგნოზირება ნამდვილად ვერ შევძელით. თქვენ, ფიზიკოსები იქნებ დაგვეხმაროთ და აგვიხსნათ ამ პარადოქსის შინაარსი. ამ დროს (ჩაის სმის დროს), მაგიდასთან ვიყავით ოთხი — ერთი კიეველი პროფესორი, გვარად ვანკოვიჩი; ერთი ბელორუსი პროფესორი, გვარად ვიშინსკი, რომელმაც დასვა ზემოთ მოყვანილი კითხვა; თბილისიდან კი გენადი კიუნაძე დამე. ამ კითხვამ ყველას გაულისა იუმორის ჭია და ცხადი იყო, რომ ოთხმოციანი წლებიდან კომუნიზმის საწყის ფაზაში თავის ამოყოფაზე ფიქრიც კი, სუფთა წყლის ნაყვა იყო და მეტი არაფერი...

ქართველი გლეხის თავზე კი კვლავ უმოწყალოდ ტრიალებს ბედის ბორბალი, - ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი სიდუხჭირეს.

არც ნიკიტა ხრუშჩივის მთავრობის მეთაურის სკამიდან ჩამოსმამ უშველა საქმეს. ქვეყანაში კორუფციამ და მექრთამეობამ მიაღწია გაუგონარ დონეს. ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმესაც დაემუქრა დიდი საფრთხე. „უპატრონო“ აბიტურიენტების სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტად ჩარიცხვის შესაძლებლობა გასცდა ფანტაზიის დონეს.

პირველი მოთხოვნილების საქონლის მწვავე დეფიციტის პირობებში, შეუძლებელი გახდა ეკონომიკის ნორმალური განვითარება. გლეხის მიერ დიდი მრომისა და გარჯის საფასურად მოყვანილი მოსავალი იმ დონეზე გაუფასურდა, რომ ბევრმა გლეხმა, უსიტყვო კაპიტულაციით, მიატოვა ბალ-ვენახი და გადაიხვენა უცხოეთში ლუქმა-პურის საშოვნელად.

ჩვენი ქვეყნიდან სამუშაო ძალის შეუქცევადი გადინების პროცესი დღესაც გრძელდება. ასეთ სავალალო დღეში აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა.

...და მაინც ყველაზე დიდი და უსამართლო სასჯელი ერგო გლეხს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბედუელმართი ისტორიის ყველა ეტაპზე თავს არ ზოგავდა ქვეყნის ინტერესების დასაცავად. სადღეისოდ ჩვენი გლეხი კვლავ ომშია ჩაბმული. ეს ომი კი მიმართულია მთლიანად ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ.

## 21. არაფორმალურის კიდევ ერთი სამიზნე

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში უკვე მთავრდებოდა გარე კახეთის მდინარელაკბის ხევში დიდი წყალსაცავის მშენებლობა. იმ დროისათვის ეს მშენებლობა სრულდებოდა საკავშირო მთავრობის დადგენილებით და ამ საქმეს კურირებდა პოლიტბიურო. როგორც ცნობილია, ასეთი მშენებლობის ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა ხდებო-

და შეუფერხებლად და საჭირო ტექნიკა იგ ზავნებოდა ყოველგვარი ფორმალური პროცედურების გარეშე.

იმ დროისათვის მდინარე ლაკბის ხეობაში ფუნქციონირებდა მძლავრი ტექნიკური ბაზა, რომელიც კაშხალის მშენებლობის უზრუნველყოფისათვის აღჭურვილი იყო ისეთივე ტექნიკით, როგორიც გამოიყენებოდა ციმბირის გიგანტურ მშენებლობებზე.

ლაკბის ტექნიკურ არსენალში იყო უამრავი „კამაზის“ ტიპის სატვირთო ავტომანქანა და ასი-ასომოცდაათ ტონიანი გიგანტური თვითმცლელები.

პროექტის მიხედვით, სარწყავი წყლით უნდა დაკმაყოფილებულიყო ძლიერ გვალვიანი ზონები — სილნალის, დედოფლის ნყაროს და შირაქის ზამთრის საძოვრები. ლაკბის ნყალსაცავიდან წყლის გადატუმბვა უნდა მომხდარიყო ოთხ რიგად დამონტაჟებული, ასორმოცდაათი სანტიმეტრის დიამეტრის გიგანტური ფოლადის მილებით, რომლებიც სარწყავ ნყალს გაატარებდნენ კაშხალიდან გარე კახეთის ზეგანზე გავლით. ეს სამუშაოები ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისისთვის უკვე იყო დასრულებული.

სარწყავი წყლის მილების ოთხი გიგანტური ტრასა უკვე მზად იყო გამოიყენებისათვის.

რჩებოდა კაშხალის გადაეცემვის სამუშაოების შესრულება, რომელ-საც არსებული პროექტის მიხედვით, სჭირდებოდა ერთ წელზე ნაკლები დრო და კახელი გლეხის და მეცხვარის ოცნება რეალობად იქცევიდა!

აი, ასეთ სიტუაციაში ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ააგორეს უგუნური პროტესტის ტალღა, ამ პროექტის დახურვისა და საერთოდ გაუქმების მოთხოვნით. მათი არგუმენტაცია ასეთი გადაწყვეტილების აუცილებლობის შესახებ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლების დაშანტაჟებისა და მოტყუების გზით შეძლეს მათი აყოლება.

მოხდა ნარმოუდგენელი დანაშაულის ინსპირირება.

მოსახლეობა ალმოჩნდა ისე ძლიერ ზომბირებული, რომ თავადვე დაინუეს უკვე აშენებული კონსტრუქციების მსხვრევა და უმოწყალოდ განადგურება.

ლაკბის ხევში თავმოყრილი სამშენებლო ტექნიკა, სატვირთო მანქანები და სხვა კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც განკუთვნილი იყო არხის მშენებლობისათვის, ამ უგუნურმა „პატრიოტებმა“ ნყალსა და ცეცხლს მისცეს. ერთადერთი, რაც მათ ვერ შეძლეს და ვერაფერი მოუხერხეს, ეს იყო გიგანტური თვითმცლელი მანქანები, რომელთაც ვერც საბურავი მოხსნეს და ვერც სხვა დიდი მასის მქონე ტექნიკურ ელემენტები...

მე ვთვლი, რომ ეს იყო ქვეყნის ნინაშე ჩადენილი უპრეცედენტო დანაშაული.

იმისათვის, რომ ამგვარი მოქმედების უგნურება სწორად იქნეს გაგებული, საკმარისია საკუთარი თვალით იხილო ტარიბანას მინდვრებსა და

უდაბურ ადგილებში, წყლის არნახული დეფიციტის პირობებში არსებული მცენარეული საფარი. ამ ადგილებში გაზრდილი ველური ბრონეულის კორომების ნახვისას, რომლებიც დახუნძლულია გვალვისაგან უმონყალოდ დათრგუნული ნაყოფით, ადამიანს უჩნდება არნახული სიბრალულის გრძნობა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იყო რეალური შანსი ამ ადგილების გასარნყულებისა, თუკი დაგევმილი სარწყავი სისტემა ამიქმედდებოდა, მაშინ გეუფლება დიდი და სრულიად სამართლიანი ანტიპათია იმდროინდელი ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიმართ...

ამ ოციოდე წლის ნინ, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ, კარგად, გვარიანად ჩაკეტილ ქვეყანას ნარმოადგენდა. ეს ხელს უწყობდა ლვინის ქართული ბაზრის უკონკურსოდ ბაზონობას მიღიანად ქვეყნის მასშტაბით. მართალია, ყურძნის ნარმოების მხრივ მოლდავეთი იყო პირველ ადგილზე - ეს რესპუბლიკა ანარმოებდა ორჯერ მეტ ყურძნს, ვიდრე საქრთველო, მაგრამ ლვინის ხარისხით ქართული პროდუქტი ჯაბნიდა მოლდავურს. საქართველო იყო მრავალი რუსული ქარხნის ძირითადი დონორი. ქართველი მელვინები და მთავრობის ელიტარული ნრების მესვეურები, ფინანსებით ფანტასტიკური უზრუნველყოფის პირობებში, იღებდნენ კოლოსალურ მოგებას და მათი ცხოვრების პირობები, სრულიად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების ყოფისაგან.

საქრთველოს მთავრობა ცდილობდა ყურძნის ნარმოების გაზრდას ახალ, აუთვისებელ სავარგულებში ვენახების გაშენებით. ამ პროგრამით უკვე აღარ ინუნებდნენ მღამე ნიადაგებს და გვალვიან, უდაბურ სავარგულებს. ასე მოხდა ვენახების გაშენება შორისნის ტერიტორიაზე, გარე კახეთში და დედოფლის წყაროს ტარიბანის ნახევრად უდაბურ ადგილებში..

ტარიბანის მიდამოებში დამუშავეს მოზრდილი სავენახე სავარგულები და იქ გაახარეს ვაზი. ტარიბანის დაბლობ ადგილებში ვენახების გაშენების დროს, ქართველმა აკრონომებმა განახორციელეს ფანტასტიკურად გონივრული პროექტი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობდა, რომ ვენახების მორნყვაუნდა განეხორციელებინათ მანმადე, სანამ ვაზი „გამოიღვიძებდა“. ეს პერიოდი დგებოდა თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში. ამ დროისათვის სარწყავი წყალი ჯერ არავის სჭირდებოდა და შეიძლებოდა მისი „უკონკურსოდ“ გამოყენება. შემოთავაზებულმა რწყვის ახალმა მეთოდმა ფრიადზე „ჩააბარა“ გამოცდა და რადგანაც ტარიბანის შერჩეული ნიადაგი იყო ქვიშის სქელი ფენით დაფარული, დიდხანს ინარჩუნებდა ტენიანობას.

მე საკუთარი თვალით მაქეს ნანახი ამ გვალვიან ზონაში გაშენებული ვენახები, რომლებიც გამოირჩეოდა ძლიერ განვითარებული სანაყოფერებით, ხოლო, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ამ ვენახებში მონეული ყურძნის შაქრიანობა ბევრად აღემატებოდა კახეთის სხვარეგიონებ-

ში მოყვანილი ყურძნისას, რომელიც მერყეობდა ოცი-ოცდახუთი პრო-ცენტის ფარგლებში.

ცნობისათვის: ტარიბანას ველზე მოყვანილი ყურძნის შაქრიანობა კი, როგორც ამ დარგის სპეციალისტები ამტკიცებდნენ, აღნევდა ორმოც პროცენტამდე!

ეს მაგალითი მე აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა სარწყავი წყლის, როგორი ფანტასტიკური მოთხოვნა იყო და დღესაც არის ამ გვალვი-ან რეგიონში და როგორი ზომის დანაშაული აქვს ჩადენილი არაფორ-მალური ორგანიზაციების მაშინდელ ლიდერებს ხალხისა და ერის წინაშე...

უცხოეთში გაზიდული ჯართის ბედი ენვია მდინარე ლაკბის წყალსად-ენის გიგანტურ მილებსაც, რომლებიც დაჭრეს, დააქციურებს და გაუყენეს თურქეთის გზას. ასევე ჯართად აქციეს ყოველგვარი მეტალური ხასია-თის ნაკეთობა.

საწყალ კახელ გლეხს ბარი, ცული, ნამგალი და სხვა საჭირო ნაკეთობა გაუხდა საძებარი.

ეს კი არა, ვენახის ლითონის სარები და საყრდენი ბოძებიც კი და-გლიჯეს და გაუყენეს თურქეთის გზას.

ვენახები დარჩა ბეტონის კონსტრუქციებისგან დამზადებული ბოძე-ბის ანაბარა. მერე ამ ბოძებმა დაინყო ყინვისაგან დაშლა და მსხვრევა. ადრე ვენახებში კენჭსაც კი ვერ იპოვიდი, ახლა კი გაივსო დამსხვრეული ბეტონის ქვა-ლორლით...

საქართველოსთვის პატრიოტიზმი და ქვეყნის ჭეშმარიტი სიყვარული გახდა დიდად დეფიციტური ფენომენი...

აქ მინდა არაფორმალებს დავუსვა კითხვა: ბატონებო, მართლები ხართ ქვეყნისა და ერის წინაშე თქვენს მიერ ინსპირირებული, მრავალი აქციის მოწყობისათვის?! მოგნონთ თქვენი ძალისხმევით ინიცირებული დღევან-დელი საქართველოს ყოფიერება?!

თუ მოგნონთ, ბარაქალა თქვენს ვაჟეაცობას...

## 22. ავღავეთის ომის ეპო საქართველოში

ავღანეთის ომმა ქართველ ახალგაზრდობას და, ზოგადად, საქართვე-ლოს დიდი უბედურება მოუტანა. ჯერ ერთი, ბევრი ქართველი ჯარისკა-ცის სიცოცხლე შეინირა და, მეორე მხრივაც, ხელი შეუწყო საქართველო-ში ნარკომანის, როგორც ჩვენი დროის დიდი უბედურების, ფართომას-შტაბიან გავრცელებას. საქართველო იქცა ავღანეთიდან ევროპაში ამ უბედურების გამტარ სატრანზიტო ქვეყნად.

სადღეისოდ სახელდება სამასი ათასზე მეტი ნარკომანი, რომლებიც რეგისტარციაში აყვანილი არიან ოფიციალურად, როგორც ამ „ნამლის“

მომხმარებლები (ცნება „ნამალიც“ მოგონილია ამ უბედურების მომხმარებლების მიერ). აქდასახელებული რიცხვი, როგორც ირკვევა, არ არის სრული, რადგანაც რეალურად, ამ ჩვენი დროის უბედურების მომხმარებელთა რაოდენობა ბევრად უფრო დიდია, ვინემ ეს ოფიციალური სტატისტიკით არის ნარმოდგენილი.

კავკასიის ხალხებისათვის ავლანეთის ომმა მიიღო განსაკუთრებული „სტატუსი“. ამ ოში აგზავნიდნენ მზით გარუჯულ, შავგვრემან ყმანვილებს, რომლებიც გარეგნულად, შესახედაობით თითქმის არ განსხვავდებოდნენ ავლანელი თანატოლებისაგან. როგორც ჩანს, საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ ამ გზით დისკომფორტს შეუქმნიდა მოჯაპიდებს სამიზნის არჩევაში. აი, ასეთი პრიმიტიული მეთოდით ანარმოებდა ავლანეთის ომს წმინდა სისხლის შოვინისტური რუსული გენერალიტეტი.

საქართველოში კი უნყვეტ ნაკადად მოდიოდა ავლანეთში დალუპული ქართველი ჯარისკაცების დალუქული კუბოები, რომელთა გახსნა და მახლობლებისათვის, მშობლების ჩათვლით, თვალით დანახვაც კი, სასტიკად იყო აკრძალული.

ქვეყანა, რომელიც ასეთი ლოგიკით ცხოვრობდა, აუცილებლად უნდა აღვილიყო მინის პირიდან და დაინგრა კიდეც.

საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო დაეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსული არმია, რომელიც სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაემორჩილებინა სხვა ქვეყნები, კვლავ დარჩა თავისი დამპყრობლური პოზიციების მებარახტრედ.

ავლანეთის ომს ლეონიდ ბრეუნევი აძლევდა კვალიფიკაციას – „შეზღუდული კონტიგენტის“. რეალურად კი, ეს იყო ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია, სადაც გამოიყენებოდა შეიარაღების ყველა თანამედროვე საშუალება, ბირთვული იარაღის გარდა. ამიტომაც გენერალური მდივნისათვის ეს იყო „შეზღუდული კონტიგენტის“ სამხედრო აქცია და არა სრულმასშტაბიანი ომი.

კარგად მახსოვს მეორე მსოფლიო ოში გადარჩენილი ჩვენი სოფლის ერთი ჭევიანი ვეტერანის მიერ სოფლის „ბირჟაზე“ ნათქეამი სიტყვები: ჩვენი მეთაურები, გერმანიასთან ომის დროს, სრულიად არ უფრთხილდებოდნენ ჯარისკაცის სიცოცხლეს. მათ აგზავნიდნენ ისეთი ამოცანის შესასრულებლად, სადაც გადარჩენის არანაირი შანსი არ არსებობდა ო... (მოგვიანებით ეს მომენტი კარგად არის ნაჩვენები ქართულ მხატვრულ ფილმში „ლიმილის ბიჭები“).

კადრის ყოფილი ჯარისკაცის ეს სიტყვები მე კარგად მახსოვს დღესაც დარაოდენ უცნაურადაცარუნდა მოგვეჩვენოს, როგორც ავლანეთის ოში, ასევე შიდა საბჭოთა-რუსული კონფლიქტების დროს, ჯარისკაცის მიმართ რუსული ბატონიკაცური დამოკიდებულება, სამწუხაროდ, არ შეცვლილა.

სულახლახანს ქართველი ხალხი უკვე მერამდენედ გახდა მოწმე რუსი ჯარისკაცის ტრადიციული თუ ისტორიული დაუნდობლობისა მშვიდობიან მოსახლეობის მიმართ.

ავლანეთის ომმა, პრაქტიკულად, გადაწყვიტა, საბჭოთა კავშირის, როგორც მძღავრი ზესახელმწიფოს არსებობის ბედი.

საბჭოთა კავშირი დაიშალა მარტივ მამრავლებად.

პირველი, ვინც თავს უშველა, იყო ბალტიის ქვეყნები: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი.

შეუაზის რესპუბლიკებმა მიიღეს დამოუკიდებლობის სტატუსი.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს დამოუკიდებლობა უნდა მიეღო ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკას - აზერბაიჯანს, საქართველოს და სომხეთს...

ისიც კარგად არის ცნობილი, რაც თავს დაატყვდა ჩეჩინეთს...

რუსული დათვი ჩეჩინა გამოფხიზლდა და დაიწყო დაშლილი სახელმწიფო მანქანის ხელახლა აწყობა.

რუსეთმა შეაკონინა ცნება — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანების სახელწოდებით. ეს ალმოჩნდა საბჭოთა კავშირის მოდიფიცირებული ვარიანტი. სხვა გზა არ იყო, თითქმის ყველა რესპუბლიკამ ხელახლა შეუყო თავი, პრაქტიკულად, მოდიფიცირებულ საბჭოთა კავშირში. როგორც ახლა ჩანს, მაშინდელი დამოუკიდებელი რესპუბლიკების ხელმძღვანელებს კიდევაც აწყობდათ ასეთ გაერთიანებაში შესვლა.

ავლანეთის ომი ალმოჩნდა საბედისნერო არა მარტო ქართველი ხალხისათვის, რომელმაც დაკარგა ბევრი სიცოცხლით სავსე ყმანვილი, არამედ მთლიანად ყოფილი ზესახელმწიფოსათვის, რომელსაც ერქვა საბჭოთა კავშირი.

ორ პოლუსიანი მსოფლიო, რომელსაც ერთის მხრივ მართავდა აშშ და, მეორეს მხრივ, საბჭოთა რუსეთი, გახდა ერთპოლუსიანი. საბჭოთა რუსეთი გამოთიშვეს „თამაშიდან“. ამიერიდან მსოფლიოს დარჩა მხოლოდ ერთი პატრონი და ეს მისია ითავა აშშ-ის სახელმწიფო მანქანამ.

ავლანეთის ავანტიკურისტული ომის შედეგებს მნარედ იმკიდა ერთ დროს დიდი ზესახელმწიფოს ხალხი, რომელთაც ვერ იქნა და თავი ვერ დააღნია გაჭირვებას და სილატაკეს. ცხოვრების დონით ეს ქვეყანა დარჩა კვლავ ცივილიზებული სამყაროს მიღმა, იერარქიის ბოლო საფეხურზე...

ამ პატარა ჩანაწერში მე შევეცადე შევხებოდი ავლანეთის ომში ქართველების ტრაგედიის ზოგიერთ მტკიცნეულ ეპიზოდს. ამ უაზრო ომის შედეგების სრულყოფილი ანალიზი სცილდება ჩემი შესაძლებლობის და კვალიფიკაციის ფარგლებს.

შემინდოს უფალმა, თუ ამ პერიოდის გახსენებით გული ვატეინე დალუპული ქართველი ბიჭების მშობლებს და ახლობლებს.

## 23. თამაშის სისტემის დაუზიანების გათვალისწინებით

მეცნიერული კვლევებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირში, როგორც წესი, ხდებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო კომიტეტების განაცხადების საფუძველზე. ეს პროცედურები, გასაგები მიზეზების გამო, არ იყო ექსპრესული. საკითხების დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი, დამკვეთი მატერიალურ უზრუნველყოფას იღებდა, უკეთეს შემთხვევაში, ორი ნლის შემდეგ. ამასთან, განაცხადის მოცულობა, როგორც წესი, გვარიანად იკვეცებოდა. ხშირ შემთხვევაში, მატერიალური უზრუნველყოფის მოცულობა არ აღემატებოდა მოთხოვნილი რაოდენობის მესამედს. დამკვეთებმა იცოდნენ ეს და თავიდანვე ნარადგენდნენ ხოლმე „გაბერილ“ განაცხადებს. საკავშირო საგეგმო კომიტეტის ჩინოვნიკებმაც კარგად იცოდნენ ამ „სამზარეულოს“ ტექნოლოგიადა, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ემსგავსებოდა კატა-თაგვობანას თამაშს.

ზოგჯერ საკავშირო მთავრობა ასეთი „ეფექტის“ არსებობის გამო, იყენებდა ცინიზმსა და მათ მიერ გამოგონილ სხვა მეთოდსაც. ერთ-ერთი ასეთია ქციის მონმე გახლავთ ფიზიკის ინსტიტუტიც.

1960-იან წლებში ფიზიკის ინსტიტუტის ძალიან მაღალი რანგის ადმინისტრატორმა საკავშირო მთავრობაში, თურმე, ნარადგინა განაცხადი ნახევარგამტარული მასალების დიდი რაოდენობის მოთხოვნით. რაცა არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ეს განაცხადი სრულად იყო და ემაყოფილებული და დაინკუინ ინსტიტუტში ამ კოლოსალური რაოდენობის ნახევარგამტარული მასალის შემოსვლა. არათუ ინსტიტუტის საწყობი, არამედ ტერიტორიაც კი არ იყო საკმარისი ამ მასალების განსათავებლად. ასე დაისაჯა მაშინ ინსტიტუტის ადმინისტრაცია საკავშირო საგეგმო კომიტეტის „ხუმარა“ ჩინოვნიკების მიერ...

ამ ეპიზოდის შემდეგ, ფიზიკის ინსტიტუტიდან განაცხადების ნარდგენას უკვე კურირება დაუწყო თვით დირექტორმა. ახლა უკვე დაუსაბუთებელი განაცხადების ნარდგენა ინსტიტუტის განყოფილებების მიერ მნიშვნელოვნად იყო გაძნელებული...

მომდევნო წლებში, ელექტორონიკაშვილის ძალისხმევით, თითქმის სისტემურად, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ფიზიკის ინსტიტუტიდან კეთდებოდა განაცხადი ისეთი სამუშაოების ექსპრესული დაფინანსებისათვის, რომლებიც ვერ მოხვდნენ ინსტიტუტის გრძელვადიან გეგმებში და საჭიროებდნენ დამატებით დაფინანსებას, მთავრობის რეზერვიდან.

იმ დროს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს მართავდა აკადემიკოსი ვლადიმერ კირილინი.

ბატონი ელეფთერი გონივრულად იყენებდა აკადემიკოს კირილინის კეთილგანწყობას ანდრონიკოვების ოჯახის მიმართ, რომელიც დიდად ეხმარებოდა ფიზიკის ინსტიტუტს სარეზერვო დაფინანსებით. ერთ-ერთი ასეთი დადგენილების პროექტის მომზადებასა და მის შესრულება მეც მომინია.

ამ დადგენილებით სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის რეზერვიდან ჩვენმა ინსტიტუტმა, მიზნობრივად, მიიღო ორასი ათასი მანეთის დაფინანსება. აქედან ნახევარი ხელფასის ფონდისათვის იყო გათვალისწინებული. ამ დადგენილებით გამოყოფილი თანხა მთლიანად მოხმარდა ჩვენი ლაბორატორიის ახალი შტატებით დაკომპლექტებას და კვლევისათვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენას.

მთელი ამ დადგენილების შესრულებისა და ანგარიშგების სამუშაოების შესრულება მომიხდა პირადად. ეს იყო წარმოუდგენლად დიდი, შრომატევადი სამუშაო, რომელიც შევასრულე წარმატებით, საკმაოდ დიდი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის ხარჯზე. ჩემს მიერ იმ დროის-ათვის წარდგენილი ოფიციალური ანგარიშების გამო, პასუხად ვიღებდი მადლობის წერილებს რეცენზინგი აკადემიკოსებისაგან. ეს იყო წარსულში. დღეს კი ახალ თაობას არც კი დაესიზმრება ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება უხელფასოდ, პრაქტიკულად, დამატებითი დაფინანსების გარეშე...

ფართო პროფილიანი კვლევითი ლაბორატორიის აღჭურვა საჭირო ხელსაწყო-დანადგარებით და სათანადო რეაქტივებით არ იყო ერთი და ორი დღის საქმე. ასეთი ლაბორატორიის მოწყობა საჭიროებდა დიდი ძალის ხმევის მობილიზებას და სამუშაოთა შემსრულებელი პერსონალის მომზადებას, მათთვის ექსპერიმენტატორ-მკვლევარის ჩვევების დასაუფლებლად. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო.

რამოდენიმე წელიწადში ჩვენს ლაბორატორიაში მომზადდა და გაიზარდა ბევრი მაღალი რანგის სპეციალისტი, რომელთა უმრავლესობამ დაწერა და და წარმატებით დაიცვა სადისერტაციო შრომები. ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ თითქოს კვლევით ლაბორატორიას მომავალში არავთარი საფრთხე არ უნდა დამუქრებოდა.

სამწუხაროდ ეს მოსაზრება მთლიანად დაიმსხვრა ქვეყანაში განვითარებული კატეკლიზმების ფონზე. საბჭოთა კავშირი დაინგრა, ბევრი ნამდვილი მეცნიერი დარჩა ულუკმაპუროდ და ინსტიტუტების მატერიალური ბაზებიც, თითქმის მთლიანად განადგურდა.

ჩვენი ლაბორატორია გადარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტმა გამოყო გრანტები კვლევითი სამუშაოების დასაფინანსებლად. სწორედ ამ გრანტების წყალობაა, რომ დღეს ფიზიკის ინსტიტუტში კვლავ არსებობს ლაბორატორიები, რომლებიც აგრძელებენ კვლევით სამუშაოებს, და თანაც, საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე.

## 24. უარული ომი

ვაკე-საბურთალოს მაგისტრალზე, რომელსაც დღეს მოიხსენიებენ, როგორც თამარაშვილის გამზირს, განთავსებულია, ეკლარის თეთრი ქვით მოპირკეთებული, ლამაზი შენობა. ამ შენობის პროექტის ავტორი იყო ცნობილი არქიტექტორი, კახა ჯავახიშვილი.

გასული საუკუნის სამოციან წლებში აშენებული ეს ლამაზი ნაგებობა, ხარაჩიობის მოხსნისა და მცირეოდენი შიდა კოსმეტიკური ხასიათის სამუშაოების დასრულების სტადიაზე იქცა ფარული ბრძოლის ობიექტად.

ამ ნაგებობის დაპატრონებაზე, თურმე, თვალი ჰქონდა დადგმული იმ მომენტისათვის ახლად გახსნილი ერთ-ერთი ინსტიტუტების მესვეურებს.

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ამ მიმართულებით წარმოებულ ბრძოლას მხარს უჭრდა მაშინდელი მთავრობის ზოგიერთი გავლენიანი წარმომადგენელი. ინსტიტუტის შენობის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო მთავრობის დონეზე. ამისათვის შექმნილა საგანგებოდ შერჩეული ფუნქციონერებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ადგილზე უნდა შეემოწმებინა შენობა-ნაგებობის ვარგისიანობა იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც განერილი იყო საკავშირო მთავრობის დადგენილებით. ამგვარი კომისიის შექმნის შესახებ ფარული ინფორმაცია, ერთი დღით ადრე, ცნობილი გახდა ელეფთერ ანდრონიკაშვილისათვის. ერთი შეხედვით, ისე გამოდიოდა, რომ გადარჩენის შანსი აღარ არსებობდა და მას უნდა მიეღო უსიტყვო კაპიტულაცია. ამ კრიტიკულ მომენტში ელეფთერ ანდრონიკაშვილი ირჩევს ბრძოლის ეფექტურ გზას: „უნდა დაამტკიცოს, რომ ინსტიტუტის შენობა უკვე დაკავებულია და იქ მიმდინარეობს ექსპერიმენტული კვლევები. ამ დროს შენობას ასუფთავებს დამლაგებელთა და ტუქნიკურ მუშაკთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. ჯერ არსად არ შესახლებულან ფიზიკოსები.

ასეთ ვითარებაში ვიღებ ბრძანებას, რომ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლებმა უნდა დაიკავონ ინსტიტუტის ერთი, რომელიმე სართული მთლიანად.

მე ვირჩევ მესამე სართულს.

მთელი ლაბორატორიული ტექნიკა დათქმულ დროზე ადრე გადმოგვაქვს რეაქტორიდან ინსტიტუტის შენობაში.

ვნერვიულობ.

ვგრძნობ, რომ რაღაც თამაშს ვთამაშობ, რომლისაც არაფერი გამეგება. ასეთ დროს მოთამაშე განირულია, ნაგება გარდაუვალია!

დგება კრიტიკული მომენტი...

ჩემს ახალ სამუშაო ოთახში პირველი შემოდის აკადემიკოს-მდივანი, ალექსანდრე ჯანელიძე.

მე ჩართული მაქვს, დღეის გადასახედიდან არქაული, ას-არხიანი ამ-

პლიტუდური ანალიზატორი, რომელიც მთლიანად აწყობილი იყო მიღაუებზე, ძალიან ხურდებოდა და სითბოს მოსახსნელად ამ „პირველყოფილ“ დანადგარზე მუშაობდა ხუთი სავენტილაციო აგრეგატი, რომელთა მეოხებით უცხო ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, რომ მოხვდა არა კვლევით ინსტიტუტში, არამედ დიდ საავიაციო ქარხანაში თვითმფრინავების ძრავების გამოცდის დროს.

აკადემიკოს-მდივანი მოგვესალმა, რამოდენიმე ფრაზა წარმოთქვა და გავიდა ოთახიდან, რის შემდეგაც ყველა მინისტრმა და პარტიულმა ფუნქციონერმა საკუთარი თვალით ნახა ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტი სამუშაო მდგომარეობაში.

ვიზიტი დამთავრდა.

ყველა ფუნქციონერი უხმოდ გავიდა ინსტიტუტის მთავარი შესასვლელიდან, ჩასხდნენ შავ „ვოლგებში“ და დამარცხებული გენერლების გამომეტყველებით დატოვეს ინსტიტუტის ტერიტორია.

პირველი უსამართლო და უთანასწორო ომი მოიგო ელეფთერ ანდრონიკაშვილმა.

ამ ბრძოლის შემდეგ, იმ ახლად ორგანიზებული და ჩვენი კონკურენტი ინსტიტუტების მესვეურებს, რეალურად აღარ ჰქონიათ ამ შენობის აღარციარული და აღარციად დაპატრონების სურვილი.

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, თავს ნებას ვაძლევ და ვაცხადებ, რომ იმ დროისათვის ერთი „ქალბმერთის“ ლოცვამ და ქმედებამ ფას-დაუდებელი სამსახური გაუნია საქართველოში ფიზიკის განვითარებას. ლმერთი იყოს იმ ქალბატონის მფარველი...

## 25. დოლარის მაფობის დასაცილის საქართველოში

საქართველოში დოლარის შემოსელა დაინყო მეოცე საუკუნის ბოლოს, დაახლოებით 1995 წლიდან. ამ დროისათვის დოლარის კურსი მსოფლიოს ბაზარზეც საკმაოდ მაღალი და პრესტიული იყო. იმ ქვეყნებში კი, სადაც მისი „ბატონობა“ ინყებოდა, განუზომლად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ასეთ ქვეყნებს შორის, რაღა თქმა უნდა, იყო საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში — დამოუკიდებელი რესპუბლიკები. იმ დროისათვის დოლარის მყიდველობითი უნარი ძალიან მაღალი იყო და ამ ფულის პატრონები ყოველ ნაბიჯზე ავლენდნენ თავიანთ მედიდურ დამოკიდებულებას ქართული ფულის მიმართ.

რაც არ უნდა პარადოქსულად მოეჩენოს, საქართველოს დღევანდელ, 2008 წლის პერიოდში მცხოვრებ მკითხველს, დოლარის შემოსელის პირველ წლებში, მისი მყიდველობითი უნარი იმდენად მაღალი იყო, რომ კარ-

გად დამამახსოვრდა ერთი ჩვენი ოჯახის ახლობლის მიერ დაბადების დღეზე დაპატიუებული სტუმრებისათვის განყობილ მეფეურ სუფრას როგორ ეყო თავისუფლად ოცი დოლარის ლირებულების საჭმელ-სასმელი...

აი, ასეთი რიხით შემოვიდა საქართველოში აშშ-ის დოლარი, რომლის ძლევამოსილება ნანილობრივ შეიკვეცა 2002 წლიდან საქართველოში ეროვნულ ვალუტის, ლარის შემოლების შემდეგ.

ლარის გამეფების პირველ წლებში მისი მყიდველობითი უნარი იმდენად მაღალი იყო, რომ ეს აისახა დოლარის პრესტიულ მდგომარეობაზეც.

ამ დროისათვის საქართველოში შემოსული დოლარის რაოდენობა უკვე აღარ იყო ისეთი იშვიათობა, როგორსაც ადგილი ჰქონდა მისი საქართველოს სავალუტო ბაზარზე შემოსვლის პირველ წლებში.

ხოლო ევროპული ვალუტის, ევროს გამოშვების შემდეგ დოლარის პრესტიულ მსოფლიო ბირჟებზე კიდევ უფრო შეირყა.

დღეს პრესაში ბევრს ლაპარაკობენ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შესახებ. ნავთობის ფასი მსოფლიოს ბირჟებზე ორჯერ დაეცა.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თითქოს ეს ეკონომიკური მსოფლიო კრიზისი ნაკლებად ეხება ქართულ სახელმწიფოს. ასეთ შეფასებებს ვისმენთ სისტემატიურად პრესიდან, რომელიც, კაცმა რომ თქვას, დიდი სიყალბეა. გაჭირვებული ხალხი, მათხოვრული პენსიების პირობებში, ამ სიცრუეს საკუთარი თვალით ხედავს.

ცხოვრების დონე, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთში ჩატარებული პროვოკაციური აქციის შემდეგ, მთელ საქართველოში მკვეთრად დაეცა. ამას საკუთარ თავზე კარგად გრძნობს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

უნდა ვალიაროთ, რომ საქართველო დგას ყოფნა-არყოფნის დილემის ნინაშე. ეს არის მკაცრი რეალობა, რომელიც ჩვენს განანამებ მოსახლეობას, მისი არსებობის მანძილზე წარსულში, ასე სასტიკად არასოდეს დადგომია.

ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი არის ემიგრაციაში, მათხოვრულ მდგომარეობაში, ლუკმა პურის საშოვნელად...

აი, როგორია ნანატრი, ვითომ თავისუფლების საფასური.

შექმნილ სიტუაციაში ლაპარაკი პატრიოტიზმისა და ქვეყნის ბედნიერ მომავალზე უკვე ფანტაზიის სამყაროში გადავიდა.

ჩვენს მომავალ თაობას დიდი პრობლემები ექნება მომავალში და, ლმერთმა ქნას, რომ მათ ეს პრობლემები წარმატებით გადაწყვიტონ...

დღეს კი მსოფლიო კრიზისის ხანდარი კვლავ მძვინვარებს და კაცმა არ იცის, როდის და როგორი შედეგებით დასრულდება ეს უბედურება...

## 26. მტრისები ნოე ქათამაძეს ხსოვნისათვის

ვისაც ნოე ქათამაძესთან ჰქონია საქმიანი თუ ჩვეულებრივი, ყოფითი ურთიერთობა, ვერ გაიხსენებს ისეთ შემთხვევებს, როცა ბატონი ნოე გამოსულიყოს მისთვის დამახასიათებელი, განონასწორებული და აუ-ლელვებელი მდგომარეობიდან. თანამდებობრივი მდგომარეობის გამო კი ხშირად ჰქონდა ისეთი შემთხვევები, როდესაც განრისხებისაგან თავის შეკავება თითქმის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მას ეკავა რადიაციუ-ლი უსაფრთხოების განყოფილების ხელმძღვანელის ფრიად საპასუხ-ისმგებლო თანამდებობა ატომურ რეაქტორზე და ვალდებული იყო, ყვე-ლასაგან მოეთხოვა გამოსხივებასთან მუშაობის ყველა ნორმის დაცვა. ამ საკითხში მისგან რაიმე კომპრომისის დაშვება გამორიცხული იყო.

ყოფით ცხოვრებაში კი ბატონი ნოე უფრო ადვილი „მოსათვინიერებე-ლი“ და დამყოლი გახლდათ. უყოფმანოდ შეგისრულებდათ ყველა თხოვ-ნას, თანაც ამას აკეთებდა ისეთი უშუალობით და ლიმილით, რომ, მარ-თლაც, ტოვებდა დამჯერი და დამყოლი კეთილი ბავშვის შთაბეჭდილე-ბას.

შემიძლია, თავს ნება მივცე და ვამტკიცო, რომ სწორედ ნოე ქათა-მაძის მაღალმა პროფესიონალიზმმა და თავდადებამ ითამაშა ფასდაუდე-ბელი როლი საქართველოს ტერიტორიაზე უხვად განთავსებული თუ გაბ-ნეული რადიონუკლეიდური წყაროების მოძიების, აღმოჩენის და მათი გაუვნებელყოფის საქმეში. ამ მძიმე სამუშაოების შესრულების დროს მას გვერდში ედგნენ დირექტორის მოადგილე, პროფესორი ზურაბ სარალ-იძე და ბირთვული ცენტრის ხელმძღვანელი, შუქრი აბრამიძე. საქართვე-ლოს ტერიტორიაზე განთავსებული, ეგრეთ ნოდებული „მაიაკის“ ტიპის მთების მწვერვალებზე სამხედრო უწყებების მიერ დადგმული რადიონ-უკლიდური წყაროების მოძიება და მათი დემონტაჟი მოხდა სწორედ ამ „ტრიადის“ ძალისხმევით.

აქ აუცილებლად უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავ-შირის დაშლის შემდეგ, ამგვარი რადიონუკლეიდური წყაროების განლაგე-ბის რუკის დატოვებაზე თავი არავის შეუწუხებია, რის გამოც მათი მო-ძიებისათვის წარმოებული სამუშაო ქართველ ექსპერტებს მოუხდათ ათჯერ და მეტი მოცულობით. ამასთან, ჩვენი სპეციალისტების სასახ-ელოდ უნდა ითქვას, რომ ეს სამუშაოები შეასრულეს ფრიადზე, ყოველგ-ვარი ზედმეტი ხმაურისა და რეკლამის გარეშე.

მძიმე ბრძოლის გადახდა მოუხდათ ატომური რეაქტორის ლიდერებს მაშინ, როდესაც არაფორმალებმა კარვები დასცეს ამ ობიექტის ცენ-ტრალურ შესასვლელთან. ნოე ქათამაძეს დასჭირდა მოთმინებით აეხსნა ამ გაავებული არაფორმალებისათვის მათი მოთხოვნის შესრულების აბ-სურდულობა.

ქართულ ატომურ ცენტრზე ბირთვული რეაქტორი კი იყო ძირითადი ობიექტი, მაგრამ ამავე ტერიტორიაზე ასევე განთავსებული იყო ფიზიკის ინსტიტუტის რადიოქიმიური ლაბორატორია და მეცნიერებათა აკადემიის ელექტროქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორია, ალჭურვილი მძღვრი Co-60-ის „ქვემეხით“. გარდა ამისა, ამავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა მძღვრი კრიოგენული სადგური, თხევადი აზოტისა და ჰელიუმის წარმოებისათვის, რომ ალარაფერი ვთქვათ მრავალსართულიან ლაბორატორიულ კორპუსზე, სადაც მიმდინარეობდა ფართო მასშტაბის ექსპერიმენტული სამუშაოები მყარი სხეულების რადიაციული მასალათ-მცოდნეობის დარგში, პროფესორ ილია ნასყიდაშვილის ხელმძღვანელობით. ეს ობიექტი შემოფარგლული იყო აგურით ნაშენები გალავნით და ავტონომიური არსებობისათვის ჰქონდა ყველაფერი, ცენტალური გათბობის ჩათვლით. აი, ასეთი კომპლექსური სამეცნიერო ცენტრის ერთი ხელის მოსმით გაუქმება მოისურვეს „ჭევიანმა“ არაფორმალებმა.

როგორც ცნობილია, საქართველოდან ბირთვული საწვავის გატანა ითავა აშშ-ის ენერგიის დეპარტამენტმა, რომელმაც პრობლემის შესასწავლად გამოგზავნა სპეციალისტთა ჯგუფი ჯეიმს ტურნერის თავკაცობით, რომელსაც ენერგიის დეპარტამენტში ეკავა ფრიად მაღალი თანამდებობა და, როგორც ჩანს, ალჭურვილი იყო დიდი უფლება-მოსილებითაც. პირველი, რაც მან გააკეთა, ბირთვული საწვავის აშშ-ში გატანის შემდეგ, იყო მთავრობის დონეზე, ქართველ მეატომე წამყვანი მეცნიერების ვიზიტის ორგანიზება აშშ-ში და გამოყო გრანტები, იმ დროისათვის უკვე არსებული, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის ეგიდით, ქართველი მეატომე მეცნიერების დასაფინანსებლად.

ერთ-ერთი ასეთი გრანტის წამყვანი მკვლევარი გახდა ბატონი ნოე ქათამაძე, რომელსაც, ისევე როგორც ბევრ სხვა ფიზიკოსს, ასეთი საგრანტო დაფინანსების წყალობით, საგრძნობლად გაუუმჯობესდა მატერიალური მდგომარეობა

ნოე ქათამაძემ იგრძნო ფინანსური შვება და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გადაწყვიტა გულის ქრონიკული უკმარისობიდან თავის დაღწევაც და დათანხმდა ქირურგიულ ოპერაციას. სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება მისთვის ტრაგიკული და საბედისნერო აღმოჩნდა. მან დაასრულა სიცოცხლე მკურნალი ექიმების ხელში. მისმა მრავალრიცხოვანმა ახლობლებმა და მეგობრებმა მნარედ დაიტირეს ეს სასწაულებრივად კეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი. ნოე ქათამაძე დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## 27. გიორგი ჯანდიერი

გიორგი ჯანდიერი იყო ფიზიკის ინსტიტუტის ძირითადი კორპუსის, იგივე კახა ჯავახიშვილის ეული პროექტის, მთავარი ინჟინერ-მშენებელი. ვისაც ახსოვს ინსტიტუტის პირვანდელი, ლამაზი შენობა - შესანიშნავი ჰოლებით ყველა სართულზე, ბრნებინვალე საკონფერენციო დარბაზებით და ლაბორატორიებისათვის განკუთვნილი ოთახებით, არ შეიძლება სინანულის გრძნობა არ დაეუფლოს ამ შენობის დღეისათვის არსებული „მოდიფიკაციის“ გამო...

ჯერ იყო და, MM-1000 გამოსათვლელი მანქანისათვის, მიადგნენ ერთ-ერთ ჰოლს და სრულად გააუქმეს. ასეთივე ბედი ეწვია ყველა სართულს, გარდა სულ ბოლოსი, სადაც იყო დირექტორის რეზიდენცია. დირექტორიატის „ინსტიტუტზე“ ხელის აღმართვა მაინც გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა რეკონსტრუქციის მოყვარულებს. შემდგომში, კომპიუტერულ ტექნიკაზე „მონადირეებისაგან“ თავის დასაცავად, საჭირო გახდა რკინის კარებებისა და გისოსების მონტაჟი, რამაც ინსტიტუტი დამსგავსა „ელიტარულ“ საპყრობილეს. ამ მომენტებს აქ იმიტომ ვიხსენებ, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ იცოდეს, საიდან მოვდივართ და „ვისი გორისანი“ ვართ.

ბატონ გიორგი ჯანდიერს ჰქონდა კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო, თავადური წინადადება - უნდოდა ინსტიტუტის დღეს არსებული ბალის ბოლოში (სადაც შემდეგ პარტიულმა ფუნქციონერებმა „გაშანსეს“ თავი-ანთი ელიტარული წრისათვის საცხოვრებელი კორპუსებისაშენება), აე-შენებინათ ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი კორპუსი. გიორგი ჯანდიერს არანაირი პირადი დაინტერესება ამ საქმეში არ გააჩნდა, უკვე ჰქონდა საკუთარი საცხოვრებელი ბინა და გულწრფელად ფიქრობდა ინსტიტუტის ნიჭიერ, მაგრამ უსახლეკარო თანამშრომლებისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ვიმეორებ, გიორგი იყო ჯანდიერების გვარის ლირსეული გამგრძელებელი და სწორედაც, რომ ხალხის სასიკეთოდ ზრუნვა იყო მისი უმთავრესი მიზანი.

დიდად სამწუხაროა, რომ ბატონმა ულეფოთერმა დაიკავა იმ თავისი უშტატო მრჩევლების პოზიცია, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი ღვანწლით დიდად არის დავალებული ქართული მეცნიერება და თავს ნებას აძლევდნენ გადაეწყვიტათ ბევრი ნიჭიერი ფიზიკოსის ბედი ერთპიროვნულად, საკუთარი „სამრეკლოდან“. შექმნილ სიტუაციაში ბატონმა ელეფთერმა მიიღო გადაწყვეტილება დიღმის მასივში „ხრუშჩინვეკის“ ტიპის საცხოვრებელი კორპუსის აშენების თაობაზე. ფაქტიურად, ეს იყო დიდი ღალატი, ჩადენილი ქართველი ნიჭიერი ფიზიკოსების მიმართ, რომლებიც საჭიროებდნენ დახმარებას და რეალურ თანადგომას.

ამ უბინაო და ცხოვრებისეული პრობლემებით დამძიმებულ მეცნი-

ერთაშორისი იყო ბევრი ქართველი ფიზიკოსი. მეთავს ნება ვაძლევ მოვიხსენიო ზოგიერთი მათგანი, ვინც ნამდვილად დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ფიზიკის განვითარებაში. აი, ისინიც: აკადემიკოსი ნოდარ ამალლობელი, აკადემიკის ნევრ-კორესპონდენტი გიორგი ვაჩინაძე; პროფესორები: ჯელილ ნაქაძე, თამაზ გრიგალაშვილი, ლევან ვადაჭკორია, ლევან თოფჩიშვილი, კიტა ციცქიშვილი და სხვები. აქ ჩამოთვლილი ფიზიკოსებიდან დღეისათვის აღარავინ არის ცოცხალი...

ბევრი ლირსეული მეცნიერი და მოქალაქე კვლავ ცხოვრობს დიღმის მასივის ფიზიკოსთა ამ სახლში. მათი გვარების ჩამოთვლას მე არ ვაპირებ. ერთი კი მინდა ავლნიშნო, რომ ბევრ მათგანს ლომის ნილი აქვს შეტანილი ფიზიკის ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარებასა და განვითარებაში...

1959 წლის მოსახლეობის აღნერის დროს, მე მომინია იმ საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებთა აღნერა, სადაც ცხოვრობდა გიორგი ჯანდი-ერის ოჯახი. ეს იყო ნამდვილი ინტელიგენტის ბინა, ყოველგვარი ზედმეტი „ზიზილ-პიპილების“ გარეშე. ამავე კორპუსში იმ დროისთვის ცხოვრობდნენ ელიტარული სახელმწიფო მოხელეები, რომელთა ოჯახები მონაბილიყო ფუფუნების უამრავი საგნებით, რის მსგავსი რამ, არც გიორგი ჯანდიერის და არც დიმიტრი რაზმაძის, რომელიც აგრეთვე ცხოვრობდა ამ შენობაში, არ შემხვედრია... აი, ასეთი ლირსეული მშენებელ-ინჟინერების დამსახურებაა ის, რომ დღეს ფიზიკის ინსტიტუტი, მართალია დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს...

გიორგი ჯანდიერის ბრგე, ვაჟა-ცაურმა და ნამდვილი არის ტოკრატიული ქცევის მანერებმა, რომელთაც მოვესნარი, ჩემზე ნარუშებული შთაბეჭდილება დატოვა. სამწუხაროდ, ბატონი გიორგი ჯანდიერი დროზე ადრე ნავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან...

ამის შემდეგ მთელი საინჟინრო დატვირთვა ლირსეულად გააგრძელა დიმიტრი რაზმაძემ. ფრიად სასიამოვნო იყო მასთან ჩემი ხანგრძლივი, საქმიანი თანამშრომლობა.

ბატონი დიმიტრიგახლდათქართველ ინჟინერ-მშენებელთა ლირსეული წარმომადგენელი. მისი დახვეწილი და საქმიანი ურთიერთობა დიდხანს მეხმარებოდა ჩვენი ლაბორატორიის გადაიარაღებისა და ახალი ტექნიკით მოწყობაში. იგი ჩემს მეხსიერებაში დარჩა უზადო ინჟინერ-მშენებლის უმაღლეს პროფესიონალად!...

## 28. მეორედ მოსვლა

ფიზიკის ინსტიტუტის მშენებლობის ფინალურ ეტაპზე შექმნილი ერთ-ტიკული სიტუაციის შესახებ მე უკვე ვწერდი წინა თავებში. მაშინ ეს „ომი“ მოიგო ბატონმა ელეფთერმა. ამის შემდეგ ჩვენი ლაბორატორია კვლავ

დააბრუნეს ატომური რეაქტორის ტერიტორიაზე. ამჯერად ჩვენ გვიბოდ-  
ეს თვით რეაქტორის ძირითად კორპუსში ყველაზე პრესტიული, ეგრეთ  
ნოდებული „ფრანგული ოთახი“. ამ ლაბორატორიას მაშინ ასე მოიხსენიე-  
ბდნენ, რადგანაც რეაქტორის ნეიტრონული გამოსხივება უნდა გამოეყ-  
ენებინათ ფრანგ მეატომეებს და იგულისხმებოდა, რომ მათთვის უნდა  
შეექმნათ მაქსიმალური კომფორტი ქართულ რეაქტორზე მუშაობის  
დროს. როგორც შემდეგ გამოირკვა, ფრანგი მეატომე-ფიზიკოსებია აღარ  
ჩამობრძანდნენ საქართველოში და მათთვის განკუთვნილ ლაბორატო-  
რიაში „შეასახლეს“ ჩვენი აქტივაციური ანალიზის პატარა ჯგუფი.

ამაზე იტყვიან ხოლმე, - ზოგი ჭირიც მარგებელიაო, - და ჩვენმა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა ტექნიკურად მოხერხებულ სიტუაციაში, რაც განპირობებული იყო ნიმუშების დასხვებისა და მათი სპექტრალური გამოსხივების გაზომვის უზრუნველყოფით. იმ დროისათვის, მიმდინარე გეგმიურ სამუშაოებს მკაცრადა კონტროლებდა მთავრობა და ყოველწლიურად ხდებოდა კომპეტენტური კომისიების დაგზავნა ასეთ რეაქტორებზე მიმდინარე სამუშაოების სამეცნიერო და ტექნიკური მდგრამარეობის შესამოწმებლად.

როგორც არაერთგზისავლნიშნავდი, ბატონი ელეფთერის მიერაღებული ვალდებულებები, თავისი ფართო დიაპაზონით და მოცულობით, ბევრად აღემატებოდა ინსტიტუტის რეალურ შესაძლებლობებს. მაშინ ექსპერიმენტული კვლევების მატერიალური უზრუნველყოფის სხვა გზა არ არსებობდა და როგორმე დირექტორს უნდა მოენახა ამგვარი ბარიერების გადალახვის გზები. ერთ-ერთი ეფექტური საშუალება იყო სწორედ ის, რომ უნდა „ნამოეკიდა“ ზურგზე ბევრად უფრო მძიმე ტვირთი, ვინემ ეს მის შესაძლებლობას შეესატყვისებოდა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ჩინოვნიკები მიდიოდნენ დათმობაზე, მაგრამ რეაქტორულ გამოკვლევებთან დაკავშირებით კონტროლი იყო უმკაცრესი.

მიუხედავად ასეთი საფრთხისა, ბატონ ელეფთერს სხვა გზა აღარ ჰქონდა. უნდა დაერწმუნებინა ასეთი კომისიის თავმჯდომარე, რომ საჭირო იყო მისია მხარდაჭერაც. უმრავლეს შემთხვევებში ეს მეთოდიცაც მუშაობდა, მაგრამ, როგორც ცნობილ ანდაზაშია, - „კოკა ნიკალს ყოველთვის ვერ მოიტანსო“, - დაახლოებით ასეთი სიტუაცია შეიქმნა ერთხელ ატომურ რეაქტორზე, როდესაც საკონტროლო კომისიას ხელმძღვანელობდა პროფესორი მიხეილ ისაკის ძე პეტრენკო.

მიხეილ პევზნერი დაუინგბით მოითხოვდა რადიოქიმიური ლაბორატორიის ამუშავებას დღემოკლე რადიოაქტივური იზოტოპების სანარმოებლად მედიცინისათვის. საქართველოს რეაქტორს და რადიოქიმიურ ლაბორატორიას ავალებდნენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მედიკოსთა მოთხოვნილებების, არამედ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მომხმარებელთა უზრუნველყოფასაც რადიონუკლიდური გამოსხივების წყაროებით.

იმ დროისათვის მოსკოველების დატვირთვა ამიერკავკასიის მედიკოსთა დაკვეთებით ხდებოდა დიდი მასშტაბებით და მოსკოვი ცდილობდა ამ დატვირთვისაგან თავის დაღწევას. ამისათვის ისინი თითს იშვერდნენ ფიზიკის ინსტიტუტის ადმინისტრაციის მისამართით და, კაცმა რომ თქვას, იურიდიულად მართლებიც იყვნენ.

რეალურად კი რადიოქიმიური ლაბორატორიის საპროექტო მასშტაბებით სრულყოფილად ამოქმედება საჭიროებდა როგორც მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე კამერებსა და ბოქსებში მანიპულატორებით მუშაობის ჩვევების დაუფლებას.

აქ უპრიანია შევნიშნოთ, რომ ეს ლაბორატორია აღჭურვილი იყო შვიდი „მძიმე“ კამერით და ასევე შვიდი „მსუბუქი“ ბოქსით. ორივე შემთხვევაში საჭირო იყო მექანიკური „ხელებით“ მუშაობის ჩვევების გამომუშავება.

მძიმე კამერებში ოპერატორს შესაძლებლობა ჰქონდა ვიზუალურად დაემზირა მის მიერ წარმოებული ოპერაციები ტყვიით ლეგირებული სქელი, ნახევარმეტრიანი, ფანჯრის სარკმლიდან, ხოლო მსუბუქ ბოქსებში - ჩვეულებრივი მინის ფანჯრებიდან.

კამერები და ბოქსები ჩართული გახლდათ სპეც-ვენტილაციის სისტემაში, სადაც დაყენებული იყო საგანგებო ფილტრები, კორპუსკულარული მტვრის ნაწილაკების ჩასაჭერად. ასეთი დამცავი ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში, გამორიცხული იყო ატმოსფეროს ჰაერის დაჭუჭუინება.

ამგავარ ლაბორატორიაში მოხმარებული წყალი კი გროვდებოდა სპეციალურ რეზერვუარში და მისი სისუფთავის კომპეტენტური კომისიის მიერ შემონმების შემდეგ, ხდებოდა ჩვეულებრივი, საერთო კანალიზაციის ქსელში გაშვება.

ამ პრობლემას ასე დეტალურად იმიტომ აღვწერ, რომ იმ დროისათვის გავრცელებული ჭორების ფონზე, გამიჩნდა სურვილი მეთქვა მართალი სიტყვა ჩვენი საზოგადოებისათვის ამ პრობლემის შესახებაც.

აი, ასეთი, ტექნოლოგიური თვალსაზრისით რთული ობიექტის დაუყოვნებლივ ამუშავებას მოითხოვდა პროფესორ პევზნერის კომისია.

დიდი ომის შემდეგ მოსკოვმა უკან დაიხია. ისინი დარწმუნდნენ, რომ რადიონუკლიდების დიდი მასშტაბებით წარმოებას, არსებული მწირი დაფინანსების პირობებში, მამა ლმერთიც ვერ შეძლებდა. ეს ომი დამთავრდა ფრედ, მოსკოვსა და თბილისს შორის საყაიმო ანგარიშით ნულით-ნულზე.

ამის შემდეგ, ბატონების: ტრისტან ამბარდანაშვილის და მიხეილ კოლომიცევის პერსონალური ინიციატივით, მაინც მოხერხდა ტეხნიკურ-მის რადიოაქტიური პრეპარატების დამზადება, მაგრამ, სამნუხაროდ, ეს ორივე დიდი ინიციატორი ისე ჩქარა წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ საბ-

ოლოო ფაზა ტეხნიციუმის იზოტოპის მასობრივი ნარმოებისათვის შეუსრულებელი დარჩა.

ახლა კი მომდგნენ მე, განსაკუთრებით ბატონი გენადი კიკნაძე, რა-დიოქიმიური ლაბორატორიის ამუშავების ორგანიზების მოთხოვნით.

დღეს უკვე კარგად ვიცი, რომ კიკნაძე-ლიტვინვის კამპანია, პირადად ჩემს წინააღმდეგ იყო მომართული, თორემმათ კარგად ესმოდათ დასმული ამოცანის უტოპიურობა. შედეგად ჩვენი ლაბორატორია რეაქტორის „ფრანგული“ ოთახიდან გადასახლეს რადიოქიმიური ლაბორატორიის გაგრძელებაზე მიშენებულ ორსართულიან „კიდობანში“. მიუხედავად ამ დუეტის მიერ გამოგონილი მრავალი პრობლემისა, ჩვენი ლაბორატორია მაინც ახერხებდა ექსპერიმენტალური კვლევითი ხასიათის სა-მუშაოების გაგრძელებას.

ამ რადიოქიმიის ლაბორატორიის მიშენებული ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე იყო მექანიკური სახელოსნო და სპორტული დარბაზი, მაგიდის ჩოგბურთით.

საოცარია, რომ კარსნის ლაბორატორიიდან დაწყებული ყველგან, სა-დაც ჩვენ ჯგუფს უწევდა მუშაობა, მაგიდის ჩოგბურთის სტანდარტული მაგიდა სახადი ანგელოზივით დამდევდა...

ამ მინაშენები კორპუსის მეორე სართულზე კი, იყო ოთახები ფიზ-იკური ხელსაწყო-დანადგარების განსათავსებლად.

მას შემდეგ, რაც კიკნაძე-ლიტვინვის დუეტს მოპეზრდა ჩვენთან მეზობლობა და გადავიდნენ ახალ, კეთილმონყობილ მაღლივ კორპუსში, ჩვენს ლაბორატორიას წება დართეს, ადრე მათ მიერ დაკავებულ „ოფისებში“ ხელსაწყო-დანადგარების გადატანისა. სწორედ ასეთ ერთ-ერთ ნათელ ოთახში განვათავსეთ ფრანგული ნახევარგამტარული დე-ტექტორი და გამზომი ელექტრონული, იმპორტული ხელსაწყო-დანადგარები, რომელთა სამუშაო მდგომარეობაში ნახვა მოისურვა ჩვენი აკა-დემიის პრეზიდენტმა, ბატონმა ევგენი ხარაძემ, რაზეც უკვე მოვახსენე ჩემს მკითხველს ამ მემუარული რვეულის მეორე თავში...

გადიოდა წლები და ბატონ ელეფთერის ჩვენი ლაბორატორიის გან-თავსება ინსტიტუტიდან საკამად დაშორებულ ტერიტორიაზე უკვე გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა თავის თანამშრომლებთან ყოველდ-ღიურ ურთიერთობის მხრივ. ამის გამო და იმისგათვალისწინებითაც, რომ ინსტიტუტში დასრულების ფაზასთან იყო მიახლოებული ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა, ბატონმა ელეფთერმა მიბრძანა ამ მშენებარე კორპუსის მეხუთე სართულზე ნამდვილი ბიოფიზიკური და ბიოქიმიური ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად საჭირო დამხმარე მოწყობილობებისათვის ლაბორატორიის მოდიფიკაცია. საჭირო იყო ნყ-ლის, სავენტილაციო აგრეგატების და ამნოვი კარადების განლაგების დაპროექტება და დამონტაჟება ლაბორატორიის თემატიკის გათვალ-

ისწინებით. ამ სამუშაოს შესრულების ორგანიზაცია დამანვა კისერზე მთლიანად მე და იძულებული ვიყავი დღე და ლამე მეთენებინა ინსტიტუტის მთავარ ინჟინერებთან პროექტის საბოლოო, მათვის მისაღები, ვარიანტის შესაქმნელად. ამის შემდეგ კი კუდზე უნდა გამოვბმოდი მექანიკური სახელოსნოს მთავარ კონსტრუქტორს, ბატონ ალფრედ შტაერმანს, ტექნიკური პროექტის შესადგენად და მისი „გაცოცხლების“ სამუშაოების დროულად შესასრულებლად. ძალიან დიდი დრო დასჭირდა პოლონური ნარმოების ქიმიური ლაბორატორიის განყობას და გაშვებას. ყოველივე ეს სამუშაოები შევასრულებოლომდე და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აქ ჩამოთვლილი პროცედურების პარალელურად, უყოყმანოდ უნდა დამეკმაყოფილებინა ჩემი ტიტულოვანი დირექტორის მოთხოვნილებებიც სამეცნიერო პროდუქციის გამოშვების კუთხით, მაშინ მკითხველისათვის ნათელი გახდება, რომ მე ვიწვოდი არა თუ ორ ცეცხლშუა, არამედ ძლიერი ქარის მიერ გაავებულ ხამძარში...

დღეს როცა ვიხსენებ, თუ რა მოცულობის და სიძნელის სამუშაოების შესრულებას ვახერხებდი იმ დროისათვის, მართალი გითხრათ, მეც აღარ მჯერა, რომ ადამიანს შეეძლოს ასეთი დიდი დატვირთვისა და ფსიქოლოგიური სტრესის პირობებში ყოფნა. როგორც ჩანს, ახალგაზრდობის ასაკში ბევრი დაბრკოლების გადალახვა შესძლებია ადამიანს...

თავი რომ დავანებოთ მრავალი „ნერილმანი“ ტექნიკური საკითხის მოსაგვარებლად დახარჯულ ენერგიას და ნერვიულ სტრესებს, რომლებიც მუდმივად თან მდევდა ამ ლაბორატორიის მონიტორის საქმეში, როგორც იქნა, დადგა საკითხი ლაბორატორიული ხელსაყწვ-დანადგარების რეაქტორიდან ფიზიკის ინსტიტუტის ახალ კორპუსში გადმოტანის შესახებ. ეს სამუშაოები საჭიროებდა უზრუნველყოფას, როგორც ტექნიკით, ასევე სამუშაო ძალითაც. პირველ რიგში, საჭირო იყო მძიმე ცენტრი-ფუგების ტრანსპორტირება და მათი მონტაჟი უკვე ინსტიტუტის ხელში კორპუსის მეხუთე სართულზე. გარდა ამისა, საჭირო იყო ოპტიკური სპექტრომეტრებისა და სხვა მრავალი ხელსაწყო-დანადგარის გადმოტანა დაუზიანებლად. პარადოქსია, მაგრამ ეს მძიმე სამუშაოც შევასრულეთ „დანაკარგების“ გარეშე. ამასთან ორი გიგანტური - ლუმინისცენტრი და დიფრაქციული სპექტრომეტრების, რომელთაც მოვიხსენიებდი სიდიდის გამო, როგორც სპილოებს, - მეხუთე სართულზე ატანის არანაირი შანსი არ არსებობდა, რის გამოც ბატონი ვასილ ბრეგაძისათვის, როგორც ამ დანადგარების პატრონისათვის, გამოინახა ამ ახალი ლაბორატორიული კორპუსის პირველ სართულზე სამუშაო ფართი, სადაც დღესაც მუშაობს მის ექსპერიმენტატორთა მობილური ჯგუფი.

ჩვენი განყოფილების თანამშრომელთა კოლექტივი 1975 წლიდან უკვე მუშაობდა მთელი დატვირთვით. ამ დროისათვის ბატონი ელეფთერის ძალისხმევით კიდევ მერამდენედ, აკადემიკოს კირილინის განკარ-

გულებით, მიღებულ იყო დადგენილება, ფიზიკის ინსტიტუტისათვის, მიზნობრივად, დამატებითი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე, კიბოს პრობლემაზე მიმდინარე სამუშაოების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით...

აი, ასეთი იყო ჩემი ფიზიკის ინსტიტუტში მეორედ მოსვლის ძირითადი მომენტები. ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კარგმა პირობებმა ასახვა პპოვა პრესტიულ უცხოურ უსურნალებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, ხოლო ჩვენი განყოფილების მეცნიერ-მუშაკთა უმრავლესობამ მოამზადა და წარმატებით დაიცვა სადოქტორო და საკუნძიდატო დისერტაციები.

ყოველივე ზემოთ აღნერილი მომენტების ფონზე, მე არ მინდა გარეშე მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება იმისა, რომ თითქოს ჩვენი ლაბორატორია განვეხების მიერ დაცული იყო „ავი თვალისაგან“. როგორც აღმოჩნდა, ჩვენს ნინააღმდეგ მომართული შურის და მტრობის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა არც შინაურ და არც გარეშე ძალებს.

მე არ ვაპირებ ჩემი, ვითომდა კოლეგების მოლვანეობის მეთოდების გამომზეურებას, მაგრამ არ შემიძლია, არ ავლნიშნო ველური ყაჩალობის და ქურდობის მეტად საწყენი და დამაფიქრებელი ფაქტები, რომელთა შორისაც ყველაზე მტკიცვნეული აღმოჩნდა ჩემთვის იმ დროისათვის არსებული უმაღლესი კლასის კომპიუტერული ტექნიკისა და ქსეროკოპირების ძვირად ღირებული პარატურის მოპარვა. ეს კომპიუტერული ტექნიკა შეძენილი გვქონდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მიერ G-408 გრანტის ფინანსური უზრუნველყოფის ფარგლებში.

აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკა, სულ ახალი, რამოდენიმე დღის შეძენილი და განთავსებული ციხის საკუნძის ტიპის, გისოსებით განყობილ და ორი რკინის კარგით აღჭურვილი ოთახიდან ისე მოიპარეს ქურდებმა, რომ მათი კვალი პროკურატურის გამოცდილმა გამომძიებლებმაც კი ვერ აღმოაჩინეს. ამ ძვირფასი ტექნიკის საბალანსო ლირებულება, იმ დროისათვის, იყო ორი ათას შვიდასი ამერიკული დოლარი და ამ თანხის გადახდა მეკისრებოდა მე, როგორც პროექტის მენეჯერს...

## 29. სტუმრად პიკათის სამთავრობო აგარაკზე

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ერთი ცხელი ზაფხულის პერიოდში, როდესაც ნორმალური ხალხი, როგორც ნესი, იღებდა შვებულებას და ქალაქიდან გადიოდა ზოგი ზღვაზე და ზოგი მთის სოფლებში, მე მომინია თბილისში დარჩენა და ჩემი მბრძანებელი დირექტორის დავალებების შესრულება. ეს დავალებები, როგორც ამას ამ პატარა მემუარულ რვეულში ადრეც აღვნიშნავდი, იყო საკმაოდ შრომატევადი და

ისინი მოითხოვდნენ ყოველდღიურად დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას.

თბილისის მცხოვრებთათვის კარგად არის ცნობილი, გვალვიანი ზაფხულის პერიოდში, თუროგორ უჭირთ ადამიანებს და განსაკუთრებით ბავშვებს ამ ცხელი ქალაქის პირობებში ყოფნა. აი, ამგვარ სიტუაციაში, ჩემი ოჯახის ერთმა ახლობელმა, შემომთავაზა სულის მოსათქმელად, კიკეთის სამთავრობო რეზიდენციაში მასთან სტუმრობა რამოდენიმე დღით. ეს წინადადება, კაცმა რომ თქვას, იყო იმდენად მაცდური, რომ მე უნებლიერ დავთანხმდი...

ქალაქიდან სულ რაღაც ათი-თხუთმეტი კილომეტრით დაცილებულ, ნაძვნარით დამშვენებულ სამთავრობო რეზიდენციაში მოხვედრის შემდეგ, ჩეარა დამავიწყდა სიცხისაგან სულშეხუთულ მდგომარეობაში ყოფნის უსიამოვნო შეგრძნება და ხარბად ვსუნთქავდი მთის გრილ ჰაერს...

იმ ხანად კიკეთში ისვენებდნენ მთავრობის უმაღლესი რანგის წარმომადგენლები. ერთადერთი, ვინც იმ პერიოდში აკლდა დამსვენებლებს კიკეთში, იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც გამოძახებულ იყო მოსკოვში რომელილაც სასწრაფო საქმეზე...

გასაგებია, რომ ამ რანგის დამსვენებლებს ჩვეულებრივი ბუფეტით და ბუტერბროდების ანაბარას არავინ დატოვებდა და ისინი ყოველდღიურად სადილობდნენ კოლექტიურად გაწყობილ სუფრასთან.

ერთ საღამოს ჩემმა მასპინძელმა პატივი დამდო და მეც მიმინვია სამთავრობო ვახშამზე.

უნდა ვალიარო, რომ იქ თავს უხერხულად ვგრძნობდი და მხოლოდ ვისმენდი თამაღისა და მისი მოადგილეების წარმოთქმულ, მაღალფარდოვანი სიტყვებით უხვად გაჯერებულ სადლეგრძელოებს. ეს სადლეგრძელოები კი იყო ენაზყლიანი და, როგორც მე მომეჩვენა, მეტისმეტად გაზვიადებული.

ამსუფრაზე მე წარმადგინეს, როგორც აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის მონაფე. აი, მაშინ კი ქეიფის ეშხში შესულ ფუნქციონერებს მიეცათ საშუალება „ახალ თემატიკაზე“ გადასართველად.

იმ სუფრის ყველა წარმომადგენელი, ვინც კარგად იცნობდა ელეფთერ ანდრონიკაშვილს და ვინც ფეხის ხმას იყო აყოლილი, სიამოვნებით ყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ ხვდებოდნენ ბატონ ელეფთერს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში.

ამ ბანკეტზე გაუღერდა პირველად განცხადება იმის შესახებ, რომ ბატონ ელეფთერს უყოფანოდ უსრულებდნენ ყველა იმ თხოვნას, რომლითაც ეს მეცნიერი მიდიოდა მთავრობის მაღალჩინოსან ფუნქციონერებთან.

სხვათაშორის, ამ ბანკეტზე პირველად ითქვა ის ფრაზები, რომლებიც შემდეგ გახმაურდა და რომელთა შესახებაც იმ დროს მეცნიერთა წრეებ-

შიც მსჯელობდნენ ხოლმე. ეს ფრაზები ნარმოთქვა მაშინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე და სახლმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ერმალო ჯაფარიძემ. აი, როგორი შინაარსის იყო მისი განცხადება: ის ამბობდა - „ჩემთან მოდიან აკადემიკოსები: ერთნი მთხოვენ შვილებისთვის სამოთახიან ბინებს, მეორენი - მშობლებისთვის უცხოურ ავეჯს, მესამენი - შვილიშვილებისთვის ავტომანქანა „ვოლგას“ (აქ უნდა შევნიშნო, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამ მარკის მანქანის შეძენა მეტად პრესტიული მოვლენა იყო და ეს სიამოვნება მხოლოდ „ბედნიერ ვარსკევლავზე“ დაბადებულებს ხვდებოდა ნილად). მე მათ ყოველთვის ვერ ვუსრულებ ამგვარ თხოვნებს... ამ „ფონზე“ მოდის ჩემთან აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი და მთხოვს ფინანსირების გაზრდას ინსტიტუტისათვის; სამშენებლო მასალებს მშენებარე ობიექტებისათვის ბაკურიანსა და ცხრანყაროზე, ლაბორატორულ ავეჯს ბირთვული რეაქტორისათვის და ასე შემდეგ. მე მას ვუსრულებ ყველა თხოვნას...“

იქ დამსნრე ყველა ფუნქციონერი ადასტურებდა, რომ თავისი პირადი საჭიროებისათვის აკადემიკოსი არაფერს თხოვლობდა!..

ამ დროს მეამოვილულლუდე - ეს ხომ ცოტაარ არის დღევანდელ სიტუაციაში მეტეი... .

ყველამ კარგად გაიგო, რასაც ვგულისხმობდი ამ ფრაზის მიღმა.

ყველა დამეთანხმა, რომ ელეფთერ ანდრონიკაშვილისათვის „დამატებითი“ შემოსავლის ცნებაც კი არ არსებობდა და ეს მაშინ, როდესაც უკვე იგრძნობოდა, რომ მექრთამებისა და კორუფციის მოსალოდნელი წარღვნა ქვეყანას ნალექვით ემუქრებოდა.

მომდევნო წლებში ავღანეთის ომმა დიდი დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას, ხოლო ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებამ, პრაქტიკულად, დაასამარა ერთ დროს ძლიერი კომუნისტური სახელმწიფოს მანქანა.

საქართველოს მთავრობის ყოფიერების ხილვამ ჩემზე ძლიერ დამთრგუნველად იმოქმედა. მე ცხადი სახით დავინახე ჩემი კოლეგების - ფიზიკოსების ადგილი ცხოვრების იერარქიულ კიბეზე, სადაც ჩვენ გვეკავათითქმის სულ ბოლო საფეხური... და მაინც, რაცა უნდა პარადუქსულად ჟღერდეს, მაშინ ამას სერიოზულ ყურადღებასაც კი არ ვაქცევდით.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ფიზიკის ინსტიტუტის ბევრმა მეცნიერ-თან-ამშრომელმა დანერა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. აქ უპრიანია იმის აღნიშვნაც, რომ იმ დროისათვის უმაღლესი საატესტაციო კომისიის მოთხოვნები იყო მეტისმეტად მეტაციო და ამის მიუხედავად ქართველი ფიზიკოსების მიერ წარდგენილი ყველა სადისერტაციო წაშრომი იყო მონონებული და დამტკიცებული.

ამ პერიოდისათვის ფიზიკის ინსტიტუტის საშტატო განრიგი ითვლიდა ცხრაასამდე თანამშრომელს. ეს იყო ინსტიტუტის მთელი არსებობის მანძილზე პიკური მდგომარეობა. ამის შემდეგ იგრძნობოდა ინსტიტუტის, როგორც საერთო რიცხვონბის, ასევე მატერიალური უზრუნველყოფის შემცირების ტენდენცია, რომელმაც კატასტროფული სახე მიიღო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ...

კიკეთის სამთავრობო აგარაკიდან რამოდენიმე დღის შემდეგ კვლავ ჩამოვედი ცხელ ქალაქში და მოთმინებით ვაგრძელებდი დაწყებულ სამსახურებრივ საქმიანობას, რისთვისაც „ჯილდოს“ არც ველოდი, მაგრამ ჩემს მიერ იმ ცხელ ზაფხულში შესრულებული სამუშაოებისათვის ბატონი აკადემიკოსისაგან შენიშვნები რომ არ მიმიღია, ესეც დიდ ჯილდოდ მომეჩვენა. ამ ფრაზას აქ შემთხვევით არ ვნერ: ბატონი ელეფთერი იყო თავისი მონაფების მიმართ ყოველთვის მკაცრად მომთხოვნი და, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ხშირ შემთხვევებში, სამართლიანიც.

### 30. „რაინის ფარდის“ ჩამოვლის დასაცყისი

გასული საუკუნის სამოციანი ნლებიდან უკვე შეინიშნებოდა დასაცლეთის ქვეყნებთან „დათბობის“ ეფექტი. ეს პროცესი მაშინ მიღიოდა ძალიან ფრთხილად და, იმავდროულად, მკაცრი სახელმწიფო კონტროლის პირობებში. ქვეყანაში გამოჩნდა უცხოეთის ფირმების მიერ დამზადებული უახლესი ტექნოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების დანადგარ-მოწყობილობები, რომლებიც აღჭურვილი იყო იმ დროისათვის სრულიად ახალი, კომპიუტერული ტექნიკით.

აი, ამ ფონზე პირველად ფრანგულმა ფირმებმა თბილისში მოაწყეს ახალი ტექნიკის გამოფენა-გაყიდვა.

მომდევნონლებში, ფრანგული ფირმების გარდა, ჩვენს რესპუბლიკაში, შემოვიდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პროდუქცია. ეს იყო ჩაკეტილი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული საქონლის არნახული მოზღვავება. ამ პროცესის ბლოკირება ქვეყანაში უკვე შეუძლებელი იყო.

აი, ამ ვითარებაში მოხდა უცხოელი მეცნიერების მიერ ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის გაცნობა და მათთან თანამშრომლობის დაწყება. ამგვარი თანამშრომლობა ხდებოდა საბჭოთა ბიუროერატიული მანქანის არსებობის პირობებში, რასაც თან ახლდა, დღევანდელი გადასახედიდან, სრულიად გაუგებარიდა თანაცუაზროვედების ინიცირება, რომელიც დიდ უხერხულობას გვიქმნიდა უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის პროცესში.

მაშინ მთავრობის ნებართვით ხდებოდა უცხოელი სტუმრების „მაღალ დონეზე“ მისაღებად პასუხისმგებელი თანამდებობის პირების დანიშვ-

ნა, რომელნიც ვალდებული იყვნენ მოეგვარებინათ ყოველგვარი ტექნიკურ-ორგანიზაციული პრობლემები – დაწყებული სტუმრებისათვის ვარდებისა და მიხაკების თაიგულების მირთმევით, დამთავრებული მათი საექსკურსიო მომსახურებითა და ჩვენებური, გულუხვი გამასპინძლებით. პარადოქსია, მაგრამ ამ ოპერაციების ფინანსირება ხდებოდა პასუხისმგებელი მუშაკების „ჯიბის“ ხარჯზე.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ვიღებ მთავრობის განკარგულებას – ძალიან მაღალ დონეზე უცხოელი მეცნიერების მიღების თაობაზე.

ცნობისათვის: იმ პერიოდში ვასრულებდი დირექტორის მოადგილის მოვალეობას და ჩემი პასუხისმგებლობა მთავრობის დირექტივის შესასრულებლად ძალიან დიდი იყო.

შექმნილ სიტუაციაში გამოსავლის ძებნის დროს, როგორც ჩანს, მაშინ განვებამ გამომიგზავნა ჩვენი ლაბორატორიის ქალბატონი – უფროსი მცნიერ-თანამშრომელი ნონა ასათიანი, რომელმაც შემომთავაზა, ამ დელეგაციის განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, გაენია მეგზურობა ცნობილი მხატვრის, ლადონ გუდიაშვილის ორიგინალური გამოფენის დასათვალიერებლად. ეს ნინადადება იმდენად დროული და თანაც განსაკუთრებული ღირებულების იყო ჩემთვის, რომ მაშინ პირველად ვირნ-მუნე ღმერთის არსებობა...

ქალბატონმა ნონამ მთლიანად თავის თავზე აიღო სრული პასუხისმგებლობა – შეესრულებინა მეგზურის საპატიო როლიც და სიამოვნებით ვა-დასტურებ, რომ ეს როლი შეასრულა დიდებულად!..

იმ დროისათვის ბატონი ლადონ გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზი უხვად იყო გაჯერებული ამ დიდი მხატვრის ნამუშევრების ორიგინალებით და რომ არა ეს ჩემთვის ბედნიერი და დასამასოვრებელი შემთხვევა, ალბათ, ვერასოდეს ვერ ვნახავდი იმ სასწაულს, რის მოწმეც გავხდი.

როდესაც ჩვენი სტუმრები ათვალიერებდნენ გამოფენის ექ-სპონატებს, მათ ახსნა-განმარტებას აძლევდა ბატონი ლადონ მეუღლე, ქალბატონი ნინა გუდიაშვილი. უცხოელი სტუმრები დიდხანს ჩერდებოდნენ ყოველ ექსპონატთან და მათი შემდგომი გადაადგილება ხდებოდა კუს ნაბიჯით. უნდა შევნიშნო, რომ ნანახით ასე მოჯადოებული უცხოელები, მართალია, ზანტად, მაგრამ მაინც გადაადგილდებოდნენ დარბაზის გასასვლელისაკენ.

მაშინ დელეგაციის ერთმანევრმა მხატვარი მოიხსენია წარსულ დროში. აქ კი გათამაშდა ყველასათვის მოულოდნელი სპექტაკლი – ქალბატონმა ნინამ შეუსწორა სტუმარს უადგილოდ ნახმარი გამოთქმა და განაცხადა, რომ მხატვარი დღესაც აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას...

ამ დროს დარბაზის ბოლოს დგას დიდებული გარევნობის მხატვარი და მოკრძალებით ეპატიუება სტუმრებს იშვიათი გემოვნებით განყობილ სუფრასთან...

მხატვარმა გაიხსენა თავისი პარიზული მოღვაწეობის ეპიზოდები, შეხვედრები მსოფლიოს ცნობილ მხატვრებთან, მრავალი ცხოვრებისეული შემთხვევა...

ბატონ ლადო გუდიაშვილთან სტუმრობა, მისი საუბრის მოსმენა და ამ უდიდესი ჰუმანისტის გამოთქმები, - ისევე, როგორც ხელების მოძრაობის და თვალების ხამხამის სიხშირე, სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში...

იმ დღეს ნონა ასათიანმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ქართველი ქალის სიდარბაისლით გულუხვად გაჯერებული მეგზურის მოვალეობას. ამ ყოველთვის სიტყვაძუნნ ქალბატონს ვერაფრით დააჯერებ, რომ იმ დროისათვის უხმაუროდ გამომინდა დახმარების ხელი და მნიშვნელოვნად შემიმსუბუქა დაკისრებული მოვალეობა...

მომდევნო დღეებში, ჩვენი უცხოელი სტუმრები გავასეირნე მცხეთისა და ჯვრის მონასტრის დასათვალიერებლად. მცხეთაში, მიხეილ მამულაშვილის გაცნობისა და მისი ბალის ნახვის შემდეგ, ჩვენი სტუმრები, უკვე მერამდენედ, დაბნეულები ველარ მალავდნენ თავიანთ აღტაცებას...

ჩემი სტუმრების გაოცების კულმინაცია იყო თბილისის კონიაკის ქარხნის დათვალიერებისას. იმ დროისათვის თბილისის კონიაკის ქარხნის დირექტორი იყო ოთარ რობაქიძე, რომლის ძმა, პროფესორი ალექსანდრე რობაქიძე ჩემი ახლო მეგობარი და სამეცნიერო შრომების მონაწილე გახლდათ.

როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, პირადი ნაცნობ-მეგობრობა, ხშირად უფრო ქმედითია, ვიდრე ოფიციალური მთავრობისეული ადმინისტრირების პროცესი.

აი, ასეთ სიტუაციაში კონიაკის ქარხნის დირექტორს არ „დაზარებია“ დელეგაციის მიღება და როდესაც ჩვენი სტუმრები შეიყვანეს კონიაკის ორმოცდაათტონიანი კასრების დასათვალიერებლად მიწისქვეშა საცავებში, ამ დროს ამზადებდნენ საიუბილეო კონიაკის სპეციალურ მუხ-ის კასრს, რომელსაც უკვე ჰქონდა მიბნეული იარლიყუ - 'OC-50~, რაც ნიშნავდა იმას, რომ ამ კონიაკის გიგანტური კასრი უნდა გახსნილიყო ორმოცდაათი წლის შემდეგ და ამ წესით დამზადებულ კონიაკს უნდა ჰქონდა საგანგებო ეტიკეტი. ყველა ტექნოლოგიასთვის, დირექტორის ჩათვლით, ცხადი იყო, რომ ამ კონიაკის კასრის გახსნას დღეს მოღვაწე ვერცერთი ტექნოლოგი ვერ მოესწრებოდა, მაგრამ ისინი ამ სამუშაოს აკეთებდნენ თავიანთი პროფესიონალური მოვალეობის შესრულების მიზნით და მომავალი თაობის ინტერესებისათვის..

ჩვენს სტუმრებს, დირექტორის სადეგუსტაციო მაგიდასთან, მიართვეს ნაირ-ნაირი ფერის და გემოვნების, სხვადასხვა ტიპის კონიაკი. ამგვარი გულუხვი მასპინძლობით გათამამებული ჩვენი ევროპელი სტუმრები, რბილად რომ ვთქვათ, კარგ ხასიათზე დადგნენ...

კონიაკის ქარხნის დირექტორმა სტუმრებს აჩუქა მათ მიერ მოწონებ-

ული სასმელის თითო ბოთლი. იმ დღეს ყველა დასაჩუქრდა – ყველამ აირჩია მისთვის სასიამოვნო ექსპონატი...

ამ დელეგაციის მაღალ დონეზე მიღებისათვის მთავრობის ჩინოვნიკებისაგან უბრალო სიტყვიერი მადლობაც კი არ მიმიღია...

აი, ასეთი ცხოვრებით ვცხოვრობდით ერთიან დიდ საბჭოთა კავშირში...

### 31. მოგონებები აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის დაბადებიდან ოთხმოცდათი წლის მისამართი

აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის დაბადებიდან ოთხმოცდათი წლის თავზე უდიდესი მადლიერებისა და ღრმა პატივისცემის გრძნობით შემიძლია მოვიხსენიო მისი ხელმძღვანელობით ოცდახუთი წლის მანძილზე დაგროვილი საინტერესო მეცნიერული თუ ცხოვრებისეული ეპიზოდები, რომლებიც, შესაძლოა, ნარმოადგენდეს გარევეულ ინტერესს ფართო საზოგადოებისათვისაც.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ შესაძლებელი იყოს ვინმეს მიერ სადლეისოდ, ელეფთერ ანდრონიკაშვილის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ, მისი წმინდად მეცნიერული, თუ სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობის ობიექტური და სრული შეფასება. ამგვარ მისიას, ჩემის ღრმა რწმენით, შეასრულებს მხოლოდ მომავალი თაობა და ისიც დაახლოებით ორმოცდათი-ასი წლის შემდეგ... დღეს კი მათ, ვისაც მასთან ჰქონია საქმიანი ურთიერთობა, შესაძლებლობა ეძლევა დაუტოვოს მომავალ თაობას ინფორმაცია ამ უდაოდ დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ.

ბატონი ელეფთერი პირველად ვიხილე 1958 წლის 18 სექტემბერს. ამ დღეს მას ჰქონდა შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის იმ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც სამუშაოდ იყვნენ განანილებული, მისივე პერსონალური განაცხადის საფუძველზე, ფიზიკის ინსტიტუტში. სხვათა შორის, ამბობდნენ, რომ ამ გამოშვებაში ბევრი ნიჭიერი სტუდენტი იყო თავმოყრილი. ამ მოსაზრებას იზიარებდა ბატონი ალექს იშხნელი, რომელიც წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ფიზიკის ფაკულტეტზე და მას სრული უფლება ჰქონდა ამგვარი დასკვნის გაკეთებისა. მე კი, ჩემის მხრივ დავამატებდი, რომ სწორედ ამ გამოშვებაში იყო, უდროოდ გარდაცვლილი, შესანიშნავი მევლევარი და მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ვაჩნაძე, რომელმაც შეასრულა ბრნყინვალე თეორიული გამოკვლევები, სწორედ რომ ჰელიუმის ფიზიკაში – დარგში, რომლის განვითარებაში უთუოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის ელეფთერ ანდრონიკაშვილს.

ბატონმა ელეფთერმა ამ დღეს ოცამდე დამწყებ ფიზიკოსს მიგვიჩინა საქმე: ჩვენ გაგვანანილა ფიზიკის ინსტიტუტის სხვადასხვა ლაბორატო-რიებში.

“მე მევალებოდა იზოტოპური ნეიტრონული ნუკლინური გამოყენებით მარგანეცის მადნებსა და გეოლოგიურ ქანებში მცირე კონცენტრაციებით შემცველი ელემენტების ზუსტი რაოდენობრივი განსაზღვრის ნეიტრონულ-აგჭივაციური ანალიზის ექსპრესული მეთოდების დამუშავება და გამოყენება. მაშინ ამ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა ბატონი ილია ნასყიდაშვილი და განლაგებული იყო კარსნის ტერიტორიაზე, ულამაზეს ეგზოგრაფიკურ შენობაში, საიდანაც, როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანდა მცხეთის ჯვრის მონასტერი. თავად ლაბორატორიულ კორპუსს გარს ერთყავართოფონთლოვანი ტყე, ხოლო ეზოს ამშვენებდა ვარდების ბალით გარს შემორტყმული წყლის საქმაოდ მოზრდილი აუზი. აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლაბორატორიის თანამშრომლები უზრუნველყოფილი იყვნენ კეთილმონყობილი საერთო საცხოვრებლით (ელექტრონერგიის მიწოდების „გრაფიკის“ ცნება იმ დროისათვის სრულიად გაუგებარი იყო), მაშინ ცხადი გახდება, რომ შემოქმედებითი საქმიანობისათვის, კაკი, მართლაც უკითხს პირობებს კირი ინაზრის.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემთვის პირადად, ამგვარი „ნეტარების“ ეპოქა ჩქარა დასრულდა. 1959 წლის ნოემბერში საზემო ვითარებაში აღინიშნა ამიერკავკასიაში პირველი ბირთვული რეაქტორის მშენებლობის დასრულება. ნეიტრონული აქტივაციური ანალიზი, სხვა კვლევითი რეაქტორების მსგავსად, ჩვენთანაც იქცა ერთ-ერთ ტრადიციულ მიმართულებად. სულ ჩქარა, კვლევის ექსპერიმენტული ბაზის შეცვლასთან ერთად, მომინია თვით კვლევის ობიექტის შეცვლაც. ბატონი ელეფთერის ბრძანებით, ამ რეაქტორზე შეიქმნა ბიოლოგიური ობიექტების ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის ლაბორატორია. მე დამევალა ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელობა. ეს იყო უკვე 1961 წლის სექტემბერი და ამ დღიდან ბატონი ელეფთერის მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცვა პრობლემამ, რომელსაც უცხოურ ლიტერატურაში აქვს ხატოვანი ფორმულირება „Metals in life Sciences~.

ამ დღიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლო წუთამდე მეტალების ბი-ოლოგიურ სისტემებთან ურთიერთქმედების რთული მექანიზმების შეს-ნავლას მიეძღვნა ბატონი ელეფთერ ანდრონიკაშვილის მეცნიერული მოლ-განეობის დიდი ნაწილი. ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში მის მიერ ამ პრობლემის ირგვლივ მრავალი სამეცნიერო ნაშრომი იქნა გამოქვეყნებუ-ლი. ასევე მას აქვს მრავალი მოხსენება ნაკითხული მაღალი რანგის მქონე სამეცნიერო კონფერენციებსა და ყრილობებზე: მოსკოვში, ბოსტონში, რომში, პარიზში, ბერლინში და სხვა დიდ სამეცნიერო ცენტრებში.

აქუადგილოარიქნება გავიხსენო ცოტა რამ „მეტალო-ბიოფიზიკური“

## პრობლემის აქტუალობის შესახებ.

დღეს, ოცდამეტთე საუკუნის დამდეგს, არათუ ამ დარგის მეცნიერ-მეცნიერებს, არამედ ამ პრობლემისაგან საკმაოდ მოშორებით მდგომ პიროვნებებსაც კი თავში აზრად არ მოუვათ ამ პრობლემის აქტუალობის ეჭვის ქვეშ დაყენება. კერძოდ, მეტალების მაკრომოლეკულებთან-ცილებთან, სპეციფიკურ მეტალო-ფერმენტებთან, ნუკლეოტიდებთან და ასე შემდეგ ურთიერთქმედების შესწავლის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ კი ოპონენტთა რიცხვში იყვნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, რომელთა სახელების დასახელება შორს წაგვიყვანდა. აღვინიშვნა მხოლოდ იმას, რომ მათ სათავეში ედგნენ აკადემიკოსები: ვლადიმერ ენგელჰარტი და ალექსანდრე ბაევი.

ბატონი ელეფთერის გადმოცემით ვიცი, რომ ვლადიმერ ენგელჰარტს მძიმე მეტალების აქტიური ბიოლოგიური როლის შესახებ ეკავა მეტად ცინიკური პოზიცია. ალბათ, ბედის ირონიას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ ფერმენტი, სახელად რევერტაზა, რომლის თვისებებსაც წლების განმავლობაში სწავლობდა მხცოვანი მეცნიერი, აღმოჩნდა თუთიის შემცველი!.. ამ ინფორმაციის უცხოურ უურნალშია მოკითხვის შემდეგ აღიარებს, რომ მისმა მონაფებებმა დორზე ვერ მოისაზრეს ამ ნიმუშების ალის სპექტრომეტრზე გაშვება, რათა სპექტრში დაენახათ თუთიის ხაზი. აქაც წუთიერად ულალატა ტიტულოვან მეცნიერს ექსპერიმენტორ-ანალიტიკოსისათვის საჭირო აღლომ, იმ ალის სპექტრომეტრებში, რომელთაც ის გულისხმობდა, მისი მონაფები მაინც ვერაფერს ამის მსგავს ვერდაინახავდნენ, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო სპეციალური ანალიზური დანადგარის ანუობა, რომელსაც ექნებოდა თუთიის განსაზღვრის მგრძნობიარობა ათი ხარისხად მინუს თორმეტი გრამის რიგისა. მოგვიანებით ამგვარი სინანულის უადგილობას თვითონვე აღიარებს.

თუ არა აკადემიკოს და შემდგომში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იმუამინდელ პრეზიდენტ ანატოლი პეტრეს ძე ალექსანდრო-ვის უდიდესი მხარდაჭერა და თანადგომა, ბატონ ელეფთერ ანდრონიკაშვილს გაუჭირდებოდა იმ მრავალი უსამართლო ბარიერის გადალახვა, რომელთაც დიდი რუდუნებით უშენებდნენ მისი ოპონენტები. დღეს ამ ოპონენტებიდან ზოგიერთმა თვითონ დაიწყო მუშაობა აღნიშნული პრობლემის ირგვლივ და არ კოსტუმიზირებული გოდ.

საბედნიეროდ, ბატონი ელეფთერის „მეტალო-კანცეროგენულ“ ჰიპოთეზას საზღვარგარეთელი ოპონენტები არ ჰყოლია. 1973 წელს მის მიერ ბოსტონში, ბავშვთა კიბოს ცენტრში, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა პროფესორი სიდნი ფარბერი და რომლის სახელსაც დღეს ატარებს ეს სამეცნიერო ცენტრი, წაეკითხული ლექციის შემდეგ ისინი სიამოვნებით წამოვიდნენ ჩვენთან თანამშრომლობაზე. მაშინ აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი ეკავა რიჩარდ ნიქსონს და მისი პრეზიდენტობის

დროს საბჭოთა კავშირთან მიღწეული „დათბობის“ სინდრომის წყალობით მოხერხდა ჩვენი წარმატებული მეცნიერული თანამშრომლობა ფარბერის ინსტიტუტთან. მაშინ ორმოცდარვა საათის განმავლობაში შეუფერხებლად ვიღებდით ამ ინსტიტუტიდან საკულევ ნიმუშებს: ჰისტონებისა და ნუკლეინის მუკულების პრეპარატებს, რომლებიც ამერიკელების მიერ გამოყოფილი იყო მწვავე ლეიკოზით დავადებული ბავშვების ლიმფოციტებიდან და ამ პრეპარატების ტრანსპორტირება ხდებოდა ცივ მდგომარეობაში, მშრალ ყინულზე, სპეციალური ბოქსებით. მაშინ ნიმუშების განბაჟება არ ხდებოდა და ისინი უპრობლემოდ, დროულად აღწევდნენ ჩვენს საკულევ ლაბორატორიამდე.

სამწუხაროდ, დღევანდელ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, მოუქნელი ჩინოვნიკური აპარატის წყალობით, იგივე ამერიკის უდიდესი სამეცნიერო ცენტრიდან – ბერკლის ნაციონალური ლაბორატორიიდან გრანტის სახით მიღებული ქიმიური პრეპარატების განბაჟებაზე თვეები იხარჯება!..

მრავალი მკულევარის პოზიციის ამგვარი მეტამორფოზა მე სრულიად ბუნებრივად მეჩვენება, რადგანაც ამ პრობლემის აქტუალობა დასტურდება იმითაც, რომ ეს მეცნიერული მიმართულება მონინავე ქვეყნების მიერ ფინანსირდება საკმაოდ „მსუყედ“.

ცნობისათვის: ამერიკის შეერთებული შტატების ენერგიის დეპარტამენტის მიერ ამ ბოლო ნლებში მონაცენებული პროგრამებისა და გრანტების დიდი ნაწილი (ოცდათხუთმეტი პროცენტი) ეძლვნება ბიოტექნოლოგიური პრობლემების შესწავლას ამ კუთხით და მიმართულია სასიცოცხლო გარემოს დასაცავად.

აქვე, ჩემს მიერ, უადგილო არ უნდა იყოს იმის ხაზგასმაც, რომ ბატონი ელეფთერის მონაცენები, რომლებიც მხოლოდ აქ, ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობენ (რომ ალარაფერი ვთქვა, იმ მონაცეთა შესახებ, რომლებიც აგრძელებენ მოღვაწეობას სხვა სამეცნიერო ცენტრებში), წარმატებით აგრძელებენ კვლევით საქმიანობას მეტალ-ბიოლოგიური სისტემების ირგვლივ და არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მათ მიერ დღეისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი ცენტრის (სსტც) ეგიდით ერთდროულად სრულდება სამი პროექტი გრანტების სახით. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსნო გრანტები: G-348 და G-349, რომლებიც სრულდება კალიფორნიის ლოურენს ბერკლის სახელობის ნაციონალურ ლაბორატორიასთან (LBNL) თანამშრომლობით. ეს ლაბორატორია სრულიად სამართლიანად ითვლება მსოფლიოს უდიდეს ავტორიტეტულ სამეცნიერო ცენტრად, სადაც როგორც მეცნიერი, „დაიბადა“ ნობელის პრემიის ცხრა ლაურიატი! ასევე G-408 პროექტის ფარგლებში, ჩვენთან თანამშრომლობაზე წამოვიდა ოუკრიჯის ნაციონალური ლაბორატორია (ORNL) თავის მაღალნაკადიან [» $5 \cdot 10^{15}$  ნეიტრ/სმ<sup>2</sup> წამი (HFR)] ბირთვულ რეაქტორზე კვლევითი სამუშაოების შესრულებაში მაქსიმალური ხელშეწყობის ვალდებულებით.

ცნობისათვის: ეს არის უნიკალური ბირთვული რეაქტორი, რომლის აქტიური ზონა ყოველი ოცდაორი დღის მუშაობის შემდეგ საჭიროებს განახლებას, მისი ბირთვული საწვავის გამოწვის გამო. საგულისხმოა ისიც, რომ თავისი არსებობის მანძილზე პირველად ხდება, რომ ამ ცენტრმა „გააღო კარი“ ჩვენთან, როგორც პირველ უცხოელებთან თანამშრომლობისათვის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში. დღეს რომ ბატონი ელეფთერი ცოცხალი ყოფილიყო, სამართლიანად გაიხარებდა მისი მოწაფების საქმიანობის ამგვარი საერთაშორისო აღიარებითა და მხარდაჭერით.

და მაინც საჭიროდ ვთვლი, მოკლედ მოვიხსენიო თავად ბატონი ელეფთერის თანაავტორებთან მუშაობის ზოგიერთი სპეციფიკური „მე-თოდიკა“. ეს თანამშრომლობა ჩემთვის ყოველთვის იყო დაძაბული და თანაც, „თამაში“ ჩემი შესაძლებლობების ზღვარზე, რადგანაც არ გაპატიებდა პატარა უზუსტობასაც კი, თუ ეს ეხებოდა კონკრეტულ სამეცნიერო შრომაში ხაზგასმულ ცნებას ან დასკვნას.

მნარედ მაგრანდება 1970 წლის ზაფხული. ვიყავი შვებულებაში და ამ დროს ვიღებ ბატონი ელეფთერისაგან სასწრაფო დეპეშას სამსახურში დაუყონებლივ გამოცხადების მოთხოვნით.

**ბრძანებას ვასრულებ უყოყმანოდ.**

ვცხადდები ინსტიტუტში, ვაღებ დირექტორის მისაღებ კარს და ვხედავ განაანუქნებული დირექტორის სახეს. მანვდის ჩვენი ერთობლივი შრომის კორექტურას. ამ სტატიაში ყველაფერი რიგზე იყო, გარდა ერთისა - დასკვნით ნაწილში არეული იყო მძიმისა და ნერტილის ადგილები. ამგვარი უზუსტობის გასწორების შემდეგ დავუბრუნე შრომა და მაინც ვკითხე, ნუთუ მხოლოდ ამის გულისათვის შემანყვეტინეთ შვებულება-მეთქი.

უნდა გენახათ მისი განრისხება, რაც ჩემთვის მოულოდნელად დამატყდა თავს ამ „არაკორექტული“ შეკითხვის გამო, - არ მაპატია ჩემის მხრივ დიდი და პატარა შეცდომის ცნების დაკანონების მცდელობა.

მაშინ და შემდგომაც კარგადიდი ხნის განმავლობაში ასეთ რეაქციას დიდი მეცნიერის ახირებულ ჭირვეულობად ვთვლიდი. როგორც ამ ბოლო დროს წარმოჩნდა, კომპიუტერული ტექნიკის ფართოდ გამოყენების კვალობაზე, - „დიდი“ და „მცირე“ შეცდომა ერთნაირად ფასობს!..

სხვათაშორის, დიდი და მცირე შეცდომების დიფერენცირების ნინააღმდეგი იყო აკადემიკოსი ვაგან მამასახლისოვიც, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე კომპიუტერული ტექნიკა შემოვიდოდა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ამას იგი შემდეგნაირად ასაბუთებდა: ვთქვათ, გიგანტური საგლინავი ჩარხის ოპერატორი, ცხელი ლითონის დამუშავების დროს, აჭერს თითს იმ ღილაკს, რომელიც გათვალისწინებული არ არის ტექნოლოგიით. შედეგი, რა თქმა უნდა, იქნება არასასურველი თუ კატას-

ტროფული არა. მაში, რა გამოდის, შეცდომის ფასს აქვს სიდიდე-ზომა, რომელიც არ არის „პროპორციულ“ დამოკიდებულებაში მის გამომწვევი მიზეზთან...

როგორც ჩანს, დიდი და პატარა შეცდომის მაგიერ, აჯობებდა მეხმარა, „უნებლიერ და უნყინარის“ ცნება, რომელიც ასე ტევადი შინაარსითარის დატვირთული ჩვენს დალოცვილ ქართულ ენაში...

იმ რუს მეცნიერებს შორის, რომლებიც რეალურ თანადგომას უნევდნენ ბატონ ელეფთერს, ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა აკადემიკოს გიორგი ფლოროვს.

ცნობისათვის: ეს ის ვიორგი ფლოროვია, რომელმაც დასავლეთის ფრონტიდან 1942 წელს წერილი გაუგზავნა იოსებ სტალინს, სადაც ის, უმცროსი ეფრეიტორის ჩინის მქონე ჯარისკაცი, უსაბუთებდა ქვეყნის ბელადს ბირთვული ფიზიკის განვითარების აუცილებლობას. როგორც ცნობილია, ის ამის შემდეგ დააპრუნეს ლაბორატორიაში და მიუჩინეს პერსონალური „მზრუნველები“, მისი სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ცნობილია, რომ მთავრობის მხრიდან, ეს განსაკუთრებული მზრუნველობა დიდხანს გრძელდებოდა, თვით სტალინის სიკედილის შემდეგაც... აკადემიკოსი გიორგი ფლოროვი იყო დუბნის ბირთვული რეაქციების ლაბორატორიის (ПЯР) დირექტორი და მუშაობდა ტრანსურანული ელემენტების სინთეზის პრობლემებზე. იგი გამოირჩეოდა გასაოცარი იუმორის გრძნობით და ამ ფონზე ჩვენ არ გვიკვირდა, როდესაც მას შემდეგ, რაც გაეცნო ბატონი ელეფთრის ხელმძღვანელობით შესრულებულ შრომებს Zn ->დნმ ურთიერთქმედების შესახებ, ხუმრობდა: თავდაპირველად არ ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ თქვენ დაიჭირეთ დათვი; ვფიქრობდი, ვაითუ, დათვმა დაგიჭირათ თქვენ, მაგრამ ახლა უკვე ვიცი, რომ დათვს არ დაუჭერიხართ“. ამის შემდეგ იგი ტრადიციულ საახალწლო მოლოცვებს, როგორც წესი ასრულებდა ფრაზით: „**С Зн-овыим приветом!**“

დიდი იყო ბატონ გიორგი ფლოროვის დამსახურება არა მარტო ფუნდამენტური ფიზიკის აქტუალური პრობლემების კვლევაში, არამედ სუფთა გამოყენების თვალსაზრისითაც. მის ლაბორატორიაში დამზადებული ბირთვული ფილტრები, რომლებიც მიიღება ციკლოტრონზე აჩქარებული მრავალმუხტიანი იონებით ლავსანის თხელი აფსექტის დაბომბვის შედეგად, დღესაც ფართოდ გამოიყენება მიკრობიოლოგიურ კვლევებსა, თუ სხვა პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენს ლაბორატორიაში, ამ ფილტრების გამოყენებით ხერხდება ხსნარების გასუფთავება ულტრამიკროსკოპული ნანილაკების მინარევებისაგან, რასაც აქვს ფასდაუდებელი მნიშვნელობა კაპილარული ელექტროფორეზისათვის საჭირო ბუფერული ხსნარების მოსამზადებლად.

ცოტა რამ იმის შესახებ, თუ როგორი იყო ბატონი ელეფთერის მიერ ფიზიკის ინსტიტუტის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნ-

ველყოფის მექანიზმები. ისინი, მართლაც, მრავლად იყო მის არსენალში და საჭიროების მიხედვით ოსტატურად იყენებდა მიზნის მისაღწევად. მიზანი კი იყო ინსტიტუტის სამეცნიერო დონის აყვანა ნამდვილ ლიდერთა დონეზე. ამის მიღწევა კი არ იყო ადვილი კონსერვატულ-ჩინოვნიკურ სახელმწიფოში. პრობლემები ყოველთვის იყო ინსტიტუტის ლაბორატორიების ახალი სამეცნიერო აპარატურით აღჭურვის თვალსაზრისით. ეს პრობლემა პრობლემათა შორის ყოველთვის ყველაზე მტკიცნეული იყო და ამის გამო მას ხშირად დღეებიულამებია ფუნქციონერების მისაღებებსა თუ სამდივნოებში. ის ხშირად აკითხავდა პრეზიდენტ ანატოლი ალექსანდროვს იმპორტული რეაქტივების შესაძნად საჭირო ვალუტის გამოსათხოვნად, ან თანამშრომლებისათვის საზღვარგარეთული მივლინებების ნებართვის ასაღებად.

ბატონი ელეფთერი ასევე ხშირი სტუმარი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, აკადემიკოს ვლადიმერ კირილინისა, რომელიც დიდხანს იყო ამ კომიტეტის თავმჯდომარე და რომელსაც შეეძლო სახელმწიფო რეზერვიდან, რომლის განმკარგავიც მეცნიერებაში ის გახლდათ, დაეფინანსებინა ახლად წარმოჩენილი სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოები.

თავს ნებას მივცემ განვაცხადო, რომ ჩემი ლრმა რწმენით, სწორედ ბატონი ელეფთერის მიმართაკადემიკოს ვლადიმერ კირილინის კეთილგანწყობამ ითამაშა ფასდაუდებელი როლი, ფიზიკის ინსტიტუტისათვის რამდენიმეჯერ სხვადასხვა პროექტების მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების აღმოჩენაში. ბატონი ელეფთერისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში არა თუ მარტო შესვლა, არამედ თვით მის თავმჯდომარესთან ურეგლამენტო მიღება და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჩაის სმით საქმაოდ უჩვეულო იყო კომიტეტის მაღალი რანგის თანამშრომლებისთვისაც კი.

მახსოვს, 1974 წელს ვიღებდი მონაწილეობას იმ დადგენილების პროექტის მომზადებაში, რომლის წარდგენასაც უახლოეს მომავალში ვარაუდობდა ბატონი ელეფთერი. ამგვარი პროექტის მომზადება გადის გარევეულ ეტაპებს – დაბალი რანგის ჩინოვნიკებიდან ეშელონის ფუნქციონერებამდე. დადგენილების პროექტის დანართი, სადაც, კაცმა რომ თქვას, იყო ჩამოთვლილი ის ხელსაწყოდანადგარები, რომელთა შეძენაც უნდა უზრუნველყოამგვარ დადგენილებას, მომზადების ბოლო ეტაპზე საჭიროებდა კომიტეტის მაღალი რანგის ექსპერტებთან შეთანხმებას. ეს ამოცანა უმტკიცენეულოდ შევასრულე და როდესაც ვემშვიდობებოდი ბოლო ექსპერტს, მაინც ვკითხე, როგორია ამ პროექტის მოწონების ალბათობა მეთქი. მას გაეცინა და პირდაპირ მითხრა: თავმჯდომარე თვლის, რომ ეს სამუშაოები უნდა გავუშვათ „Впереди паровоза“.

მადლობის მეტი რა მეტქმოდა და, როდესაც თბილისში დაბრუნების

შემდეგ, ამის შესახებ მოვახსენე ბატონ ელეფთერს, მას გაელიმა, მაგრამ, როგორც შევნიშნე, ეს მისთვის არცთუ დიდი მოულოდნელობა უნდა ყოფილიყო. აქ ჩემთვის კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, თუ წინასწარ, როგორი საიმედობით და რუდუნებით ამზადებდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს, სანამდე მოხდებოდა ოფიციალური განხილვა. სწორედ აქ ჩანდა საკითხის მომზადების მისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური ხელნერა, რის წყალობითაც ყოველთვის აღნევდა მნიშვნელოვან წარმატებას.

ცალკე განსჯის საგანი იყო და დღესაც რჩება ბატონი ელეფთერის ხელქვეითთა მიმართ დამოკიდებულების სპეციფიკა. აქ, შესაძლოა, იმდენი სუბიექტური მოსაზრება არსებობდეს, რამდენ პერსონასაც პქონია მასთან საქმიანი თუ სამსახურეობრივი დამოკიდებულება.

ბატონი ელეფთერი თანამშრომლების მიმართ იყო მკაცრი, ხშირად სამართლიანი და ზოგჯერ უსამართლოც. მის მიერ მიღებული ზოგიერთი უსამართლო განაჩენის შესახებ, გარკვეული დროის შემდეგ მას დიდი სინაწელიც კი გამოუთქვია.

აი, ერთი მაგალითი: კარსნის ლაბორატორიის მექანიკურ სახელოსნოში სამოციან წლებში მუშაობდა წარმოშობით გერმანელი, ალექსანდრე ალფონსის ძე მიულმანი. ის იყო მაღალი კლასის ოპტიკოს-მექანიკოსი. მისი დამზადებული ნაკეთობები ინვევდა საყოველთაო მოწონებას. ერთ დღეს ეს მხცოვანი ოსტატი, ნაშუადღევს სამუშაო საათებში, ისვენებდა ლაბორატორიის ეზოში, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი. ფიქრებში წასულმა მექანიკოსმა ვერც კი შენიშნა, როგორ შემოსრიალდა დირექტორის მანქანა ეზოში და როგორი მედიდური იერით გადმოვიდა ამ მანქანიდან ბატონი ელეფთერი, რომელმაც არ დააყოვნა და დიდი საყვედური უთხრა ალექსანდრე მიულმანს სამუშაო საათებში „უქმად“ ყოფნის გამო.

ბატონმა მიულმანმა აუხსნა დირექტორს, რომ ძლიერ დაიღალა მთელი დღე სახარატო ჩარხთან დგომით და მუშაობით, და თავს წება მისცა, ცოტა ხნით დაესვენა. მეტი ასესნა-განმარტება მას თავისი დისციპლინირებული დირექტორისათვის არ მიუცია.

იმ დღიდან ის სახელოსნოში არ დაბრუნებულა, დაწერა განცხადება განთავისუფლების თხოვნით და დირექტორმაც არ დააყოვნა მისი თანამშრომლის თხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება.

ამის შემდეგ გავიდა დაახლოებით ოციწელი და მე გავუხსენე ეს ეპიზოდი. უნდა გენახათ, როგორი სინაწელი გამოიტქვა და რა დაუწყდობელი სიტყვებით მოიხსენია საკუთარი თავი ამგვარი მოქმედების გამო. ეს სინაწელი დაასრულა სიტყვებით: რა იყო იმაში დაუჯერებელი, რომ ცხოვრებით განანამებ, მარტოხელა, ემიგრანტ მოხუცს შეეძლო მართლაც დალლილიყო და ამის გამო მცირეოდენი არარეგლამენტირებული დროით დაესვენა.

ბატონმა ელეფთერმა კულავ მწარედ ამოიოხრა და თავისთვის დაბა-

ლი ხმით წარმოთქვა ფრაზა: „ბევრი სისულელე მაქვს ჩადენილი, მაგრამ ახლა მათ უკვე აღარაფერი ეშველება...“.

ამბობენ, ბატონი ელეფთერი, თავისი მოლვანეობის სასტარტო ეტაპზე (1948-1958 ნლები), ძალიან მეცნიერება და დაუნდობელი იყო სამსახურეო-ბრივი დისციპლინის დამრღვევთა მიმართო. მოგვიანებით, შეარბილა თავისი დამოკიდებულება ხელქვეითთა მიმართ, მაგრამ პრინციპულ შემთხვევებში მას არ უღალატია თავისი ჩვეულებისათვის. რაც შეეხება საკუთარი ცოდვების თუ შეცდომების აღიარებას, ეს მასში უსათუოდ შეინიშნებოდა და ამ პროცესის ამსახველი კინეტიკური მრუდი მისი ასაკის პროპორციულად მცირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მასთან მუშობის ოცდაათნლიანი პერიოდის ანალიზი, ამგვარი დასკვნის შესაძლებლობას მაძლევს.

დანცებული 1970 წლიდან, ბატონ ელეფთერთან თანამშრომლობის პერიოდში სრული შესაძლებლობა მქონდა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მასთან გამომეთქვა ჩემი აზრიდა თუ მასში, მართლაც საყურადღებო მომენტზე იქნებოდა საუბარი, ამას სრულიად ნორმალურად აღიქვამდა.

მახსენდება ასეთი ეპიზოდი: ბიოგიზიკური სექტორის თანამშრომელთა ყოველკვირეულ სემინარზე, გარდა სამეცნიერო მოხსენებისა, ხშირად ირჩეოდა ორგანიზაციული საკითხებიც. ერთხელ, დიდის თავმონებით გამოგვიცხადა, რომ მეტად კამყოფილია ბიოქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, ქალბატონ ზინა ჩანჩალაშვილის მუშაობით და მზად არის დაუნიშნოს ხელფასზე დანამატი დირექტორის ფონდიდან ოცი მანეთის ოდენობით.

მე ჩემთვის ჩავილაპარაკე, ეს რა ჯილდოა, ამ ფასად მხოლოდ ერთ პატარა საზამთროს თუ იყიდის მეთქი. ადრეული ზაფხული იყო და საზამთრო, როცა პირველად შემოდის ჩვენს ბაზრებზე, მართლაც ძვირად ფასობდა. ამასთან ისიც ვიცოდი, რომ ბატონ ელეფთერს ძალიან უყვარდა საზამთრო. „*А сколько стоит бояльшой арбуз?*“ მე ვუპასუხე, რომ ამისათვის საჭიროა ორმოცი-ორმოცდაათი მანეთი-მეთქი. ამგვარი შესწორება მას მაინცდამაინც დიდად არ ესიამოვნა, მაგრამ ბრძანებაში კორექცია კი შეიტანა.

იყო ასეთი შემთხვევაც: ერთ ზამთარს, როდესაც თბილისში პირველად „მოფრინდა“ ენერგეტიკული კრიზისის ნიშნები, რაც იმით გამოიხატა, რომ ირანმა შეუწყვიტა ჩვენს ქალაქს, მართლაც ცისფერი აირის მონოდება (ქალაქის ცენტრალური გათბობის სისტემები მაშინ ანუბილი იყო მხოლოდ ირანულ აირზე და ამ სისტემაში სხვა საწვავის გამოყენება არ ხერხდებოდა), გაჩნდა დიდი პრობლემა გათბობის სექტორში. აი, ასეთ დროს ბატონმა ელეფთერმა რამოდენიმე თანამშრომელი დაიბარა სახლში სტატიის დასაწერად, მათ შორის ვიყავი მეც. ის ხშირად ავადმყოფობდა და გაყინულ სახლში, მართლაც, უჭირდა ყოფნა. ამის გამო თბილად

იყოჩაცმული და თანაც თავზე ჰქონდა მოსასხამი შემოხვეული, რომელიც ძალიან ჰგავდა პალესტინის განთავისუფლების ლიდერის, იასირ არაფატის ბურნუსს, რომელსაც არაფატი ატარებდა ტროპიკული სიცხეების პირობებშიც კი. ბატონი ელეფთერი ამის გამო გასაოცარი სიზუსტით ჰგავდა არაფატს და მე მოუფიქრებლად ვუთხარი, როგორ ზუსტად ჰგავხარ მეთქი არაფატს.

აღმოჩნდა, რომ იასირ არაფატი გულზე არ ეხატებოდა და წყენით მითხრა: თუ გინდა, შენ იყავი არაფატიო. ამის შემდეგ გაიცინა და თქვა: სპარსელები არიქცევიან კარგად, რაღა მაინც და მაინც ამ ყინვების დროს შენყვიტესა აირის მოწოდებაო.

მაშინ ჩვენ არ შეგვეძლო ნარმოგვედგინა დღევანდელი თბილისის სიტუაცია, როდესაც ცენტრალური გათბობა კი არა, ორსაათიანი გრაფიკით ელექტროენერგიის მოწოდებაც კი სანატრელი გაგვიხდა.

კარგად არის ცნობილი, რომ ბატონ ელეფთერს ხშირად უხდებოდა სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ბევრ გაუთვალისწინებელ ხარჯებთან, რომელთა ანაზღაურებაც ოფიციალური კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული და იძულებული ხდებოდა, ეს ხარჯები საკუთარი ხელფასით დაეფარა. გარეშე პირებისათვის ეს მომენტი შეუმჩნეველი რჩებოდა, მაშინ როდესაც მის უახლოეს გარემოცვაში მყოფთათვის ეს სრულიად ბუნებრივი რამ იყო.

ერთდროს, თბილისში დიდი მოწონება ჰქონდა ქალის ჩექმას. როგორ დაც იმ ხანად, მიღებაზე დირექტორთან შევიდა გემოვნებით, მოდურად ჩაცმული ერთი ქალბატონი, რომელსაც, მართლაც, ლამაზი ჩექმები ეცვა. ბატონმა ელეფთერმა უნებლივიდ იყითხა ფასი. აღმოჩნდა, რომ ის ჩექმები, მაშინდელი თბილისის შავ ბაზარზე იმდენივე ღირდა, რაც იყო ბატონ ელეფთერის ერთი თვის ხელფასი. მან თავისითვის ჩაილაპარაკა: ამ სიამოვნების უფლებას მე ჩემს თავს ვერ მივცემო. თურმე, ასეთი ჩექმები უნდოდა საჩუქრად თავისი საყვარელი ძმისშვილისათვის...

რაც არ უნდა პარადოქსულად უდერდეს, ბატონი ელეფთერისათვის პირადი, ფინანსური დეფიციტი მუდმივი თანამგზავრი იყო. მაგრამ, როცა კი თავისუფალი ფული გაუჩინდებოდა, მის ხარჯვას ნამდვილი ქართული თავადური მანერით ახორციელებდა. კიდევ ერთი პატარა მაგალითი ამ მოსაზრების დასადასტურებლად.

1980 წელს გამოვაქვეყნეთ დიდი მოცულობის მიმოხილვითი შრომა ამერიკულ გამოცემაში ‘Metal ions in biological systems~. ამის გამო საქრთველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაგვაჯილდოვა თითო თვის ხელფასით. უნდა გენახათ, როგორი კმაყოფილი იყო ამის გამო ბატონი ელეფთერი. პირველი, რაც თქვა, ეს იყო: „ნავიდეთ, დავასველოთ“. ეს „დასველება“ შედგა მცხეთაში, კარგ რესტორანში. იმ დროს ბატონი ელეფთერი იყო მკაცრ დიეტაზე. ამის მიუხედავად, მან გულით

მოილებინა – მიირთვა ხატაპურიც და ერთი ჭიქა ღვინოც დალია (რის უფლებაც, თურმე, არ ჰქონდა), ხოლო უკან რომ ვბრუნდებოდით, როგორც დამნაშავე ბავშვმა, მედა ბატონი გიორგი მრევლიშვილი ისე გაგვაფრთხილა: ქალბატონ თინასთან არ წამოგცდეთ, რომ დიდებული დავარლვიერო...

ამ პატარა წერილში, გავუადნიერდიდა, აღვნერებატონი ელეფთერის ცხოვრების ზოგიერი ეპიზოდი, რომლებიც ნიშანდობლივია მისი მუშაობის მეთოდიკისა და ტექნოლოგიისათვის. ვიმეორებ: ეს მეთოდიკა მუშავდებოდა იმ ტაძრის ასაგებად, რომელსაც დღეს სრულიად სამართლიანად ჰქვია „ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი“. ამ ტაძრის ასაშენებლად საჭირო საამშენებლო მასალებს ისილებდა საკავშირო მთავრობის სპეციალური დადგენილების საფუძველზე. ამგვარი დადგენილებების მოსამზადებლად ფეხზე გაუხდელად ეცვა რკინის ქალამნები და ხელში ეკავა ჯადოსნური ყავარჯენი. ამ რეევიზიტით და კოსტუმით, რა თქმა უნდა, შეეძლო ევლო ბევრ, მისი რანგის ქართველ მეცნიერს, მაგრამ მასავით ოსტატურად ამ ატრიბუტიკის გამოყენება ცოტა ვინმემ თუ შეძლო. მისი ამ მეთოდიკის წარმატებულობაზე მეტყველებდა ელეფთერ-აღმაშენებლის მოღვაწეობის თვალსაჩინო შედეგები: ინსტიტუტის ულამაზესი შენობა ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ მაგისტრალზე, დიდი ლამაზი ბალით; ბირთვული რეაქტორი, ყველა მისითვის საჭირო სატელიტური ობიექტით, დაწყებული რადიო-ქიმიური ლაბორატორიიდან – დამთავრებული მძლავრი კრიოგენული სადგურით: თხევადი აზოტის, უანგბადის, ნყალბადისა და ჰელიუმის დასამზადებლად; ლაბორატორიული კომპლექსები ბაკურიანსადაცხრა წყაროზე; კოსმოსური სხივების შემსწავლელი მინისქვეშა ლაბორატორია თბილისის ბოტანიკური ბალის ტერიტორიის მიდამოებში და სხვა მცირე, მაგრამ საჭირო და მნიშვნელოვანი ობიექტი ფიზიკური კვლევებისათვის... ელეფთერ-აღმაშენებლის მოღვაწეობის აპოგეად უნდა მივიჩიოთ გასული საუკუნის სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლები. ამ დროისათვის ინსტიტუტის სამტატო განრიგი ითვლიდა ცხრაასამდე თანამშრომელს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდზე მოდის ფიზიკის ინსტიტუტის მეუნიერ-მუშაკების მიერ დაკული დისერტაციის მაქსიმუმი.

მძიმეავადმყოფობებმა, რომლებიც წლების განმავლობაში მისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად იქცნენ, სამწუხაროდ, თავისი გაიტანა... ელეფთერანდრონიკაშვილი მაშინ წავიდა ამ ქვეყნიდან, როდესაც მის თვის დამახასიათებელ მუშაობის ტექნოლოგიას კიდევ შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ინსტიტუტის განვითარების შემდგომ ეტაპებზე.

კიდევ ერთხელ შემინდოს ბატონი ელეფთერის სულმა, თუ ზედმეტად შევაძლოთე ჩემს მიერ აქ აღნერილი ეპიზოდებით...

**P.S.** ნერილი დანერილია 2002 წელს.

## 32. დანართები

აქ ნარმოდგენილ დანართებში მე აღვნერ ჩემი მზრუნველი პაპების იმ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, რომელთა მონძეც თავად ვიყავი.

ჩემი პაპების სიჭაბუებში, მათ მიმართ გათამაშებული ამბების შესახებ, ინფორმაცია მოსმენილი მაქვს ჩემი მშობლებისაგან. ამინფორმაციის საფუძველზე, პაპაჩემების ცხოვრებისეული ეპიზოდების აღწერისაგან, ამჯერად, თავი შევიკავე.

### I. ჩემი ილია პაპა

მე არ ვიცი ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“ სად გადის საზღვარი რეალობასა და მწერლის ფანტაზიას შორის, მაგრამ ჩემთვის ილია პაპა რომ იყო საოცარი შრომისმოყვარე კაცი და ნამდვილი კახელი მინდია, ამის დასტურად თავად ვარ მრავალი ეპიზოდის უმუალო მხილველი და მონაწილე, ხოლო დღევანდელი გადასახედიდან უკვე შესაძლებელია მათი ობიექტური ანალიზი.

ეს კაცი-ლეგენდა, გასაოცარ შრომისმოყვარეობასთან ერთად, გამოირჩეოდა ვენახის, ბალ-ბოსტნისა და საერთოდ მცენარეების მოვლა-პატრონობის ღრმა ცოდნით. მისი დარგული მცენარის ნერგები ხარობდა დიდი ალბათობით. საზამთროს ბალის მოვლა-პატრონობაში კი ბადალი არ ჰყავდა. გასული საუკუნის ოცდაათიანი ნლებიდან, ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობაში, ისევე მუყაითად შრომობდა, როგორც ადრე „კერძოობის“ დროს. ეს ტერმინი, კერძოობის დროის შესახებ, მაშინ ყველა გლეხის ლექსიკონში იყო პირველ ადგილზე წარმოჩენილი.

ჩვენი სოფლის კოლმეურნეობა მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროზე, დაახლოებით ხუთ ჰექტარ ფართობზე აშენებდა საზამთროს ბალებს. ილია პაპა მუდმივად, უკონკურსოდ იყო ასეთი ბალის პატრონი და გამგებელი. თავად უკეთებდა ორგანიზაციას საბალე ტერიტორიის მომზადებას, ხვნას საბრუნი გუთნით, მდინარე ივრიდან სარწყავი არხის გამოყვანას, სავარგულის დაგეგმარებას და საზამთროსა და წესვის თესვის ორგანიზებას.

ეს კაცი საგანგებოდ უვლიდა სათესლედ გამიზნულ საზამთროს. თესლს თვითონ ინახავდა მომავალ წელს დასათესად. მის მიერ დამზადებული თესლიდან მცენარის აღმოცენება ხდებოდა უპრობლემოდ. თესვის თავისი ტექნოლოგიას დიდი მონძლომებით უზიარებდა ნებისმიერ დაინტერესებულ პიროვნებას. არავითარი საიდუმლო ან დასამალი ტექნოლოგია არ ჰქონია. მთავარი მაინც სათესლე წაყოფის სწორად შერჩევასა და კარგად დამნიფებაში მდგომარეობდა.

იმ დროისათვის კახეთში გავრცელებული იყო საზამთროს ეგრეთ

წოდებული ამერიკული ჯიში, გლეხები „ამერიკანეას“ ეძახოდნენ. ეს საზამთრო იზრდებოდა მოგრძო, მუთაქის ფორმის მსგავსად და გამოირჩეოდა საუკეთესო გემოვნებით. დღეისათვის, მასობრივად გავრცელებული „მინაზოტის“ ჯიშის საზამთრო, რომელმაც პრაქტიკულად დაავინა ამ დელიკატესის მოყვარულებს ნამდვილი საზამთროს ნამდვილი გემო, მაშინ, საბედნიეროდ, არ არსებობდა.

ივრის ბალებიდან საზამთროს კრეფა გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში, პრაქტიკულად ოქტომბრამდე. მოყვანილი პროდუქტი, ჩალით მოწყობილი ურმებით მთელი სეზონის განმავლობაში მიქეონდათ თბილისის რიყის ბაზრობაზე, გასაყიდად. ასეთი ურმების კოლონა სისტემეტურად ასრულებდა რეისებს მარშრუტით: იორი, საგარეჯო, სართიჭალა, თბილისი.

თბილისის მაშინდელმა მცხოვრებლებმა ურეკლამოდაც კარგად იცოდნენ, ვისი ბალებიდან მოყვანილი პროდუქტი უნდა ეყიდათ. ივრის საზამთროს კონკურენციას ვერავინ უწევდა. ამ დელიკატესს ყოველთვის ჰყავდა თავისი გემოვნებიანი მყიდველი. შედეგად კი რიყის ბაზრობაზე შემოტანილი ეს პროდუქტი სულ რაღაც ორ-სამ საათში იყიდებოდა.

მეურმები იმავე დღის სალამოს ბრუნდებოდნენ უკან. დამეს ათევდნენ და ხარ-კამეჩის აძლებდნენ ლოჭინის ხევის მიდამოებში. მეორე დილით კი კვლავ აგრძელებდნენ გზას ივრისაკენ. და ასე მეორდებოდა მთელი სეზონის მანძილზე.

ივრის საზამთროთი ასევე უპრობლემოდ მარაგდებოდა სოფლის სავაჭრო ცენტრი და თავად კოლმეურნეობის საწყობი. კოლმეურნეობის ნევრთათვის განკუთვნილი საზამთროს ფასები იყო სიმბოლური და ამ პროდუქტით შეეძლო ესარგებლა ნებისმიერს. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდისათვის ქურდობის, თაღლითობის და მომხვეჭლობის „ავადყოფობა“, რომელიც ომისა და ომის შემდგომ პერიოდში მძვინვარებდა ქვეყანაში, დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

საზამთროს სეზონის დასრულების შემდეგ, ბოსტნეულთან ერთად, განებივრებული შინაური ფრინველი იღია პაპას მოჰყავდა სოფელში და ამიერიდან მათ პატრონობდა ბებო.

კარგად მახსოვეს ივრის პირებზე გალალებული ფრინველები, გან-

საკუთრებით კი ინდაურები, როგორი მედიდურობით და ცინიზმით ექ-  
ცეოდნენ ბებოს მიერ გამოზრდილებს, რომლებიც, მართლაც, საცოდა-  
ვად გამოიყურებოდნენ იმათთან შედარებით.

ორიოდე ფრაზით უნდა მოვიხსენიო ის „სპექტაკლები“, რომელთაც  
ეს კაცი უმართავდა სოფლის ახალგაზრდობას.

მოგეხსენებათ, ოცდაათინი წლებიდან ომამდე პერიოდში გარე კახე-  
თის სოფლებში ჯერ არ იყო გაყვანილი ელექტროგანათება. მამა-პაპური  
ნავთის ლამპა და სანთელი იყო ლამის განათების ერთადერთი, ტრადიცი-  
ული საშუალება. მაშინ ტელევიზიის ხსენებაც კი არ იყო. ასეთ პირობებში  
მყოფი ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ნებისმიერ  
სანახაობას, მათ შორის, მომკლების შრომასაც....

პურის მეის სეზონის დაწყებისთანავე გამოცდილი პროფესიონალები  
გადიოდნენ სამკალში სამუშაოდ.

ამ მისიას პირველი იწყებდა ჩემი ილია პაპა. პურის ყანის მეის დროს,  
მის მიერ ელვის სისწრაფით მოსრიალე ნამგლის მხილველები, თვალს ვე-  
ლარ აძროებდნენ ამ „სპექტაკლს“.

ეს კაცი-ლეგენდა ერთ ხელში იჭერდა მთლიან ძნას, მოხდენილად ჭრი-  
და და იმის უკან სოკოებივით იზრდებოდა მომკილი პურის ათეულები.

ცნობისათვის: მეოთხელს უნდა ვაუნყო, რომ ათეული აერთიანებდა  
თერთმეტ ძნას, რომლებიც ისე ლაგდებოდა, რომ პურის თავთავები  
იყავებდა ცენტრალურ ზონას და ეს კეთდებოდა იმ მარტივი მიზეზების  
გამო, რომ წვიმის შემთხვევაში თავთავები დაცული ყოფილიყო დას-  
ველებისაგან. ათეულის პირველ ორ სართულზე ამ წესით იდგმებოდა ოთხ-  
ოთხი ძნა, ზემოდან ადებდნენ ჯერ ორს და ბოლოს კი, უკანასკნელ მე-  
თერთმეტე ძნას, მთელი ათეულის ჩამკეტად. ამ წესით დაწყობილ  
ნამკალს ერქვა ათეული.

ილია პაპას უკან ათეულების სიმრავლე ისე იზრდებოდა, რომ დღის  
ბოლოსათვის მათი რაოდენობა აღწევდა ორმოცდაათ-სამოც ერთეულს.  
ეს იყო, ფაქტიურად, ერთ ჰექტარზე მოყვანილი ხორბლის მოსავა-  
ლი.

ილია პაპას ჰქონდა ერთი საოცარი ჩვევა - ვერ იტანდა მოუვლელ სამ-  
უშაო იარაღებს. ნამგალი, ცელი, თოხი, ბარი და სხვა ყოველდღიური სახ-  
მარი იარაღები უნდა ჰქონდა საგანგებოდ შერჩეული და ზედმინევნით  
მოხერხებული ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად.

კარგად მახსოვეს პაპაჩემის ნაქონი თოხი, რომელიც დიდი მოწონებით  
სარგებლობდა მეზობლებში, რომლებიც ვენახების დამუშავების დროს  
რიგში იდგნენ ამ თოხის სათხოვნელად. მეც, პირადად, ჩემი სტუდენტო-  
ბის დროს, სოფელში ჩასული, სიამოვნებით ვხმარობდი ხოლმე ამ მძიმე,  
პაპისეულ თოხს და ვრნმუნდებოდი, რომ ილია პაპას ტყუილად არ უყ-  
ვარდა იმით მუშაობა. ეს თოხი იმდენად პოპულარული იყო, რომ გასული

საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ვიღაც უცხო ხელმრუდე-ქურდბაცა-ცამ მოიპარა ეს უნიკალური ინსტრუმენტი.

თავიდანვე ავლნიშნავდი, რომ გარე კახეთში ვენახი დიდი იშვიათობა იყო. კოლმეურნეობის მაშინდელ ხელმძღვანელებს ხშირად სტუმრობდნენ პარტიული ფუნქციონერები, რომლებსაც უნდა გამასპინძლებოდნენ კოლმეურნეობის თავკაცები. ღვინის პრობლემა, ზემოდგომთა ყოველი ასეთი სტუმრობის დროს, დიდ დისკომიურტს უქმნიდა მასპინძლებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კოლმეურნეობის გამგეობამ გამოიტანა გადაწყვეტილება საკუთარი ვენახის გაშენების თაობაზე.

ამ ვენახის დაგეგმარება, ვაზის მომზადება და დარგვა კვლავ დაევა-ლა ჩემს ილია პაპას. იმ დროისათვის ვენახის მავთულის შოვნა დიდ სიძნე-ლეს ნარმოადგენდა, რის გამოც გადაწყვდა ვაზის ჭიგოზე აკვრა.

სოფლის ბოლოს კოლმეურნეობამ შეარჩია საკუთარი ტერიტორია, რომელიც შემოლობეს ძეგვის მაღალი ლობით, დააბრუნეს ნიადაგი სავე-ნახედ და დარგვს ვაზის ნამყენი. სამუშაოებს, დიპლომიან აგრონომებთან ერთად, უძლვებოდა ჩემი ილია პაპა, რომელსაც ჰქონდა ყველაზე პრესტიული „დიპლომი“ — ცოდნადა გამოცდილება.

ვენახი გამოვიდა ნამდვილად სანაქებოდ კარგი და მესამე წლიდან დაიწყო მსხმოიარობა. ამიერიდან კოლმეურნეობის თავკაცებს უკვე შეე-ძლოთ, დაუპატიუებელი პარტიული სტუმრების გამასპინძლება საკუთარი ვენახის ლვინით. როგორც მახსოვს, ეს სტუმარ-რევიზორები დიდად კმაყ-ოფილები რჩებოდნენ გარე-კახური ლვინით ქეიფის შემდეგ.

ჩემი ილია პაპა ვერ ეგუებოდა იმას, რომ პატარა ბავშვების პატრონ გლეხებაც არ ჰქონდა საკუთარი ვენახი. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ ჩვენს ეზოში გაზრდილ უზარმაზარ პანტის ხეზე შეუშვა ვაზი. ასეთ ვაზს ის ეძახდა „შეშვებულს“. ეს ვაზი არც ისხვლებოდა და არც იწამლებოდა შაბიამნის ხსნარით. ყურძენს კი საკმაო რაოდენობით ისხ-ამდა და ამით წლების მანძილზე დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა მე და ჩემს ორ პატარა ძმას.

ილია პაპას მაინც უნდოდა ნამდვილი ვენახის გაშენება. ამ მიზნით დააბრუნა ჩვენი ბოსტნის ფერდობზე მიწის ნაკვეთი და გაახარა ვაზი. მასარ მოსწონდა ჭიგოზე (სარებზე) აკრული ვაზიდა ყოველნაირად ცდი-ლობდა, შიდა კახეთში დამკვიდრებული წესით, მავთულზე განყობილი ვენახის გაშენებას. გამოსავალს მიაგნო ფათალოს ტიპის, - ამ ხეზე მცო-ცავი მცენარის, - გრძელი ლეროების გამოყენებით, რომლებითაც ჩაანაცვლა გამოიყენა მავთული და ეს პატარა ვენახი, სულ რაღაც ორასამ-დე ძირი ვაზით, გააწყო ისევე, როგორც ამას შიდა კახეთის გამოცდილი მეზვრეები აკეთებდნენ მავთულით. პაპაჩემის ამ გამოგონებას, ტრადი-ციულ მავთულთან შედარებით, უპირატესობაც კი ჰქონდა - მზისგან არ ხურდებოდა ისე, როგორც მეტალის მავთული და ვაზი მცხუნვარე მზის

დაწვისაგან საიმედოდ იყო დაცული.

ბავშვებზე ზრუნვა პაპაჩემს წმინდათა-წმინდა მოვალეობად მიაჩნდა. მან მოინდომა ფუტკრის მოშენება. ამ მიზნით იყიდა ორი გეჯა ფუტკარი, სახლთან ახლოს მოაწყო პატარა და ლამაზი ბალჩა-ბოსტანი, შემოფარგლა მშვენივრად დაწნული წნელის ღობით, დარგო სურნელოვანი ყვავილები, ვარდებისა და ბარამბოს ჩათვლით და იდეალური სისუფთავის პირობებში, ამ პატარა ბალში ჩადგა ფუტკრის ეს ორი ოჯახი.

თაფლს, როგორც წესი, იღებდა ხოლმე ახალი წლის წინა კვირაში. ჩვენ, ბავშვები მოთმინებით ველოდით ახალი წლის მოახლოებას.

ომის დროსაც კი, დიდი გაჭირვებისა და შიმშილობის პირობებში, ახალ წელს, ერთი დღე მაინც იყო ისეთი, როდესაც უფროსები ბავშვებს გვიმასპინძლდებოდნენ განსაკუთრებული გულმოდგინებით. საახალწლოდ იკვლებოდა ღორი, თუკი ოჯახს ჰყავდა. ამიტომ ახალი წლის დადგომა, ბავშვებისათვის ყოველმხრივ სანატრელი იყო.

სამნუხაროდ, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, 1942 წლისათვის, ჩვენი ოჯახის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ. ერთის მხრივ, ფრონტიდან მოსული სამნუხარო ამბავი, მამაჩემის მძიმედ დაჭრის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ჩემი „მინდია“ პაპას ველისციხის საავადმყოფოში სიკვდილის ამბავმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა...

ილია პაპა იმსხვერპლა კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარის მიერ ნასროლმა ტყვიაში 1942 წლის შემოდგომაზე.

ეს ტრაგედია ასე გათამაშდა: კოლმეურნეობამ ჩვენი ოჯახის მარჩენალი, ერთადერთი ფურ-კამეჩი, რომელსაც „გნოლიას“ ვეძახოდი და, მართლაც, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით, თავმჯდომარის განკარგულებით, შეაბა სახნავ გუთანში.

მეგუთნების უგუნური მოპყრობით და იმის გამოც, რომ ეს კამეჩი არ იყო მიჩვეული ულელში შებმას, დაუწყლულდა კისერი და ერთ საბედის-წერო დღეს დაეცა ნახნავში უგონოდ.

მეხრის მიერ ცემამაც ვერ აიძულა ეს საცოდავი ცხოველი, რომ წამომდგარიყო და ასე ულელში შებმული ძლიერს ფართხალებდა.

ხვნა მიდიოდა კოლმეურნეობის ვენახიდან სულ რაღაც ერთი კილომეტრის დაშორებით, „კოტა მუხის“ სიახლოვეს.

პაპას მოუსმენია გუთნისდედის „რვასართულიანი“ გინება ამ კამეჩის პატრონის მისამართით და ხელშიალმართული ორთითა ფინლით, რომელსაც მუდმივად ატარებდა, მისულა გუთნისდედასთან და მოუთხოვია გნოლია-კამეჩის გამოხსნა ულლიდან.

ამ გუთნისდედას ცინიკურად უთქვია, - მაშინ შენ შეგაბამ ულელშიო, რის გამოც პაპაჩემს გაუნევია ამ ყიამყრალი ენის მქონე კაცის საცემრად...

ამ დროს მოუგელვებია ცხენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ისე, რომ არც კი გარკეეულა შექმნილ სიტუაციაში, ნაგანის ტყვიით დაუმსხვრევია პაპაჩემისათვის მუხლის სახსარი.

დაჭრილ კაცს დიდხანს უცურია საკუთარ სისხლში და დიდი დაგვიანებით მოუყვანიათ ურმით მის გადასაყვანად საცხოვრებელ სახლში.

მეორე დღეს ეს მძიმედ დაჭრილი და სისხლისგან დაცლილი მოხუცი, ნაუყვანიათ ურმით ველისციხის საავადმყოფოში, სადაც ორი დღის შემდეგ განუტევებია სული ამ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ მშრომელ კაცს.

მოხუცი კაცის მკვლელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაასამართლეს 1943 წლის მარტში და მიუსაჯეს პირობითი სასჯელი, რამდენიმე წლით.

ამ უსამართლო განაჩენს დიდხანს აპროტესტებდა დედაჩემი, მაგრამ არც ერთ ინსტანციას ეს არ ანუხებდა, რადგან ქვეყანა ანარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს გერმანელებთან...

აი, ასეთ დროს დაასრულა ცხოვრება „კახელმა მინდიამ“ — პაპაჩემა, რომელსაც ამ ქვეყნად სიკეთის მეტი არაფერი დაუტოვებია...

სოხუმის სამხედრო ლაზარეთიდან მძიმედ დაჭრილი მამაჩემი გადმოიყვანეს თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში და გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ხანად ამ ჰოსპიტალში მუშაობდა დეიდაჩემი და, რომ არა მისი თავდადება, მამაჩემს ფეხს აუცილებლად მოჰკვეთდნენ. როგორც ჩანს, იმ ომისას, ტყვიით დაზიანებული კიდურების მეურნალობის ეს მე-თოდი ხშირად გამოიყენებოდა...

პაპაჩემის მკვლელს და მის ოჯახს მკაცრად გაუსწორდა განგება. ეს უტვინო, კაცისმკვლელი პარტიული ფუნქციონერი ძალიან ჩქარა მოიკითხა მამაზეციერმა. არც მისი ოჯახის ნევრებს უცოცხლიათ ნორმალური ცხოვრებით, მათაც დროზე ადრე მოუნიათ ამქვეყნიდან ნასვლა...

გნოლია-კამეჩმაც ვერ გაუძლო იმ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ოჯახს.

ერთ დღეს შევებში ჩაცმული ჩემი ბებო დაღვრემილი გაჰყურებდა სოფლის შარაგზას. იმ დროს, ალბათ, მხოლოდ თავის დაჭრილ შვილზე ფიქრობდა.

გნოლია-კამეჩმი ნაღვლიანი თვალებით მივიდა ბებოსთან, დიდხანს უცქირა მის მნუხარე სახეს, შემდეგ მარჯვენა ხელზე მიადო ცხვირი და, იფიქრებდი, რაღაცის თემას აპირებსო. ამის შემდეგ გადადგა რამოდენ-იმე ნაბიჯი, დაეცა უგონოდ და განუტევა სული.

ამ ამბავში ერთი სიტყვაც არარის ყალბი და მოგონილი. ყველაფერი ეს მე კარგად მახსოვს დღესაც.

მოდი და, ამის შემდეგ ნუ ინამებ განგების სამართალს...

## II. ჩემი მართვა აუა - დავითი

ამ პატარა მოგონება-მოთხოვბაში პაპაჩემ დავითს (დედის მხრიდან), რომელსაც „დათიას“ ეძახოდნენ ახლობლები და ნაცნობები, მეც ასე მოვიხსენიერ. ეს იყო ჩემი ილია პაპასაგან სრულიად განსხვავებული ქცევისა და საქმიანობის კაცი.

ცხოვრებითაც, დათია პაპა ცხოვრობდა ჩვენი სოფლის თავში, თავის დროზე თავად ანდრონიკაშვილების მიერ აშენებულ სამეურნეო სახლში. ეს სახლი, როგორც ჩანს, განკუთვნილი იყო თავად — მალხაზ ანდრონიკაშვილის ძირითადი რეზიდენციის მომსახურე პერსონალისათვის და სულ რაღაც ხუთი-ექვსი მეტრის დაშორებით ბატონის ძირითადი კაპიტალური ნაგებობის პერპენდიკულარულად იყო წამომართული. ამ დამხმარე ნაგებობის პირველი სართული ეკავა სარდაფებს, შინაური ცხოველ-ფრინველის სადგომად, ხოლო მეორე სართული კი მომსახურე პერსონალს და მათი ოჯახის ნევრებს.

ამ სახლს ჰქონდა დიდი აივნები: ერთი ალმოსავლეთის მხარეს, ხოლო მეორე კი დასავლეთით. საცხოვრებლად გამოყოფილი იყო ექვსი ოთახი-დარბაზი, რომლებიც აღჭურვილი იყო შესანიშნავად განყობილი ბუხრებით.

შენობა აშენებული იყო ქართული, ოთხუთხა აგურით. იატაკები და ჭერი ამ საერთო საცხოვრებელს ჰქონდა მთლიანად მუხის მასალით განყობილი, კედლების სისქე იყო ასოცი სანტიმეტრი და ოთახები შესანიშნავად იყო დაცული გარემოს ტემპერატურის მერყეობისაგან.

აი, ასეთ ნაგებობას, ენოდებოდა დამხმარე სამეურნეო საცხოვრებელი!..

აქვე მინდა, მკითხველს მოვუთხოვ თავადის ძირითადი რეზიდენციის ზოგიერთი საინტერესო დეტალი. შენობა აგებული იყო მთლიანად ტრადიციული ქართული აგურით. ნაგებობა იყო ძირითადად ორსართულიანი, კარგად განყობილი ხის მასალისაგან დამზადებული კარ-ფანჯრებით, იატაკით და შიდა კიბეებით. ამ შენობას ჰქონდა დამონტაჟებული, მთლიანად მინის სილრმეში, თერმოიზოლირებული სარდაფი, სადაც წლის ნებისმიერ დროს იყო ერთი და იგივე ტემპერატურა ათი გრადუსის სიახლოეს. ეს იყო, პრაქტიკულად, ბუნებრივი თერმოსი, სადაც ინახებოდა ლვინო და ყველანაირი ხილი თავადური მოხმარებისათვის.

ამ სათავადო რეზიდენციის ყველაზე დიდი მშენება, ჩემის აზრით, იყო ჩრდილოეთის მხარეს არსებული ვრცელი აივანი, მუხის მასალისაგან დამზადებული სვეტებით, რომლებიც მოგვაგონებდა ძველი საბერძნეთის ნაგებობებს, იმ განსხვავებით, რომ ეს იყო მუხის გულისაგან გამოჩარხული სვეტები და არა გრანიტის კონსტრუქციები. ამ აივნიდან ულრუბლო ცის პირობებში, როგორც ხელისგულზე, ისე ჩანდა კავეასიონის თოვლით დაფარული მთები. ამასთან ჩრდილოეთიდან მონაბერი გრილი ნიავი, მით უფრო, ზაფხულის პაპანაქებაში, იმდენად სასიამოვნო

იყო, რომ წუთიერად დაგავიწყებდა კიდეც სულის შემხუთავ სიცხეს.

საქართველოში პოლიტიკურისიტუაციის გართულების დროს, თავადმა მალხაზ ანდრონიკაშვილმა თავს უშველა სპარსეთში გაქცევით, ხოლო თავადის მეუღლე, კნეინა ანდრონიკაშვილი, როგორც სოფელში მოიხსენიებდნენ, გადასახლდა თბილისში საცხოვრებლად და იქ სილატაკეში დასრულა ცხოვრება.

ამ თავადის ძირითად რეზიდენციაში კომუნისტებმა გახსნეს საშუალო სკოლა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს და ემსახურება გარე კახეთის რამოდენიმე სოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობას.

მდინარე ლაკბის ხევიდან, ხელის კონვეიერით მოზიდული (რამდენიმე კილომეტრზე ჩამნერივებული გლეხები ერთმანეთს აწვდიდნენ ქვებს) და აგებული თავადის დიდი გალავანი, შემდეგ მოსახლეობამ დაანგრია და საკუთარი საცხოვრებელი სახლების აშენების დროს გამოიყენა ძირითად საკედლე მასალად. დღეისათვის შემორჩა, ჩემი დათია პაპას მიერ თავის ვენახთან არსებული, ამ გალავნის ნაწილი, დაახლოებით ორმოცდაათი მეტრი სიგრძის, რომელიც პაპაჩემს არ დაუნგრევია და ნებისმიერ სოფლის წარსულით დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია, უპრობლემოდ, დაათვალიეროს ამ ნაკეთობის კონსტრუქციული ელემენტები. ეს კედელი -- გალავანი ორასზე მეტ წელინადს ითვლის და ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების გარეშე დღესაც „ცოცხალ“ მოწმედ და მყარად დგას, როგორც ნიმუში იმდროინდელი მშენებელ-კალატოზების დიდი ოსტატობისა. დღეს რომ ჩვენს დედაქალაქში სოკოებივით მრავლდება უსახური და საეჭვო მდგრადობის კონსტრუქციის მაღლივი ნაგებობები, ჩემმი, პირადად, შიშვე და შეშფოთებაზე მეტ რეაქციას ვერაფრით იწვევს...

თავადების მიერ აშენებული სამეურნეო დანიშნულების შენობა დღეს უკვე აღარ არსებობს. მისმა მცხოვრებლებმა ეს სახლი, ყველამ ცალკალკე დაანგრია და ძირითადი სამშენებლო მასალები გამოიყენა საკუთარი ორსართულიანი სახლების ასაშენებლად, რომლებიც სოკოებივით წამოიზარდა თავადის ისტორიული გალავნის კედლების გარეთ, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს - 1942 წელს ამ სკოლას გარს შემოავლეს ღრმად გათხრილი სანგრები. წამოჩიტებულ ბიჭებს, რომლებსაც ჯერ მუდმივ სამხედრო სამსახურში ვერ იწვევდნენ ასაკის გამო, ადგილობრივი ინსტრუქტორები ავარჯიშებდნენ შაშხანიდან ტყვიის სროლაში. შაშხანები იყო საბრძოლო ფორმაში, ყმანვილებისათვის საკმაოდ მძიმე ინსტრუმენტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთ შაშხანებს ლულის ბოლოს მორგებული ჰქონდა საბრძოლო ხიშტები. ბიჭებს შეეძლოთ ასეთი შაშხანიდან ტყვიის სროლა მხოლოდ დანოლილ მდგომარეობაში, იარაღის ჩამოდებით გრუნტის ზედაპირზე. ყოველ ყმანვილს ჰპირდებოდ-

ნენხუთ-ხუთი საბრძოლო ვაზნის მიცემას მტრის შეტევის მოსალოდნელი დაწყების შემთხვევაში. ალბათ, იგულისხმებოდა, რომ მეტ გასროლას ეს ბავშვები, განვრთნილი გერმანელი ჯარისკაცების შეტევის დროს, ვერც მოასწრებდნენ!.. საბედნიეროდ, არც სანგრები და არც შაშხანები, როგორც ცნობილია, ამ სკოლის მოსწავლეებს აღარ დასჭირვებიათ. გერმანელებთან ომის სისხლიანი სპექტაკლი გათამაშდა კავკასიის მთების ჩრდილოეთით...

დათია პაპა დიდი ხნის განმავლობაში თავს იკავებდა კოლმეურნეობაში შესვლისაგან. ეს ჭირვეულობა არ მოსწონდა პარტიულ ფუნქციონერებს. ისინი, ძალიანაც რომ სდომებოდათ, ვერაფერს კრიმინალურს ვერ პოულობდნენ ამ გლეხი კაცის გასაციმბირებლად. ჩამოძენდილი ტანსაცმლით, საკუთარი ხელით ამოსხმული ქალამნებისა და შრომისაგან დაკოურილი ხელების პატრონისათვის კულაკის კვალიფიკაციის მინიჭებას მაშინდელი პარტიული ბოსები ვერაფრით დაასაბუთებდნენ. ამ გლეხებაცთან ბრძოლის ერთადერთი ბერკეტი, რომელიც მათ ჰქონდათ, იყო ფინ-აგენტის მიერ გაბერილი გადასახადების შეწერება.

მნარედ მახსოვს, როგორ შემაცდინა ერთხელ ასეთმა „ჭკვიანმა“ ფინაგენტმა და როგორ გამატანა დათია პაპასთან ახალი, გადიდებული გადასახადების ბლანკები. როდესაც ეს საბუთები მივუტანე პაპაჩემს, სასტიკად გამიბრაზდა და უკან გამომაგდო ამ ბლანკებიანად ფინაგენტთან. მეტირილით მივუტანე ეს ქალალდებიამ „ხულიგან“ ფინაგენტს და ვუთხარი, რომ მეტად აღარ მოეცა ჩემთვის ასეთი საშარო ქალალდების შეკვრა.

ამგვარი უსამართლობის გამო პაპაჩემმა იჩივლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან, რომელიც ჩქარა გაერკევა საქმის არსში. აღმოჩნდა, რომ ეს „ჭკვიანი“ ფინაგენტი ხელოვნურად ბერავდა გადასახადების მოცულობას, არა მარტო პაპაჩემისათვის, არამედ სხვა რამოდენიმე შეძლებული ოჯახისათვისაც.

ბოლოს და ბოლოს, დათია პაპას მოსწყინდა პარტიულ ფუნქციონერებთან „ომის“ ნარმოებადა 1943 წელს შევიდა კოლმეურნეობაში სრულუფლებიან წევრად. მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, ბოლომდე დარჩა კოლექტიური მეურნეობის ნინააღმდეგი და ისე გარდაიცვალა, რომ ვერაფრით ვერ გაიგო, თუ რატომ უნდა ყოფილიყო უკეთესი ბევრი ზარმაცისა და უსაქმურის გვერდით შრომა!..

ზემოთ ხსენებული გალავნის სიახლოვეს დათია პაპას მუდმივად ჰქონდა საკუთარი ვენახი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ სოფელში ვაზის გახარება დიდი იშვიათობა იყო. ამ ვენახის ერთ ნახევარში გაშენებული ჰქონდა მწვანე ყურძნის ჯიშის ვაზი, ხოლო მეორეში კი ტრადიციული კახური რქანითელი. ვენახი განყობილი ჰქონდა სარ-ბოძებზე გაჭიმულ მავთულებზე, შიდა კახეთში გავრცელებული წესის შესაბამისად. ამ ვენახის ღვინო, სწორედ იმიტომ, რომ მზადდებოდა ორი ტრადიციული სალვინე

მასალისაგან, გამოდიოდა სასიამოვნო არომატით და საკუმა სიმაგრით. მწვანე ჯიშის ვაზი უფრო მეტ ყურადღებას და მოვლა-პატრონობას საჭიროებდა, ვიდრე რქანითელი; მაგრამ დათია პაპას შრომა და გარჯა არასოდეს ეზარებოდა, ამის გამო მისთვის მწვანე ვაზის მოვლა არ იყო პრობლემური.

ზემოთ ხსენებული გალავნის სიახლოეს დათია პაპას მუდმივად ჰქონდა საკუთარი ვენახი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ სოფელში ვაზის გახარება დიდი იშვიათობა იყო. ამ ვენახის ერთ ნახევარში გაშენებული ჰქონდა მწვანე ყურძნის ჯიშის ვაზი, ხოლო მეორეში კი ტრადიციული კახური რქანითელი. ვენახი განყობილი ჰქონდა სარ-ბოძებზე გაჭიმულ მავთულებზე, შიდა კახეთში გავრცელებული წესის შესაბამისად. ამ ვენახის ღვინო, სწორედ იმიტომ, რომ მზადდებოდა ორი ტრადიციული საღვინე მასალისაგან, გამოდიოდა სასიამოვნო არომატით და საკმაო სიმაგრით. მწვანე ჯიშის ვაზი უფრო მეტ ყურადღებას და მოვლა-პატრონობას საჭიროებდა, ვიდრე რქანითელი; მაგრამ დათია პაპას შრომა და გარჯა არასოდეს ეზარებოდა, ამის გამო მისთვის მწვანე ვაზის მოვლა არ იყო პრობლემური.

მიუხედავად იმისა, რომ დათია პაპას თავისი საკუთარი ვენახის ღვიძლი უკურნებელობა გამონახვა მისი სტუმრიანი ოჯახისათვის ღვინის პრობლემის საბოლოოდ მოსაგვარებლად. სწორედ ამ მისით ყოველწლიურად, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, რთვლის დაწყებისთანავე მიდიოდა კამერების ურმით გურჯაანში სამუშაოდ. ალაზნის ველიდან ყურძნით დატვირთული გოდრები მოჰქონდა ზემო გურჯაანში მცხოვრები ოჯახების დაკვეთით. მისი მომსახურების პირობა ასეთი იყო: ერთი გოდორი ყურძნის გადასახადი უნდა ყოფილიყო ერთი ხელადა (ორი ლიტრი) ღვინო, მას შემდეგ, რაც ეს მოსავალი დაღვინდებოდა. ამრიგად, ის ასწრებდა ყოველდღიურად ალაზნის ველიდან ორჯერ ხუთ-ხუთი გოდორი ყურძნის ამოტანას ზემო გურჯაანში. ყოველდღიურად მის საბუღალტრო აღრიცხვის ბლოკნოტს ემატებოდა საშუალოდ ოცი ლიტრი ღვინის მარაგი. მთელი თვის განმავლობაში ამ წესით გამომუშავებული პროდუქტი შეგროვილი ჰქონდა მოყვრის მარანში, საკმაოდ დიდ ქვევრში და მუდმივ საცხოვრებელ სახლში ამოჰქონდა საჭიროების მიხედვით, დიდი ტიკებით. ასე იქცეოდა ეს ჭკვიანი მშრომელი კაცი იმ დროს, როდესაც ცხოვრება მეორე მსოფლიო ომის და მის შემდგომ პერიოდში, მეტად დამძიმებული იყო უმტკისი ოჯახებისათვის.

ეს დაულალავი მშრომელი კაცი ზამთრის მოახლოების დროს, ნოემბერ-დეკემბერში, გადადიოდა შემის დამზადებაზე. შემას ამზადებდა არა მარტო საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის, არამედ გასაყიდადაც. მისი კლიენტები იმ დროისათვის იყენენ, პირების რიგში, სამუალო სკოლის

მასნავლებლები, თავად სკოლის დირექცია საკლასო ოთახების გასათბობად ზამთრის პერიოდში და სოფლის მოსამსახურეთა მცირერიცხოვანი პერსონალი, რომელთაც ჰქონდათ საქმაო ფული ასეთი სიამოვნების მისაღებად. იმ დროისათვის შეშის დამზადება მამა-პაპური ცულით დიდად შრომატევადი და დამქანცავი იყო. განსაკუთრებით ჭირდა დიდი ზომის ხეების მოჭრა და დამუშავება. მაშინ ელექტროხერხები არ არსებობდა, თორემ დღემდე ტყეები ვეღარ მოაღწევდნენ — სულ, ტოტალურად განადგურდებოდნენ, როგორც ეს ახლა ხდება!..

დათია პაპას საოჯახო სამეურნეო საქმიანობაში მეფუტკურეობაც იყო საქმაოდ მაღალ დონეზე ნარმოდეგენილი. მას ჰქონდა ოცამდე თანამედროვე, ორსექციიანი ფუტკრის სეა და ყოველზღიურად დამზადებული თაფლით არა მარტო საკუთარ ოჯახს აკმაყოფილებდა, არამედ ჰყიდდა კიდეც. იმდენიდროარ ჰქონდა, რომ ზაფხულის პერიოდში ფუტკრის სკები გადაეტანა ყვავილოვანი კულტურების სიახლოვეს. ასეთ კულტურებად გარე კახეთში ითვლებოდა, პირველ რიგში, მზესუმზირა და სამყურა-იონ-ჯის ნათესები.

განსაკუთრებით დიდი გვალვების დროს, ზამთრისათვის შინაური ცხოველების ბაგური კვებისაგან თავის დასაღწევად, ეს მეურნე კაცი ახერხებდა საქონლისადაცხვარ-ბატქნის გადარჩენას მდინარე ივრის მარჯვენა სანაპიროს ჭალებში, ერთი ნაცნობი თათრის, რომელსაც მაჰმუდს ეძახოდა, დახმარებითა და ხელშეწყობით. დათია პაპა თავისი პირადი სააგებლობის საქონელს — კამეჩებს, ცხვარსა და თხას აბარებდა გამოსაზამთრებლად ამ მარტოხელა თათარს, რომელიც ყოველთვის დიდად ეხმარებოდა ძნელბელობის უამს. სხვათაშორის, ამ მაჰმუდმა ას ნელზე მეტხანს იცოცხელა და პაპაჩემის გარდაცვალების დროს მოვიდა სამძიმარზე ქართული ტრადიციების ყველა ნიუანსის დაცვით, ხოლო პაპას დაკრძალვის დღეს გულწრფელად დაიტირა თავისი ერთგული მეგობარი.

დავუბრუნდეთ პაპას ცხოვრებისეულ შემოდგომა-ზამთრის პერიოდს. შემოდგომაზე ძირითადი მოსავლის — სიმინდის, კარტოფილის, ჭარბლის და სხვა ბოსტნეულის აღების, აგრეთვე ვაშლის, მსხლის და კაკლის მოსავლის დაბინავების შემდეგ, ვაზების სიახლოვეს თესავდა ბოლოკს, საგვიანო მწვანილეულს და ოჯახის საჭიროების გათვალისწინებით სხვა სურნელოვან თუ სანელებელ მწვანილეულობას. ამასთან ერთად ასუფთავებდა ბალსა და ბოსტანს ზედმეტი სამეურნეო კულტურების ნარჩენებისაგან. გვიან შემოდგომაზე დათია პაპას ვენახის ნახვას არაფერი სჯობდა. ის უკვე იყო გულიანად მოვლილი და მომზადებული სამომავლოდ.

ზამთრის დადგომასთან ერთად დიდი ღამეების დროს, საჭირო იყო რაიმე ღირებული საქმის კეთება. ამ დროისათვის პაპაჩემი ამზადებდა ძვლის ყაისნაღებს ნინდის ქსოვისათვის დიასახლისების „შესაიარ-

ალებლად”; წნავდა ლაზათიან კალათებს თხილის ღეროებიდან საგანგებოდ გამოხდილი ლარტყებისაგან; ამზადებდა ახალ გოდრებს ყურძნის საკრეფად მომავალი წლისათვის.

დათია პაპა საგანგებოდ ემზადებოდა საახალწლოდ მრავალრიცხოვანი სტუმრის მისაღებად და გასამასპინძლებლად. ამ მიზნით ყოველთვის ჰყავდა ორი-სამი ნასუქი ლორი დასაკლავად.

ბებო კი ბრწყინვალედ ართმევდა თავს ხუთასზე მეტი ჩურჩხელის გავლებას, რომლებსაც დიდიოთახის ბუხრიან დარბაზში, ბავშვებისათვის მიუნვდომელ ცენტრალურ კაუჭზე ჰკიდებდა. ასეთივე წესით ინახავდა ლელვისა და ატმის ჩირების უშველებელ ასხმებსაც, ჩურჩხელების გვერდით, კაუჭზე ჩამოკიდებულს.

ყურძნის ჯაგნები ინახებოდა ბელლის სიახლოვეს, მაღალ ბოძზე განთავსებულ გოდორში ჩიტებისა და სხვა მავნებლებისაგან დაცვის მიზნით, ჯაგნებად ასხმული სახით. სხვათა შორის, ამ წესით შენახული ყურძნი, საახალწლოდ ისე გამოიყურებოდა, რომ ახალიდაკრეფილი გეგონებოდა.

თავად ახალი წლის დადგომა ბავშვებისათვის იყო დიდად სასურველი და სანატრელი დღე.

ახალი წლის ზეიმი დათია პაპას სახლში გრძელდებოდა ერთი კვირის მანძილზე. აქ იკრიბებოდნენ ბევრი ნათესავები და ახლო მეგობრები. ახალი წლის საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ, კვლავ იწყებოდა გლეხი კაცის, ჩვეულებრივ სამუშაო რეუიმით ცხოვრება...

აი, ასეთი მახსოვს ახალი წლის ზეიმები პაპაჩემის ოჯახში.

გადიოდა წლები, პაპაჩემი ჩვეული ენერგიით ველარ მუშაობდა. ამას მტკიცნეულად განიცდიდა. ბებოს უდროოდ გარდაცვალებამ საბოლოოდ გაანადგურა ეს ჭკვიანი, დაუღალავი, მშრომელი კაცი...

დათია პაპას სიკვდილის შემდეგ აწყობილი საოჯახო მეურნეობა მთლიანად მოიმართა.

პაპაჩემის ხელი, პირველ რიგში, დააკლდა ფუტკრის ოჯახებს. ორ წელიწადში ყველა სკა გახდა უსიცოცხლო.

შემდგომი ტრაგედია გათამაშდა პაპას საყვარელი კამეჩების მიმართ, რპმლებსაც, ფაქტოურად, ალარავინ უკლიდა და მათი ხსენებაც კიდაავინყდა პაპაჩემის მესამე თაობას.

ვენახი და ბალ-ბოსტანიც დარჩა მოუვლელი.

ერთ დროს აყვავებული ბალ-ვენახი სარეველა მცენარეებისა და მეზობლების შინაური ცხოველების სათარეშოდ იქცა.

ცხვარ-ბატკანზე კი ოცნებაც აღარ შეიძლებოდა.

ერთადერთი, რაც პაპას ერთ დროს სანაქებო და შეძლებული ოჯახიდან დარჩა, იყო მხოლოდ ქათმები და მათი წინილები.

დათია პაპას დატოვებული მესამე თაობის ყმანვილები, უკვე მხოლოდ იმაზელა ოცნებობდნენ, როგორ ეშოვათ თავშესაფარი ქალაქში საცხ-

ოვრებლად.

სოფელში გავრცელდა ნარკომანის „ეპიდემია“. ახლა ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა მხოლოდ ამ სანამლავის შოვნაზე ხარჯავდა დროს და ენერგიას. მოვიდა ეს დიდი უბედურება და ბალ-ვენახები დარჩა სრული-ად უპატრონოდ.

აი, ასეთი სავალალო აღმოჩნდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ავღანე-თის ავანტიურისტული ომის გამოძახილი. ამ ომია, როგორც ცნობილია, მრავალი კავკასიელი ყმანვილის სიცოცხლე შეიირა, ხოლო ნარკოტიკე-ბისათვის მწვანე შუქის ანთებამ, როგორც კიდევ ერთ-ერთმა დიდმა უბე-დურებამ, წალენა კავკასიის რეგიონში მცხოვრები ბევრი ყმანვილის და გოგონას ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა.

აი, ასეთი ტრაგიული აღმოჩნდა, ერთ დროს, ძნელბედობის უამსაც კი, ჭკვიანი კახელი გლეხის მიერ აწყობილი საოჯახო მეურნეობის აღსას-რული, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, სამუდამოდ მოიშალა და განადგურდა...

(მემუარული რვეულის დასასრული)

## გამოსათხოვარი

**ბატონი ლიგური მოსულიშვილი - ფიზიკის ინსტიტუტის დიდი მიღწევების ერთ-ერთი შემოქმედი და ავტორი - გამოაკლდა ჩვენს კოლექტივს.**

ბატონი ლიგურის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ რეაქტორზე წარიმართა, სადაც მან საფუძველი ჩაუყარა ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენებით მან შეასრულა პიონერული სამუშაოები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ბუნების ბიოლოგიურ სისტემაში მეტალების კომპლექსების კვლევას.

მოგვიანებით, ბატონი ლიგურის ტიტანური შრომის შედეგად მოპოვებული იქნა უნიკალური ექსპერიმენტული შედეგები, რომლებიც არასოდეს და კარგავს თავის მაღალ მეცნიერულ ღირებულებას.

ასეთი შედეგების რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, მონაცემები ჩერნობილის კატასტროფით გამონვეული საქართველოს ბუნების რადიაციული დაბინძურების შესახებ. ასევე, მონაცემები საქართველოს მოსახლეობის სისხლის ელემენტური შემადგენლობის შესახებ.

ბატონი ლიგური გამორჩეული იყო თავისი ორგანიზაციონული ნიჭითაც. წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მის მიერვე ჩამოყალიბებული განყოფილების გამგე, სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავჯდომარე და ბევრი სხვა. მას ბევრჯერ მოუნიართული ამოცანის გადაწყვეტა - სხვადასხვა მიმართულებებით კვლევების ორგანიზება და შესაბამისი ლაბორატორიების ანყობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბატონმა ლიგურიმ შეძლო გადაერჩინა ეს ლაბორატორიები იმ ურთულეს პერიოდში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლოუალეს ნარსულში.

ბატონი ლიგური ასევე დაჯილდოვებული იყო საუკეთესო ადამიანური თვისებებით. მას ახასიათებდა უკიდეგანო კაცითოყვარეობა, კრისტალური პატიოსნება, და მრავალი სხვა კარგი თვისება. იგი გადაყოლილი იყო თავის თანამშრომლებზე.

ის დიდი სითბო, რომელიც ბატონი ლიგურისაგან მივიღეთ, ცხოვრების ბოლომდე გაგვყვება.

### **ნელი ნიბახაშვილი -**

ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2010 წლის 5 აპრილი.

07 АПР 2010 10:56 FLNP JINR

65085

с 1



ОБЪЕДИНЕННЫЙ ИНСТИТУТ ЯДЕРНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ  
ЛАБОРАТОРИЯ НЕЙТРОННОЙ ФИЗИКИ им. И.М.ФРАНКА

JOINT INSTITUTE FOR NUCLEAR RESEARCH  
FRANK LABORATORY OF NEUTRON PHYSICS

141980 Dubna, Moscow Region, Russia  
141980 Дубна, Московская обл., Россия  
tel. +7 (49621) 65857 fax. +7 (49621) 65865  
e-mail: belushk@rf.Jinr.ru

Факс: 99532  
391494

Директору Института физики им.  
Э. Андроникашвили, Тбилиси

д-ру Г. Гелашвили

**Глубокоуважаемый д-р Гелашвили!**

Дирекция Лаборатории нейтронной физики им. И.М. Франка выражает Вам и коллективу Института физики глубокие соболезнования в связи с кончиной выдающегося ученого Грузии профессора Лигури Михайловича **МОСУЛИШВИЛИ**.

Многолетнее плодотворное сотрудничество в области использования ядерно-физических методов в биотехнологии всегда высоко оценивалось руководством ОИЯИ и отражено в многих совместных научных публикациях и патентах.

Все, кто знал и сотрудничал с профессором **МОСУЛИШВИЛИ**, разделяют горечь утраты с его родными и близкими.

А.В. Белушкин

## ორი რაიონი

(ბოლოთქმის მაგიერ, რედაქტორისაგან)

ეს ჩანახატი შედის 2004 წელს გამოცემულ ჩემს მინიატურების კურ-  
ბულში „გედები თოვლექებზე“ და უფრო ადრე მქონდა დანერილი, ოლონდ  
ამ მიძღვნის გარეშე, არ უყვარდა ბიძაჩემს მიძღვნები და იმიტომ.

1961 წლის 13–17 მაისს ნობელიანტი ფიზიკოსი, ნილს ბორი რომ გვხ-  
ტუმრობდა თბილისში, მასპინძლებში ფიზიკის ინსტიტუტის ახალგაზრ-  
და მეცნიერი, ლიგური მოსულიშვილიც იყო და იმანაც მოისმინა ნილს  
ბორის ნათქვამი: „მთელი გულით ვუსურვებ ქართველ ხალხს ბედნიერ  
მომავალს“...

ამიერიდან ეს პატარა ესკიზი ეძღვნება ფიზიკის მეცნიერებათა დოქ-  
ტორის, ლიგური მოსულიშვილის ხსოვნას, აღდგომის მეორე დღეს რომ  
გარდაიცვალა, 2010 წლის 5 აპრილს...

იმის მაგიერ, რომ ნილს ბორისა და ვერნერ ჰაიზენბერგის, ანდა სუ-  
ლაც ალბერტ აინშტაინის თეორიულ ნაშრომებზე ვილაპარაკოთ,  
ფილოსოფიასა და რელიგიაში ჩახედული ერთი ნიჭიერი ფიზიკოსი, მო-  
მდგომია და ბორხესის აზრებს ჩამჩიჩინებს:

„იმან, რასაც წერს კაცი, უნდა გადალახოს მისი განზრახვის ჩარჩოები“.

„წიგნი დაუმთავრებლად ითვლება, თუ შიგ არ არის ანტინიგნიც“.

დამისაბუთე მეტქი, - ვუბლვერ.

ამ აზრთა საილუსტრაციოდ მეჩვიდმეტე საუკუნის ესპანელი მწერ-  
ლის წიგნს ასახელებს, სადაც სარაინდო რომანებით თავგზააბნეული და  
ჭკუარეული ერთი იდალგო თავის გლეხს აიყოლიებს (არც ისაა მთლად  
დალაგებული) და ფათერაკების საძებნელად გასწევს, რათა უსამართ-  
ლობა ამოძირკვოს. ალბათ, ეს წიგნი ჩაფიქრებული იყო იმ სარაინდო რო-  
მანების წინააღმდეგ, გონებას რომ უბნელებენ ადამიანს (ფარულად, ავ-  
ტორს ეგებ კიდეც უყვარდა ეს წიგნები!), მაგრამ უცნაური ამბავი მოხდა  
- შეშლილი იდალგოსა და მისი არანაკლებ დამთხვეული საჭურველთ-  
მტვირთველის ამბავი მთელს ესპანეთს მოედო (წიგნმა გადალახა გან-  
ზრახვის ჩარჩოები), ყველამ ნაიკითხა (მოინონა თუ დაინუნა - არა აქვს  
მნიშვნელობა!), გავიდა დროდა ყოველი ესპანელის სულის შინაგანი რაო-  
ბის გამომხატველებად იქცნენ ეს პერსონაჟები; ესე იგი, ესპანელი იდალ-  
გოები და გლეხები - ეს ორი ფენა ერთად უნდა მდგარიყვნენ, გვერ-  
დიგვერდ და ერთად უნდა ეკეთებინათ საქვეყნო საქმეები. სწორედ ამ  
იდალგოებმა და გლეხებმა გარეექს სამშობლოდან არაბი დამპურობლე-  
ბი, მერე მთლად გადააჭარბეს (ეს სერვანტესის ბრალი სულაც არაა!) -  
ლამის მთელი ამერიკა დაიპყრეს, დღეს იბეროამერიკად რომ ისსენიება  
ესპანურენოვანებისა გამო და იქიდან ოქრო-ვერცხლითა და სხვა სიმ-

დიდრით დატვირთული გალერები გაუყენეს მშობლიური ესპანეთის გზას. აი, ეს ნაყოფი მოიტანა წოდებათა შორის ერთიანობის ნიჭირად ქადაგებამ წიგნიდან. წიგნი ხომ იდეოლოგიაცაა ბოლოს დაბოლოსო.

ჩვენ თუ გვაქვს ასეთი წიგნი მეთქი, - ვეკითხები.

ჩვენ, ქართველებმა, როცა დიდი მწერალი მოგვევლინა და „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემაზე დაინყო მსჯელობა, წოდებათა შორის შერიგება და ერთიანობა გვიქადავა, კლასობრივი თეორიით გონდაბინდულებმა ტყვია დავახალეთ ნათელ შუბლში და დღემდე, დღესაც ვიმკით იმ მკვლელობის ნაყოფს - ვერ გავერთიანდით, ერთად არ ვდგარვართ დარაც დავკარგეთ, იმას ვინ ჩივის, ახალ-ახალ მხარეებს ვკარგავთ და სხვებსაც დავკარგავთ, ასე თუ გავაგრძელეთო.

ის წიგნი მარტოდენ ესპანეთისა ხომ არ არის მეთქი.

ჰო, ისიც უნდა ითქვას, რომ იმ შლეგი იდალგოსა და მისი საჭურველთ-მტვირთველის ხეტიალი ნათლის დასამკვიდრებლად (წიგნში-ანტინიგნი!) კაცობრიული იდეალი აღმოჩნდა ეროვნულთან ერთად, მერე რა - თუ მარცხდება ხოლმე; და აქ წიგნმა ხელახლა გადალახა განზრახვის კი არა, განზრახვის შემდგომი ჩარჩოები და შესაძლოა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უპირველეს შედევრად იქცა. ისეთ შედევრად, ფილიდორ დოსტოევსკის რომ ათქმევინა: „დედამიწის აღსასრული რომ დამდგარიყო და სადღაც ზემოთ ადამიანისათვის ეკითხათ: „აბა, რას იტყვით, შეიცანით თუ არა თქვენი ცხოვრება მიწაზე, ან რა დასკვნა გამოიტანეთ აქედანო“, - ადამიანს შეეძლო უსიტყვოდ გაეწოდებინა „დონ კიხოტი“: „აი, ჩემი დასკვნა ცხოვრების თაობაზე, - შეგიძლიათ ამის გამო განმსაჯოთ?“

ჩვენი ვეფხვის ტყავიანი რაინდი მეთქი?

სანამ რუსთაველის იდეალებით იცხოვრა ქვეყანამ, ვერაფერი მოერია, დავკარგეთ თუ არა, ციხეც შიგნიდან გატყდაო, - მპასუხობს და მოკლე პაუზის შემდეგ აგრძელებს, - საინტერესო დისერტაციის თემა იქნებოდა ესპანელების მწუხარე სახის რაინდისა და ჩვენი ვეფხვის ტყავიანი რაინდის შეპირისპირება, ბევრ საგულისხმო რამეს გაარკვევდაო. ჩვენი უბედურება ის იყო, მცირერიცხოვანი ხალხის ენაზე დაინერა და სხვა ენებზე დროულად ვერ ითარგმნა ჩვენი რაინდის ფათერაკებით.

ვჩუმდები, ვფიქრობ.

საინტერესო რა არის, იციო, - დასძენს, - ნეტავი, თავად თუ იცოდა, რა დანერა? თუ მეხსიერება არ მღალატობს, თვითონ „პერსილიარესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა“ უფრო ეამაყებოდაო.

**გვინდელი მინანერი:** ამ უახლოეს დღეებში ბიძაჩემის სული ჯერ ხომ თავის სახლში იტრიალებს, მოისმენს ჩვენს ნაკითხ ფსალმუნებს, გამოეთხოვება თავის ქალაქს თუ სოფელს, თავის ქვეყანას, ყველა ნაცინობს თუ უცნობს და მერე, ალბათ, ოცდაერთი საზვერის გამოტოვებით ზეცი-

ურ კარიბჭესაც მიადგება, რადგან ალდგომის მეორე დღეს ყველა ჩვენს ეკლესიაში ალსავლის კარილიაა, რაც იმას მიანიშნებს, რომ ლიაა სამოთხის კარიც...

დიახ, ლია დახვდება სამოთხის კარიც, მაგრამ არაფრით შევა, სანამ უფალთან არ წარადგენენ, - აი, ეს ერთი გაგვიჯიუტდა და არაფრით შედის სამოთხეში, სანამ თქვენ არ გნახავთო.

და ისიც, არსთა გამრიგე შეეკითხება:

„აბა, რას იტყვეთ, შეიცანით თუ არა თქვენი ცხოვრება მიწაზე, ან რა დასკვნა გამოიტანეთ აქედან?“

ბიძაჩემი კი უსიტყვოდგაუწვდის „დონ კიხოტს“ და კარგა ხნის დუმილის მერელა დასძენს:

„აი, ჩემი დასკვნა ცხოვრების თაობაზე, - შეგიძლიათ ამის გამო განმსაჯოთ?“

(დასასრული)

# შინაარსი

ლიგური მოსულიშვილის ბიოგრაფია.....	3
ავტორისაგან.....	6
1. ნილს ბორი ჩვენს ლაბორატორიაში.....	7
2. აკადემიკოს ევგენი ხარაძის სტუმრობა რადიო-ქიმიურ ლაბორატორია.....	8
3. აკადემიკოსი გიორგი ნიკოლოზის-ძე ფლოროვი.....	10
4. ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტი საქართველოში.....	16
5. გოგი ჩიქოვანი.....	20
6. პროფესორი იური სერგის-ძე ზამიაჭნინი.....	22
7. იური ვსევოლოდის-ძე იაკოვლევი.....	32
8. მარინე ფრონტასიევა.....	34
9. უზბეკეთის ატომური ცენტრი.....	38
10. ეპიზოდები ვასო ვერულაშვილის ცხოვრებიდან.....	41
11. ირუტისკი — 1966 წლის აგვისტო.....	47
12. პროფესორი გიორგი ხარაძე.....	51
13. სემინარი ტიტულოვან ქართველ გეოლოგებთან.....	54
14. გამოკვლევები მარგანეცის ანალიზის ექსპრესული მეთოდების შესაქმნელად.....	56
15. ნავთობის დიდი „კოცონი“.....	59
16. ქართული მთის სოფლების ტრაგედია.....	63
17. ეკოლოგიური კატაკლიზმები კახეთში.....	67
18. ბერმუბა, სახელად „ტურა-მუხა“.....	68
19. ლტოლვილი მგლები.....	70
20. ომი და მშვიდობა გლეხის ცხოვრებაში.....	72
21. არაფორმალების კიდევ ერთი სამიზნე.....	74
22. ავღანეთის ომის ექი საქართველოში.....	77
23. თამაში სისტემის დეფექტების გათვალისწინებით.....	80
24. ფარული ოში.....	82
25. დოლარის მეფობის დასაწყისი საქართველოში.....	83
26. შტრიხები ნოე ქათამაძის ხსოვნისათვის.....	85
27. გიორგი ჯანდიერი.....	87
28. მეორედ მოსვლა.....	88
29. სტუმრად კიქეთის სამთავრობო აგარაკზე.....	93
30. „რკინის ფარდის“ ჩამოშლის დასაწყისი.....	96
31. მოგონებები აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის დაბადებიდან 90-წლისთვის.....	99
32. დანართები.....	110
გამოსათხოვარი.....	123
ორი რაინდი (ბოლოთქმის მაგიერ, რედაქტორისაგან).....	125